საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

David Aghmashenebeli University of Georgia

სამეცნიერო ჟურნალი

# სპექტრი

SCIENTIFIC JOURNAL

# SPECTRI

## N4

თბილისი Tbilisi
2021

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის**
**სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“**

**სარედაქციო კოლეგია:**

მთავარი რედაქტორი - **ნინო მეგრელიშვილი,** პროფესორი

მთავარი რედაქტორის მოადგილე - **ქეთევან ნანობაშვილი**, პროფესორი

პასუხისმგებელი მდივანი - **რუსუდან კავთიაშვილი,** პროფესორი

**მედიცინა:**

**ნანა თევზაძე** - პროფესორი
**დავით ღვინიაშვილი** - პროფესორი
**ნუნუ ხეცურიანი** - პროფესორი
**ნინო ნანობაშვილი** - ასოცირებული პროფესორი

**სამართალი:**

**გიორგი გოგიაშვილი** - პროფესორი
**ციალა ჩქარეული** - პროფესორი
**პოლიკარპე მონიავა** - პროფესორი

**ბიზნესი და ტექნოლოგიები:**

**დავით კბილაძე** - პროფესორი
**ვახტანგ ანთია** - პროფესორი

**სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები**

**გიორგი კალანდია** - პროფესორი
**მაკა დოლიძე** - ასოცირებული პროფესორი

გამოქვეყნებული სტატიის ავტორი არის პასუხისმგებელი სტატიის სიზუსტეზე და შესაძლოა, მისი პოზიცია არ გამოხატავდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

დაუშვებელია აქ გამოქვეყნებული მასალის გავრცელება-გამრავლება კომერციული მიზნებისთვის.

© საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021

**ISSN 2587-4810**

DAVID AGHMASHENEBELI UNIVERSITY OF GEORGIA
SCIENTIFIC JOURNAL „SPECTRI“

**Editorial Board:**

Editor-in-chief - **Nino Megrelishvili**, Professor
Deputy Editor-in-chief - **Ketevan Nanobashvili,** Professor
Responsible Secretary **- Rusudan Kavtiashvili,** Professor

Medicine:

**Nana Tevzadze** - Professor
**David Gviniashvili** - Professor
**Nunu Khetsuriani** - Professor
**Nino Nanobashvili** - Associate Professor

Law:

**Giorgi Gogiashvili** - Professor
**Tsiala Chkareuli** - Professor
**Polikarpe Moniava** - Professor

Business and Technology:

**David Kbiladze** - Professor
**Vakhtang Antia** - Professor

**Social and Humanitarian Sciences:**

**Giorgi Kalandia** - Professor
**Maka Dolidze** - Associate Professor

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles and do not necessarily reflect the views of the journals Editorial Board.

Reproduction or distribute on of the materials published in this journal for commercial purposes is prohibited.

© David Aghmashenebeli University of Georgia

Press Publisher „Meridiani“ 2021

**ISSN 2587-4810**

# სარჩევი - CONTENT

## მედიცინა MEDICINE

**რუსუდან კვანჭახაძე, ლიანა ჯაში, ქეთევან დუნდუა, ნინო ნიჟარაძე**
შაქრიანი დიაბეტი და COVID-19. . . . . 7
**Rusudan Kvanchakhadze, Liana Jashi, Ketevan Dundua, Nino Nijaradze**
Diabetes Mellitus and Covid- 19
**ზურაბ ძიძავა, ივანე წულეისკირი, მანანა გიორგობიანი**
საყლაპავის ატრეზიის მართვის ძირითადი პრინციპები. . . . . 12
**Zurab Dzidzava, Ivane Tsuleiskiri, Manana Giorgobiani**
Basic Principles of Esophageal Atresia Management
**ირინა ჭაბაშვილი, თამარ ჩილინგარაშვილი**
ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებით კურორტ „ლაშიჭალას“ პირობებში ატიპიური ფორმის ქრონიკული ქოლეცისტიტით დაავადებულთა მკურნალობა. . . . . 16
**Irina Chabashvili, Tamar Chilingarishvili**
Treatment of Patients with Atypical Chronic Cholectstitis by Natural Factors in “Lashichala” Resort

## სამართალი LAW

**პოლიკარპე მონიავა**
საკუთრების სოციალური ბუნება, მისი შინაარსი, საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დადგენილი კრიტერიუმები და ამ მხრივ საქართველოში არსებული რეალობა. . . . . 20
**Polikarpe Moniava**
“The Social Nature of Property, its Content, the Standards Set by the Case-Law Judgments of the European Court of Human Rights (ECHR) and the Situation in Georgia in this Regard”
**ია ხარაზი, ანი დამენია**
უსაფუძვლო გამდიდრების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). . . . . 38
**Ia Kharazi, Ani Damenia**
About some Legal Aspects of Ungrounded Enrichment (Comparative-Legal Analysis)
**ია ხარაზი**
ფული, როგორც საბანკო ხელშეკრულებების საგანი და როგორც სამოქალაქო უფლებების ობიექტი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). . . . . 55
**Ia Kharazi**
Money as a Subject of Banking Agreements and as an Object of Civil Rights (Comparative-Legal Research)

## ბიზნესი და ტექნოლოგიები BUSINESS AND TECHNOLOGY

**ვახტანგ ანთია**
პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია და მეწარმეობის გამოწვევების კვლევის მულტიდისციპლინარული პარადიგმა. . . . . 66
**Vakhtang Antia**
Post-Soviet Transformation and Multidisciplinary Research Paradigm of Entrepreneurial Challenges

**ია აფციაური**
დისტანციური საბანკო მომსახურეობები და კლიენტთა ელექტრონული წვდომის ფორმები. . 72
**Ia Aptsiauri**
Distant Banking Service Methods and Forms of Electronic Access for Clients
**ელისაბედ ბალიაშვილი**
ზღვისპირა კურორტების განვითარების ტენდენციები აჭარის მაგალითზე. . . . . 78
**Elisabed Baliashvili**
Trends in the Development of Seaside resorts on the Example of Adjara
**თინათინ დოლიაშვილი, ვახტანგ ნადირაძე**
საჰაერო ტრანსპორტის საქმიანობაში COVID 19-ით გამოწვეული შედეგების ანალიზი და კრიზისიდან გამოსვლის გზები. . . . . 87
**Tinatin Doliashvili, Vakhtang Nadiradze**
Analysis of the Consequences of COVID- 19 in Air Transport Activities and Crisis Solutions
**ელისო ლანჩავა, მაია ჭანია**
კრეატიული აზროვნება, ინოვაცია და იდეების გენერირება თანამედროვე მენეჯმენტში. . . . . 92
**Eliso Lanchava, Maia Chania**
Creative Thinking, Innovation and Generating Ideas in Modern Management
**ნინო ლიპარტელიანი, გიორგი კასრაძე**
საინვესტიციო პოლიტიკა-ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. . . . . 98
**Nino Liparteliani, Giorgi Kasradze**
Investment Policy - Part of the Country's Economic Policy
**მანანა ნანიტაშვილი**
მომხმარებელთა ლოიალურობა და მისი ფორმირების პროცესი. . . . . 104
**Manana Nanitashvili**
Consumer Loyalty and Its Formation Process
**ქეთევან ნანობაშვილი**
სტუდენტთა აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების ფორმალიზებული მოდელი. . . . . 112
**Ketevan Nanobashvili**
Formalized Model of Optimal Decision on Students' Academic Mobility
**მაია ჭანია**
კოვიდპანდემიით გამოწვეული შედეგები მსოფლიო ეკონომიკასა და საქართველოსთვის. . . . . 118
**Maia Chania**
The Results in the World Economy and Georgia Caused by the Covid Pandemic
**გულნარა ჯანელიძე, ნინო ბერიძე**
„ჭკვიანი სწავლების“ გამოწვევები თანამედროვე რეალობაში. . . . . 123
**Gulnara Janelidze, Nino Beridze**
Challenges Of "Smart Teaching" In Modern Reality

## სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები SOCIAL AND HUMANITARIAN SCIENCES

**ნესტან აკობია**
სარეკლამო დისკურსი და ნეოლოგიზმები. . . . . .128

**Nestan Akobia**
The Advertising Discourse and Neologisms
**მაკა დოლიძე**
დავითგარეჯი  და საინფორმაციო საშუალებები. . . . . 134
**Maka Dolidze**
Davit-Gareji and Media
**მარინა  იზორია**
ახალი სახელმწიფოები პოლიტიკურ რუკაზე  XXI ს. (სამხრეთ სუდანი  და აღმოსავლეთ  ტიმორი)140
**Marina Izoria**
Newly Formed Countries on the Political Map- XXI c. (South Sudan and East Timor)
**მარინა  იზორია,  თამარ ლორთქიფანიძე**
ჰუმანიტარული ინტერვენციები: დასაბამი და აწმყო. . . . . 148
**Marina Izoria, Tamar Lortkipanidze**
Humanitarian Interventions: The Beginning and  The Present
**ინგა კოკაია,  თამარ ხეცურიანი**
ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა და სიტყვა, როგორც  ამ  ველის  შემადგენელი ერთეული . . . . . .154
**Inga Kokaia, Tamar Khetsuriani**
Structure of Lexico-Semantic Field and  a Word as Its  Constituent Unit
**მარინე ლომიძე**
ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია (ოთარ ჭილაძის დიალოგების მიხედვით). . . . . .160
**Marine Lomidze**
Interview as a Technology of Journalist's Professional Image (according to Otar Chiladze's Dialogues)
**ნონა ქეცბაია, მირანდა თოდუა**
 სიტყვა "ეკლის' სემიოტიკა და ქართული ჰიმნოგრაფია. . . . . 166
**Nona Ketsbaia, Miranda Todua**
Semiotics of a  word "thorn" and Georgian Hymnography
**ქეთინო შენგელია, რატი ერისთავი**
აფხაზთა მუჰაჯირობის ისტორია დღევანდელი თვალთახედვით. . . . . .. . . . .170
**Ketino Shengelia, Rati Eristavi**
History of Abkhazian Muhajirism from Today's Point of View
**სოფო ჩქოფოია**
საინფორმაციო ომის შესაძლებლობები თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში. . . . . .175
**Sopo Chkopoia**
Information Warfare Opportunities in the Modern World and in Georgia
**თამარ ხეცურიანი,  ინგა კოკაია**
შერვუდ ანდერსონის ნოველა ,,დედა'' და მასში გაშუქებული ოცნების და რეალობის შეუსაბამობის თემა. . . . . .184
**Tamar Khetsuriani, Inga Kokaia**
The Theme of Irrelevance of Dream and Reality Presented in the Short Story 'Mother' by Sherwood Anderson

**რუსუდან კვანჭახაძე (1,2), ლიანა ჯაში (2,3), ქეთევან დუნდუა (3), ნინო ნიჟარაძე (4)**
საქართველოს დავით აღმაშენებლი ს სახელობის უნივერსიტეტი (1); საქართველოს ნუტრიციოლოგიური ასოციაცია (2); ბათუმის ენდოკრინოლოგიის ცენტრი (3); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (4)
David Aghmashenebeli University of Georgia(1); Georgian Nutrition Association (2); Batumi Endocrinology Center (3); Autonomous Republic of Adjara Ministry of Health and Social Affairs (4)

## შაქრიანი დიაბეტი და COVID-19

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის დასაწყისში გამოცხადებული პანდემია (დაავადება COVID-19), გამოწვეული არის კორონავირუსების ახალი შტამით SARS-cov 2, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად, 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ჯანმრთელობის ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ახალი ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია, ადვილად გადამდები და სწრაფი გავრცელების ხასიათი [4,6]. ჩინეთიდან დაავადება გავრცელდა სხვა ქვეყნებში: აზიაში, ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ოკეანეთსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, დღემდე ყველაზე მეტად ევროპაში დაზარალდნენ: იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია. დღეს მსოფლიოში გავრცელების მიხედვით ლიდერობს ამერიკის შეერთებულ შტატები და ბრაზილია. SARS-cov 2-ს შეუძლია გამოიწვიოს მძიმე დაავადება (COVID-19) და ზოგიერთ შემთხვევაში, ლეტალური პნევმონია [7].

COVID-19 მსოფლიოსთვის ახალი გამოწვევაა, რამაც განაპირობა მსოფლიოს ქვეყნების თვითიზოლაცია, გლობალური ეკონომიკური კრიზისი. დღეისათვის ჯანმოს მონაცემებით, ინფიცირებულია მსოფლიოში 23 795 005 ადამიანი, აქედან გარდაიცვალა 816 386, მათ შორის 1800 მედიცინის მუშაკი[6,7].

მიუხედავად იმისა, რომ პათოფიზიოლოგიური მექანიზმები ჯერ არ არის შესწავლილი, აღინიშნა, რომ COVID-19 – ით ყველაზე მძიმე და ფატალური შემთხვევები დაფიქსირდა ხანდაზმულებში ან თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, ფილტვების ქრონიკული დაავადებების, კიბოს და სხვა შემთხვევებში [7]. ჩვენ შევისწავლეთ მარტიდან აგვისტომდე არსებული ლიტერატურა დიაბეტისა და COVID-19-ის შესახებ.

ჩინეთში ჩატარებული მეტა-ანალიზის მიხედვით, რომელშიც 1527 პაციენტი შედიოდა აღმოჩნდა, რომ COVID-19- ის საშუალო და მძიმე მიმდინარეობა აღენიშნებოდა პაციენტებს შემდეგი თანმხლები დაავადებებით: ჰიპერტენზია - 17.1%, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები - 16 %, შაქრიანი დიაბეტი - 9,7%, დიაბეტის ან ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა 2-ჯერ, ხოლო გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებში - 3-ჯერ გაიზარდა [2]. ადამიანს შეუძლია იყოს ვირუსის მატარებელი 1-14 დღის განმავლობაში, სიმპტომების გარეშე. COVID-19-ის ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია სიცხე, დაღლილობა და მშრალი ხველა, ბოლო პერიოდში გახშირდა ყნოსვისა და გემოს შეგრძნების დაქვეითება. სხვა სიმპტომებიდან საყურადღებოა თავის ტკივილი, დიარეა და ყველაზე სერიოზული გართულება - ქოშინი, როდესაც ვირუსი აზიანებს ფილტვებს და ვითარდება პნევმონია. ჩინეთში ჩატარებული რამდენიმე კვლევა აჩვენებს, რომ ეს გართულება ყველაზე ხშირად გვხვდება ასაკოვან

ადამიანებში, მწეველებში და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებში. აშკარაა აგრეთვე გენდერული დისბალანსი- მამაკაცების COVID-19-ით გარდაცვალების მეტი შემთხვევა [5,6,7].

შაქრიანი დიაბეტი მიეკუთვნება ისეთ ქრონიკულ არაგადამდებ დაავადებათა რიცხვს, რომლებიც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას, ჯანმრთელობის სისტემებსა და საზოგადოებას. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, ბოლო წლებში ასაკობრივი ჩარჩოს 18-დან 99 წლამდე გაზრდის შემთხვევაში, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი 451 მლნ-ს აღწევდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2045 წლისათვის 18-99 წ.წ ასაკში 693 მლნ-ს და 20-79 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში 629 მლნ ადამიანს ექნება შაქრიანი დიაბეტი. 2018 წლისათვის 374 მილიონ ადამიანს ჰქონდა გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა და 21,3 მილიონ ქალს, რომელთაც ორსულობის გამოსავალი ცოცხლადშობილი იყო, ორსულობის პერიოდში ჰქონდა ამა თუ იმ ფორმის ჰიპერგლიკემია [11,12].

მსოფლიოში 20-99 წლების ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით 5 მილიონამდე სიკვდილის შემთხვევა დაკავშირებულია შაქრიან დიაბეტთან. გლობალური ხარჯთაღრიცხვა ჯანდაცვაზე დიაბეტით დაავადებულებში 2018-2019 წლებისათვის შეფასდა 850 მლრდ აშშ დოლარით [12].

2018-2019 წლებში შაქრიანი დიაბეტის გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეადგენდა 1-8,6%-ს, ხოლო ბავშვებში დაახლოებით 0,1-0,3%-ს, არადიაგნოსტირებული ფორმების გათვალისწინებით. ზოგიერთ ქვეყანაში შაქრიანი დიაბეტის გავრცელება აღწევდა 6%-ს. ექსპერტთა ვარაუდით 2045 წლისათვის მოიმატებს 253,4 მლნ-მდე. 60-99 წლის ასაკში შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული სიკვდილობის რიცხვი მიაღწევს 3,2 მლნ-ს [11,12].

დიაბეტი წარმოადგენს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას ასაკობრივი პოპულაციისათვის. ასაკოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილს აქვს არა მარტო დიაბეტი, არამედ პრედიაბეტი და მომავალ ათწლეულში მოსალოდნელია ამ თანაფარდობის ზრდა. დიაბეტის მქონე ხანდაზმულებში გაზრდილია ფუნქციური უნარშეზღუდულობის, კუნთოვანი მასის დაჩქარებული კარგვის, თანხმლები დაავადებების: როგორიცაა ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება და ინსულტის სიხშირე. დიაბეტის მქონე ხანდაზმულებს, სხვა ასაკობრივ პირებთან შედარებით, ასევე აქვთ სხვადასხვა გერიატრიული სინდრომის განვითარების მაღალი რისკი, რაც განაპირობებს ამ ჯგუფში შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის 60%-ს [8,12].

დიაბეტი წარმოადგენს სიკვდილობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომ მრავალ განვითარებად და ინდუსტრიულ ქვეყანაში ის ეპიდემიის მასშტაბს აღწევს. არასათანადოდ კონტროლირებადი დიაბეტი დაკავშირებულია ისეთი მოგვიანებითი გართულებების განვითარებასთან, როგორიცაა ნეიროპათია, თირკმლის უკმარისობა, მხედველობის დაკარგვა, მაკროვასკულური დაავადებები, ამპუტაციები. მაკროვასკულური გართულებანი დიაბეტიანი პირების სიკვდილის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. არა ერთი კონტროლირებადი კლინიკური კვლევა ცხადყოფს, რომ დიაბეტის ინტენსიურ კონტროლს შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებში გართულებების განვითარების და/ან პროგრესირების მნიშვნელოვანი შემცირება შეუძლია [8,11,12].

დიაბეტსა და ინფექციას შორის კავშირი დიდი ხანია კლინიკურად იქნა აღიარებული. ინფექციები, განსაკუთრებით გრიპი და პნევმონია ხშირია უფრო სერიოზული ასაკოვან ადამიანებში, რომლებსაც აქვთ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი. სადაო საკითხად რჩება მტკიცებულებები, რომ დიაბეტი თავად ზრდის მგრძნობელობას და გავლენას ახდენს ინფექციების შედეგზე, ან არის თუ არა კარდიოვასკულარული და თირკმლის თანმდევი

დაავადებები, რომლებიც ხშირად დიაბეტთან არის დაკავშირებული- მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტორები [1].

შაქრიანი დიაბეტი და უკონტროლო გლიკემია სერიოზული სიმძიმისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი პრედიქტორებია სხვადასხვა ვირუსით ინფიცირებულ პაციენტებში, მათ შორის, 2009 წლის პანდემიური გრიპის A (H1N1), SARS-CoV და MERS-CoV. ამჟამინდელი SARS-CoV-2 პანდემიის დროს [3]; ზოგიერთმა კვლევამ ვერ აღმოაჩინა აშკარა კავშირი დიაბეტსა და COVID-19-ის მძიმედ მიმდინარეობას შორის. ამასთან, ჩინეთიდან და იტალიიდან სხვა ცნობებმა აჩვენა, რომ ხანდაზმული პაციენტები, რომლებსაც აქვთ ქრონიკული დაავადებები, მათ შორის დიაბეტი, უფრო მაღალი რისკის ქვეშ იყვნენ COVID-19-ით დაავადებისას- სიკვდილიანობის შედეგეგით [4].

შეზღუდული მონაცემები არსებობს გლუკოზის მეტაბოლიზმთან და დიაბეტის მწვავე გართულებების განვითარებასთან დაკავშირებით (მაგ., კეტოაციდოზი) პაციენტებში, COVID-19-ით. SARS-CoV-2 ინფიცირებამ დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში შეიძლება გამოიწვიოს სტრესის უფრო მაღალი მდგომარეობა ჰიპერგლიკემიური ჰორმონების მაღალი სეკრეციით, მაგალითად, გლუკოკორტიკოიდებით და კატექოლამინებით, რაც იწვევს სისხლში გლუკოზის ზრდას და გლუკოზის არანორმალურ ცვალებადობას [1,3,5]. თავის მხრივ, რეტროსპექტულმა კვლევამ ვუჰანიდან აჩვენა, რომ პაციენტთა დაახლოებით 10% ტიპი 2 დიაბეტით და COVID-19–ით განიცდიდა ჰიპოგლიკემიის მინიმუმ ერთი ეპიზოდს (<3.9 მმოლ/ლ). გამოვლენილია ჰიპოგლიკემია, რომელიც ახდენს ანთების საწინააღმდეგო მონოციტების მობილიზებას და თრომბოციტების რეაქტიულობის გაზრდას, რაც ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან მაღალ სიკვდილიანობას დიაბეტის მქონე პაციენტებში [9]. ამასთან, უცნობია, თუ რამდენად ზუსტად აქვთ ამ პაციენტებს ანთებითი და იმუნური რეაქცია და რამდენად შეიძლება გავლენა იქონიოს ჰიპერ- ან ჰიპოგლიკემიამ SARS-CoV-2 ვირუსზე, ან თავად ვირუსმა გავლენა მოახდინა ინსულინის სეკრეციაზე ან გლიკემიურ კონტროლზე. ამასთან, გაურკვეველია შაქრიანი დიაბეტის ჩვეულებრივი მედიკამენტების შედეგები COVID-19 შედეგებზე, ისევე როგორც COVID-19– ის თერაპიული მიდგომები [9,10].

ჰიპერგლიკემია და ინსულინრეზისტენტობა ზრდის გლიკოზილირების (AGE) და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების საბოლოო პროდუქტების სინთეზს, ჟანგვითი სტრესი ასევე ასტიმულირებს ადჰეზიური მოლეკულების წარმოებას, რომლებიც შუამავლობენ ქსოვილების ანთებას. ეს ანთებითი პროცესი შეიძლება შეადგენდეს მთავარ მექანიზმს, რომელიც იწვევს ინფექციებისადმი უფრო მაღალ მგრძნობელობას, რაც იწვევს დიაბეტის მქონე პაციენტებში უფრო უარეს შედეგებს [9,10].

მსოფლიოს ყველა განვითარებული სახელმწიფო ჩართულია ამ საშიშ და ჯერ კიდევ შეუსწავლელ ვირუსთან ბრძოლაში. მიმდინარეობს მრავალი კვლევა, რათა შესაძლებები გახდეს ვაქცინის ან სამკურნალო პრეპარატის შემუშავება.

ქვეყნები დაავადების გავრცელების შენელებისთვის იბრძვიან - პაციენტების ტესტირებით და მკურნალობით, დაინფიცირებული პაციენტების კონტაქტების კვლევით, მოგზაურობის შეზღუდვით, მოქალაქეების იზოლაციითა და მასშტაბური შეკრებების, სპორტული ღონისძიებების, კონცერტებისა და სკოლების გაუქმების გზით. ქალაქების და მოქალაქეების კარანტინის და კომენდანტის საათის რეჟიმში გადაყვანით.

თუმცა Covid-19 უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ჯანმრთელობის კრიზისი. იმ მასშტაბის გათვალისწინებით, როგორც ვირუსი გავრცელდა, მას შეუძლია ღრმა გლობალური ნაიარევი დატოვოს გამანადგურებელი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების სახით.

აღსანიშნავია, რომ  მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ძალზე შეიცვალა ადამიანების ყოფითი ცხოვრების სტილი: ფიზიკური აქტივობა, სოციალური დისტანცირება, კვება, ძილი, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება, ფსიქოლოგიური სტერეოტიპები და სხვ. ამის ფონზე გაიზარდა სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების რიცხვი, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ტრანსპორტის შეზღუდვისა და ეკონომიკური კრიზისის გარდა, ხელმიუწვდომელი გახდა სამედიცინო სერვისების მიღება.

ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად მოახერხა ვირუსის გავრცელების შეკავება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისად 2020 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ინფიცირებულია 1436 პაციენტი, გამოჯანმრთელდა 1150, გარდაიცვალა 19. ზუსტი ინფორმაცია ჯერ ამ რაოდენობაში დიაბეტიანი პაციენტების შესახებ არ გვაქვს. აღნიშნული მონაცემები ცვალებადია ყოველდღიურად [8].

ასე რომ, შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს კოვიდით გარდაცვალების შემთხვევების ერთ-ერთ წამყვან ფაქტორს. აუცილებელია ნორმოგლიკემიის შენარჩუნება, ძილის და კვების რეჟიმის მოწესრიგება, ზომიერი ფიზიკური აქტივობა. ასევე საჭიროა ამ დაავადებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მაქსიმალურად დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსით ინფიცირება.

## ლიტერატურა


1. https://www.medscape.com/viewarticle/929904
2. https://jamanetwork.com/journals/jama/fullarticle/2762130
3. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32220279/
4. https://www.coronavirus.gov/
5. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32249713/
6. https://www.nih.gov/coronavirus
7. https://www.who.int/
8. https://www.moh.gov.ge/ka/741/https
9. www.thelancet.com/journals/landia/article/PIIS2213-8587(20)30271-0/fulltext
10. https://www.smartbrief.com/branded/69D4A7D8-A96F-4F05-BADA-60B36C1366C2/95DD906E-9A05-4593-BFE6-FCB344B03FCA
11. https://www.ese-hormones.org/
12. https://www.easd.org/


## რეზიუმე


ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახლახან გამოცხადებული პანდემია-დაავადება COVID-19 -ის დროს შაქრიანი დიაბეტის თანაარსებობა წარმოადგენს პაციენტის სიკვდილობის მნიშნელოვან ფაქტორს. დიაბეტი არის ქრონიკული ანთებითი მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს მრავალი მეტაბოლური და სისხლძარღვთა დარღვევები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პათოგენებზე და ორგანიზმის რეაქციაზე. ჰიპერგლიკემია და ინსულინრეზისტენტობა ზრდის გლიკოზილირების (AGE) და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების საბოლოო პროდუქტების სინთეზს, ჟანგვითი სტრესი  ასევე ასტიმულირებს ადჰეზიური მოლეკულების წარმოებას, რომლებიც შუამავლობენ ქსოვილების ანთებას. ეს ანთებითი პროცესი შეიძლება შეადგენდეს მთავარ მექანიზმს, რომელიც იწვევს

ინფექციებისადმი უფრო მაღალ მგრძნობელობას, დიაბეტის მქონე პაციენტებში უფრო უარესი შედეგებით. ასე რომ, შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს COVID-19-ით გარდაცვალების შემთხვევების ერთ-ერთ წამყვან ფაქტორს. აუცილებელია ნორმოგლიკემიის შენარჩუნება. ძილის და კვების რეჟიმის მოწესრიგება, ზომიერი ფიზიკური აქტივობა. ასევე ყველა COVID-19-თან დაკავშირებული რეკომენდაციების მაქსიმალურად დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსით ინფიცირება.

**საკვანძო სიტყვები:** შაქრიანი დიაბეტი, SARS-COV-2, COVID-19, იმუნური სისტემა.

**Rusudan Kvanchakhadze, Liana Jashi, Ketevan Dundua, Nino Nijaradze**

**Diabetes Mellitus and Covid- 19**

**Summary**

The coexistence of diabetes mellitus with COVID-19, recently announced by the World Health Organization, is an important factor in patient mortality. Diabetes is a chronic inflammatory condition characterized by the variety of metabolic and vascular disorders that can affect the body's response to pathogens. Hyperglycemia and insulin resistance increase the synthesis of glycosylation (AGE) and end products of anti-inflammatory cytokines, oxidative stress also stimulates the production of adhesion molecules that mediate tissue inflammation. This inflammatory process may be the main mechanism leading to a higher susceptibility to infections, with poorer outcomes in diabetic patients. Thus, diabetes is one of the leading causes of death in Covid- 19. Normal glycemia must be maintained. Regulate sleep and diet, moderate exercise must be carried out. Also, follow the recommendations of all Covid- 19 as much as possible in order to prevent infection with the virus.

**Keywords**: diabetes, SARS-COV-2, Covid- 19, immune system.

**ზურაბ ძიძავა, ივანე წულეისკირი, მანანა გიორგობიანი**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## საყლაპავის ატრეზიის მართვის ძირითადი პრინციპები

საყლაპავის ატრეზია ახალშობილთა ქირურგიის ერთერთ უმძიმეს პათოლოგიას წარმოადგენს, მისი დიაგნოსტირების, ინტრაოპერაციული ტაქტიკის და ტექნიკის, პოსტოპერაციული მართვის სირთულიდან გამომდინარე [1,2]. საყლაპავის ატრეზია გულისხმობს საყლაპავის წყვეტას მისი ემბრიონული განვითარების პერიოდში. ასევე საყლაპავის პროქსიმალური ან დისტალური ნაწილების კომუნიკაციას ტრაქეასთან [4,3]. საკითხის განხილვის აქტუალობა განპირობებულია პათოლოგიის სიმძიმით [5], შემთხვევების სიხშირით საქართველოში და თანდართული პათოლოგიებით (კარდიოვასკულარული, გასტროინტერსტინალური, საშარდე სისტემის და ძვალ-კუნთოვანი), ოპერაციის შემდგომი პერიოდის ხანგრძლივი მართვით, ასევე კატამნეზური არც თუ დამაკმაყოფილებელი დინამიკით [6,7].

ჩატარებულია 28 ოპერაციული ჩარევა ახალშობილებში საყლაპავის ატრეზიით, აქედან 19 ახალშობილი იყო დამატებითი ანომალიებით. 9 პაციენტს აღენიშნებოდა მხოლოდ საყლაპავის ატრეზია დისტალური ტრაქეოეზოფაგალური ფისტულით, დამატებითი ანომალიების გარეშე, პაციენტების მდგომარეობის აღდგენა მოხდა პირველივე ეტაპზე. 28 პაციენტიდან 3 პაციენტთან იყო საყლაპავის ატრეზია ფისტულის გარეშე, აქედან ორს დასჭირდა ეზოფაგოსტომა, დიდი დიასტაზიდან გამომდინარე (8 სმ-ი და მეტი). ხოლო ერთს დასჭირდა ფოკერის პროცედურა; მესამე ოპერაციული ჩარევის შემდეგ, ეზოფაგო-ეზოფაგო ანასტომოზის დადება შესაძლებელი გახდა დაბადებიდან 45-ე დღეს.

28 პაციენტიდან 5 პაციენტი იყო ანუსის ატრეზიით, რომელთაც მათი მცირე წონის გამო ჩაუტარდათ კოლოსტომის ოპერაცია.

შვიდ პაციენტს დასჭირდა სხვადასხვა კარდიოქირურგიული ჩარევა.

ორ პაციენტში მარჯვენამხრივი აორტის რკალის არსებობის მიუხედავად, ქირურგიული მიდგომა მაინც გახდა შესაძლებელი მარჯვენამხრივი თორაკოტომიით.

სამ შემთხვევაში იყო საყლაპავისა  და 12-გოჯას ატრეზია ერთად, რომელთაც ჩაუტარდათ ერთდროულად ეზოფაგო-ეზოფაგო ანასტომოზი და კიმურას მეთოდით დუოდენო-დუოდენო ანასტომოზი.

ოთხ შემთხვევაში საყლაპავის ატრეზიით ოპერაციის შემდგომ პერიოდში, კვების დაწყების შემდეგ, გამოჩნდა ნაწლავთა ნაწილობრივი გაუვალობის სურათი. რენტგენოკონტრასტული კვლევით დაისვა ნაწლავთა მალროტაციის დიაგნოზი, რის გამოც დაგვჭირდა ლაპარატომია, ნაწლავთა დეროტაცია, ლედის პროცედურა.

საყლაპავის ატრეზიის პროგნოზი განსხვავებულია და დამოკიდებულია: საყლაპავის ატრეზიის ანატომიური დეფექტის ფორმაზე, პაციენტის წონაზე, ზომაზე, თანდართულ ანომალიებზე და დროულ დიაგნოსტირებაზე [2,5,6].

საყლაპავის ატრეზიის მართვა დაკავშირებულია, რამოდენიმე დეპარტამენტის ურთიერთკომუნიკაციასთან, ესენია: სამეანო - გინეკოლოგიური, ნეონატოლოგიური, ბავშვთა ქირურგიული, ბავშვთა რენიმაცია- ანესთეზიოლოგიური დეპარტამენტები.

პაციენტის ინტრანატალური დიაგნოსტირება წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს. მშობლების და ექიმების მიერ, ერთიანი ჯგუფური მუშაობით, შესაძლებელია შესაბამისი უმაღლესი ხარისხის შედეგის მიღება, რომელიც განაპირობებს არსებული პაციენტის უმძიმესი დიაგნოზის მიუხედავად კარგ გამოსავალს [1.7], რაც, რა თქმა უნდა, ასოცირებულია მისი პოსტოპერაციული რეაბილიტაციის პერიოდთან.

სამეანო - გინეკოლოგიურ განყოფილებაში პაციენტის მდგომარეობა ნეონატოლოგის მიერ უნდა შეფასდეს  დაბადებისთანავე. იგი ადასტურებს დიაგნოზს იმ შემთხვევაში თუ არსებული პათოლოგია ნანახია და დადასტურებულია ინტრანატალურად ექოსკოპისტის მიერ.

ახალშობილები საყლაპავის ატრეზიით უმეტეს შემთხვევაში არიან მცირე წონის, აღენიშნებათ ჰიპერსალივაცია, საყლაპავში 6 fr-იან ნაზოგასტრალურ მილის გატარების მცდელობა უშედეგოა, ხდება მილის ჩახვევა საყლაპავის პროქსიმალურ ნაწილში, რაც კარგად ჩანს პაციენტის გულმკერდის ღრუს რენტგენოლოგიურ კვლევით. დადებითია ელეფანტის ნიშანი. პაციენტი გადადის ქირურგიულ განყოფილებაში არსებული დიაგნოზის დადასტურების და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის დადგენის მიზნით.

პაციენტი თავსდება ბავშვთა რეანიმაციულ განყოფილებაში, ხდება მისი მდგომარეობის შეფასება რეანიმატოლოგის და ქირურგის მიერ, პაციენტის დათვალიერება განმეორებით. იმისთვის, რომ შეფასდეს მისი ზოგადი მდგომარეობა, მას უტარდება კარდიოექოსკოპიური კვლევა, დგინდება საყლაპავის ატრეზიის ფორმა, იმის დასადგენად- ფისტულოვანია თუ ფისტულის გარეშე. ხდება შესაძლო დამატებითი თანდაყოლილი ანომალიების გამორიცხვა. VACHTERL და CHARGE სინდრომების შეფასება. ტარდება მუცლის ღრუს ექოსკოპიური კვლევა. პოტერის სინდრომის გამორიცხვა, რომელიც წარმოადგენს ოპერაციული ჩარევის ერთადერთ წინააღმდეგ ჩვენებას.  პაციენტი ფასდება ანესთეზიოლოგის მიერ. უტარდება ბრონქოსკოპია ფისტულის მდებარეობის დადგენის მიზნით.

ოპერაციული პერიოდი და დრო დაკავშირებულია პაციენტის ზომასთან, წონასთან, ასევე ოპერაციული ჩარევის ტექნიკასთან, ფისტულის მდებარეობასთან.

პაციენტი საოპერციო მაგიდაზე თავსდება მარცხენა გვერდზე, მარჯვენა ხელი თავთან, ოდნავ წინ გადახრილი, ქირურგი - ოპერატორის მდებარეობა საოპერაციო მაგიდასთან  არის პაციენტის ზურგის მხრიდან, განაკვეთი კეთდება 4 სმ მარჯვენა ბეჭის შემოვლითი, მობილიზება შესაბამისი შრეობრიობით, იხსნება პლევრის ღრუ,  ქირურგის მიერ ფასდება პლევრალური სივრცე ინტრაპლევრულად, ორიენტირი საყლაპავის დისტალური ფისტულის მოსაძებნად არის ვენა აზიგოსი, ხდება მისი მობილიზება, გამოიყოფა საყლაპავის დისტალური ნაწილი, მოიძებნება ფისტულა, ხდება მისის გადაკვანძვა და გაკერვა 5.0 პროლენის ძაფით, მოწმდება თბილი ფიზიოლოგიური ხსნარით ფისტულიდან აირის ლიკზე. აეროსტაზის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ანესთეზიოლოგის საშუალებით ვპოულობთ არსებული საყლაპავის პროქსიმალურ ნაწილს, აუცილებლად ხდება მისი პროქსიმალური ნაწილის შემთხვევაში სრული მობილიზება, იმისათვის რომ მაქსიმალურად გამოვრიცხოთ ზედა ფისტულის არსებობა, ბრონქოსკოპიის ან კონტრასტული კველვის ჩატარების მიუხედავად. ტარდება პროქსიმალური საყლაპავის დახურული პირის გახსნა, 5.0 ან 6.0 PDS ით, ეზოფაგო-ეზოფაგო ანასტომოზი, კვანძოვანი ნაკერებით ყოველ 2 მმ-ში, საშუალოდ 6 კვანძოვანი ნაკერი.

კვანძების რაოდენობა დამოკიდებულია საყლაპავის ზომაზე და დიამეტრზე. ტარდება ნაზოგასტრალური მილი, რომელიც ფიქსირდება.

პოსტოპერაციული პერიოდის მართვა, ოპერაციული ჩარევის შემდეგ ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სხვადასხვა ორგანოს ანომალიის არსებობაზე ან რაიმე დამატებითი პათოლოგიური პროცესის განვითარებაზე.

კვებას ვიწყებთ პოსტოპერაციულ მე-3 დღეს, იწყება სითხეებით, 2მლ. შემდეგ გადავდივართ განზავებულ კვებაზე და საბოლოოდ სუფთა კვებაზე. ვაკვირდებით პოსტოპერაციულ პერიოდში პლევრალური სივრციდან გამონაჟონს, დრენაჟის კონტროლით. მე-7-ე დღეს - კონტრასტული კვლევით ხდება საყლაპავის შემოწმება, თუ საყლაპავიდან კონტრასტი არ დატოვებს საყლაპავის რენტგენოლოგიურ საზღვრებს, ნიშნავს რომ საყლაპავი შეხორცებულია, შესაბამისად, პაციენტი მზადდება ექსტუბაციისთვის, ექსტუბირდება. ექსტუბაციის შემდეგ ვიღებთ პლევრის ღრუდან დრენაჟს.

გრძელდება რენიმაციულ გამყოფილებაში სასიცოცხლო პარამეტრების კონტროლი, პოსტოპერაციული ანალგეზია, ანტიბიოტიკოთერაპია, ინფუზურითერაპია საჭირობეისამებრ. გრძელდება პაციენტის კვება, საკვების ასაკობრივი დოზის ფარგლებში შესაბამისი მატებით. პოსტოპერაციულ მე-14-ე დღეს უტარდება საყლაპავის კონტრასტული მე-2 კვლევა, რაც უზრუნველყოფს საბოოლოო დარწმუნებას საყლაპავის მთლიანობის ან საყლაპავის ადრეული სტრიქტურის არსებობის, მისი განვითარების რისკის შესახებ.

არსებული პერიოდი მოიცავს პაციენტის მშობლისთვის ინფორმაციის მიროდებას თუ როგორ უნდა მართოს სახლის პირობებში პაციენტი- საყლაპავის ატრეზიით, რაც გულისხმობს პაციენტის შეფასების ცოდნას, კვების და მოვლის შესახებ პრაქტიკულ ინფორმაციას, რისთვისაც მშობელი რეანიმაციულ განყოფილებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს პაციენტის კვების პროცესში და მოვლაში.

მას შემდეგ, რაც პაციენტი მიიღებს კვების იმ რაოდენობას, რაც მას ეკუთვნის მისი წონის და ასაკის გათვალისწინებით; პაციენტი და მშობელი მზადდებიან კლინიკიდან გასაწერად შესაბამისი ლაბორატორიული კონტროლის შემდეგ.

პაციენტს, პოსტოპერაციულ პერიოდში, გაწერიდან მე-10-ე დღეს, 1 თვის, 3 თვის, 6 თვის, 1 წლის თავზე უტარდება საკონტროლო რენეტგენოკონტრასტული კვლევა, რეკურენტული ტრაქეოეზოფაგალური ფისტულის დადგენის ან პოსტოპერაციულ პერიოდში საყლაპავის სტრიქტურის თავიდან აცილების მიზნით.

## ლიტერატურა


1. Vergouwe FW, Gottrand M, Wijnhoven BP, IJsselstijn H, Piessen G, Bruno MJ, Wijnen RM, Spaander MC. Four cancer cases after esophageal atresia repair: Time to start screening the upper gastrointestinal tract. World J Gastroenterol. 2018 Mar 7;24(9):1056-1062. doi: 10.3748/wjg.v24.i9.1056. PMID: 29531469; PMCID: PMC5840470.
2. Basuguy E, Okur MH, Arslan S, Zeytun H, Aydoğdu B. A different approach to leakage of esophageal atresia in children. Ulus Travma Acil Cerrahi Derg. 2020 Oct;26(6):927-931. English. doi: 10.14744/tjtes.2020.17745. PMID: 33107956.
3. Saleem M, Iqbal A, Ather U, Haider N, Talat N, Hashim I, Mirza MB, Butt J, Mahmud H, Majeed F. 14 Years' experience of esophageal replacement surgeries. Pediatr Surg Int. 2020 Jul;36(7):835-841. doi: 10.1007/s00383-020-04649-5. Epub 2020 Mar 31. Erratum in: Pediatr Surg Int. 2020 Jun 3;: PMID: 32236666; PMCID: PMC7223057.

4. Alberca de Las Parras F, Navalón Rubio M, Egea Valenzuela J. Management of refractory esophageal stenosis in the pediatric age. Rev Esp Enferm Dig. 2016 Oct;108(10):627-636. doi: 10.17235/reed.2016.3671/2015. PMID: 27650677.
5. Bökkerink GM, Joosten M, Leijte E, Lindeboom MY, de Blaauw I, Botden SM. Validation of low-cost models for minimal invasive surgery training of congenital diaphragmatic hernia and esophageal atresia. J Pediatr Surg. 2020 Jun 13:S0022-3468(20)30413-9. doi: 10.1016/j.jpedsurg.2020.05.045. Epub ahead of print. PMID: 32646664.
6. Witt S, Dellenmark-Blom M, Dingemann J, Dingemann C, Ure BM, Gomez B, Bullinger M, Quitmann J. Quality of life in parents of children born with esophageal atresia. European Journal of Pediatric Surgery. 2019 Aug;29(04):371-7.
7. Zimmer J, Eaton S, Murchison LE, Ure BM, Dingemann C. State of play: eight decades of surgery for esophageal atresia. European Journal of Pediatric Surgery. 2019;29(1):39-48.

**რეზიუმე**

პედიატრიული პრივატ კლინიკაში ბოლო 2 წელიწადში ჩატარდა საყლაპავის ატრეზიის 28 ოპერაცია, რომელთა მართვის საკითხები და დაკვირვების პერიოდი წარმოადგენს არსებული პათოლოგიური პროცესისთვის და დამატებითი თადაყოლილი პათოლოგიიების კონტროლის საშუალებას. საყლაპავის ატრეზიის სირთულე მაქსიმალურად მცირდება ბავშვთა ქირურგიის განვითარებასთან ერთად. არსებული პაციენტების კონტროლმა მოგვცა საშუალება საყლაპავის ატრეზიის დეტალების შესახებ მიგვეღო მაქსიმალური ინფორმაცია.

**საკვანძო სიტყვები:** საყლაპავის ატრეზია, ტრაქეოეზოფაგალური ფისტულა, საყლაპავის სტრიქტურა.

**Zurab Dzidzava, Ivane Tsuleiskiri, Manana Giorgobiani**

**Basic Principles of Esophageal Atresia Management**

**Summary**

28 esophagial atresia operations were carried out in Pediatric Private Clinic during last 2 years and the issues of its management and observation period ables us to control pathological processes and additional inborn pathologies. Complexity of esophageal atresia much decreases together with the development of children's surgery. Maximum information on detailed asophageal atresia was available to get from the existed patients.

**Key words:** esophageal atresia, tracheoesophageal fistula, esophageal stricturs.

**ირინა ჭაბაშვილი, თამარ ჩილინგარაშვილი**
ბალნეოლოგიური კურორტი - საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი;
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
Balneological Resort - Scientific-Practical Center of Spa, Physiotherapy and Medical Tourism of Georgia;
David Aghmashenebeli University of Georgia

## ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებით კურორტ „ლაშიჭალას“ პირობებში ატიპიური ფორმის ქრონიკული ქოლეცისტიტით დაავადებულთა მკურნალობა

ქრონიკული ქოლეცისტიტის მიმდინარეობა ხშირად რთულდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მეორადი ცვლილებებით, რაც ცნობილია ტერმინით „ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომი“. უკანასკნელის პათოგენეზში მთავარი ადგილი უჭირავს ქრონიკული ინფექციის წყაროდან მიოკარდიუმზე ტოქსიკურ და მასენსიბილიზებელ მოქმედებას, პათოლოგიურ ვისცერო-ვისცერალურ რეფლექსებს და ლიპიდური ცვლის დარღვევას. ამას, თავის დროზე, ყურადღება ბოტკინმაც მიაქცია. ვინაიდან ეს დაავადება არ ექვემდებარება გულ-სისხლძართვთა სისტემისათვის განკუთვნილ მედიკამენტურ მკურნალობას, დღეისათვის ეს პრობლემა აქტუალურია.

შრომის მიზანს წარმოადგენდა კურორტ „ლაშიჭალას“ პირობებში ბილიარული სისტემის დაავადების მქონე ავადმყოფთა მინერალური წყლით მკურნალობის ოპტიმალური მეთოდიკის შემუშავება.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 40-65 წლის ასაკის 120 ავადმყოფი, რომელთაც აღენიშნებოდათ ქრონიკული არაკენჭოვანი ქოლეცისტიტი. მინერალური წყალი „ლაშიჭალა“ ბურღილი N5 - დაბალი მინერალიზაციის, 4.9 დმ/ლ ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, კალიუმ-ნატრიუმიანი წყალია, მდიდარი ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტებით As, Mn, Ti, Ba (ცაგერის რაიონში).

საერთო კლინიკური გამოკვლევების გარდა, შესწავლილ იქნა ღვიძლის, კუჭის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის განმსაზღვრელი ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები. ავადმყოფები 24 დღის განმავლობაში დიეტური კვების ფონზე ღებულობდნენ 3.5 მლ მინერალურ წყალს სხეულის 1 კგ მასაზე გათვალისწინებით, 3-ჯერ დღეში, კუჭის საწყისი მჟავაწარმომქმნელი ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით; ხოლო, დისპეპსიური მოვლენების შემთხვევაში, მინერალური წყალი ეძლეოდათ ჭამის შემდეგაც.

ბილიარული პათოლოგიით დაავადებულ ავადმყოფებში მკურნალობის დასაწყისში ჭარბობდა პალპაციური ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში - 75%, დისპეპსიური მოვლენები - 87%, კუჭის სეკრეციული ფუნქციის დარღვევები - 50%, ქრონიკული კოლიტი - 35%. ქრონიკული ქოლეცისტიტით დაავადებული 120 ავადმყოფიდან გულის პათოლოგია გამოუვლინდა 75 (62.5%) ავადმყოფს, რომლებიც 3 ჯგუფად დავყავით: I ჯგ. - ავადმყოფებს არ აღენიშნებოდათ ტკივილის სინდრომი - 8 (6.4%); II ჯგ. - ავადმყოფები, რომელთა ტკივილის სინდრომი არ იყო დაკავშირებული ქოლეცისტიტის გამწვავებასთან - 45 (37.5%), რაც უკავშირდებოდა მიოკარდიუმის დისტროფიულ ცვლილებებს; III ჯ გ. - „ქოლეცისტო-კარდიალური“ სინდრომი - 22 ავადმყოფი (18,.3%), მათ აღენიშნებოდათ რეფლექტორული ხასიათის სტენოკარდია. ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების ანალიზით, მარცხენა

პარკუჭის ჰიპერტროფია აღმოაჩნდა 10 (13.3%) ავადმყოფს, მიოკარდიუმის დისტროფიული ცვლილებები - 32-ს (42.7%), კორონარული უკმარისობა - 11-ს (14.7%), ავტომატიზმის ფუნქციის დარღვევა _ 22-ს (29.3%). ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომით დაავადებულ ყველა ავადმყოფს აღენიშნებოდა ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის ჰიპოტონური ფორმა. ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომით დაავადებულებს აღენიშნებოდათ ჩხვლეტითი, მოჭერითი ტკივილი გულის არეში, ირადიაციით მარცხენა მხარისა და ხელის არეში, რაც დაკავშირებული იყო ქოლეცისტიტის გამწვავებასთან. დანარჩენ ავადმყოფებში სტენოკარდიული ტკივილი არ იყო დაკავშირებული ქოლეცისტიტის გამწვავებასთან და იხსნებოდა ნიტროგლიცერინით.

ჩვენ მიერ მინერალური წყლით „ლაშიჭალა“ ჩატარებული მკურნალობა ეფექტური აღმოჩნდა. ელექტროკარდიოგრაფის მონაცემებზე დაყრდნობით, ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ, კორონარული უკმარისობა აღენიშნებოდა 3 (მკურნალობამდე - 11-ს) ავადმყოფს, შეუმცირდა 8-ს; დისტროფიული მოვლენები შეუმცირდა 20-ს (მკურნალობამდე აღენიშნებოდა 32-ს); შემცირდა ავადმყოფთა რიცხვი სინუსური ბრადიკარდიითა და ტაქიკარდიით. მკურნალობის შედეგად ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემებით გაუმჯობესება აღენიშნებოდა 32 ავადმყოფს, უცვლელი მდგომარეობა - 43-ს (რომელთა ასაკი განისაზღვრებოდა 50-65 წლით), მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიითა და მიოკარდიუმის დისტროფიით; ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები არ იყო კავშირში ქრონიკულ ქოლეცისტიტთან.

კლინიკური სურათის გაუმჯობესებასთან ერთად, მ/წ „ლაშიჭალით“ მკურნალობამ გამოიწვია დადებითი ძვრები ნაღვლის ბუშტის ფუნქციურ მდგომარეობაშიც. ავადმყოფთა 38.7%-ს დაუდგინდა ნაღვლის ბუშტის ჰიპოტონური ჰიპოკინეტიკური დისკინეზია, მკურნალობის შემდეგ შემცირდა ნაღვლის ბუშტის ჰიპერსეკრეცია 75.3+3.13 მლ-დან 50.5+2.46 მლ-მდე ($p<0.001$), ხოლო ევაკუაციის პერიოდი შემცირდა 33.4+2.05 წუთიდან 25.3+1.17 წუთამდე ($p<0.001$). ავადმყოფების 44%-ს სისხლის შრატში აღენიშნებოდა ჰიპერქოლესტერინემია, რაც მკურნალობის შედეგად შემცირდა 6.86+0.18 მმოლ/ლ-დან 5.2+0.15 მმოლ/ლ-მდე ($p<0.001$). აღსანიშნავი იყო ასევე ნაღვლის ბუშტში ქოლეუმის მჟავას მომატება 10.64+0.08 მგ/ლ-დან 11.77+0.23 მგ/ლ-მდე (p0.001). ნაღველში ქოლესტერინის დაქვეითება ქოლეუმის მჟავას მომატებასთან ერთად შესაძლებელია გამოწვეული იყოს ქოლესტერინიდან ნაღვლის მჟავების სინთეზით. მ/წ-ით მკურნალობამ გამოიწვია ღვიძლის სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება. რეოჰეპატოგრამების ანალიზმა გვიჩვენა: გაიზარდა მკურნალობამდე დაქვეითებული სისტოლური ინდექსი 0.84 ომიდან 1.44 ომამდე ($p<0.001$), ანალოგიური სურათი აღინიშნებოდა დიასტოლური ინდექსის მიმართაც, რაზეც მიუთითებს ღვიძლის არტერიებში სისხლის მიმოქცევის გაძლიერება, მისი გამოდევნის გაუმჯობესება და მთლიანად სისხლის მასის ცირკულაციის მომატება.

მ/წ-ით მკურნალობის შედეგად ავადმყოფების უმრავლესობას (კარდიალური სინდრომით) აღენიშნებოდათ კლინიკური გაუმჯობესება: სტენოკარდიული ტკივილის შემცირება, გულის რიტმის, არტერიული წნევის ნორმალიზაცია და ა.შ., რაც კორელაციურ ურთიერთობაშია ნაღვლის ბუშტის სუბიექტური და ობიექტური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან. მკურნალობის შედეგად ნაღვლის ბუშტში ანთებითი პროცესების შემცირება იწვევს პათოლოგიურ-რეფლექტორული მოქმედების შემცირებას ნაღვლის ბუშტიდან გულზე და კორონალურ სისხლძარღვებზე. მინერალური წყალი - ეს არის რთული შემადგენლობის იონიზებული წყალი, რომლის მიღება ორგანიზმში მიმდინარეობს ტრანსმინერა-ლიზაციით. ორგანიზმში ჩნდება ახალი იონური თანაფარდობა, ეს იწვევს

ფიზიოლოგიურ, ჰორმონულ, ფერმენტულ და იმუნოლოგიურ ძვრებს. მ/წ „ლაშიჭალა“ ჭარბად შეიცავს კალიუმისა და ნატრიუმის იონებს. პანფილოვის (1974) მონაცემებით ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომის დროს აღსანიშნავია ჰიპოკალიემია, გულის კუნთში ადენოზინტრიფოსფატისა და ნატრიუმის იონების რაოდენობის დარღვევა; ეს ხშირად არითმიის მიზეზი ხდება. ცნობილია, რომ K+, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ცილების სინთეზთან, ფერმენტულ სისტემასთან, გლუკოზის ცვლასთან, ხელს უწყობს გულის კუნთის შეკუმშვას, ნერვული იმპულსების გამტარიანობას, ენერგიის დაგროვებას, არტერიული წნევის დარეგულირებას. Na+ იონები უჯრედშორის სითხეშია, ხოლო K+ - უჯრედში. ორივე ელემენტის კონცენტრაციაზეა დამოკიდებული ნერვული სისტემის მგრძნობიარობა და კუნთის შეკუმშვის უნარი. მინერალურ წყალში შემავალი ელექტროლიტების მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე ხდება, როგორც მათი უშუალო ზემოქმედებით მიოკარდიუმის უჯრედების ელექტრულ აქტივობაზე (რომლის საშუალებითაც ხდება მჟავა-ტუტოვანი და ოსმოსური თანაფარდობის შენარჩუნება), ასევე ცილების, ნუკლეინის მჟავების ბიოსინთეზზე.

მ/წ „ლაშიჭალით“ მკურნალობამ გამოიწვია ნაღვლის ხარისხის მკაფიოდ გამოხატული გაუმჯობესება, რეგიონალური სისხლის მიმოქცევის და კუჭის მჟავაწარმომქმნელი ფუნქციის ნორმალიზაცია, ნაღვლის ბუშტში ანთებითი პროცესების შემცირება, ამან შეამცირა პათოლოგიური რეფლექსების გავლენა ნაღვლის ბუშტიდან გულზე.

მ/წ „ლაშიჭალა“ არის ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტური საშუალება ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომით მიმდინარე ბილიარული სისტემის დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთათვის.

## ლიტერატურა


1. Броновец И.Н., Сердечнососудистые нарушения у больных хроническим холециститом // Здравоохранение Белоруссии, 1981, №2, с. 22-26;
2. Войнар А.И., Биологическая роль микроэлементов в организме животных и человека. М., Высшая школа, 1960. 554 с.;
3. საქართველოს ეროვნული სტანდარტი „წყალი ნატურალური, მინერალური, ჩამოსხმული“, სსტ 53, თბილისი, 2006.


## რეზიუმე


ქრონიკული ქოლეცისტიტის მიმდინარეობა ხშირად რთულდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მეორადი ცვლილებებით, რომელიც ცნობილია „ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომის“ სახელით. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 120 ავადმყოფი, აქედან ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომი ჰქონდა 22-ს (18.3%). მათ აღენიშნებოდათ რეფლექტორული ხასიათის სტენოკარდია. „ლაშიჭალა“ მ/წ მკურნალობის შედეგად უმრავლესობას (კარდიალური სინდრომით) აღენიშნებოდა კლინიკური გაუმჯობესება: სტენოკარდიული ტკივილის შემცირება, გულის რიტმის, არტერიული წნევის ნორმალიზაცია და ა.შ., რაც კორელაციურ ურთიერთობაშია ნაღვლის ბუშტის სუბიექტური და ობიექტური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან. მ/წ „ლაშიჭალა“ არის იონიზებული წყალი, რომელიც ჭარბად შეიცავს კალიუმისა და ნატრიუმის იონებს. ორგანიზმში ჩნდება ახალი იონური თანაფარდობა. ეს იწვევს ფიზიოლოგიურ, ჰორმონულ, ფერმენტულ და იმუნოლოგიურ ძვრებს. მ/წ-ით მკურნალობამ გამოიწვია ნაღვლის ხარისხის მკაფიოდ გამოხატული გაუმჯობესება, რეგიონალური სისხლის მიმოქცევისა და კუჭის მჟავაწარმომქმნელი ფუნქციის ნორმალიზაცია,

ნაღვლის ბუშტში ანთებითი პროცესების შემცირება, ამან შეამცირა პათოლოგიური რეფლექსების გავლენა ნაღვლის ბუშტიდან გულზე. მ/წ „ლაშიჭალა“ არის ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტური საშუალება ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომით მიმდინარე ბილიარული სისტემის დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთათვის. კომპლექსური კურორტული მკურნალობა, რომელიც ითვალისწინებს გარემოს შეცვლას, კლიმატური ფაქტორების მოქმედებას, გამაჯანსაღებელ ზეგავლენას ახდენს ბილიარული სისტემით დაავადებულებზე და უზრუნველყოფს ავადმყოფების 85%-ში ერთ წლამდე რემისიას.

**საკვანძო სიტყვები:** ქოლეცისტო-კარდიალური სინდრომი, ქრონიკული ქოლეცისტიტი, დაბალი მინერალიზაციის წყალი „ლაშიჭალა“.

**Irina Chabashvili, Tamar Chilingarishvili**

**Treatment of Patients with Atypical Chronic Cholectstitis by Natural Factors in “Lashichala” Resort**

**Summary**

Chronic Cholecystitis is frequently complicated due to changes of secondary development of cardiovascular system. As the mentioned disease is not subordinated by medical treatment assigned to cardiovascular system, with the curative purpose we applied “Lashichala” - a mineral water with carbon dioxide of low mineralization, hydrocarbonate and potassium-sodium. 120 patients with chronic non petrosal cholecystitis were evaluated. After crenotherapy (spa treatment) majority of the patients (with cardiac syndrome) showed clinic improvement signs: decrease of angina pains, normalization of heart rate, blood pressure etc., all the mentioned are correlatively connected with the improvement of subjective and objective indexes of gallbladder. Treatment with “Lashichala” - a mineral water resulted in decrease of inflammatory process in gallbladder, improvement of quality of bile which consequently decreased influence of pathological reflexes from gallbladder to heart. “Lashichala” - the mineral water is ecologically pure, effective mean for persons with biliary system disease.

**Keywards:** cholecystocardial syndrome, chronic cholecystitis, low-mineral water “Lashichala”.

**პოლიკარპე მონიავა**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# საკუთრების სოციალური ბუნება, მისი შინაარსი, საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დადგენილი კრიტერიუმები და ამ მხრივ საქართველოში არსებული რეალობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანიისა და სხვა მთელი რიგი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მსგავსად არ შეიცავს საკუთრების დეფინიციას. გამონაკლისია ამ მხრივ რამდენიმე ქვეყნის მაგ. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის 353-ე პარაგრაფის თანახმად ,,ყველაფერს, რაც ვინმეს ეკუთვნის, ყველა მის სხეულებრივ და არასხეულებრივ ნივთებს ეწოდება მისი საკუთრება.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის, რომლის დასახელებაა ,,სანივთო (ქონებრივი) სამართალი'' მესამე კარს, მართალია ჰქვია ,,საკუთრება“, თუმცა სკ-ის 170.1-ე მუხლი, ისევე, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 903-ე პარაგრაფი, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ საკუთრების უფლების რეალიზაციის საკითხზე. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირის მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“.

რაც შეეხება საქართველოს ძირითად კანონს-საქართველოს კონსტიტუციას, მასში, კერძოდ მე-19 მუხლში, განმტკიცებულია საკუთრების გარანტია, თუმცა ისევე, როგორც ,,სინდისის“, ,,რწმენის“ და ,,პროფესიის“ განმარტება ,,საკუთრების“ განმარტებაც არ არის მასში მოცემული.

ანალოგიურად, დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაც არ შეიცავდა საკუთრების ცნების დეფინიციას. მისი მე-13 თავის (სოციალ ეკონომიკური უფლებანი) 114-ე მუხლში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ,,საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი ან კულტურული საჭიროებისთვის ცალკე კანონით განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული''[1].

უნდა ითქვას, რომ თვით რომის სამართალიც კი არ იცნობდა საკუთრების დეფინიციას. ძველ რომში მოღვაწე ცალკეულ მეცნიერები მართალია ცდილობდნენ საკუთრების ცნების განმარტებას, მაგრამ მათმა ნააზრევმა კანონებში ვერ ჰპოვა ასახვა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბართლომეოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ,,საკუთრება არის სხეულებრივი ნივთების განკარგვის უფლება, რამდენადაც ეს კანონით არ არის აკრძალული“[2].

იმავე და შემდგომი პერიოდის იურიდიული ლიტერატურაში დომინანტური იყო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთრება გულისხმობს ნივთზე ბატონობის უფლებას. მაგ. ულპიანე ამტკიცებდა, რომ საკუთრება არის ნივთზე სრული ბატონობის უფლება. ამ იდეას კი დღესაც ჰყავს მიმდევრები, კერძოდ გერმანელ მეცნიერთა ნაწილი

მიიჩნევს, რომ საკუთრება არის ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული უფლება [3] და ეს შეხედულება იურიდიულ მეცნიერებას ამ სახით დიდხანს შემორჩა, ანუ მანამ, სანამ მე-20 საუკუნეში განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა პროცესებმა დღის წესრიგში არ დააყენა საკუთრების არსისა და შინაარსის ახლებურად გაგების აუცილებლობა. კერძოდ, თვალსაჩინო გახდა, რომ საკუთრებასთან მიმართებაში მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ ის არის ნივთზე ბატონობის უფლება, მისი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარე ვერ ასახავდა საკუთრების არსს სრულად.

აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ნივთზე ბატონობის უფლება ვერ წარმოაჩენს საკუთრების სოციალურ ფუნქციას, რადგან საკუთრების უფლება ადამიანის ისეთი ძირითადი და შეუზღუდავი უფლებაცაა, რომელიც იძლევა ქონების შეძენის შესაძლებლობას. ანუ, ამ უფლების ძალით ადამიანს შეუძლია საკუთრებას მოექცეს თავისი შეხედულებისამებრ, რის გამოც ეს უფლება აბსოლუტური უფლებაცაა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მარადიულ და მემკვიდრეობით გადაცემად უფლებას და პირს აძლევს ძალაუფლებას დაუპირისპირდეს სხვა ნებისმიერი პირის ჩარევას [4].

ამდენად, საკუთრება დაკავშირებული ადამიანის თავისუფლებასთან [5]. მეტიც, საკუთრების უფლებისა და პიროვნული თავისუფლების ურთიერთკავშირი შინაგანია და ამ კავშირში საკუთრების უფლება ასრულებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველმყოფი ფაქტორის ფუნქციას [6].

ზემოთქმული თავის მხრივ ადასტურებს, რომ საკუთრების არსებითი შინაარსი, მის განსაკუთრებულ ბუნებაში, ანუ ექსკლუზიურობაში უნდა ვეძებოთ, რაც მესაკუთრეს აძლევს უფლებას გამორიცხოს ყველა ადამიანი სხვა პირის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვისგან [7].

აღნიშნულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია იცავს არა მხოლოდ ადამიანის თავისუფლებას არამედ მის საკუთრებასაც, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას [8] ეჭვგარეშეა, რომ საკუთრებას აქვს სოციალური ფუნქცია.

საკუთრებისადმი სოციალური ფუნქციის მინიჭების იდეის თავისებურ დეტონატორად კი იქცა მეორე მსოფლიო ომი, რადგან მისი შედეგებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეული იყო ნაცისტური რეჟიმის მძიმე მემკვიდრეობის თავიდან აცილების აუცილებლობით, დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განსაკუთრებულად დაცვის აუცილებლობა. შესაბამისად, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების დაცვის მიმართებით. საქმე იმაშია, რომ მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის განადგურებასთან ერთად კაცობრიობას მოუტანა ეკონომიკის ნგრევა და საკუთრების სხვათა ხელში უკანონოდ ძალმომრეობითი გადანაწილება.

გარდა ამისა, საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეული ასეულ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, ვინაიდან არაადამიანური მოპყრობისა და დამცირების ობიექტი გახდა, აღნიშნულმა მსოფლიო საზოგადოება არა მხოლოდ მომავალი მსოფლიო ომების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების შემუშავების არამედ პოლიტიკური, სოციალური, რასობრივი, ეთნიკური და სხვა ნიშნის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებების [9] (ანუ, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ხელშეუხებლობის და აშ) და საკუთრების კოლექტიურად დაცვის აუცილებლობის წინაშეც დააყენა.

ამ სახის საქმიანობისკენ პირველი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1945 წლის 30 ივნისს, ანუ მაშინ, როცა შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა. მას 1948 წლის 10 დეკემბერს მოჰყვა გაეროს ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო

დეკლარაცია“, რომელიც სხვა უფლებათა შორის აღიარებს საკუთრების თავისუფლებას, მაგრამ ეს დეკლარაცია, ვინაიდან არ არის სავალდებულო ძალის მქონე, ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის საკუთრებაზე  უფლება, ევროპაში ორ ძირითად აქტშია თავმოყრილი: რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ,,ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციაში'' და ,,ევროპის სოციალურ ქარტია“-ში, რომელიც 1961 წლის 18 ოქტომბერს იქნა მიღებული.

თუმცა, ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე 1966 წლის 19 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენცია ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და კონვენცია ,,ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ''.

ანალოგიური სულისკვეთებითაა გამსჭვალული საერთაშორისო მნიშვნელობის 1993 წლის მინსკის რეგიონალური კონვენციაც ,,სამოქალაქო, საოჯახო  და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“.

მიუხედავად ჩამოთვლილ და სხვა საერთაშორისო კონვენციების, დეკლარაციების და ხელშეკრულებების უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, საკუთრების დაცვის კუთხით მაინც გამორჩეული საერთაშორისო სამართლებრივი აქტია ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული  კონვენცია. რომელიც ძალაში შევიდა 1953  წლის 3 სექტემბერს.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის ძირითად ტექსტში უშუალოდ არ არის მითითებული საკუთრების  უფლებების დაცვის აუცილებლობაზე. თუმცა, ამ  ხარვეზს ავსებს კონვენციის #1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რომელსაც საქართველო მიუერთდა 2001 წლის 27 დეკემბერს. თავად  #1 დამატებითი ოქმი კი  შემუშავებული იქნა 1952 წლის 20 მარტს პარიზში. იგი 6 მუხლისაგან შედგება და საკუთრებასთან ერთად იხილავს განათლებისა და არჩევნების საკითხებსაც.

რაც შეეხება კონვენციის #1 დამატებითი ოქმის I მუხლს, იგი შეიცავს დებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ: ა) ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი  საკუთრებით;  ბ) არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება  თუ არა საზოგადოების ინტერესებისთვის კანონით გათვალისწინებულ და საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპების საფუძველზე; გ) წინამდებარე შეთანხმება არ ართმევს სახელმწიფოს უფლებას გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

უნდა ითქვას ისიც, რომ ევროკონვენციის #1 ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლება ვრცელდება ზოგადად  ქონებაზე და არა მხოლოდ ნივთებზე, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი სრულ თანხვედრაშია ევროკონვენციის #1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის და მასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს მიერ მიღებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებთან, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად ქონება ამ კოდექსის მიხედვით არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და, რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქონება ქართულ სინამდვილეში მოიცავს  არა მხოლოდ სკ-ის 148-ე მუხლით გათვალისწინებულ მოძრავ და უძრავ ნივთებს არამედ სკ-ის 152-ე მუხლში მითითებულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც, ანუ იმ მოთხოვნებს და უფლებებს,

რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მფლობელს შეუქმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიანიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

მეტიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198.1-ე მუხლით მესაკუთრეს აქვს უფლება - ის მოთხოვნები და უფლებები, რომელთა დათმობა და დაგირავება შესაძლებელია, საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს. ამდენად, საკუთრების უფლება შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ მატერიალურად განსხეულებულ ნივთებზე, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებულ და სხვა სანივთო უფლებების მიმართ [10].

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის #1 ოქმის პირველი მუხლი, როგორც უკვე ითქვა, უზრუნველყოფს უფლებას, რომ პირმა დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით, ანუ, ქართულ სინამდვილეში, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სახით არსებული საკუთრებითაც, რადგან ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ქონება და საკუთრება ერთ კონტექსტში მოიაზრება და უძრავ-მოძრავ ნივთებთან ერთად გულისხმობს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც.

ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის შინაარსი ადასტურებს იმასაც, რომ სახელმწიფოს ევალება გარანტიების შექმნა, რომ შეძენილი ქონება/ საკუთრება რეალურად იყოს დაცული. ანუ, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მიმართ ისევე, როგორც უძრავ და მოძრავ ნივთებზე, არსებობდეს საკუთრების დაცვის მყარი გარანტიები, რომ შესრულდეს ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის ის უმთავრესი მოთხოვნა, რომლითაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეეძლებათ თავიანთი საკუთრებით შეუფერხებელი/დაუბრკოლებელი სარგებლობა.

ასეთ გარანტიებს კი შეიცავს და საკუთრების უფლების დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ მისი 19.1-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ,,საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

თუმცა, როგორც ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შინაარსი ცხადყოფს სახელმწიფო იტოვებს ამ უფლების შეზღუდვის (19.2-ე მუხლი) და ჩამორთმევის (იხ. 19.3-ე მუხლი) შესაძლებლობას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება, რადგან აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება ბუნებაში არც არსებობს. მეტიც, საკუთრების სოციალური ბუნება ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელსაც კი ხდის ამ უფლების შეზღუდვას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებში და გონივრულ საზღვრებში, შესაბამისი სათანადო ანაზღაურებით [11].

ამდენად, თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს საკუთრებას სხეულებრივ ნივთებზე და საკუთრებას არასხეულებრივ ობიექტებზე [12]. მათ კი, როგორც ქონებას და, შესაბამისად საკუთრებას, დაცვის ობიექტად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თუ ისინი აკმაყოფილებენ თვით ამ სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ სტანდარტებს და კრიტერიუმებს, კერძოდ:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სიკეთეების, ანუ ქონების ჩამონათვალი, რომლებიც მიჩნეულია საკუთრებად, კერძოდ ქონებას და შესაბამისად საკუთრებას მიეკუთვნება ყველაფერი რასაც ფულადი (მატერიალური) ღირებულება გააჩნია. აღნიშნულს კი, თავის მხრივ, თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ უძრავ და მოძრავ ნივთებთან ერთად

ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი  მუხლით დაცულ სიკეთედ ევროსასამართლო აღიარებს ,,შემწეობას“ და ,,პენსიას“, რაც ახსნილია იმ გარემოებით, რომ მათ მატერიალური ხასიათი გააჩნიათ. თუმცა, პენსიასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ მისი მოთხოვნა  საკმარისი ხარისხით უნდა იყოს რეალიზებული [13].

2. ანალოგიურად, ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე იმსჯელა რა ევროკონვენციის მოთხოვნების შესაძლო დარღვევებზე, მიიჩნია, რომ სხვადასხვა სახის ისეთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, როგორებიცაა-სარგებლობის ნებართვა/ლიცენზია და პატენტი, წარმოადგენენ ქონებას, ანუ საკუთრებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის #1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის. თუმცა,  აღნიშნა ისიც, რომ სარგებლობის ნებართვას, ლიცენზიას და პატენტს სახელმწიფო, ვინაიდან იძლევა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ ნებართვის/ლიცენზიის/ პატენტების გაცემის პირობები არ არსებობს, ან მათ გაცემამდე შეიცვალა ისინი, სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას ნებართვის/ ლიცენზიის გაცემაზე, ანდა მოახდინოს არსებულის ანულირება თუ მფლობელი არ ასრულებს სანებართვო პირობებს.

შესაბამისად, ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ  თუ შეიცვალა ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის პირობები, ეს არ არის არსებულ ნებართვაზე/ ლიცენზიაზე/პატენტზე საკუთრების ანულირების საფუძველი. ხოლო თუ მაგ. ლიცენზიის ჩამორთმევას აქვს დაუსაბუთებლად ადგილი, აღნიშნული იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია საკუთრების უფლება კერძოდ, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ ლიცენზია სპირტიანი სასმელების გაყიდვაზე რესტორნისათვის მნიშვნელოვანია. ამდენად, მისი ჩამორთმევა #1 ოქმის პირველი მუხლით დაცულ სიკეთეთა ჩამონათვალში ხვდება [14].

ისევე, როგორც ,,მოთხოვნა“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც საკუთრება ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით, თუ ეს მოთხოვნა იურიდიულად შეიძლება იქნეს რეალიზებული [15].

3. არსებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები ცხადყოფს იმასაც, რომ ევროსასამართლოს მსჯელობის საგანი იყო ,,კარგი სახელი“ ანუ, ,,დადებითი საქმიანი რეპუტაცია“ წარმოადგენს თუ არა  კონვენციის #1 ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ქონებას/საკუთრებას და ამ მიმართებით, ევროსასამართლომ  არაერთ საქმეზე [16] დაადგინა, რომ ,,კარგი სახელი“ ზოგიერთი გარემოებების გამო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საკუთრება #1 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად. კერძოდ, თავისი კეთილსინდისიერი მუშაობის წყალობით განმცხადებელმა თუ მოიპოვა კლიენტურა, ბევრი თვალსაზრისით ამას აქვს  კერძო სამართლებრივი მახასიათებელი და წარმოადგენს ფასეულობას, ანუ ქონებას და შესაბამისად საკუთრებასაც #1 ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის.

4. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ და სხვა საქმეების განხილვისას ევროსასამართლომ გააკეთა საყურადღებო დასკვნაც იმის თაობაზე, რომ საკუთრება არ არსებობს იმ მომენტამდე, სანამ პირს არ შეუძლია განაცხადოს თავისი საკუთრების უფლების შესახებ ამ ნივთზე. მოკლედ, რომ ვთქვათ, საკუთრების უფლება არ მოიცავს საკუთრების შეძენის უფლებას [17], ანუ საკუთრების შეძენის მოლოდინი- დაცული არ არის ევროკონვენციის  #1 ოქმის 1-ლი მუხლით.

5. ანალოგიურად, შემთხვევა როცა ადვოკატისთვის წაყენებული იქნა მოთხოვნა, რომ უფასოდ განეხორციელებინა დაცვა, ევროსასამართლოს მიერ არ ჩაითვალა #1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევად, რადგან ადვოკატისთვის არავის არ წაურთმევია მისი საკუთრება [18].
6. ამდენად, ეჭვს არ იწვევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, ევროსასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საკუთრება მოიცავს, როგორც უძრავ ისე მოძრავ ნივთებს, ასევე აქციებს [19], სახელშეკრულებო უფლებებსა და სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალებს [20], მაგრამ, როგორც უკვე ითქვა ევროკონვენციის #1 ოქმის პირელი მუხლი იცავს პირის საკუთრებას და არა საკუთრების შეძენის უფლებას.
7. ვახასიათებთ რა საკუთრების შესახებ ევროკონვენციის #1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებს და ევროსასამართლოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს აუცილებლად უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილებათა სპექტრიც საკმაოდ ფართეა იმისთვის, რომ შეზღუდოს საკუთრებით სარგებლობა თუკი ამის უფლებას მას კანონი აძლევს.

შესაბამისად, ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლი სახელმწიფოს მართალია აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ხელი შეუშალოს საკუთრების უფლების დარღვევას თუმცა, ამავდროულად, ძალზედ მცირეა ევროსასამართლოს პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით თუ როდის ეკისრება სახელმწიფოს აქტიური მოქმედების ვალდებულება ამ უფლების დასაცავად. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი კი გახლავთ ამ მიმართებით „სპრონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“ საქმეზე, 1982 წელს ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საიდანაც დადგინდა, რომ შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა დებულება, რომლითაც ქალაქის ხელისუფლებას მიეცა უფლება თავისი შეხედულებისამებრ ამოეღო ნებისმიერი ქონება და მიექცია ქალაქის საკუთრებაში.

სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტმა ისარგებლა დებულებით მინიჭებული ამ უფლებით და რამდენიმე მესაკუთრისგან ამოიღო შესაბამისი ქონება, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს კანონიერად, რის შემდეგაც დაზარალებულებმა საჩივრით მიმართეს ევროსასამართლოს.

დასახელებულ საქმეზე, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის დებულება ქალაქის ხელისუფალთ აძლევდა შეუზღუდავ შესაძლებლობას თავისი შეხედულებისამებრ ამოეღო ნებისმიერი ქონება, რითაც ირღვეოდა ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლით დაცული მათი საკუთრების უფლება.

ევროსასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში კი ერთის მხრივ აღნიშნა, რომ ამგვარი ჩამორთმევა მესაკუთრეს ტექნიკურად მართალია უტოვებდა თავისი საკუთრებით სარგებლობისა და მისი განკარგვის შესაძლებლობას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში რეალურად სახეზეა საკუთრების ჩამორთმევა, რადგან განმცხადებელთა მიერ თავიანთი საკუთრებით სარგებლობა და მისი განკარგვის შესაძლებლობა იყო მნიშვნელოვნად შეზღუდული.

ყოველივე ამით კი დაირღვა საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის ის უფლება, რაც დაცულია ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლით. მით უფრო, რომ პირებს, რომლებსაც საკუთრება ჩამოერთვათ სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის დებულების საფუძველზე არ ჰქონდათ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სასამართლოში საკუთრების ჩამორთმევის, მის გამოყენებაზე კონტროლის დაწესების ანდა კომპენსაციის გამოყოფის თვალსაზრისით.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ როცა დგას საკითხი - სახეზეა თუ არა საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების შეზღუდვა, აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ

რამდენად იცავს მესაკუთრის უფლებას ეროვნული კანონმდებლობა და ისიც თუ როგორი ბალანსი არსებობს საზოგადოებრივ ინტერესსა და დაზარალებულ პირთა კანონიერ უფლებებს შორის.

შესაბამისად, ევროსასამართლოს პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა პატივი უნდა სცენ კანონმდებელთა მსჯელობას ,,საზოგადოებრივ ინტერესებზე," გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლის გადაწყვეტილება დამყარებული არ არის გონივრულ მოსაზრებაზე [21].

ანუ, ევროსასამართლო უპირობოდ არ ამართლებს ხელისუფლების დომინანტურ როლს საკუთრებასთან მიმართებაში, რადგან ერთ-ერთ საქმეზე, მთავრობის მიერ შემუშავებული რეგლამენტი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა სახელმწიფო მოხელეებს ჩარეულიყვნენ კერძო ხასიათის გარიგებებში და გადასახადის აკრეფის გასაადვილებლად სახელმწიფო ბიუჯეტში მიექციათ თანხები, რომლებიც გარიგების მონაწილეს უნდა მიეღო, ევროსასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც ძლიერი წნეხი სახელმწიფოს მხრიდან მესაკუთრეებზე. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადასტურა ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა [22].

ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების ხელყოფად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როცა თურქი ხელისუფლება მრავალი წლის განმავლობაში არ იძლეოდა კვიპროსში ბერძენი ეროვნების უფლებამოსილი პირის თავის საკუთრებასთან დაშვების შესაძლებლობას. ამისთვის კი ევროსასამართლომ უარყო თურქეთის მთავრობის ყველა არგუმენტი, მათ შორის პოლიტიკური სიტუაცია, რომლითაც თურქული მხარე ამართლებდა კვიპროსელი ბერძნებისათვის მუდმივ უარს მათ საკუთრებასთან დაშვებაზე [23].

ევროსასამართლოს ყურადღების ცენტრში მოექცა საკვლევ თემასთან დაკავშირებით სხვა არაერთი საქმეც, მათ შორის ისეთი, სადაც განმცხადებლები დაობდნენ საკუთრების ჩამორთმევისას კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გარემოებას - კონკრეტული ქვეყნის მთავრობები აკმაყოფილებდნენ თუ არა იმ სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია ევროკონვენციის #1 ოქმის პირველი მუხლით.

სტანდარტებთან მიმართებაში ამ მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე კანონების და დადგენილი პროცედურების სირთულის გათვალისწინებით კი ევროსასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ #1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები, ანუ სახელმწიფოები, ცდილობენ კანონების მეშვეობით თავი აარიდონ კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია ცალმხრივი წესით შეცვალოს ან გააუქმოს კონტრაქტი კერძო პირთან თუ მას არ გადაუხდის კომპენსაციას იმ ზარალისათვის, რაც მან განიცადა [24].

მეტიც, ევროსასამართლოს პოზიცია ურყევია იმ მიმართებით, რომ მთავრობას არ შეუძლია ახალი კანონის მიღებით ანულირება მოახდინოს იმ უფლებისა, რომლებიც ფიზიკურ პირებს, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს აძლევდა სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებას, თანაც ადრე თუ ეს სარჩელები უკვე მიღებული იყო განსახილველად [25].

ანალოგიურად, ევროსასამართლო საკუთრების ჩამორთმევას მის ღირებულებასთან შედარებით გონივრული ანაზღაურების გარეშე, მიიჩნევს ქონებით სარგებლობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევად, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართებულად ევროკონვენციის #1 ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად [26].

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლო კონვენციით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულებას აკისრებს პირველ რიგში ნაციონალურ ხელისუფლებას [27],

ამასთან, ევროსასამართლო ნებისმიერ გადაწყვეტილებას ან თუნდაც ნაწილობრივ შესრულებას განმცხადებლის სასარგებლოდ არ მიიჩნევს იმის საფუძვლად, რომ განმცხადებელს ჩამოერთვას ,,მსხვერპლის" სტატუსი, მანამ, სანამ ნაციონალური ხელისუფლება არ აღიარებს ფაქტს, რომ დაირღვა კონვენცია და არ მისცემენ მას შესაბამის კომპენსაციას [28]. რაც ევროსასამართლოს მიერ ახსნილია იმით, რომ ,,ყოველ პირს, დავის შემთხვევაში, მის სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით... აქვს უფლება საქმის სამართლიან.... გადაწყვეტაზე... სასამართლოს მიერ.."

ამდენად, კონვენციის 6.1 მუხლი თითოეულ პირს აძლევს უფლებას მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი დავის შემთხვევაში, რომელიც შეეხება მის სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს, მაგრამ ამავე დროს ადგენს სტანტარტს იმის თაობაზე, რომ ეს უფლება იქნებოდა ილუზორული, თუკი მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა დაუშვებდა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დარჩენილიყო აღსრულების გარეშე, განმცხადებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუნდაც არსებობდეს მოპასუხე სახელმწიფოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჰქონდა შესაბამისი ფინანსური სახსრები, რადგან ამგვარი მტკიცება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამართლებას. მით უფრო, რომ დავალიანების გადახდის შეჩერება არ არის ის არგუმენტი რაც გაამართლებდა ხელისუფლების უმოქმედობას, რადგან ეს იქნებოდა იმ უფლების არსის დარღვევა, რომელიც გარანტირებულია კონვენციის 6.1 მუხლით [29].

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, პირველ ეტაპზე, ქართულმა სახელმწიფომ საკუთრებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნები ასევე, ევროსასამართლოს პრაქტიკა და შეეცადა შეექმნა კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოებდა საკუთრების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციების მოქმედების სფეროს და დააკისრებდა სახელმწიფოს განსაზღვრულ ვალდებულებებს მათ შესრულებასთან დაკავშირებით.

თუმცა, ეს პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, რადგან 2003 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სახელმწიფოს მხრიდან კერძო პირთა საკუთრების იძულებით ჩამორთმევა სახელმწიფოსთვის მისი უსასყიდლოდ გადაცემის, ანუ ე.წ ,,ჩუქების" გზით. ანალოგიურად, გამოიყენებოდა მოსახლეობისათვის საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის სხვა არა ერთი აპრობირებული საშუალებაც, კერძოდ, უძრავ ქონებაზე საკადასტრო მონაცემები იცვლებოდა იმდაგვარად, რომ მაგ. მიწის ნაკვეთზე ე.წ ,,ზედდების" მოტივით მესაკუთრე თუმცა, ფორმალურად ქაღალდზე კვლავ რჩებოდა მესაკუთრედ, მაგრამ შეუძლებელი იყო მისი საკუთრების იდენტიფიკაცია და სხვა. ამგვარ ფაქტებზე რეაგირება კი არ ხდებოდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რაც გამართლებული იყო იმით, რომ ,,სახელმწიფო რესურსი ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე'', ,,პროკურორი ვალდებულია დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესი და არა რომელიმე ინდივიდი'' და აშ [30].

2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების ცვლასთან ერთად ვითარება რამდენადმე შეიცვალა კიდევ ერთხელ უკეთესობისკენ და მესაკუთრეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სასამართლოს მეშვეობით შესძლო ე.წ ,,ზედდებაში" მყოფი უძრავი ქონების, კერძოდ მიწის ნაკვეთების დაბრუნება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში და სხვა ადგილებში.

ასევე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სამართალშემოქმედების კუთხით არსებული მდგომარეობის შესარბილებლად, ასე მაგ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის #1044 განკარგულებით ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სისტემაში შემავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, ამ სააგენტოს, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ან პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების (პირის ან მისი უფლებამონაცვლის) დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (იხ. 1-ლი პუნქტი) არსებობის შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურორის მიმართვის საფუძველზე, ნება მიეცა მოახდინოს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზირების ინიცირება იმ პირთათვის, რომელთა მიერაც განხორციელდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების იძულებით დათმობა (მიტოვება, ჩუქება და აშ).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ განკარგულებაში საუბარია სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების (რაც მოიცავს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც) იძულებით დათმობაზე, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად სააგენტოს მიერ ინიცირებას დაექვემდებარა მხოლოდ ის უძრავი და მოძრავი ნივთები, რომელთა იძულებით დათმობაც განხორციელდა სახელმწიფოს სასარგებლოდ შესაბამის პირთა მხრიდან. თანაც ყოფილ მესაკუთრეზე ქონების გადაცემის სავალდებულო პირობად განისაზღვრა სახელმწიფოს მიმართ ქონებრივი ან სხვა სახის ანაზღაურებაზე, ასევე ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე უარის თქმა, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (იხ. დადგენილების მე-5 პუნქტი).

მთავრობის ამ განკარგულებით არაერთმა საქართველოს მოქალაქემ უკვე ისარგებლა და მისი მიღება თითქოსდა დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, გარკვეულ ეჭვებს აჩენს კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობა (მაგ. ის, რომ იძულებით ჩამორთმეული ქონების დასაბრუნებლად დაზარალებული პირი იძულებულია გადაიხადოს ფულადი თანხა, მაშინ როცა საქართველოს კონსტიტუციის 19.3 მუხლის თანახმად საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი და სამართლიანი ანაზღაურების შემთხვევაში, ანალოგიურად, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული დაიბრუნებს იძულებით წართმეულ ქონებას მაშინ მან უარი უნდა თქვას სასამართლოსთვის მიმართვაზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლს, რომლითაც ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და სხვა) თანაც საკვლევი თემის ფარგლებში გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ მთავრობის #1044 განკარგულება დისკრიმინაციული აქტია, რადგან ევროკონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის იმპერატიული დათქმაა, რომ ევროკონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასთვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრება, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი.

მთავრობის #1044 დადგენილებამ კი განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს დაუქვემდებარა ქონებასთან დაკავშირებით უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრეები და ის პირები ვისაც საკუთრება გააჩნდა არამატერიალური ქონებრივი უფლების ანდა მოთხოვნის სახით, თანაც ისე, რომ არ დაუსაბუთებია ამგვარი განსხვავებული მოპყრობა თუ რა გონივრული და ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული, ანუ საქართველოს მთავრობის #1044 განკარგულება არ აკმაყოფილებს ობიექტური და გონივრული საჭიროების ტესტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ არამხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროსასამართლო მიიჩნევს საკუთრებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას საკუთრების უფლებისადმი დისკრიმინაციულად და შესაბამისად, საკუთრების უფლების ხელყოფად, არამედ სხვა შესაბამისი ევროსტრუქტურებიც ანალოგიურ პოზიციაზე დგანან. კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ალინა სიმუნეკი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ [31] საქმეზე აღნიშნა, რომ ქონების დაბრუნების ან კომპენსაციის საკითხის შემოწმებისას კომიტეტმა უნდა განიხილოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი ქონებაზე თავდაპირველი უფლების ჩათვლით, ხოლო თუ უდავოდ დადასტურებულია, რომ ქონების იძულებით ჩამორთმევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ამას თვით მონაწილე სახელმწიფოც ადასტურებს სპეციალურად მიღებული საკანონმდებლო აქტით, ამგვარი კანონმდებლობა არ უნდა ახდენდეს დისკრიმინაციას წინანდელ მსხვერპლთა მიმართ, ვინაიდან ყველა მსხვერპლს აქვს ანაზღაურების მიღების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციული განსხვავების გარეშე.
მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმულისა, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არსებობს არაერთი შემთხვევა, როცა უხეშად დაირღვა საკუთრებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქის საკუთრების უფლება და ვინაიდან მათ ვერ შესძლეს ადგილზე საკუთრების უფლების დაცვა, ერთადერთ იმედად რჩება ევროსასამართლო და სხვა ანალოგიური სტრუქტურებისთვის მიმართვა.

ყოველივე ზემოთქმული, ანუ ის, რომ ქართულ სინამდვილეში საკუთრების დაცვა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს, როგორც მოქმედი, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და ამ მხრივ არსებულ ევროსასამართლოსა და თვით ჩვენი ქვეყნის სასამართლოების მიერ დადგენილ სტანდარტებს, თავის მხრივ კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ მაგალითზე, რომელიც იმდენად ტიპიურია, რომ გადავწყვიტეთ მოგვეტანა მისი სრული ანალიზი. კერძოდ, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში არსებულ სისხლის სამართლის #006220113003 საქმეზე პროკურორის მიერ დაზარალებულად იქნა ცნობილი შპს ,,ბუნება 2005“-ი. კერძოდ, ამ დადგენილებიდან დასტურდება, რომ ,,2005 წელს ლ. ქ-მ და ვ. ქ-მ 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს შპს ,,ბუნება 2005“, რომელსაც 2005 წლიდან გააჩნდა (აუქციონზე შეიძინა 183 000 ლარად) დმანისის რაიონში წყლის მოპოვების ლიცენზია. კომპანია ეწეოდა კერძო სამეწარმეო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, წყალს აწვდიდა შპს ,,ბოლნისის წყალკანალს“. 2007 წლის გაზაფხულზე ლ. ქ-მ შპს ,,ბუნება 2005“-ის 50%-ი მიყიდა თავის სიძეს გ. ლ-ეს, რომელიც გახდა კომპანიის 50%-ის მფლობელი და დირექტორი. 2009 წლის გაზაფხულზე გ. ლ-ემ თავის მეგობარს გ. ზ-ეს, რომელიც დაინტერესებული იყო აღნიშნული ბიზნესით, მიჰყიდა თავის საკუთრებაში არსებული შპს ,,ბუნება 2005“-ის 50%-იანი წილი.

2009 წელს ზემოაღნიშნული მომგებიანი ბიზნესი ცალკეული საჯარო მოხელეების ინტერესის ქვეშ მოექცა, რის გამოც დაიწყო კომპანიის მეწილეებზე ზეწოლა და მათთან დაკავშირებული პირის გ. ლ-ძის უსაფუძვლოდ დაბარება სახელმწიფო სტრუქტურებში. მაღალჩინოსნების ერთობლივი მოქმედების შედეგად 2009 წლის შემოდგომაზე გ. ლ-ძე, რომელიც იყო კომპანიის ყოფილი მეწილე და იმჟამინდელ მფლობელთან დაახლოებული პირი, განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიიყვანეს ეკონომიკის სამინისტროში, სადაც მას მეწილეების სახელით მოაწერინეს ხელი გაყალბებულ ჩუქების ხელშეკრულებაზე. კომპანიას ჩამოერთვა მის სარგებლობაში არსებული ლიცენზია და გადაეცა სახელმწიფოს, რის შედეგადაც შპს ,,ბუნება 2005“-მა შეწყვიტა საქმიანობა.

ზემოხსენებული (იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული) დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, სს საქმეზე დაკითხული შპს ,,ბუნება 2005“-ის დამფუძნებლების, გ-ზ-ის, გ. ლ-ის, ვ. ქ-ის  და სხვათა ჩვენებებით, გამოთხოვილი დოკუმენტაციით, ჩატარებული კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზით. აღნიშნული დანაშაულის შედეგად შპს ,,ბუნება 2005-ს მიადგა მატერიალური ზიანი. ამდენად, არსებობს კომპანიის დაზარალებულად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები'' [32].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ შპს ,,ბუნება 2005“-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანამდე, კერძოდ 2013 წლის 3 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შპს ,,ბუნება 2005“-სა და სახელმწიფოს 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიას შპს ,,აღმოსავლეთის წყალს“, რომლის უფლებამონაცვლეს იმ პერიოდში წარმოადგენდა შპს ,,წყალკანალი XXI'' (ამჟამად კი მისი უფლებამონაცვლეა, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია'') სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მთლიანი გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ,,შპს ,,ბუნება 2005“-მა შპს ,,აღმოსავლეთის წყალს“ თითქოსდა კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია #00035, ბათილად იქნა ცნობილი, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება [33].

მეტიც, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2018 წლის 28 მარტს  #13/22789 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გაუგზავნა რა შპს ,,ბუნება 2005“-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, ითხოვა სახელმწიფოზე იძულებით გადაცემული შპს ,,ბუნება 2005“-ს წყლით სარგებლობის ლიცენზიის მესაკუთრისთვის დაბრუნება.

ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურა იმდენად დარწმუნებული იყო, რომ შპს ,,ბუნება 2005“-ი თავის კუთვნილ ლიცენზიას დაიბრუნებდა, ბრიფინგიც კი გაიმართა ამ საკითხზე პროკურატურაში, სადაც პირდაპირ ითქვა, რომ ლიცენზია დაუბრუნდებოდა კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო მოგვიანებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა კიდეც ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ  იძულებით წართმეული ამ ლიცენზიის დაზარალებულისთვის დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ  საქართველოს პროკურატურის ეს მიმართვა არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის ზემოთ მოხსენიებული 2015 წლის  25 მაისის #1044 განკარგულების იმ დანაწესზე მითითებით, რომ  ამ განკარგულების ფარგლებში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს  მიერ ინიცირებას ექვემდებარება მხოლოდ იმ უძრავი ან/და მოძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზირება, რომლის იძულებით დათმობაც განხორციელდა სახელმწიფოს სასარგებლოდ [34].

სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ სსიპ წიაღის სააგენტოსთვის“ გაგზავნილი წერილიც, სადაც პროკურატურა ასევე ითხოვდა შპს ,,ბუნება 2005“-ისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებით დათმობილი ლიცენზიის შპს ,,ბუნება 2005“-ისთვის დაბრუნებას რადგან ნაცვლად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2013 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულებისა სახელმწიფო დღემდე ცდილობს ლიცენზიის მესაკუთრის ჩათრევას სასამართლო ლაბირინთებში, და უკანონოდ აგრძელებს იმ

უფლებით (ლიცენზიით) სარგებლობას და უსაფუძვლოდ გამდიდრებას, რომელზე საკუთრებაც სამართლებრივად დღემდე გააჩნია შპს ,,ბუნება 2005“-ს.

ლიცენზიას არ აბრუნებს არც სახელმწიფოს 100%-იანი წილის მქონე შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს იმ მესამე პირს, რომელსაც ბათილი გარიგების საფუძველზე მიმღებისაგან უსასყიდლოდ გადაეცა ეს ლიცენზია და ამდენად, ვინაიდან სახეზეა სკ-ის 976.1 მუხლის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ ვალდებულება გარიგების ბათილობის გამო არც წარმოშობილა და არც არსებობს, სკ-ის 989.1-ის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, იგი მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

თანაც ყოველივე ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ:

1. სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად წესები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების შინაარსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოცემულ შემთხვევაში კი სახეზეა სამოქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად არის ცნობილი ის გარიგება, რომლითაც შპს ,,ბუნება 2005“-ის კუთვნილი ლიცენზია უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიას.
2. მეტიც, პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, ანუ შპს ბუნება 2005“-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილებით, დადასტურებულია, რომ შპს ,,ბუნება 2005“ის, როგორც მესაკუთრისგან მისი კუთვნილი ლიცენზიის ჩამორთმევა და სახელმწიფოს საკუთრებაში ე.წ ჩუქების გზით გადასვლა მოხდა კანონმდებლობის უხეში დარღვევით და თანაც იმ პირზე (გ.ლ-ზე) ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით, რომელიც არ იყო უფლებამოსილი გაესხვისებინა ლიცენზია.
3. ამდენად, სახეზეა რა უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება (უცილოდ ბათილი და ბათილი გარიგებები კი სინონიმებია) იგი წარმოადგენს ისეთ გარიგებას, რომელიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ განზრახულ შედეგს არ წარმოშობს. შესაბამისად, ასეთი გარიგებით განზრახული შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების და არც მესამე პირების მიმართ.
4. მეტიც, ამ ბათილ გარიგებას ვერ გადააქცევს ნამდვილად ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან მისი მოწონება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ან/და იმ სასამართლოს გადაწყვეტილებებიც კი, რომლებიც მიმდინარეობს ამ ბათილი გარიგების გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, მაშინაც თუ მათ ბათილად არც ცნობს სასამართლო, ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სკ-ის 63.1 მუხლით გათვალისწინებული მერყევად ბათილი გარიგება [35].
5. ანუ, იმ გარიგების ნამდვილობა, რომლითაც შპს ,,ბუნება 2005“-ის კუთვნილი ლიცენზია უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფო კომპანიას ამკრძალავი ან თუნდაც შემზღუდველი კანონის მოგვიანებით მიღებით ეჭვქვეშ არ დგება [36], თანაც არარა გარიგების არსებობის შემთხვევაში, ვინაიდან ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა და სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს [37] ამ გარიგების მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ რაც მათ ბათილი გარიგებით

მიიღეს, სამოქალაქო კოდექსის  უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების საფუძველზე. ზემოთ მოტანილ შემთხვევაში კი გამოყენებადია ამ კოდექსის 988.1-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ,,პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. ხოლო ლიცენზიით ამჟამინდელი მოსარგებლე შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ვალდებულია დაუბრუნოს იგი შპს ,,ბუნება 2005“-ს სკ-ის 989.1-ე მუხლის საფუძველზე, რადგან ეს მუხლი შეიცავს დანაწესს იმის თაობაზე, რომ ,,თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, შინაარსი და საკუთრებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების და სტანდარტების გათვალისწინებით, შპს ,,ბუნება 2005“-ის ლიცენზია წარმოადგენს ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით  და ქართული კანონმდებლობით დაცულ საკუთრებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან უხეში ზეწოლის გზით, გაყალბებული და შემდგომში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ე.წ „ჩუქების“ ხელშეკრულების საფუძველზე, უსასყიდლოდ და თანაც არა უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ  იქნა დათმობილი (ამგვარი იძულების არსებობას ქვეყნის მასშტაბით ადასტურებს თვით სახელმწიფო საქართველოს მთავრობის #1044 განკარგულებაში. იხ. 1-ლი პუნქტის ბოლო წინადადება ხოლო, მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროკურატურის დადგენილება შპს ,,ბუნება 2005“-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ ).

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული და ის გარემოება, რომ შპს ,,ბუნება 2005“-ის კუთვნილი ლიცენზიის ჩამორთმევა ისე მოხდა, რომ  სახელმწიფოს არ უსარგებლია საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ საკანონმდებლო აქტებით და, პირიქით, ყოველგვარი ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე მოახდინა შპს ,,ბუნება 2005“-ის საკუთრებაში არსებული ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩამორთმევა, ანუ  ფაქტობრივი კონფისკაცია, აშკარაა, რომ არანაირი ბალანსი არ ყოფილა დაცული დაზარალებულის კანონიერ უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის. რის გამოც გამართლება არა აქვს ხელისუფლების დომინანტურ  ქცევას შპს ,,ბუნება 2005“-თან მიმართებაში, რადგან  სახელმწიფომ  არა თუ აღკვეთა კონსტიტუციით, ასევე სხვა საკანონმდებლო, მათ შორის საერთაშორისო აქტებით, დაცული საკუთრების ხელყოფა და უზრუნველყო მისი რეალური დაცვა არამედ თვითონვე გახდა, მისი, ანუ სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამ საკუთრების იძულებით დათმობის ინიციატორი. რისთვისაც, ცალმხრივი წესით გააუქმა მის მიერვე კერძო პირთან-შპს ,,ბუნება 2005“-თან,  აუქციონზე ლიცენზიის შესყიდვასთან დაკავშირებით დადებული შეთანხმება  და ის გარიგებებიც რაც თავის მხრივ შპს ,,ბუნება 2005“-ს დადებული ჰქონდა წყალმომარაგების ლიცენზიის მქონე კერძო კომპანიასთან, თანაც  ისე, რომ არ გადაუხდია და არც აპირებს იმ ზარალისთვის კომპენსაციის გადახდას, რაც შპს ,,ბუნება 2005“-მა განიცადა.

შპს ,,ბუნება 2005“-ის, როგორც მესაკუთრისადმი სახელმწიფოს მხრიდან  ძლიერი წნეხის არსებობის, რაც მის მიერ გონივრულ მოსაზრებებზე დაუმყარებლად ცალკეული კანონქვემდებარე აქტების (მაგ. მთავრობის #1044 განკარგულების) მიღებაშიც გამოიხატა,

დადასტურებაა ისიც, რომ 2013 წლიდან დღემდე არ აღსრულებულა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა რა ცნობილი შპს ,,ბუნება 2005“-ის კუთვნილი ლიცენზიის ვითომდაც სახელმწიფოს 100%-იანი წილის მქონე კომპანიისათვის ჩუქების ხელშეკრულება, ლიცენზია, როგორც საკუთრება ექვემდებარება დაბრუნებას, რადგან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე და 421-ე მუხლები), ხოლო საკუთრება უფლებებსა და მოთხოვნებზე ისეთსავე დაცვას ექვემდებარება, როგორც უძრავ-მოძრავ ნივთებზე [38].

ყოველივე ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ სახელმწიფო, ეროვნული სასამართლოების მეშვეობით, 2013 წლიდან დღემდე აჭიანურებს იმ ადმინისტრაციული აქტების არარად აღიარებას, რომლებითაც მოხდა შპს ,,ბუნება 2005“-ის კუთვნილი ლიცენზიის, იმ სუბიექტებისთვის არაერთგზის გადაცემა, რომლებიც დაფუძნებულია თვით სახელმწიფოს მიერ, რადგან დავა ჯერ კიდევ ვერაფრით გასცდა პირველი ინსტანციის ფარგლებს.

მართალია სასამართლო გადაწყვეტილების გაჭიანურების ლეგალურ დეფინიციას არც ეროვნული და არც ევროპული კანონმდებლობა არ შეიცავს, მაგრამ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა ცხადყოფს, სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი სუბიექტები, კერძოდ სახელმწიფო და სასამართლო, ევროკონვენციის მე-6 მუხლის ძალით (სამართლიანი სასამართლოს უფლება)ვალდებულნი არიან ეროვნული სასამართლოები ისე მოაწყონ, რომ მათი ქვემდებარე წარმოებები და საპროცესო მოქმედებები ყოველგვარი დაგვიანებისა და გადაცდომის გარეშე დამთავრდეს.

მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სტანდარტულ შემთხვევაში ერთი ინსტანციის გადაწყვეტილება არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს და ხელშემკვრელი სახელმწიფოების იუსტიციის სისტემა უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას მის დაცვაზე [39].

ყოველივე ზემოთქმულის გამო შპს ,,ბუნება 2005“-ი ფორმალურად კვლავ რჩება მისთვის უკანონოდ წართმეული ლიცენზიის მესაკუთრედ, თუმცა არ შეუძლია თავისი ქონებით დაუბრკოლებლად სარგებლობა, რადგან ამ საკუთრებით უკანონოდ სარგებლობს და შემოსავალსაც იღებს სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანია. შესაბამისად, სახეზეა ევროკონვენციის #1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დარღვევა და შპს ბუნება 2005“ წარმოადგენს ამ დარღვევის მსხვერპლს.

ეს მაშინ, როცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილია, რადგან წარმოადგენს მის მნიშვნელოვან ეტაპს. მეტიც, იგი მხარის დარღვეული ინტერესის აღდგენის ბოლო საფეხურია, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან აღსრულების გაჭიანურება კი საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების არსს.

თანაც, კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სკ-ის 317.1 მუხლის მიხედვით, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს კონკრეტული მოქმედების განხორციელების ვალდებულება ეკისრება და იგი სამართლებრივი ურთიერთობის მოვალე ხდება სკ-ის 316.1 და 361-ე მუხლების საფუძველზე. რაც უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად და მნიშვნელობა არა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს სასამართლოს

აღმასრულებელი  თუ მის აღსრულებას ითხოვს კრედიტორი, ვინაიდან  მოვალე უშუალოდაა პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებაზე [40].

## ლიტერატურა


1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921 წწ ) საზოგადოება ,,ცოდნა“ კოოპერატიული გამოცემა ,,ივერთა მხარე“, თბილისი, 1990 წ. (სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე).
2. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება (შედარებითი სამართლებრივი კვლევა, გერმანული სამართლის მაგალითზე), თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1994 წ. გვ.43.
3. იხ. დიგესტები-1.6,2). ასევე, Schwab, Karl-Heinc Sachenrecht 22Aufe 1983.s.12.
4. ზარანდია/ჯუღელი, საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება, თბილისი, 2012 წ. გვ. 300.
5. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003 წ. გვ. 82.
6. ლ, ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001 წელი, გვ.109.
7. სამოქალაქო სამართლის კომენტარი, წიგნი II (მუხლები-147-315)  კომენტარის ავტორი თოთლაძე ლ. (რედაქტორი -ლ. ჭანტურია). თბილისი 2018 წელი, გვ. 74 და 75.
8. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997 წელი, გვ. 72.
9. პ(თ) მონიავა, პირადი არაქონებრივი უფლებები /პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში/, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი, გვ.84.
10. ლ. ნადიბაიძე, საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები (რედაქტორი შ. ჩიკვაშვილი), გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი, 2002 წელი, გვ.13.
11. პ(თ) მონიავა. საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში (ლექციების კრებული),  2016 წელი, მე-6 ლექცია, მე-9 პუნქტი.
12. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 1994 წ. გვ. 50.
13. ევროსასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის განჩინება ,,უილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ #6042/97 საქმეზე, ასევე, ,,პრავედნაია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ'' საქმეზე, 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და ,,აზინასი საბერძნეთის წინააღმდეგ“ საქმეზე 2002 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.
14. ,,თრე თრაქთერერ აქტიბოლაგი შვედეთის წინააღმდეგ  საქმეზე ევროსასამართლოს 1989 წლის გადაწყვეტილება (Tre Traktorer Akiebolag v. SwedEn. 1989) .
15. ,,ნავთობგადამუშავებელი ქარხნები ,,სტრანი და სტრადის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ საქმეზე“ ევროსასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.
16. ვან მარლე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van Marle and Others v. Nethwerlands) საქმეზე ევროსასამართლოს 1986 წლის გადაწყვეტილება.
17. ,,მარქსი ბელგიის წინააღმდეგ საქმეზე“(Marskx v.Belgium”) ევროსასამართლოს 1979 წლის გადაწყვეტილება.
18. ,,Musele belgiis winaaRmdes (Musele  v. Belgium”.  ევროსასამართლოს 1983 წლის გადაწყვეტილება.
19. ,,რომელიდი და მალშტრომი შვედეთის წინააღმდე“ საქმეზე განაცხადი 8588/79.
20. ,,A და AS“ კომპანია გერმანიის წინააღმდეგ“ საქმეზე განაცხადი 7742/76.

21. ,,ლითგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ევროსასამართლოს1987 წლის და ,,ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ 1986 წლის გადაწყვეტილებები.
22. ,,ჰეტრიკი საფრანგეთის წინააღმდეგ“ საქმეზე ევროსასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება.
23. ,,ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ საქმეზე, ევროსასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილება.
24. ,,კომპანია სთრან გრიქ რეფაინერიზ და სთრათის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ“ 1994 წლის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.
25. ,,პრესოს კომპანია ნავიერა ს.ს. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ“ 1995 წლის საქმეზე გადაწყვეტილება.
26. ,,წმინდა მონასტრები საბერძნეთის წინააღმდეგ“ საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.
27. ევროპული კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ე. ავსტრიის წინააღმდეგ.“ 1987 წლის 13 მაისი, საჩივარი #10668/83, Decisions and RepoRts (DR)52. P.177);
28. ევროსასამართლოს დადგენილება საქმეზე ,,ამიური საფრანგეთის წინააღმდეგ''. 25 ივნისი, 1996 წ. და დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე ,,დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ, საჩივარი # 28114/95, ECHR 1999-vi, პარაგრაფი 44.
29. ევროსასამართლოს დიდი პალატის დადგენილება საქმეზე ,,იმმობილიარე საფი იტალიის წინააღმდეგ" (,,ImmobilliarE Saffi" v. Italy საჩივარი #22774/93, პარაგრაფი 74, ECHR 1999-V).
30. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის #181 ბრძანებით დამტკიცებული ,,სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი.''
31. ,,ალინა სიმუნეკი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ'' საქმეზე, ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეტყობინება #516/1992.
32. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 20 მარტის დადგენილება შპს ,,ბუნება 2005“-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ #006220113003 სისხლის სამართლის საქმეზე.
33. სასამართლოს გადაწყვეტილება #2/2155-13 საქმეზე.
34. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 25 აპრილის #04/3626 წერილი.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება #ას-1404-1622-5 საქმეზე.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება #ას-671-976-09 საქმეზე. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 1/2010 გვ. 107.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 206 წლის 28 დეკემბრის #ას-1404-1622-5 გადაწყვეტილება, ასევე, უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება #ას-770-1395-03 საქმეზე.
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება #ას-491-1176-03 საქმეზე.
39. EGMR (დიდი პალატის) 8.6. 2006 წლის გადაწყვეტილება #75529/01 საქმეზე ,,სიურმელი გერმანიის წინააღმდეგ''-NjW 2006.2389; და EGM, Sig.2006. Nr., 183 ,, სკორდინი იტალიის წინააღმდეგ''- NjW 2007, 1259.

40. საქართველოს უზენაესმა სასამართლოს 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება #ას-1333-1562-05 საქმეზე. და პ(თ) მონიავა, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექციების კურსი, 2020 წელი, გვ.112.

**რეზიუმე**

დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების (1991 წლის დეკემბერი) შემდეგ, საწყის ეტაპზე, ქართულმა სახელმწიფომ საკუთრებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნები ისე ევროსასამართლოს პრაქტიკა და შეეცადა შეექმნა ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოებდა საკუთრების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მოქმედების სფეროს და სახელმწიფოს დააკისრებდა განსაზღვრულ ვალდებულებებს მათ შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს პროცესი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რადგან 2003 წლიდან ქვეყანაში განხორციელებული ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემა. 2012 წლის ოქტომბერში ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად, კიდევ ერთხელ, შეიცვალა ვითარება უკეთესობისკენ თუმცა, ქონების შემადგენლობაში შემავალი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (მაგ. ლიცენზიის წართმევა) კვლავ დაუცველი დარჩა, ვინაიდან მათ დაბრუნებას არ ითვალისწინებს საკუთრების დაცვის კუთხით არსებული მძიმე მემკვიდრეობის შესარბილებლად განხორციელებული საკანონმდებლო აქტივობები, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის #1044 განკარგულება. ყოველივე ეს კი განაპირობებს რა ქვეყანაში კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და არსებული სასამართლო პრაქტიკის ევროსასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას, ნაშრომში არსებული ვითარების დეტალური კვლევის საფუძველზე, დასმულია მათი შემდგომი სრულყოფის საკითხი.

**საკვანძო სიტყვები:** საკუთრება, დაცვა, ევროსასამართლო, საქართველო, კვლევა, მთავრობის დადგენილება, პრობლემები.

**Polikarpe Moniava**

**"The Social Nature of Property, its Content, the Standards Set by the Case-Law Judgments of the European Court of Human Rights (ECHR) and the Situation in Georgia in this Regard"**

**Summary**

After regaining its independence (in December 1991), the Georgian state at the initial stage took into account both, the requirements set out in the international legal acts, as well as the European Court's practice, seeking to enact legislation that would considerably extend the scope of the European Convention on Protection of Property and impose upon the state certain commitments with regard to their compliance. However, this process was not completed, because after the change of government in the country in 2003, the forcible confiscation (seizure) of property without any compensation and its further transfer to the state became a common occurrence. The situation improved once again when a new government came into power in October 2012. However, the intangible property assets constituting the property (e.g. revocation of license) have remained unprotected, since the legislative activities, including the Georgian Government's Order #1044 of May 25, 2015, carried out to mitigate a heavy legacy existing in terms of property protection, have not provided for their return. All the aforesad has

conditioned the need to further improve the legislation and bring the available judicial practice in line with the European Court's case-law, the issue of their further improvement is raised in the thesis based on the detailed study of the situation.

**Keywords:** property, protection, European Court, Georgia, study, government's decree, problems.

**ია ხარაზი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University
**ანი დამენია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# უსაფუძვლო გამდიდრების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

## 1. უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები; უსაფუძვლო გამდიდრების ცნება და მისი ადგილი ვალდებულებითი სამართლის სისტემაში; სუბიექტები უსაფუძვლო გამდიდრებაში და მათი უფლება-მოვალეობანი

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების სამართლებრივი მოწესრიგება თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ამომწურავად მოაწესრიგებენ ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ გამდიდრებულის ვალდებულებებსა და მეორე მხრივ, უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) უფლებებს[1]. „ქონებრივი მასების გადადინების უკუქცევა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ის წარმოადგენს არა მარტო სანივთო, ან ვალდებულებითი სამართლის პრობლემას, არამედ შეიძლება აქტუალური გახდეს კერძო-სამართლებრივ ნებისმიერ ურთიერთობაში. მაგალითად, შპს-ის პარტნიორის მიერ უსაფუძვლოდ შეტანილი საწევროს მისთვის უკან დაბრუნება ან დასაქმებულის მიერ უსაფუძვლოდ გაწეული შრომითი მომსახურების უკუქცევა (თუ ამ სპეციალური დარგებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას არ გავითვალისწინებთ) საბოლოო ჯამში იმავე პრინციპებს შეიძლება დაექვემდებაროს, რაც მოვალის მიერ უსაფუძვლოდ გადახდილი ვალისა და მესაკუთრის მიერ არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ნივთის უკან დაბრუნება“[2]. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმების **1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (სკ)** გერმანულ სამართალზე დაყრდნობით შემუშავდა. „ქართული სამართლის კონდიქციური სისტემა დაეყრდნო გერმანელი მეცნიერის დეტლეფ კონიგის უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო პროექტს, რომელიც საბოლოოდ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ნაწილი არ გამხდარა. თუმცა, გერმანელი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული კონდიქციათა ტიპოლოგია აისახა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მათ შორის თითოეული ტიპის მოთხოვნის ფარგლების დამდგენ ნორმებთან ერთად“[3]. თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის შესაძლო ფუნქცია ქართულ სამართალში

[1]ტაკაშვილი სიმონ, „უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების კოლიზიურსამართლებრივი ასპექტები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში“, სტუდენტური ჟურნალი, 2014, 135

[2]რუსიაშვილი გიორგი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I:შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017, 14

[3] ქავშბაია ნინო, „იძულებით გადაცემულის უკუქცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლის მიხედვით“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019

გარკვეულწილად განსხვავდება გერმანული სამართლისაგან, საკუთრების უფლების გადაცემის ე. წ. აბსტრაქციის პრინციპის არარსებობის გამო. აბსტრაქციის პრინციპის თანახმად, საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი გარიგება ერთმანეთისაგან დამოუკიდელად, „აბსტრაქტულად", განიხილება. გერმანიაში აბსტრაქციის პრინციპი განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობას. შესაბამისად, თავდაპირველი მესაკუთრე იძულებულია, უსაფუძვლო გამდიდრების მუხლებზე დაყრდნობით მოითხოვოს ახალი მესაკუთრისაგან ნივთის უკან დაბრუნება. საქართველოში მოქმედებს საკუთრების უფლების შეძენის განსხვავებული **ე. წ. კაუზალურ სისტემაზე დამყარებული, რეჟიმი,** რომელიც მოძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის აუცილებელ პირობად **„ნამდვილი უფლების"** არსებობას მიიჩნევს და, შესაბამისად, მისი (მაგალითად, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების) არარსებობა თუ ბათილობა ავტომატურად იწვევს სანივთოსამართლებრივი (მაგალითად, საკუთრების უფლების გადაცემის) ხელშეკრულების ბათილობას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში არ ხდება საკუთრების უფლების გადაცემა და მესაკუთრეს შეუძლია **სსკ-ის 172-ე მუხლის** საფუძველზე მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ასეთ შემთხვევაში გაუმართლებელია[4]. სანივთო უფლებათა დაცვის შემთხვევაში ადგილი აქვს ამ უფლების დაცვის აბსოლუტურობას, ე. ი. სანივთო უფლება, რომელიც ყველას მიერ უნდა იქნეს ცნობილი, ხელყოფის შემთხვევაში დაცულია სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით. ვალდებულებითსამართლებრივი უფლება მხოლოდ მოვალის მიმართ იძლევა სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას[5]. სანივთო უფლებათა აბსოლუტურობის გარანტიაა ასევე ნივთის დაზიანების შემთხვევაში დელიქტური სარჩელების გამოყენება... ***აბსოლუტური ურთიერთობა მყარდება სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე, შეფარდებითი კი - ძირითადად ურთიერთობის მონაწილეთა ნების საფუძველზე.***[6] უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ადრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით ამჟამად უფრო ფართოდ და არსებითად განახლებულად არის მოწესრიგებული. ეს ბუნებრივიცაა. საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისა და განვითარების ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ქონებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ისეთი ურთიერთობები, რომლებშიც ერთი პირის მიერ მეორისათვის ქონების გადაცემის ნორმალური საფუძვლები არსებობს, არამედ ისეთებიც, როცა ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელში ქონება აღმოცენდება უსაფუძვლოდ. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია წარმოიშვას უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულება[7].

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განვითარებული სამართლებრივი სისტემების ქვეყნებში სამოქალაქო-სამართლებრივ სარჩელთა უმეტესობა ეხება ხელშეკრულებებს ან

---

[4]კერესელიძე დავით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-4, 600

[5] ჭანტურია ლადო, სანივთო სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში. - კრებული: „სამართლის რეფორმა საქართველოში", თბილისი, 1994, 228

[6] ზოიძე ბესარიონ, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 4

[7] შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 352-353

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს (დელიქტებს). არასპეციალისტსაც კი შეუძლია მცირე ხნის ფიქრის შემდეგ წარმოიდგინოს არსებული მდგომარეობა სამართლის ორ მოცემულ სფეროში. მაგრამ მას გაუჭირდება თავი გაართვას სარჩელებს „უსაფუძვლო გამდიდრების“ **(„ungerechtfertigter Bereicherung“- გერმ; „ enrichissement injustifie -ფრანგ; „unjust enrichment“- ინგლ.)** შესახებ, რომლებიც სახელშეკრულებო და დელიქტურ სარჩელებთან ერთად მნიშვნელოვანია. არაიურისტს ვერ დავადანაშაულებთ ამ ტერმინოლოგიის არცოდნაში. ხოლო იურისტისათვის მიზეზია დაეკითხოს თავს: იმგვარი უსახური ტერმინი, როგორიცაა „უსაფუძვლო გამდიდრება“, იმიტომ ხომ არ ტოვებს კვალს მის გონებაში, რომ უნებლიედ იძულებულია მოცემული ცნებით დაახასიათოს რიგი ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლებშიც საერთოს პოვნა შეუძლია მხოლოდ საწინააღმდეგო პოზიციიდან მსჯელობით[8].

ძველი რომაელი იურისტები კვაზიკონტრაქტებს შორის უმნიშვნელოვანეს ჯგუფს მიაკუთვნებდნენ დაუსაბუთებელი გამდიდრების შემთხვევებს, ანუ **„condictiones sine causa“-ს,** რომელიც მკაცრი სარჩელით მოითხოვდა ამ ნივთების დაბრუნებას იმ პირის მიერ, ვისაც იგი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეჭირა[9]. მართალია რომის სამართალში არ იყო ჩამოყალიბებული ცნება უსაფუძვლო გამდიდრებასთან მიმართებაში, მაგრამ გაჩნდა სასარჩელო მოთხოვნები ამ პრობლემის ცალკეულ შემთხვევასთან დაკავშირებით[10]. ბუნებრივი სამართლიანობის თანახმად, არ დაიშვებოდა ვინმეს გამდიდრება სხვის საზარალოდ[11]. უსაფუძვლოდ, სხვისი ქონების ხარჯზე გამდიდრება არ დაიშვებოდა. ამ ქონების დაბრუნების საფუძვლად იგულისხმებოდა ხელშეკრულების არარსებობა, თუმცა შედეგი დადგა ერთ-ერთი მხარის ნებადართული მოქმედებით. მაგ; მოვალემ შეცდომით ვალი გადაუხადა არა კრედიტორს, არამედ სხვა პირს[12].

ძველი რომის ფორმულარულ პროცესში **„condictio“** გაგებულია **„აბსტრაქტულად“,** ანუ არ არის მითითებული მოპასუხის ვალდებულების საფუძველი, ცივილიური სარჩელი პირისადმი **(action in personam**) სარჩელი იმ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ვალდებულება შეიძლება იყო მოვალის მიერ მოსარჩელისთვის გარკვეული თანხის ან ნივთის გადაცემა. თავდაპირველად ეს სარჩელი შეიტანებოდა მხოლოდ გარკვეული ტიპის კონტრაქტისათვის სტიპულაციის **(stipulatio),** სესხის **(mitum),** ე.წ. წიგნის ვალის **(expensilatio)** შემთხვევაში). მაგრამ რომაელი იურისტები მალე დარწმუნდნენ, რომ **„condictio“** თავისი „აბსტრაქტულობის“ წყალობით შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებშიც მოპასუხე ვალდებულია დაუბრუნოს მოსარჩელეს გარკვეული ნივთი, უკანონოდ ჩამორთმეული ამ უკანასკნელისათვის[13].

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები** არეგულირებენ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. აღნიშნული ინსტიტუტის პრინციპია, რომ „შესაძლებელია წარმოიშვას უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულება. ასეთ ვალდებულებაში ერთი მხარე კრედიტორია

---

[8] ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამოცემის მეცნიერული რედაქტორი ნინიძე თ., თარგმ. სუმბათაშვილის, თბილისი, 2001, 228-229

[9] ლობჟანიძე გივი, რომის სახელმწიფო და სამართალი, II, ქუთაისი, 2009, 395.

[10] ნადარეიშვილი გიორგი, რომის სამოქალაქო სამართალი,თბილისი, 2007, 123.

[11] რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, თბილისი, 2002, 50, 17, 206.

[12] მეტრეველი ვალერიან, რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2005, 93.

[13] ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, დასახ. ნაშრ; 229.

(დაზარალებული), მეორე კი - მოვალე (შემძენი)[14]. კრედიტორის, ისევე როგორც მოვალის როლში შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, იქნება იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირი და სხვ. კრედიტორის მოთხოვნა არ არის აგებული პრინციპზე, რომ მოვალემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული ინსტიტუტი აბსტრაქტული ხასიათისაა, ამიტომაც იყო, რომ, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ძველი რომის სამოქალაქო (ცივილური) სამართალი ცნობილ აბსტრაქტულ სარჩელებთან **(action codictione)** მსგავსების გამო, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს კონდიქციურ ვალდებულებებად მოიხსენიებდნენ.

ზოგჯერ გაუგებრობას თვით ინსტიტუტის დასახელებაც იწვევს. რას ნიშნავს სამართლის ენაზე „გამდიდრება“ და როდის შეიძლება იყოს ის უსაფუძვლო“?[15].

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უსაფუძვლო გამდიდრება“ მხოლოდ ქართული ენის „ახირება“ არ არის. თითქმის ყველა ევროპულ ენაზე არსებულ იმავე ტერმინს აქვს ორივე ელემენტი: როგორც მითითება „გამდიდრებაზე“, ასევე ის, რომ ეს „გამდიდრება“ „უსაფუძვლოდ“ ხდება[16].

**„უსაფუძვლო გამდიდრების სტრუქტურა შემდეგნაირადაა აგებული: I. შესრულების კონდიქცია (მ. 976-981); II. ხელყოფის კონდიქცია (მ. 982-985); III. გაწეული ხარჯების კონდიქცია (მ. 986-987); IV. სამი პირის ურთიერთობები (მ. 988-990); V. გენერალური დათქმა (მ. 991).**

**შესრულების კონდიქცია** წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლია განვრცობას, ხელყოფის კონდიქცია დელიქტური ქმედების სამართლის განვრცობას, ხოლო გაწეული ხარჯების კონდიქცია კი დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების განვრცობას“[17].

„შესრულების კონდიქციის შემთხვევაში, პირს, რომლის ქონებაც შემცირდა, შესრულებით სურდა თავისი ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულების შესრულება. შესრულების მიმღები იმის გამო გამდიდრდა უსაფუძვლოდ, რადგან არ არსებობდა ან გაუქმდა ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულება. ვინაიდან არ არსებობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უსაფუძვლოდ მიღებული ქონებრივი სიკეთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, მსგავსი მოთხოვნის უფლების არსებობა საჭიროებს კანონისმიერ მოწესრიგებას...“. „ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის უფლებისას უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირი თავად ხელყოფს „განმდიდრებულის“ უფლებებს, რომლებიც როგორც წესი აბსოლუტურ უფლებებს წარმოადგენენ“.[18] სწორედ ამაშია პარალელი დელიქტურ სამართალთან. „მაშინაც კი, თუ ხელყოფისას არ იკვეთება პირის ბრალეულობა და ამგვარად დაზარალებულს არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაინც ხომ სამართლიანი იქნებოდა, რომ ხელმყოფს ის

---

[14] შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 353

[15] Johnston/Zimmermann, Unjistified Enrichement Surveying the landscape, in: Johnston/Zimmermann (editors), Unjistified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective, 3002, 3. წიგნიდან: ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი, 2014, 78

[16] ცერცვაძე გიორგი, სახელშეკრულებო სამართალი, თანაავტ. ძლიერიშვილი ზურაბ, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი, 2014, 78

[17] http://www.gccc.ge/ წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-ii-კანონისმიერი-ვალდე/თავი-iii-უსაფუძვლო-გამდიდრე/მუხლი-976/, ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი

[18] Larenz/Ganaris, Lehrbuch des Schuldrechts, Band II, Besonderer Teil, 13. Auflage, 1994, 168. წყარო: წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-ii-კანონისმიერი-ვალდე/თავი-iii-უსაფუძვლო-გამდიდრე/მუხლი-976/, ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი, http://www.gccc.ge/

მაინც დაებრუნებინა, რაც მან ხელყოფის შედეგად მიიღო (გამდიდრება). აქაც მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს პარალელები დელიქტურ სამართალთან“[19].

2. ვითომ -კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები

**სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხული მოთხოვნის წარდგენა“.**

უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ძირითადი ამოცანა კრედიტორის ადრინდელ მდგომარეობაში აღდგენაა (რესტიტუციაა), პირვანდელი მდგომარეობის სამართლებრივი უზრუნველყოფაა და იგი მჭიდროდ უკავშირდება საკუთრების დაცვის ინტერესს. **ჯერ ერთი,** რომ უსაფუძვლოდ არავინ არ უნდა გამდიდრდეს, **მეორეც,** კრედიტორის (სამოქალაქო ბრუნვის „სუპერსუბიექტის“) უზენაესი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლება - საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი არ უნდა დაირღვეს. კონდიქციურ ვალდებულებათა ფუნქციასაც ხომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვა წარმოადგენს (არავინ არ უნდა გამდიდრდეს სხვის ხარჯზე!). „უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად შემთხვევას წარმოადგენს სხვისი ნივთის გამოყენება ან მისი მეშვეობით მოგების ან უფლების მიღება ნივთის მესაკუთრის ან უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.... (მაგ; ის, ვინც სხვის მინდორზე ამოვებს საქონელს, შეცდომით იყენებს სხვის ნახშირს ან სარელსო გზებს, ვალდებულია აანაზღაუროს გამოყენების შედეგად მიღებული მოგების ღირებულება, რომელიც აღნიშნული გზით მიუმატა საკუთარ ქონებას. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, მის მოქმედებაში ბრალი იყო თუ არა“[20].

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის შინაარსი ისეთი ქონების მოძრაობის უკუქცევაა, რომელიც საფუძველს მოკლებულია ან რისი საფუძველიც არასოდეს არსებობდა. აქედან გამომდინარე, აქ განსაკუთრებული ფორმით გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპი. ამდენად ქონების მიმოქცევა, რომელიც ამ პრინციპზე ორიენტირების შესაბამისად არ მოხდება, უკან უნდა დაბრუნდეს[21]. გაწეული ხარჯების კონდიქციის შემთხვევაში საქმე გვაქვს ხარჯების გამწევთან, რომელიც თავად წევს ხარჯებს სხვისი (უცხო) ქონების გასაუმჯობესებლად, და ბუნებრივია ამით ხელს უწყობს ამ ქონებისათვის ღირებულების მატებას. მაგრამ მას როდი სურს თავისი ამ ქმედებით ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულების შესრულება (გამოდის, რომ აქ ადგილი არ აქვს შესრულების კონდიქციას). „ის უფრო სხვა საფუძვლების გამო მოქმედებს, იმ სამართლებრივ წრეში, რომელიც ობიექტურად იმ პირს მიეწერება, რომელიც გამდიდრდა...“[22]. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადი ხდება ვინ ვის წინააღმდეგ უნდა განახორციელოს მოთხოვნა, კერძოდ „განმდიდრებულს“ გამდიდრებული პირის წინააღმდეგ. მაგრამ რამდენიმე პირის არსებობისას, საეჭვოა თუ ვის წინააღმდეგ არის

---

[19] იქვე

[20] ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამოცემის მეცნიერული რედაქტორი ნინიძე თ., თარგმ. სუმბათაშვილის, თბილისი, 2001, 234

[21] ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვმნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 75. HTTP://WWW.library.court.ge/upload/gtz2009-GE-anspruchsgrundlagen_law.pdf

[22] http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-ii-კანონისმიერი-ვალდე/თავი-iii-უსაფუძვლო-გამდიდრე/მუხლი-976/, ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი

მიმართული მოთხოვნის უფლება. პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები ყველაზე რთულ შემთხვევებად ითვლება[23]. გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა ამასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობამ პირდაპირი რეგულაციები შემოიღო როცა საქმე რამდენიმე პირის ურთიერთობას ეხება უსაფუძვლო გამდიდრებისას. მაგ; ვითომ-კრედიტორი ავალებს მოვალეს მესამე პირისათვის გადახდას (მ. 988, ნ.1), ან კიდევ ვითომ-კრედიტორმა დათმო მოთხოვნა და მოვალე უხდის ახალ ვითომ კრედიტორს (მ. 988, ნ.2).“ გენერალური დათქმა წარმოადგენს შეკრებით ნორმას ისეთი შემთხვევებისთვის, რომლებიც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმებში, და შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ ფუნქციით“[24].

ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი -არის უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის, „სამართლიანობის“ აღდგენა. თანაც, ხსენებული წონასწორობის აღდგენის მიზნით, ეს ქონებრივი შეღავათი იმას უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ მისი „უსაფუძვლო გამდიდრება“. ამასთანავე, ამ ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, არამედ ქონებრივი ნამატის ამოღება, ესე იგი ქონებრივი მოძრაობის უკუქცევა, რასაც... condictio ეწოდება, შესაბამის მოთხოვნა კი კონდოქციურ მოთხოვნად არის ცნობილი.

„კონდიქციური ვალდებულება უმეტეს შემთხვევაში წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მართლზომიერი მოქმედების შედეგად. სწორედ მის მიერ დაშვებული შეცდომა ან უზუსტობა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას, ხდება სხვა პირის მიერ ქონების დაზოგვის ან შეძენის საფუძველი“[25]. „რა შეეხება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, მისი საფუძველი ყოველთვის ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებაა. უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების დაბრუნების ვალდებულებაში მოპასუხე პირის განზრახი ბრალი სახეზე არ არის. თუ მოქალაქემ, მაგალითად წინასწარ იცის, რომ ფოსტალიონის მიერ მისთვის ჩაბარებული ფული მას არ ეკუთვნის, ამ ფულის მიღება უნდა ჩაეთვალოს წინასწარ განზრახულ არამართლზომიერ მოქმედებად. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება ზიანის მიყენებისათვის და არა ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვისათვის“[26].

***„საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ თავისი გადაწყვეტილებით განმარტა, რომ: შესრულების კონდიქციის მიზნებისათვის, შესრულებაში იგულისხმება სხვა პირის ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა, ვინაიდან ამით ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულების კონდიქციისას შემსრულებელი ახორციელებს არარსებული, ბათილი ან არშემდგარი ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში,*** მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და ***დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ვლინდება მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის შემდეგი ელემენტები: შესრულება (სამართლებრივი სიკეთის ვითომ-კრედიტორისათვის გადაცემა). ამ შესრულების განხორციელების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ***

[23] იქვე

[24] იქვე.

[25] ჩიტოშვილი თამარ, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, თეორიისა და პრაქტიკის ჭრილში, თბილისი, 2019, 31

[26] შენგელია რომან, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები, გამოქვეყნებულია სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, 1996, 73

*რა ვალდებულებას მოიაზრებდა მოსარჩელე, როდესაც მიმღებს გადასცემდა ქონებას. გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარასებობა/შეწყვეტა[27].*

*საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოდაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები გამოიყენება მოთხოვნის სხვა საფუძვლებთან სუბსიდიურად[28]. სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თუ რამდენად აბათილებს და უარყოფს მოპასუხე შესაგებლით მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელეს, ამტკიცოს შესრულების კონდიქციის ფაქტობრივი შემადგენლობა, ანუ მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოება, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა მისგან თანხების გადინება,სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებულ ვითარებაში მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით დაშვებული კანონისმიერი პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას...“[29]*

უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობის მონაწილენი არინ: „მიმღები“, ან ვითომ-კრედიტორი“, ან „გამდიდრებული“- ანუ ის პირი, რომელმაც მიიღო შესრულება (ნივთი, უფლება) და ამის შედეგად ქონებრივი შეღავათი შეიძინა („გამდიდრდა“); - „შემსრულებელი“, ან „გადამცემი“ - ანუ ის პირი, რომელმაც (ბათილი) ვალდებულება შეასრულა ან სხვაგვარად გადასცა მიმღებს ქონებრივი შეღავათი; - „ხელმყოფი - ანუ ის პირი, ვინც სხვისი ქონების სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად ქონებრივი შეღავათი მიიღო („გამდიდრდა“); - „დაზარალებული“- ანუ ის, ვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად გამდიდრდა „ხელმყოფი“[30].

„უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი თავისებურებებია: ა) უსაფუძვლო გამდიდრება; უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებელი მიიღება ორი სახით; პირადი ქონების გაზრდით სხვისი ქონების მიღების ხარჯზე, ან დაზოგვით; ბ) სარგებლოს მიღება ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; გ) ქცევის არაბრალეულობა; დ) სარგებლის მიღება ხდება ძირითადად გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების ხარჯზე“[31].

უსაფუძვლო გამდიდრება უსაფუძვლო გადაცემის, ან უსაფუძვლო შესრულების შედეგია. უსაფუძვლო გადაცემა როგორც წესი ნივთის (მატერიალური ქონების), ფულის ერთი პირიდან მეორეზე (ანგარიშიდან ანგარიშზე და ა. შ.) გადაცემას გულისხმობს. ამასთან საქმე ეხება ძირითადად გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების გადაცემას. ვინაიდან

---

[27] ახალაძე მაია, უსაფუძვლო გამდიდრება, (2005-2018 წლის I ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ანალიზი, თბილისი, 2019

[28] რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია). უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება, ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან.

[29]სუს განჩინება, 2 ოქტომბერი, 2015, №ას-1068-1021-2014.

[30]მოსამართლეთა სემინარი, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, ექსპერტი ბატონი პეტერ ლიუტრინგჰაუსი, ბრემენის მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, 2007, 18-21 ოქტომბერი, „უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები“, შატბერაშვილი ლია, https://www.scribd.com/document/239903089/ სამოქალაქო-საქმეზე-გადაწყვეტილების-მიღების-მეთოდიკა-მოსამართლეთა-სემინარი

[31] ჩიტოშვილი თამარ, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, თეორიისა და პრაქტიკის ჭრილში, თბილისი, 2019, 37

„ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა კონდიქციურ ვალდებულებაში არ ხდება. ასეთი ნივთის დაბრუნება კანონით გათვალისწინებულია სავინდიკაციო

*სასამართლო პრაქტიკა:*

*ვითომ-კრედიტორისგან გამოთხოვის საფუძვლები; უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები*

*სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განმარტება საქმეზე #ას-341-326-2016* (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

*სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა:*

*მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანის - 6 351 000 აშშ დოლარის დაკისრება, სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.2 მუხლის საფუძველზე. მისი განმარტებით, მოპასუხემ ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული ქონების რეალიზაციით მიიღო ეს თანხა. მან ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის 600 000 ლარის დაკისრება, სკ-ის 979.1 მუხლის შესაბამისად, რაც დივიდენდის სახით მიიღო მოპასუხემ, ასევე - მიუღებელი შემოსავლის სახით, სკ-ის 411-ე მუხლით, სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, დაკისრებული თანხის წლიური 6%.*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს 5 339 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესაბამისად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად 2000 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 4137.5 ლარის გადახდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.*

*განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა კასაციის წესით.*

*სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები და შეფასებები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდებოდა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების (სკ-ის 976) საფუძველზე.*

*საკასაციო სასამართლოს განმარტება:*

*საკასაციო სასამართლომ, საქმის მასალების შესწავლის, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივად გაანალიზებით, მიიღო გადაწყვეტილება პირველი კასატორის (მოპასუხის) მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მეორე კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივრის უარყოფის თაობაზე.*

*განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა იმას ეფუძნებოდა, რომ საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 30.12. 2005წ. დადებული ხელშეკრულებები, ხოლო შესრულების მიმღები (მოპასუხე) იმიტომ არის უსაფუძვლოდ გამდიდრებული, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება არ არსებობდა. მოსარჩელის მტკიცებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ*

*არსებობს ნამდვილი ხელშეკრულებები, მას წარმოეშვა უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით დააყენოს მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩელესთან ერთად, მოპასუხე იყო მინოტართა ინიციატივით დაწყებულ და 2012 წელს დასრულებულ დავაში. იმის გამო, რომ მოპასუხემ გაასხვისა სამი საწარმოს წილი, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მოსარჩელემ მოითხოვა გაბათილებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის დაბრუნება. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, რომ რადგან მოსარჩელის მინორიტარმა აქციონერებმა 2008 წელს დაიწყეს დავა სუბიექტების - მოსარჩელისა და მოპასუხის, როგორც მოპასუხეების წინააღმდეგ, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმისა და სს-სა მ-იას შორის დადებული წილთა დათმობის ხელშეკრულებების გათილად ცნობის მოთხოვნით, რათა ე. წ. მცირე აქციონერთა ინტერესების გათვალისწინებით, სს-ის წილები სხვა საზოგადოებებში ერთ-ერთ პარტნიორს არ გადასცემოდა, მოპასუხეს არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საზოგადოების სურვილი იყო, მერიისათვის წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ დაბრუნება.*

*განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის გათვალისწინებით, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხეს, როგორც იმხანად სს-ის 50,1 %-ის მფლობელ მაჟორიტარ აქციონერს, სამი სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში სს-ის კუთვნილ წილზე იურიდიულად ჰქონდა უფლება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი იურიდიული შედეგის სააქციო საზოგადოების ფაქტობრივ წინაპირობად გამოყენება მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც დასახელებულ დავაში მოსარჩელესთან ერთად მოპასუხის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობდა, თითქოსდა მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრების გამო, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნით, დაუსაბუთებელია პროცესუალურსამართლებრივი და ქედან გამომდინარე, მატერიალური საფუძვლის გათვალისწინებით*[32].

პრინციპულად განასხვავებენ **ე. წ. „შესრულების კონდიქციას“ და ე. წ. „არაკონდიქციას“ (condictio - ქონებრივი მოძრაობის უკუქცევა). „შესრულების კონდიქცია“ (განსაკუთრებით კი სკ-ის 976-ე მ.)** ეფუძნება ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეების მიერ გამიზნული ვალდებულებითი ურთიერთობა ქონების გადაცემის მიზნით გაქრა ან არ შედგა. **„არაკონდიქცია“ კი (განსაკუთრებით სკ-ის 991-ე მ.)** მოიცავს შემთხვევებს, რომლებიც დგას გამიზნული თუ არსებული ვალდებულებების წარმოშობის ფარგლებს გარეთ, ანუ, პირველ რიგში, იმ შემთხვევებს, როდესაც პირადი ჩარევით მოხდა ქონების მოძრაობა“.[33]

კანონის სტრუქტურა ერთმანეთისაგან არ განაცალკევებს ამ ორი კონდიქციის სახეს. **სკ-ის 976-981-ე მუხლების** მოთხოვნები ორივე ფორმას შეესაბამება. **982-985-ე მუხლები** განიხილავს **არაკონდიქციას,** ხოლო **986-ე, 989-ე და 990-ე მუხლები** მოიცავს, აგრეთვე, შესრულების კონდიქციის შემთხვევებსაც. რამდენადაც შესრულების კონდიქციის შემთხვევებში აღმჭურველი უფლების (უფლება, რომელიც ახალ უფლებას წარმოშობს ან არსებულ უფლებას ცვლის) გამოყენება (მაგალითად შეცილების) გამოიწვევს ვალდებულებითი ურთიერთობის

---

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე, (2016), თბილისი, 2018; საქმე #ას-341-326-2016 http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/ (http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx)

[33] ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 76. HTTP://WWW.library.court.ge/upload/gtz2009-GE-anspruchsgrundlagen_law.pdf

გაუქმებას. საჭიროა, პირველ რიგში, შემოწმდეს, ხომ არ გამომდინარეობს თვით ვალდებულებითი ურთოიერთობიდან სამართლებრივი გაწონასწორების უფრო უკეთესი პირობები, მაგალითად, როგორც ეს ხდება საგარანტიო უფლებების შემთხვევაში"[34].

თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ **(საქმე №2ბ/164-13 26 ივნისი 2013 წელი)**, განმარტა, რომ: *უსაფუძვლო გამდიდრების დროს მოსარჩელეს არა აქვს უფლება მოითხოვოს მისი შესრულების სრული ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, ძირითადი კრიტერიუმია, თუ რამდენად გაუმჯობესდა მოპასუხის მდგომარეობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბინაში სარემონტო სამუშაოების შესახებ არსებული ტექნიკური მონაცემები ნასყიდობის ხელშეკრულებამდე და ბინის მესაკუთრისათვის დაბრუნების მომენტში. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია ბინაში სარემონტო სამუშაოების შესახებ არსებული ტექნიკური მონაცემები მესაკუთრისათვის ქონების დაბრუნების მომენტში. ამასთან, მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები, რასაც დავის გადაწყვეტისათვის, კერძოდ უსაფუძლო გამდიდრების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.*

*სამართლებრივ დასაბუთებაში აღინიშნა, რომ: არასახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოიშობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვალდებული პირის სურვილისაგან დამოუკიდებლად. უსაფუძვლოდ გამდიდრების მიზანია უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა.*

**ქონების უსაფუძვლოდ შეძენა** ქონების გაზრდაა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. უმეტესად, ქონების ასეთ გაზრდას ადგილი აქვს ბათილი გარიგების შესრულების, ვალდებულების ხელმეორედ შესრულების შემთხვევებში და სხვ. **ქონების უსაფუძვლო დაზოგვას** კი ადგილი აქვს მაშინ, როცა იმ პირის ქონება, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ვალი, კი არ მცირდება, არამედ უცვლელი რჩება, რადგან ეს ვალი შეცდომით ან სხვა მიზეზით სხვამ გადაიხადა[35]. მაგალითად, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კომუნალური დავალიანება შეცდომით გადაიხადა მეორე, მსგავსი დასახელების კვლევითმა ცენტრმა, ცხადია, ამ უკანასკნელს უკან უნდა დაუბრუნდეს სხვა პირის ანგარიშზე გადახდილი თანხა, რომ მეორე მხარე უსაფუძვლოდ არ გამდიდრდეს. ერთი მხარის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ან დაზოგვა, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ ხდება ერთი და იგივე მიზეზის საფუძველზე და ეს მიზეზი ან მოქმედება შეიძლება იყოს, ან კიდევ ხდომილება. პირველის მაგალითად შეიძლება ზემოთ მოტანილი მაგალითი, ხოლო მეორეს შემთხვევად, მაგ; როცა წყალდიდობის დროს მდინარის პირას სოფლის მცხოვრებლების ცალ-ცალკე მოგროვებულ შეშას სტიქია აურევს ერთმანეთში და სხვ. შევნიშნავთ, რომ ხდომილებებისას უსაფუძვლო გამდიდრების მაგალითებს იშვიათად ვხვდებით. პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა უსაფუძვლოდ პირის გამდიდრება მესამე პირის შეცდომით ხდება. მაგ; გამომცემლობამ მწერალს შეცდომით ჩაურიცხა სხვა მწერლის თანხა, საწარმომ იდენტური სამოქალაქო სახელის მქონე ერთი პირის ხელფასი, რომელიც მეორისაზე უფრო მაღალი იყო, - მეორეს ჩაურიცხა და ა. შ.

---

[34] იქვე.

[35]. შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 354.

უსაფუძვლოდ გამდიდრების მაგალითებს ვხვდებით პირების მართლზომიერი მოქმედებების განხორციელებისასაც, ანუ ქონების შეძენის ან დაზოგვის მომენტში პირმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ნივთი ან სხვა მატერიალური ფასეულობა მას უსაფუძვლოდ გააჩნია. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლო გამდიდრებისას, როცა სხვისი ქონება, ფული ან სხვა სიკეთე სხვის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაგრამ ის მას არ ეკუთვნის, კანონი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ეს პირი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. იგი ყოველთვისაა ვალდებული (იმ მომენტიდან, როცა გაიგო, ან უნდა გაეგო), რომ სხვას დაუბრუნოს ის, რაც ამ პირს (დაზარალებულს) მოაკლდა იმის გამო, რომ მისი ფული, ქონება და სხვ. ამ პირის უკანონო მფლობელობაში იყო.

**სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის** ყურადღებას ამახვილებს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლის გამოც უკან უნდა დაბრუნდეს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით სხვისთვის გადაცემული ქონება.: **ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. გარიგების ბათილობას** მაშინ ექნება ადგილი, თუ მაგალითად, გარიგება დაიდო მხარდაჭერის მიმღებ პირთან, არასრულწლოვანთან, როცა მას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდებოდა და ეს უკანასკნელი არ იწონებს მესამე პირთან არასრულწლოვანი შვილის მიერ დადებულ გარიგებას; ან კიდევ, გარიგება არსებობს, მაგრამ მისი უკანონობის გამო აღარ არსებობს, გაბათილდა. მოვიშველიოთ **სკ-ის 61-ე მუხლი:** „უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან“. მას მოწონებაც კი ვერ აქცევს ნამდვილად. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ვალდებულება დასახულ მიზანს ვერ აღწევს: ვალდებულება ან საერთოდ არ არსებობს, ან სინამდვილეში ეხება არა შემსრულებელს, არამედ მესამე პირს, ანდა თავიდანვე სამართლებრივი ძალია არმქონეა (მაგალითად, ვალდებულების დამდგენი ხელშეკრულების ბათილობა ფორმის დაუცველობის ან შეცილების გამო....)[36]. ამ დროს უნდა მოხდეს გადაცემულის უკან დაბრუნება. „იგივე მდგომარეობაა, როცა გაუქმდება ის კონკრეტული მიზეზი, რომლის გამოც ერთი პირი მეორე პირს უხდიდა განსაზღვრულ თანხას. მაგალითად, ნივთის დაკარგვის შემთხვევაში შემნახველი პატრონს უხდის ნივთის ღირებულებას, მაგრამ თუ ნივთი მოიძებნა და დაუბრუნდა პატრონს, იგი ვალდებულია შემნახველს დაუბრუნოს ნივთს ღირებულების ანგარიშში მიღებული თანხა. მსგავს შემთხვევებში კრედიტორს მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნია, იგი ფაქტობრივად არ არის კრედიტორი და სწორედ ამის გამო კანონმდებელი მას „ვითომ-კრედიტორს“ უწოდებს. უსაფუძვლო ნორმებიდან გამოდინარე ვითომ-კრედიტორი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული შეწყვეტილი ხელშეკრულების საფუძველზე მეორე პირისათვის გადაცემული ქონება, ფული და სხვ. მაგ; ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის განხორციელებული ქონებრივი ღირებულების გადაცემის გამოთხოვა განქორწინების შემდეგ. ვითომ-კრედიტორი ვალდებულია დააბრუნოს აგრეთვე ვალდებულების შესრულების ანგარიშში მიღებული თანხა ან სხვა ქონება, თუ ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე მისგან კონტრაჰენტისათვის რაიმეს მოთხოვნის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად არ არსებობს ვალდებულება ანუ შესაგებელმა გამორიცხა ვალდებულება[37].

---

[36] კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 594

[37] შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 356

„რა შეიძლება ჩაითვალოს გამდიდრებად. ეს არის ყოველგვარი სანივთო ან პირადი უფლების შეძენა: საკუთრების, გირავნობის უფლება, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, ასევე რაიმე უფლების მომავალში მიღების უფლება ან უფლების გაძლიერება (მაგ. რიგითობის გაუმჯობესება იპოთეკაში). გამდიდრებად ჩაითვლება აგრეთვე მფლობელობა. ქონების გაუმჯობესება არის არა მხოლოდ მისი გაზრდა, არამედ ვალებისაგან მისი განთავისუფლება, ან ვალების შემცირება (მაგ. კრედიტორის მიერ უარის თქმა თავის მოთხოვნაზე). ქონებრივ შეღავათად ჩაითვლება ასევე ქონების დაზოგვა, თუკი ხარჯები გაღებულ იქნებოდა, დაზარალებულის (კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორის) შესრულებას რომ არ ჰქონოდა ადგილი“[38].

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დავის საგანზე-გამანაწილებელი ქსელისათვის იმპორტირებულ მთელ ელექტროენერგიაზე გაწეული დისპეჩერიზაციის და გადაცემის მომსახურების საფასურის სრული ღირებულების გადახდის შესახებ, - განმარტა, რომ: შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შეწყდა. შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა. კანონისმიერი ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ/არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. მითითებულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს. შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასაა დასაშვები. ნივთის ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო; ამასთანავე, როგორც მატერიალური (სკ-ის 976-ე მუხლი), ისე საპროცესო (სსსკ-ის 102-ე მუხლი) ნორმის თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება.... იმ ვითარებაში, როდესაც სს „ს. ს. ე.“, მის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე, ამტკიცებს რომ სადავო ნივთი მას არ მოუხმარია, დასაწყობებულია და შესაბამისად, ნივთის გადაცემით იგი არ გამდიდრებულა, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ ნივთი მართლაც დაამონტაჟა, ამ დამონტაჟების შედეგად გაუმჯობესდა მოპასუხის ქონებრივი მდგომაროება და მან დაზოგა შესაბამისი მატერიალური სახსრები[39].*

3. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა; იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა

---

[38] მოსამართლეთა სემინარი სამოქალაქო საქმეზე, გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, ექსპერტი ბატონი პეტერ ლიუტრინგჰაუსი, ბრემენის მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, სასტუმრო „ვილა პარკი“, ბაკურიანი, 18-21 ოქტომბერი, 2007 წელი, 171, http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1

[39]საქმე №2ბ/2994-16, 2016 წლის 13 ივლისი.

სამოქალაქო კანონმდებლობა ისეთ შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როცა ვალდებულების შესარულებლად გადაცემულის უკან გამოთხოვა გამორიცხულია და ასეთ კანონისმიერ შემთხვევებს **სამოქალაქო კოდექსის 976-ემუხლის მე-2 ნაწილი** პირდაპირ ითვალისწინებს, კერძოდ: **ა) შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს** (მაგალითად, მშობელმა, რომელმაც არ იცოდა რა, რომ მას არ ევალებოდა 18 წელს (სრულწლოვანების მიღწევისას) მიღწეული შვილისათვის ალიმენტის გადახდა, იგი მას უხდიდა 20 წლამდე, არ იცოდა რა, რომ კანონი მას შვილისათვის 18 წლის შესრულების შემდეგ ალიმენტის გადახდისაგან ათავისუფლებდა, - ვერ მოითხოვს შვილისაგან ვთქვათ, 2 წლის განმავლობაში გადახდილი ალიმენტის უკან დაბრუნებას, რადგან კანონი თვლის, რომ ეს მშობლის ზნეობრივი (მორალური) მოვალეობაა და სულაც არ აქვს ადგილი შვილის მხრიდან უსაფუძვლო გამდიდრებას; ან კიდევ, განქორწინებული მეუღლე მეორე მეუღლეს უხდის მკურნალობის ხარჯებს 1 წლის განმავლობაში და მეუღლის გამოჯანმრთელების შემდეგ სთხოვს ამ თანხის დაბრუნებას. ამ შემთხვევაშიც ზნეობრივ ფაქტორებთან გვაქვს საქმე და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან“ **(სკ, მ. 1183);** ან კიდევ: როდესაც როდესაც ნათესავი ვალდებულების არქონის გამო მაინც ეხმარება მატერიალურად გაჭირვებულ ნათესავს, რომელსაც ოპერაცია სჭირდება. ცხადია, დახმარების გაწევის შემდეგ იგი ვერ გამოითხოვს დახმარების საჭიროების მქონე პირისაგან მკურნალობაში მისთვის გადახდილ თანხას და იგი ცხადია ვერ დაეყრდნობა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილს და ვერ გამოითხოვს გადაცემული დახმარების (თანხის) უკან დაბრუნებას[40]; **ბ) გავიდა ხანდაზმულობის** ვადა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა უმნიშვნელოვანესი შემთხვევაა, როდესაც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასულია და მოვალე ხანდაზმული მოთხოვნის მიუხედავად ასრულებს მოვალეობას. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირს შეუძლია ვალდებულება არ შეასრულოს (მაგალითად, 3 წლის {სპეციალური ვადის} გასვლის შემდეგ) არ გადაიხადოს ვალი, ან კიდევ საერთო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ პირმა შეცდომით დადებული გარიგებით მიღებული სარგებელი უკან აღარ დააბრუნოს; სამოქალაქო კანონმდებლობა ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადებს იცნობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, რომლის გასვლის შემდეგაც პირი შესასრულებელი ვალდებულებისაგან (ჩვენს შემთხვევაში ნივთის უკან დაბრუნებისაგან) თავისუფლდება; **გ)მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა 976-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობები**[41] და, **დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.** აღნიშნული პუნქტით დარეგულირებული შემთხვევები იშვიათია „და ძირითადად ქონების მიმღების კეთილსინდისიერებით არიან განპირობებული“[42]. მაგალითად, პირმა საკრედიტო დაწესებულებიდან გამოიტანა კრედიტი შვილის ნათლობის აღსანიშნავად ან კიდევ ქორწილის გადასახდელად. კრედიტის ვადა განისაზღვრა სამი წლით. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ მიზნით კრედიტს ბანკი არ გასცემდა და საკრედიტო

[40] საქმე №ას-987-945-2013.

[41] ჩვენ ამ პირობების შესახებ 976-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტირებას ვისაუბრეთ და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ შევეცდებით.

[42] შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 356

ხელშეკრულება გაბათილდა. **ამ შემთხვევაში კანონი იცავს თუ არა ნაწილობრივ მაინც კრედიტის ამღებს, თუ მას არ შეეძლება კრედიტის ერთდოულად დაფარვა?** იგი ბუნებრივია ვალდებულია დააბრუნოს კრედიტი, მაგრამ ამავე დროს უფლებამოსილია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კრედიტის ამღების უფლებები კრედიტორზე მეტადაა დაცული, როგორც იტყვიან, ხანდახან „სამოქალაქო კოდექსის მზე მოვალესაც დაჰნათის". უკანდაბრუნების დაუყოვნებლივი მოთხოვნის შემთხვევას ამ და მსგავს შემთხვევებში იმიტომ არ ექნება ადგილი, რომ ვალდებული პირი კეთილსინდისიერი ქცევის პრინციპით მოქმედებს, მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერ მოქმედებას ადგილი არ აქვს, იგი ვალდებულების პოტენციური შემსრულებელია და უკანდაბრუნების დაუყოვნებლივი მოთხოვნის უფლებაც კრედიტორის მხრიდან მსგავს შემთხვევებში გამორიცხულია.

**„სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი** ითვალისწინებს სპეციალური შემთხვევების რეგულირებას, როდესაც ვალდებულების გარეშეც შესრულების მიზანი არის ცალმხრივად შედეგის დადგომა, მაგალითად, სხვისთვის თანხის გადაცემა სწავლის საფასურის გადახდის, ვალის დაფარვის, საცხოვრებელი ბინის, ან მედიკამენტების შეძენის, ქირის გადახდის მიზნით და ა. შ. ამდენად თუ პირი ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გადასცემს მესამე პირს რაიმე პირობით და მიმღები კისრულობს შესრულების ვალდებულებას, მაშინ მიმღების, ანუ მესამე პირის მხრიდან პირობის შეუსრულებლობა იქნება ვალდებულების დარღვევა, რაც იქნება ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. აგრეთვე, მოხდება შესრულებულისა და მის საფუძველზე მიღებული სარგებლის გამოთხოვა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის"[43]. სსკ-ის 977-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ურთიერთობის მთავარი მახასიათებლები არის: შემსრულებლის მხრიდან შესრულების ვალდებულების არ არსებობა; მიმღების მხრიდან პირობის შერულების ვალდებულება; შესრულების შედეგი უნდა დგებოდეს მესამე პირის და არა შემსრულებლის სასარგებლოდ"[44]. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლი, რომლის თანახმად, „მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლო შეწირულობა". შეწირულობის არამოზნობრივად გამოყენება ჩაითვლება სწორედ უსაფუძვლო გამდიდრებად.

მსგავსი ურთიერთობები ახასიათებს BGB-ის 812-ე პარაგრაფის I ნაწილის მე-2 წინადადება, კერძოდ თუ: „გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება", მაშინ მიმღები ვალდებული იქნება მიღებული დაუბრუნოს შემსრულებელს. ამდენად, თუ მიმღები შესრულებულის საფუძველზე კისრულობს დათქმული პირობის შესრულების ვალდებულებას, შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს გადაცემული გამოითხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე. გამოთხოვის უფლება შეზღუდულია თუ შედეგი ვერ დადგა, თუმცა მიმღების ბრალეულობა არ არსებობს[45].

სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი (ნ.1) არეგულირებს შემთხვევას, როდესაც „პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ შედეგს".

---

[43] ჩიტოშვილი თ; უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, თეორიისა და პრაქტიკის ჭრილში, თბილისი, 2019, 67-68

[44] იქვე

[45] დაწვრ. იხ. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 13-ე გადამუშავებული გამოცემა, მთარგმნელები: დარჯანია თ; ჭეჭელაშვილი ზ; GIZ, IRZ, თბ; 2014

*მაინც რას გულისხმობს აღნიშნული ნორმა?* როგორც ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა, პირისათვის რაიმეს (ქონება, ფული) გადაცემა მიზნად ისახავს, რომ ამ უკანასკნელმა უნდა შეასრულოს არა ვალდებულება, არამედ უნდა შეასრულოს რაიმე მოქმედება ან პირიქით, არ უნდა შეასრულოს მოქმედება და იგი უფლებამოსილია გადაცემულის გამოთხოვაზე, თუ მეორე პირის მოქმედება მოსალოდნელ მიზანს, რასაც იგი ითვალისწინებდა - არ შეესაბამება. „მიზნის მიუღწევლობა ასეთ შემთხვევაში უთანაბრდება ქონების მიღების უსაფუძვლობას. **შეიძლება ასეთი მაგალითის მოტანა: ა. და ბ. უშვილო დეიდასთან ცხოვრობდნენ. დეიდას სხვა ახლობელი არავინ არ ჰყავდა. იგი ა-ს დაპირდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ქონებას ანდერძით მიიღებდა. ამ ფაქტით გახარებული ა. არემონტება სახლს, შეიძინა ავეჯიც, მაგრამ დეიდის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთელი ქონება მან ა-ს კი არ დაუტოვა, არამედ, მის ძმას - ბ.-ს. ა. უფლებამოსილია ბ.-საგან გამოითხოვოს სახლზე გაწეული დანახარჯები, ხოლო შეძენილი ავეჯის გამოცალკევება მას შეუძლია. მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს შემთხვევას, როცა „უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: ა. მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა", ან ბ. გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი. ან კიდევ: „ა"-მ დაწერა ანდერძი, რომლითაც იგი შორეულ ნათესავ „ბ"-ს უტოვებდა თავის უძრავ ქონებას. „ბ"-მ გარკვეული ხარჯები გასწია ამ ქონების გასაუმჯობესებლად იმ მოტივით, რომ ეს ქონება მას დარჩებოდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ „ა"-მ თავისი გადაწყვეტილება შეცვალა აღნიშნული ქონება საჩუქრად ძმისშვილს გადასცა. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში „ბ" უფლებამოსილია 977-ე მუხლის მოითხოვოს უძრავ ქონებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რათა „ა" უსაფუძვლოდ არ გამდიდრდეს.**

*საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირსგადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს.*

*აღნიშნული ნორმა ადგენს შესრულების კონდიქციის ერთ-ერთ შემთხვევას შესრულების დაბრუნებას მიზანთან შეუსაბამობის გამო. ამ ნორმის საფუძველზე, პირს შეუძლია უკან გამოითხოვოს ქონება, რომელიც სხვა პირს იმ ვარაუდით გადასცა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ მოქმედებას შეასრულებდა, ამასთან 977-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ცალმხრივ მიზანს ითვალისწინებს, რომელიც მიმღებს მხედველობიდან არ უნდა გამოპარვოდა, ამდენად ამ ნორმის საფუძველზე აღნიშნული ნორმა ადგენს შესრულების კონდიქციის ერთ-ერთ შემთხვევას, შესრულების დაბრუნებას მიზანთან შეუსაბამობის გამო. ამ ნორმის საფუძველზე, პირს შეუძლია უკან გამოითხოვოს ქონება, რომელიც სხვა პირს იმ ვარაუდით გადასცა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ მოქმედებას შეასრულებდა, ამასთან 977-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ცალმხრივ მიზანს ითვალისწინებს, რომელიც შესრულების მიმღებს მოქალაქისთვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მერია კონკრეტულ დანახარჯებს სადავო ქონების საკუთრებაში მიღბის ვარაუდით ახორციელებდა.*

*საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს გარემოება სათანადოდ არ არის გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია. კერძოდ, ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყველა ხარჯი, რომელიც მერიამ გაიღო, რემონტის ხარჯების ჩათვლით, მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი ვიზუალური მხარის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. რემონტის ხარჯების გაღების დროისათვის და შემდგომი სამი წლის განმავლობაშიც კი შესაბამისი მუზეუმი ფუნქციონირებდა, ამასთან, ვინაიდან მოცემულ საქმეზე ჩუქების*

*ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იკვეთება, სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა, რამდენად მართებულია 977-ე მუხლის საფუძველზე თანხის დაბრუნების მოთხოვნა დასაჩუქრებული პირის მიმართ.*

**სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლი** ყურადღებას ამახვილებს „კიდევ ერთ სპეციფიკურ მომენტზე, რომლის დროსაც ქონების მიღების მართლზომიერების ხარისხზეა დამოკიდებული კონდიქციური ვალდებულებების წარმოშობა. ამ შემთხვევაშიც არ არის მხედველობაში ქონების გადაცემა ვალდებულების შესასრულებლად. „პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე“.

საერთოდ, „ნების ნაკლის გამო გარიგებების ყველაზე მძიმე და ყველაზე მკაცრ ფორმას იძულებით დადებული გარიგებანი წარმოადგენს“[46]. **სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლით** გარიგების დადების მიზნით იძულება ძალადობა ან მუქარა, რომელიც ანიჭებს პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას, ხორციელდება ან ფიზიკური ან კიდევ ფსიქიკური ზემოქმედების ფორმით[47]. **სსკ 978 მუხლის** შემთხვევაში ადგილი არ აქვს ქონების გადაცემას რაიმე ვალდებულების შესასრულებლად, არამედ ერთი პირი მეორეს, სხვას გადასცემს რაიმე და ეს, ამ შემთხვევაში ნების თავისუფალი გამოვლენით კი არ ხდება, არამედ, მუქარის, იძულების საფუძველზე და პირიც იძულებულია მაიძულებელს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გადასცეს ქონება. დაზარალებული უფლებამოსილია მოძალადეს მოსთხოვოს ასეთი გზით მიღებულის უკან დაბრუნება. მაგრამ კანონი გამონაკლისებსაც შეიცავს აღნიშნულ ნორმაში, კერძოდ, უკან გამოთხოვა დაუშვებელია, „როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე“. გამოდის, რომ „თუ იძულებით ან მუქარით მიღებულ ქონებაზე მის მიმღებს უფლება გააჩნდა, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ ქონება არამართლზომიერი გზითაა მიღებული, მისი უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია“[48].

---

[46]ჭანტურია ლადო., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 379.

[47].ხარაზი ი., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა), თბილისი, 2014, 403; ხარაზი, ი; სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა), თბილისი, 2015, 453.

[48]. შენგელია რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბილისი, 2001, 358.

**რეზიუმე**

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების სამართლებრივი მოწესრიგება თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ამომწურავად მოაწესრიგებენ ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ გამდიდრებულის ვალდებულებებსა და მეორე მხრივ, უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) უფლებებს. „ქონებრივი მასების გადადინების უკუქცევა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ის წარმოადგენს არა მარტო სანივთო, ან ვალდებულებითი სამართლის პრობლემას, არამედ შეიძლება აქტუალური გახდეს კერძო-სამართლებრივ ნებისმიერ ურთიერთობაში. სტატიაში გამოკვეთილია სპეციფიკურ მომენტი, რომლის დროსაც ქონების მიღების მართლზომიერების ხარისხზეა დამოკიდებული კონდიქციური ვალდებულებების წარმოშობა. ამ შემთხვევაშიც არ არის მხედველობაში ქონების გადაცემა ვალდებულების შესასრულებლად. „პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე და სტატიაში განხილულია სხვა აქტუალური პრობლემები დაკავშირებული უსაფუძვლო გამდიდრებასთან.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფუძვლი გამდიდრება, კაუზალურ სისტემაზე დამყარებული რეჟიმი, შესრულების კონდიქცია, ხელყოფის კონდიქცია, აბსოლუტური ურთიერთობა, რელატიური ურთიერთობა.

**Ia Kharazi, Ani Damenia**

**About some Legal Aspects of Ungrounded Enrichment (Comparative-Legal Analysis)**

**Summary**

Legal regulation of liabilities arising from ungrounded enrichment is a crucial task in modern civil law. To ensure this, most developed countries are trying to create legislation that exhaustively regulates, on the one hand, the obligations of the ungroundedly enriched and, on the other hand, the rights of the authorized person (creditor). "Reversing the transfer of property is one of the most important functions of civil law. It is not only a problem of commodity or obligation law, but can become relevant in any private-law relationship. The article highlights a specific point at which the occurrence of condictive liabilities depends on the degree of legality of the acquisition of the property. Even in this case, the transfer of property to fulfill the obligation is not taken into account. "A person who transfers something to another person not out of obligation but out of coercion or threat can demand its return, unless the recipient was entitled to the transfer and the article discusses other pressing issues related to ungrounded enrichment.

**Key words:** unreasonable enrichment, causal mode, performance condition, encroachment condition, absolute relationship, relational relationship.

**ია ხარაზი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University

## ფული, როგორც საბანკო ხელშეკრულებების საგანი და როგორც სამოქალაქო უფლებების ობიექტი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

*„ფული სამყაროს მართვის საშუალებაა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“*

თავისი ევოლუციის განვითარებაში ფულმა განვლო ხანგრძლივი გზა კონკრეტული ფასეულობებიდან (ცხოველები, ტყავები, მოკაზმულობა) ვირტუალური ფულის ერთეულამდე (ელექტრონული იმპულსები).

„ფულს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეულებიც მუდმივად იცვლებოდა. მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია.

თავდაპირველად ეს იყო უბრალოდ ნატურალური გაცვლა. ადამიანების პირველყოფილი საქმიანობის – ნადირობისა და შემგროვებლობის - უფრო ეფექტური საქმიანობით ჩანაცვლებამ განაპირობა გაცვლის საჭიროება ერთი საქონლისა მეორეზე, რომელიც დღემდე „ბარტერის“ სახელით შემოინახა.

გასაცვლელი საქონლის სახეობების ზრდამ, მისმა მალფუჭებადობამ და დროითმა დანაკარგებმა განაპირობეს ნატურალური გაცვლითი ოპერაციების გართულება. კომპანიონის მოსაძებნად, რომელსაც ხელს აძლევდა შემოთავაზებული საქონლის საკუთარ საქონელში გაცვლა, იკარგებოდა დიდი დრო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს ვეღარ აკმაყოფილებდათ საქონლის ნატურალური გაცვლა ანუ ბარტერი და გადაწყვიტეს მოეფიქრებინათ ისეთი უნივერსალური გადახდის საშუალება, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელი იქნებოდა მიეღოთ ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება. მოიფიქრეს და განახორციელეს კიდეც. ეს საშუალება იყო – ფული (ლათ. follis - ჩახვი, ანუ მცირე ტუნკია, ტომსიკა, ტომარა, რომელში ინახებოდა 40 ცალი სპილენძის მონეტა ნუმი)“[1].

ფულის ისტორიკოსები გამოყოფენ ფულის გამოყენების სამ პერიოდს, მიმდინარე ცვლილებების რევოლუციური ხასიათის ხაზგასმით და მათი ზემოქმედებით საერთო-კულტურულ და საერთო-ეკონომიკურ პროცესებზე.

პირველი პერიოდი იწყება ლიდიაში (დასავლეთი აზია, სადაც დღეს ახლა თურქეთია) თითქმის სამი ათასი წლის წინათ და იქმნებოდა ღია და თავისუფალი ბაზრის პირველადი სისტემა.

მეორე პერიოდი იწყება იტალიაში ინდუსტრიულ რევოლუციამდე ბანკების გამოჩენით და თანამედროვე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შექმნით. გადარიცხვის ვექსილებმა შექმნეს ახალი, ქაღალდის ფული, ფიზიკური შეზღუდვების ნგრევით, დაკავშირებული ლითონის მონეტებთან. ბანკების სისტემების და ქაღალდის ფულის გამოჩენამ დააანგრია ფეოდალიზმი, შეცვალა ეკონომიკური ძალაუფლების სისტემა მიწის მფლობელობიდან აქციების და კორპორაციების მფლობელობამდე. მოცემული ეტაპის დასრულება აღინიშნა ოქროს სტანდარტის გაუქმებით.

[1] „ფულის ისტორია“, https://ka.wikipedia.org/wiki/ , მოძიებულია: 5/5/2020

ამ დროისათვის მსოფლიო გადადის მონეტარული ისტორიის მესამე ეტაპზე - ელექტრონული ფულის და ვირტუალური ისტორიის ერაზე. ჯ. ვეზენფორდი თვლის, რომ: „ელექტრონული ფული გამოიწვევს საზოგადოებაში ისეთივე რადიკალურ და შორს მიმავალ ცვლილებებს, რომლებიც იყვნენ შექმნილი წინა ორი სამონეტო რევოლუციებით თავის დროს“[2].

„ელექტრონული ფულის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომპანია DigiCrash-ის (ჰოლანდია) მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა (1994 წ.). პირველი ელექტრონული გადახდა DigiCrash-ის მეშვეობით განხორციელდა 1994 წელს (https://bit.ly/2LS7zts). პირველი ელექტრონული ბანკი გაიხსნა 1984 წელის ოქტომბერში ერთი მილიონი არაუზრუველყოფილი კიბერერთეულით (https://bit.ly/2KrMuAA). ექპერიმენტმა გაამართლა. 1996 წელს ამ პროექტით დაინტერესდნენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: Visa, Mastercard, Microsoft. უკვე 1997 წელს მსოფლიოში არსებობდა ელექტრონული ფულის 150-ზე მეტი პროექტი (https://bit.ly/2KrMuAA)“[3]. ელექტრონული ფულის ძირითადი ამოცანაა ისეთი უნივერსლური საგადამხდელო სისტემის შექმნა, რომელიც დააკავშირებს საქონლისა და მომსახურების მყიდველსა და გამყიდველს. მისი გამოყენებით შესაძლებელია დისტანციურად კომპიუტერის საშუალებით საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდა, გარიგების გაფორმება, საწარმოო-კომერციული საქმიანობის წარმოება და სხვ[4].

შეუძლებელია უარყო პრინციპული განსხვავება ელექტრონული (უნაღდო) ფულისაგან, რომლებიც არსებობენ ნივთების (ბანკნოტების და მონეტების) სახით, რომლებიც იდენტური ფუნქციის მატარებელია, როგორც ფული „მატერიალური სახით“. დღეს უკვე აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ელექტრონული ფული (კრიპტოვალუტა), ისევე როგორც ნებისმიერი ფულადი ერთეული, წარმოადგენს საქონელს, სამოქალაქო ბრუნვის საგანს და, ამდენად, მისი მიმოქცევაც ემყარება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს, რაც საბოლოოდ გამოიწვევს კრიპტოვალუტის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასა და მისი ღირებულების შემცირებას.

ლ. ა. ლუნცი, როგორც ფულადი ბუნების და ფულადი ვალდებულებების კლასიკური ნაშრომების ავტორი აღნიშნავდა: „ფულის საერთო იურიდიული გაგების გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ ფუნქციის ანალიზით, რომელსაც ასრულებს ფული სამეურნეო ცხოვრებაში“, „ფულის ეკონომიკური გაგება ყოველთვის რჩება იურიდიული განსაზღვრის ხარვეზების შევსების წყაროდ“[5].

გარკვეულ პირთა ხელში ფული შეიძლება დაგროვების საშუალება იყოს, ვიღაცის ხელში კი საქველმოქმედო და მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელების საშუალება.

ფული წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, უნივერსალური საქონლის, კეთილდღეობის განსაკუთრებულ სახეს, სრულყოფილი ლიკვიდურობის მქონე ფუნქციების შემსრულებელს (საყოველთაო ეკვივალენტის) ან ანგარიშის განხორციელების საშუალებას გაცვლის დროს (გაცვლითი საშუალება). ფულის დანიშნულება მდგომარეობს საბაზრო ურთიერთობების დანახარჯების ეკონომიკაში. ფულის როლი გამოიხატება მათ ფუნქციებში,

---

[2] Везерфорд Дж. История денег: Борьба за деньги от песчаника до киберпространства. М, 2001, 7.

[3] დემურ სიჭინავა, მურთაზ მაღრაძე, „ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 117, http://eprints.tsu.ge/1599/1/Preconditions%20and%20problems%20of%20transition%20to%20electronic%20money.pdf

[4] იქვე

[5] Лунц Л. А. Деньги и денежные обязательства в гражданском праве. М., 1999, 24

რომლებიც გამოხატავენ შინაგანი ფულის შემცვლელობას (ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება, დაგროვების საშუალება და მსოფლიო ფული).

აქვე აღვნიშნავდით, რომ „საფინანანსო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი ობიექტი ყოველთვის ფულია. სამართლის სხვა დარგის მოწესრიგებულ ურთიერთობებშიც შეიძლება ობიექტი ფული იყოს, მაგრამ იქ ფულთან ერთად სხვა ობიექტები წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა ელემენტს და, გარდა ამისა, სხვაგან ფულს უმეტესად საკუთარი ღირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია“[6].

ეკონომისტები აღიარებენ ფულის განსაზღვრის სიძნელეებს: „ვინაიდან ფული წარმოადგენს ყველაფერს, რაც, ფულად ურთიერთობათა პრაქტიკაში ღებულობს სხვადასხვა ფორმებს. ამას გარდა, საბანკო სფეროში ტექნოლოგიური ცლილებები იწვევს ფულის ფორმის ცვლილებებს. ამ მიზეზებით ძნელია ზუსტად განსაზღვრო რა არის ფული და განიზომოს ფულის მასა“[7]. დონალ კემპბელის შეხედულებით, ყველაზე უტყუარი განსაზღვრებაა შემდეგი: „ფული ეს არის ფულადი აგრეგატი, რომელიც შეიცავს ნაღდ ფულს და ასევე წოდებული საჩეკო ანაბრები“[8]. ფული არის გადახდის საშუალება, ინსტრუმენტი, სიმბოლო ან საგანი (ლითონის ან ქაღალდის), რომლის მეშვეობით ხდება ანგარიშსწორება, ფასეულობების გადაცემის დროს ერთი პირისაგან მეორესათვის.

ფულადი ვალდებულების ფულით შესრულება, ვალის გადახდა ფულით, გადასახადის ფულადი სახით გადახდა კანონით დგინდება, რომლებიც განსაზღვრავენ მათ, როგორც კანონიერ საგადასახადო საშუალებას და, მაშასადამე, აძლევს მოვალეს ნებას მათ შემოთავაზებაზე თავისი დავალიანების დასაფარავად. სტაბილური ფულის მთავარი ხარისხი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს მოსახლეობა და ეკონომიკური სისტემა, - ეს მათი ღირებულების მდგარადობაა. აქ მხედველობაში არა მხოლოდ ფულის დეკლარირებული მდგარადობა იგულისხმება, არამედ მათი შესყიდვითი საშუალებები, ე. ი. ღირებულებები, გამოსახული საქონლით და მომსახურებით. თანამედროვე მონეტარული თეორია აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ფულადი სიტემის მართვისას მთავრობის მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს არა ფულის ექსპლოატაციაში ან მათ თავისუფალ მიმოქცევაში, არამედ ნეიტრალური ფულის უზრუნველყოფაში მათი ფუნქციების შესრულებისას: უპირველესად, როგორც ღირებულების საზომი, მეორე- როგორც მიმოქცევის საშუალება, მესამე- როგორც გადახდის საშუალებები და მეოთხე- როგორც დაგროვების საშუალება. ფულადი მასა“ („ფულადი ბაზა“) - ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება არა მარტო ის ფული, რომლებიც მიმოქცევაშია (ნაღდი ფული), არამედ საბანკო შენატანებიც (მოთხოვნამდე დეპოზიტები, საბანკო სისტემის საერთო რეზერვები), რომლებიც არიან თანამედროვე საკრედიტო სისტემებში გადახდის ძირითადი საშუალება.

ფულად მიმოქცევას (მეტალის მონეტები და ქაღალდის ფული) აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მოთხოვნამდე შენატანებთან შედარებით, როგორც ფულადი მასის შემადგენელ ნაწილს. უნაღდო ფულის დახმარებით (ამერიკული ტერმინი „დეპოზიტზე ვალუტა“ deposit currency) განვითარებული საფინანსო სისტემის ქვეყნებში სრულდება თითქმის 90%-ის შეთანხმებები. უნაღდო ფული თვისობრივად წარმოადგენს ელასტიური ფულის მიმოქცევის ერთადერთ სრულყოფილ სისტემას, რომელიც ავტომატურად ფართოვდება საქმიანი

[6] შენგელია რ; საფინანსო სამართალი, თბილისი, 2009, 100

[7] Миллер Р. Л., Ван-Хуз Д. Д. Современные деньги и банковское дело. М., 2000, 62

[8] Макконел К. Р., Брю С. Л. Экономикс: принципы, проблемы и политика: В 2 т. М., 1996, Т. 1; 265

აქტივობის ამაღლებით და ფასების მატებით ან მცირდება ფასების დაწევის და აქტივობის ვარდნის დროს.

ეკონომისტები, განურჩევლად იმისა, თუ რომელ თანამედროვე სკოლას ან მიმდინარეობას მიეკუთვნებიან, ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ ნაღდ და უნაღდო ფულს, ერთი ფულადი აგრეგატის M1-ში მათი გაერთიანებით.

„ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ ფულის მასის სხვადასხვა აგრეგატებსა და გაცვლით კურსს შორის კავშირზე. ამ საკითხზე ინფორმაცია ეროვნულმა ბანკმა არაერთხელ გაავრცელა. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საქართველოში, ისევე, როგორც განვითარებული მონეტარული პოლიტიკის მქონე ყველა სხვა ქვეყანაში, ფულის მიწოდება ხდება ავტომატურად ფულზე მოთხოვნის მიხედვით. ვინაიდან ეკონომიკის ზრდასთან ერთად დროთა განმავლობაში ფულზე მოთხოვნაც შესაბამისად იზრდება, ფულის აგრეგატების ზრდაც მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდას, და არა ეკონომიკისთვის ფულის ჭარბ მიწოდებას ასახავს. ინფლაციის თარგეთირების[9] რეჟიმში ყველა ცენტრალური ბანკი (მათ შორის სებ-იც), ოპერაციულ მიზნად იყენებს საპროცენტო განაკვეთს. სწორედ საპროცენტო განაკვეთის, და არა ფულადი აგრეგატების, ცვლილება აწვდის ბაზარს ინფორმაციას იმის შესახებ, გამკაცრდა, შერბილდა თუ უცვლელი დარჩა მონეტარული პოლიტიკა. რაც შეეხება სახელდობრ ფულადი აგრეგატების ცვლილებას, ის მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდასა ან შემცირებაზე მიუთითებს. შესაბამისად, მოსაზრებები, თითქოს ფულადი აგრეგატების ზრდა იწვევს ინფლაციას და/ან ლარის გაუფასურებას, მცდარია“[10]. „ინფლაციის თარგეთირების წერტილოვანი მიზნის დადგენისას ცხადი ხდება, რომ ცენტრალური ბანკის მიზანია თავი აარიდოს როგორც მაღალ ინფლაციას, ასევე მაღალ დეფლაციას (ანუ იყოს მიზანთან ახლოს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასების სტაბილურობის მიზანი სიმეტრიულია (იხ. Hammond, 2012). კიდევ სხვაგვარად რომ ვთქვათ ინფლაციის მიზნის აცილება ზედა მიმართულებით ისევე საზიანოა, როგორც აცილება ქვედა მიმართულებით (იხ. Mishkin. 2000)“[11].

„ნაღდ ფულად და უნაღდო ბრუნვას შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი: ფული მუდმივად გადადის მიმოქცევის ერთი სფეროდან სხვა სფეროში, ბანკნოტების ფორმის

---

[9] საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება პარლამენტის მიერ. 2019-2021 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 3 პროცენტს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი - ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ–ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ. ინფლაციის თარგეთირება, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538, მოძიებულია: 23/08/2020

[10] შალვა მხატრიშვილი, „ინფლაციის თარგეთირება: ძიორითადი პრინციპი, მახასიათებლები, წინაპირობები და ემპირიული შეფასებები, https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_2/I_nawili.pdf?fbclid=IwAR2KfxDbi0L0IcojwzpmG4LUCXEJdR6-hBrxJYUmiXSYZgAWJUZVJ-NCkNw, მოძიებულია: 5/5/2002

[11] იქვე

შეცვლით ბანკში დეპოზიტზე და, პირიქით, უნაღდო და ნაღდი ფული ერთობლიობაში ქმნის ქვეყნის ერთიან ფულად ბრუნვას.

ფულადი მასა თვისობრივად წარმოადგენს მსყიდველობითი და საგადასახადო საშუალების ერთობლივ მოცულობას, რომელიც ემსახურება სამეურნეო ბრუნვას, რომლებიც მიეკუთვნებიან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სახელმწიფოს.

საკრედიტო ფულმა გაიარა შემდეგი ევოლუცია: ვექსელი, აქცეპტირებული ბექსელი, ბანკნოტი, საბანკო დეპოზიტები, ჩეკი, ელექტრონული ფული, საკრედიტო ბარათები.

თუ ეკონომიკური მეცნიერების მოსაზრებით ფულს წარმოადგენს ყველაფერი, რაც კი გამოიყენება ფულის სახით, იურიდიული მოსაზრებით კი, ის, რაც ფულის სახით მითითებულია კანონში.

არისტოტელე წერდა: „ფული გახდა ფულად (nomisma) არა თავისი შინაგანი ბუნებით, არამედ კანონის ძალით (nomos), და ჩვენივე ვალდებულებაა შევცალოთ ეს მდგომარეობა და გავხადოთ იგი უსარგებლო“[12].

ფულისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სარგებლიანობის თვისებების გამო, სახელმწიფო ანიჭებს მას იურიდიულ თვისებას - იყოს კანონიერი საგადამხდელო საშუალება.

ფული, როგორც რიცხვი და კანონი, მიეკუთვნება აზოვნების კატეგორიას. ფული არ ითვლება, როგორც ნივთი, რამეთუ არ გააჩნია პირადი სამომხმარებლო ღირებულება, არის მხოლოდ სხვა საქონლის ღირებულების საზომი. ფულის გამოყენება ხდება მხოლოდ მისი რაიმეზე გაცვლითი ურთიერთობისას. ნივთის მოხმარება ეს არის მისი ბუნებრივი თვისებების გამოყენება მიზნობრივად, ფულის მოხმარება ეს არის მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების გამოყენება. ფულადი ნიშნების მიმართ მიუღებელია ისეთი გაგება, როგორც ნივთის გაყოფა, ვინაიდან აქ მხედველობაში მიიღება მისი ფიზიკური განცალკევება. ფულის ფიზიკურ განცალკევებას წარმოშობს მისი ამოღება ბრუნვიდან ფუნქციების შეუსრულებლობის გამო. ამასთანავე, ფულად ნიშნებზე შესაძლებელია გავრცელდეს მოძრავი ნივთების რეჟიმი, განსაზღვრული ნათესაური ნიშნებით. ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული ნივთების რეჟიმი ფულისათვის წარმოადგენს გამონაკლისს (ნუმიზმატიკა, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში).

ფასიანი ქაღალდებს, სავალუტო ფასეულობებს, ძვირფას ქვებს და მეტალებს, როგორც საბანკო საქმიანობის ობიექტებს, გააჩნიათ ფულადი გამოხატულება, სამართლებრივი რეჟიმის და მიმოქცევის თავისებურებები, მაგრამ ნაციონალური ვალუტისაგან განსხვავებით, არსებული უნაღდო ფორმით, არ წარმოადგენს სამეცნიერო დისკუსიის საგანს. ზოგიერთ ავტორთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება უნაღდო ფულის სამართლებრივი ბუნების შესახებ, როგორც საკუთრების სამართლის ობიექტი. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ფულს განსაზღვრავს, როგორც ნივთების ნაირსახეობას, რაც ბუნებრივია აღნიშნავს აღიარებულად სამოქალაქო სამართლის ობიექტად მხოლოდ ნაღდ ფულს. იურიდიული გაგებით, ფული გამოდის როგორც ნივთები, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული და სამოქალაქო ბრუნვაში საყოველთაო გაცვლის ფუნქციის შემსრულებელი, ისე როგორც ნივთების ბრუნვაში არსებობა არ არის კანონით აკრძალული, ასევე ფული ამ ბრუნვაში შემოდის, როგორც ნივთები დამზადებული სახელმწიფო კომპეტენტური საწარმოს მიერ და აღიარებულნი სახელმწიფოს მიერ ერთადერთ კანონიერ გადახდის საშუალებად გამოხატული ნაციონალურ ფულად ერთეულში - ნაციონალურ ვალუტაში. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლის

[12] Минервин И. Г. Реферат книги Роуботама М. Исследование современных денег, долгового рабства и деструктивной экономической теории //Банки: мировой опыт. 1999, № 1,2).

მიხედვით, „ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუკი ეს კანონით აკრძალული არ არის“. „ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის საგანს ფულადი თანხა წარმოადგენს... ფულადი ვალდებულების დროს ვალდებულება შეიძლება ეხებოდეს **ფულადი ერთეულის გარკვეულ ოდენობას,** რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ფულის მსყიდველუნაროანობას აქვს“[13]. ფულადი ვალდებულების ტრადიციული დეფინიცია გარკვეული ოდენობის ფულის გადახდის თაობაზე ვალს გულისხმობს, თუმცა ის ფართო გაგებით, ყველა იმ ტრანზაქციას მოიცავს, რომელშიც ვალუტა გამოიყენება“[14].

საქართველოს სამოქალაქო სამართალი ვერ ხედავს განსხვავებას ნაღდ და უნაღდო ფულს შორის, როგორც ანგარიშსწორების განხორციელების საშუალებასა ან/და ვალდებულების შესრულების საშუალებას შორის. არსებობს განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებაც, კერძოდ არგუმენტაცია უნაღდო ფულის საკუთრების უფლების აღიარებაზე დაფუძნებულია ფიზიკური ხასიათის მიზეზებით (სანივთო ობიექტის ინდივიდუალიზების არქონა, ბანკიდან იგივე კუპიურების გამოტანა და ა. შ). ამდაგვარი მიდგომა ფულის არსებობისა, განსაკუთრებულად სანივთო სახით განპირობებულია უფრო ისტორიული გაგებით, ვიდრე თანამედროვე რეალიების ანალიზით.

ფასიანი ქაღალდები (მათ შორის დაუსაბუთებელი, არადოკუმენტალური ფორმით) არავითარ თეორიულ პრობლემებს არ იწვევევნ მათ აღიარებაზე საკუთრების უფლებით. ბანკის კლიენტები ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ფულზე. ბანკი, რომელიც ასრულებს საფინანსო შუამავლის და აგენტის ფუნქციას საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ ხელს უწყობს ფულზე საკუთრების უფლების გადასვლას ერთი სამეურნეო ბრუნვის მონაწილედან მეორეზე. სხვადასხვა ფულადი აგრეგატების გამოყოფას (M1 და სხვა) აქვს მხოლოდ ეკონომიკური, მაგრამ არა იურიდიული აზრი, რადგანაც მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების სამართლებრივი ბუნება, მოქალაქეების ანაბრებისა და იურიდიული პირების ანგარიშებისა, თანაბარმნიშვნელოვნად ერთნაირია (ანგარიშების ცალკეული სახეობების სამართლებრივი რეჟიმის განსხვავებისდა მიუხედავად) და ერთდროულად ყველა კლიენტის მოთხოვნა მიმართული ქვეყნის საბანკო სისტემის მიმართ, დეპოზიტების ამოღებაზე და ნაღდ თანხაში მიღებაზე, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იყოს. ასეთი მოთხოვნის წაყენება საბანკო სისტემისასთვის გამოწვეულია მათდამი მაღალი ნდობის ხარისხით. სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლში[15] საუბარია ნაღდი და უნაღდო ფულით ანგარისწორების განხორციელებაზე. „ანგარიშსწორების ხელშეკრულების ფორმალური სამართლებრივი ბუნების დახასიათებიდან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის ფორმდება ერთის მხრივ **სპეციალურ სუბიექტსა** და მეორეს მხრივ ნებისმიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სუბიექტებს შორის“[16].

---

[13] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მ. 383-ის კომენტარი, ავტ. ქეთევან მესხიშვილი, 1, http://www.gccc.ge/

[14] Vardi, Reflections on Trends and Evolutions in the Law of MonetaryObligations in European Private Law, 2007, 18 European Business Law Review, Issue 3,p. 443. წყარო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მ. 383-ის კომენტარი, ავტ. ქეთევან მესხიშვილი, 1, http://www.gccc.ge/

[15] სრულად იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მ. 859, http://www.gccc.ge, მოძიებულია: 24/7/2020

[16] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლის კომენტარი, ავტ. ლევან გოთუა, 3, http://www.gccc.ge/

კანონმდებლის მიერ გაგება „ფულით“, „ფულადი საშუალებებით“ ან კიდევ „ფულადი თანხები“ - ამ ტერმინების გამოყენებას აქვს ფილოლოგიური და არა იურიდიული ხასიათი. უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ფულის განსაზღვრასთან ერთად შემოდის ლითონის და ქაღალდის ნიშნები, ფული განისაზღვრება, როგორც კაპიტალი, საშუალებები, კერძოდ: „ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს“[17].

ნაღდ ფულზე საკუთრების უფლება ეჭვს არ იწვევს. რა მოსდის ამ საკუთრების უფლებას, როდესაც კლიენტს შეაქვს ბანკის სალაროში ფული თავის ანგარიშზე?

ლ.ა. ხანკევიჩი დასაბუთებულად თვლის, რომ „პირი, რომელმაც გადასცა თავისი ფული ბანკს, რჩება მის მესაკუთრედ, ბანკი კი ცხადია ვერ გახდება მისთვის შესანახად მიბარებული ფულის მესაკუთრე“[18]. უნაღდო ფულზე საკუთრების უფლებას აღიარებს ლ. გ. ეფიმოვიც, რომელიც სამართლიანად თვლის, რომ ნაღდი შეტანის დროს არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა, მხოლოდ ფორმის შეცვლა ხდება ნაღდიდან უნაღდოზე. სახსრები რჩება კლიენტის საკუთრებაში[19].

სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საკუთრების უფლებების შეწყვეტის საფუძვლებს, არ შეიცავს საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყოს დასკვის გამოტანა ფიზიკური თუ იურიდიული პირის საკუთრების უფლების შეწყვეტაზე, რომელმაც შეიტანა ნაღდი ფული ბანკში (ისევე, როგორც შესაბამისი ნორმები სამოქალაქო კოდექსისა არ შეიცავენ საფუძვლებს ბანკის მიერ საკუთრების უფლებების აღორძინებას კლიენტის ფულზე.

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმებს, რომლითაც რეგულირდება საკუთრების უფლების ტრანსფორმაცია ვალდებულებით უფლებაში და, პირიქით. საფუძვლის ასეთი სახით შეუძლებელია საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების განხილვაც.

საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება (სკ, მ.859 და მომდ. მუხლები) ხშირად სალარო-ანგარიშსწორების მომსახურების ხელშეკრულებად დასახელებული, შეიცავს ბანკის ვალდებულებებს მიიღოს და გასცეს კლიენტის ფულადი სახსრები და ჩაატაროს მისი საანგარიშსწორებო ოპერაციები. ხელშეკრულების იურიდიული მიზანი, მხარეების სურვილი მიმართულია საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს ანგარიშის მფლობელს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ანგარიშის ამონაწერი)....[20] .

ანგარიშსწორების ხელშეკრულება საბანკო მომსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა. თანამედროვე პირობებში სწორედ ანგარიშსწორების საშუალებით ახდენენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები[21] ერთმანეთის მიმართ გარიგებებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებების შესრულებას“[22].

სავსებით ლოგიკურია და დასაბუთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაღდი და უნაღდო ფულის ეკონომიკური და იურიდიული ბუნება აბსოლუტურად იდენტურია,

---

[17] https://www.ganmarteba.ge/word/ ფული, მოძიებულია: 24/7/2020

[18] Ханкевич Л. А. Банковское право Республики Беларусь: Практическое пособие. Минск, 2000, 32

[19] Ефимова Л. Г. Правовые проблемы безналичных денег // Хозяйство и право. 1997, № 2, 48-49

[20] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 860, ნ.2

[21] რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 34; ასევე დაწვრ. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2017

[22] Bank-undKapitalmarktrecht case by case. Hrg. Gerald Spindler. Frankfurt am Main, 2005, 223. წყარო: გაბისონია ზ; საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 169; ასევე, იხ. შენგელია რ; შენგელია ე; საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014, 228; კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სასწავლო კომენტარი, 2014, 517-518

კანონმდებლობაში კი არ არის ნორმები, რომლებითაც რეგულირდება შეწყვეტის საფუძვლების კლიენტის საკუთრების უფლებები ნაღდ ფულზე და „მოთხოვნის უფლებების“, „ეკონომიკური უფლებების“ (და ა. შ.) წარმოქმნა.

ბანკის მიერ მოძიებული დეპოზიტების გამოყენება (როგორც სწრაფის, ასევე მოთხოვნამდე) თავისი სახელით და თავისი ანგარიშით არ ნიშნავს ბანკისათვის საკუთრების უფლების წარმოქმნას მოძიებულ დეპოზიტებზე. სამეურნეო ბრუნვაში მონაწილეობა „სხვისი“ სახსრებით და თავისი სახელით გამომდინარეობს ბანკების ეკონომიკური ბუნების თავისებურებებიდან, როგორც ფინანსური შუამავლები და ფულის შემქმნელები. ბანკის კლიენტს (ფიზიკურ და იურიულ პირებს) აქვთ საკუთრების უფლება ნაღდ და უნაღდო ფულზე და შეუძლია მისი ხარჯვა მხოლოდ იმ საფუძვლებით, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა (ხელშეკრულების შესრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება და ა. შ.). ასეთი საკუთრების უფლების არსებობა არ გამორიცხავს სავალდებულო ურთიერთობის ქონას კლიენტსა და ბანკს შორის სალარო ანგარიშსწორების მომსახურების, კრედიტორების გამო და ა. შ.

სამოქალაქო კოდექსის მ. 860, 862,-863 -864 და კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ იცავენ ანგარიშის მფლობელის აბსოლუტურ ხასიათს. უფრო მეტიც, ბანკები ვალდებული არიან უზრუნველყონ კლიენტისათვის ბანკის მხრიდან ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობით (მაგ; არამართლზომიერი ჩამოწერა, არამართლზომიერად ანგარიშზე ყადაღის დადება) მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთანავე, ბანკები პასუხისმგებელი არიან თავიანთი ვალდებულებებით კლიენტების წინაშე, არა მარტო თავისი ქონებით, არამედ სხვა კლიენტების ქონებითაც, რაც გამომდინარეობს მათი საქმიანობის თავისებურებებიდან, როგორც საფინანსო შუამავლები.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ფულის მიკუთვნება ნივთთან არ ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აღიარებას უნაღდო ფულზე, ვინაიდან კანონმდებლის და პრაქტიკის თვალსაზრისით შესაძლებელია საკუთრების უფლების სხვა ობიექტების არსებობა, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური ფორმა (მაგალითად, არადოკუმენტალური ფორმის აქციები), ამასთანავე ანგარიშსწორების ანგარიშის ამოწერა, როგორც საკუთრების ტიტულის არმქონე, ასრულებს იგივე ფუნქციებს, რასაც სერთიფიკატი არადოკუმენტალურ აქციებზე, რომელიც არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, სამოქალაქო უფლებების ახალი ობიექტების სამართლებრივი ბუნების ანალიზის დროს, განსაკუთრებულად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევის შედეგად. ავტორთა ნაწილი ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფასიანი ქაღალდის ფორმა (დოკუმენტური თუ არადოკუმენტური, სუფთა იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით იძლევა შესაძლებლობას ან პირიქით, ქმნის შეუძლებლობას გამოიყენო ის ან სხვა წესები, გათვლილი განსაკუთრებულად ისეთ სამოქალაქო უფლებების ობიექტებზე, როგორც ნივთი ან სხვა ქონებრივი უფლებები[23].

ბანკები, რა თქმა უნდა, როგორც საფინანსო ბაზრის ორგანული ნაწილი, არ არიან საერთო პრობლემებისაგან განცალკევებული, თავისუფალი, ხშირ შემთხვევაში დაუდევარი მიდგომით სხვის ქონებასთან, მაგრამ მაინც ყველაზე დიდი სკანდალები საფინანსო სფეროში დაკავშირებულია საფინანსო კომპანიებთან. მაგალითად გახმაურებული **„ენრონის სკანდალი“. ენრონი, როგორც ენერგეტიკული კონცერნი, 1985 წელს დაფუძნდა. ის იყო შტატებს შორის ყველაზე მსხვილი გაზის მომწოდებელი კომპანია. ენრონის მეთაურს კენეტ ლუისს აბრალებდნენ, რომ მან კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა. გამოძიებამ დაადგინა, რომ**

[23] მაგ. Витрянский В. В. Договор доверительного управления имуществом. М., 2001, 167-189

**გადასახადების თავის არიდების მიზნით ის თაღლითურ ფინანსურ სქემებს იყენებდა. მან კარგად იცოდა, რომ კომპანიას ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ამის მიუხედავად, თანამშრომლებს ურჩევდა შეეძინათ ენრონის აქციები. დანაკარგმა მილიარდობით დოლარი შეადგინა. 2001 წელს კომპანიის ვალმა 31,8 მილიარდი დოლარი შეადგინა, 4 000 ადამიანი უმუშევარი დარჩა, თანამშრომლებმა 2 მილიარდი დოლარი საპენსიო დანაზოგები დაკარგეს. მიუთითებდნენ, რომ სარეიტინგო კომპანიებისათვის ენრონის ფინანსური მდგომარეობისა და კოლოსალური ოდენობის ვალის შესახებ ცნობილი იყო და მათ დროულად არ მოახდინეს ამ ინფორმაციის რეიტინგებში ასახვა. ენრონი გაკოტრებამდე რამდენიმე დღით ადრე უმაღლესი კლასის რეიტინგს ფლობდა[24].**

ფული უნდა განვიხილოთ სამოქალაქო უფლებების დამოუკიდებელი ობიექტის სახით. ამდაგვარი მიდგომა განპირობებულია ფულის სპეციფიკური ბუნებით როგორც უფლებების ობიექტი, მათი სხვადასხვა ფორმის არსებობით (ეკონომიკური და იურიდიული ბუნების ერთოვბლიობით), ფუნქციებით, რომლებსაც ასრულებს ფული სამოქალაქო ბრუნვაში.

და ბოლოს, დასკვნის სახით: სამოქალაქო უფლების თვალსაზრისით სავსებით განსხვავებელია ფულის ფიზიკური დამახასიათებლები (ქაღალდის, ელექტრონული თუ მეტალის, სპილენძის თუ ოქროსი). საკუთრების უფლების შინაარსი (მესაკუთრის უფლებამოსილების მოცულობა) დამოკიდებული არ არის ნივთის ფიზიკური დახასიათებისაგან. სამოქალაქო სამართალურთიერთობის ობიექტად მოიაზრება ფული ,როგორც ობიექტურად ნამდვილი მოვლენა, მიუხედავად მათი არსებობის ფორმისა (ნაღდი თუ უნაღდო). როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ფულზე, როგორც უფლების ობიექტზე, ვითვალისწინებთ ტერმინის - „უფლების ობიექტი“ - კატეგორიის პირობითობას, ვინაიდან „არსებობს ერთიანი და ერთადერთი უფლებამოსილების და ვალდებულების ობიექტი, მაშასადამე, სამართალურთიერთობის ობიექტიც - ადამიანის ქცევა.

**ლიტერატურა**


1. დემურ სიჭინავა, მურთაზ მაღრაძე, „ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 117, http://eprints.tsu.ge/1599/1/Preconditions%20and%20problems%20of%20transition%20to%20electronic%20money.pdf.
2. შენგელია რ.; საფინანსო სამართალი, თბილისი, 2009.
3. შალვა მხატრიშვილი, „ინფლაციის თარგეთირება: ძიორითადი პრინციპი, მახასიათებლები, წინაპირობები და ემპირიული შეფასებები, https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_2/I_nawili.pdf?fbclid=IwAR2KfxDbi0L0IcojwzpmG4LUCXEJdR6-hBrxJYUmiXSYZgAWJUZVJ-NCkNw, მოძიებულია: 5/5/2002.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლის კომენტარი, ავტ. ლევან გოთუა http://www.gccc.ge/.
5. ხარაზი ი. საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2017.
6. შენგელია რ., შენგელია ე. საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014.


[24] ჯიბუტი ნ; სარეიტინგო კომპანიის სამართალი: ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 35, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_jibuti.pdf, მოძიებულია: 25/7/2020

7. გაბისონია ზ. საბანკო სამართალი, თბილისი, 2017.
8. ჯიბუტი ნ. სარეიტინგო კომპანიის სამართალი: ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_jibuti.pdf, მოძიებულია: 25/7/2020.
9. Везерфорд Дж. История денег: Борьба за деньги от песчаника до киберпространства. М, 2001.
10. Лунц Л. А. Деньги и денежные обязательства в гражданском праве. М., 1999.
11. иллер Р. Л., Ван-Хуз Д. Д. Современные деньги и банковское дело. М., 2000.
12. Макконел К. Р., Брю С. Л. Экономикс: принципы, проблемы и политика: В 2 т. М., 1996, Т. 1.
13. Минервин И. Г. Реферат книги Роуботама М. Исследование современных денег, долгового рабства и деструктивной экономической теории //Банки: мировой опыт. 1999, № 1,2).
14. Ханкевич Л. А. Банков
15. ское право Республики Беларусь: Практическое пособие. Минск, 2000.
16. Ефимова Л. Г. Правовые проблемы безналичных денег // Хозяйство и право. 1997, № 2.
17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მ. 383-ის კომენტარი, ავტ. ქეთევან მესხიშვილი, 1, http://www.gccc.ge/.
18. European Business Law Review, Issue 3,p. 443. წყარო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მ. 383-ის კომენტარი, ავტ. ქეთევან მესხიშვილი http://www.gccc.ge/.
19. Bank-undKapitalmarktrecht case by case. Hrg. Gerald Spindler. Frankfurt am Main, 2005, 223. წყარო: გაბისონია ზ; საბანკო სამართალი, თბილისი, 2017.
20. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სასწავლო კომენტარი, 2014 (თარგმანი).
21. Витрянский В. В. Договор доверительного управления имуществом. М., 2001.
22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702.
23. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717.
24. „ფულის ისტორია“, https://ka.wikipedia.org/wiki/ , მოძიებულია: 5/5/2020.

**რეზიუმე**

სტატიაში საუბარია ფულის წარმოშობის ისტორიაზე, ფულის საერთო იურიდიული გაგების ახსნაზე მხოლოდ იმ ფუნქციის ანალიზით, რომელსაც ასრულებს ფული სამეურნეო ცხოვრებაში, ფულის განსაზღვრის სიძნელეებზე, ფულის ეკონომიკურ გაგებაზე, რომელიც ყოველთვის რჩება იურიდიული განსაზღვრის ხარვეზების შევსების წყაროდ; სტატიაში განვითარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ: სავსებით ლოგიკურია და დასაბუთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაღდი და უნაღდო ფულის ეკონომიკური და იურიდიული ბუნება აბსოლუტურად იდენტურია. ფული წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, ანგარიშსწორების განხორციელების საშუალებას გაცვლის დროს (გაცვლითი საშუალება).

**საკვანძო სიტყვები:** ფული, ფულის საერთო იურიდიული გაგება, ფულის ეკონომიკური გაგება, ფულის მასის სხვადასხვა აგრეგატები, ნაღდი და უნაღდო ფული,

**Ia Kharazi**

**Money as a Subject of Banking Agreements and as an Object of Civil Rights (Comparative-Legal Research)**

**Summary**

The article discusses the history of the origin of money, explaining the general legal understanding of money only by analyzing the function that money performs in economic life, the difficulties of determining money, the economic understanding of money, which always remains a source of filling the gaps in legal definition; In the Article the following ideas are developed: it is a completely logical and reasonable conclusion that the economic and legal nature of cash and non-cash money is absolutely identical. Money is an economic category, the means of payment while exchange (means of exchange).

**Keywords:** money, common legal understanding of money, economic understanding of money, different aggregates of money supply, cash and non-cash money.

**ვახტანგ ანთია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია და მეწარმეობის გამოწვევების კვლევის მულტიდისციპლინარული პარადიგმა

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების კვლევებში აქცენტები აბსტრაქტულ-თეორიული წიაღსვლებიდან უნდა გადავიტანოთ სამეწარმეო აქტივობის პრაგმატულ (გამოყენებით) ასპექტებზე, თანდათანობით პოზიტიურიდან ნორმატიულ ანალიზზე გადავინაცვლოთ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია შეზღუდული რესურსების (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი) პირობებში ქვეყნის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის სკრუპულოზური, სისტემური შესწავლა მონათესავე დარგების, მიმართულების სპეციალისტებთან ძალისხმევის კოლაბორაციის, ინტეგრირების გზით, რათა შედარებით უმტკივნეულოდ იქნეს იდენტიფიცირებული და დაძლეული წინააღმდეგობები, რომელიც წარმოიშობა პიროვნებისა და საზოგადოების განუსაზღვრელი, უკიდურესად დივერსიფიცირებული, მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების რეალიზაციის სურვილსა და მათი დაკმაყოფილების უკიდურესად შეზღუდულ (მწირ) რესურსულ შესაძლებლობებს შორის. სხვაგვარად ქვეყანაში საზოგადოების, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების, კეთილდღეობის უზრუნველმყოფი სამეწარმეო აქტივობის ფორმატის მდგრადი, სტაბილური განვითარების ხელშემწყობი გარემო ვერ ჩამოყალიბდება.

პოზიტიური სოციალ-ეკონომიკური შედეგის მიღწევა შეუძლებელია წარმოების მატერიალურ-ნივთობრივი და ადამიანური ფაქტორების ოპტიმალური გამოყენების, შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში რაციონალური, მრავალკომპონენტიანი (მულტიფაქტორული) არჩევანის გაკეთების გარეშე. ეკონომიკის უმთავრესი ამოცანაც ხომ ესაა – დაეხმაროს სამეწარმეო (ეკონომიკური) აქტივობის განსხვავებული ინტერესების მატარებელ აქტორებს, ყველა დაინტერესებულ მხარეებს ოპტიმალური, სინერგირებული (თვისებრივად თავსებადი), ადაპტირებადი გადაწყვეტილებების მიღებაში რესურსების სიმწირის, დეფიციტურობის და მილევადობის პირობებში.

ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მეცნიერულად არგუმენტირებული მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა-ჩამოყალიბების გარეშე, რაც გულისხმობს ქვეყნის მწარმოებლური შესაძლებლობების (პოტენციალის) ინვენტარიზაციას, მის სისტემურ, კომპლექსურ, სიღრმისეულ SWOT და GAP ანალიზს.

ისტორიული განვითარების მიმდინარე ეტაპის თავისებურებების, ჩვენს გარშემო დღეს ჩამოყალიბებული სპეციფიკური გეოპოლიტიკური და გეო-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რადიკალურად უნდა შეიცვალოს ჩვენი მიდგომები ქვეყნის ეკონომიკური ტრენდების გენერირებასთან მიმართებაში და აქცენტები მეტწილად უნდა გაკეთდეს ეკონომიკის რეალურ სექტორზე - "ფიზიკურ" ეკონომიკაზე.

ამისთვის აუცილებელია გადავაფასოთ ხელსაყრელი ბიზნესის გარემოს ფორმირების პრიორიტეტები, რესურსები (ადამიანური, ფინანსური) მივმართოთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეწარმეო-საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებისკენ.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საუნივერსიტეტო კვლევებში აქცენტები მეტწილად გადატანილი უნდა იქნეს სამეწარმეო ურთიერთობების სუბიექტების, შიგა და გარე დაინტერესებული აქტორების (STAKE HOLDER-ების) საქმიანი ინტერესების რეალიზაციის ინკლუზიური, თანაბარი შესაძლებლობების ბიზნეს-გარემოს ფორმირების პრობლემებზე.

პანდემიით გამოწვეული, ტრანსნაციონალური კორპორაციების საწარმოო სიმძლავრეების განთავსების გეოგრაფიულ ლოკაციებში მიმდინარე ცვლილებებით განპირობებული შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით, აუცილებელია ქვეყნაში სამეწარმეო აქტივობისთვის „მეგობრული“, ხელშემწყობი გარემოს გენერირებაზე მოქმედი ინდიკატორების კვლევა. სისტემურ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს მიმზიდველი, ინკლუზიური ბიზნეს - გარემოს ფორმირებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორ-მდგენელები, როგორიცაა ქვეყნის შიგნით საინვესტიციო აქტივობის დარგობრივ-სტრუქტურული პრიორიტეტები და მათი განთავსების გეოგრაფიული (რეგიონული) თანაფარდობის პრობლემატიკა.

გლობალურ და გლოკალურ სამეწარმეო გარემო-ფორმატებში მიმდინარე ცვლილებების, ახალი ფაქტორების (გარემოებების) იდენტიფიცირების საფუძველზე უნდა მოხდეს ამ მიმართულებით ჩვენში დამკვიდრებული პრაქტიკის ეკონომიკური მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და რელევანტურობის განსაზღვრა-დადგენა. ეკონომიკური აქტივობის სფეროში მიმდინარე ცვლილებებზე მყისიერი რეაგირების აუცილებლობის მეცნიერული გააზრება-გაცნობიერება (არა მხოლოდ მჭვრეტელობით ფორმატში), ამ სისტემა განმსაზღვრელი პარადიგმის პრაქტიკის კონკრეტულ ენაზე ამეტყველება, მისი დამკვიდრებისთვის ზრუნვაში განივთებული ძალისხმევის რეალური შედეგები, უნდა გახდეს ჩვენი სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გატარებულმა რეფორმებმა დაგვარწმუნა, რომ მეურნეობის უცხო, ლიბერალური საბაზრო სოციალ-ეკონომიკური მოდელების მექანიკურად გადმოღების და ჩვენი სინამდვილის გათვალისწინების გარეშე მორგების მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

პირდაპირ, ადაპტაციის მცდელობის გარეშე ვამკვიდრებთ ეკონომიკის ისეთ ტრანსფორმაციულ მოდელებს, საბაზრო ეკონომიკის ისეთ ორიენტირებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ ჩვენს სოციო-კულტურულ გარემოსთან არარელევანტური (ცალკეულ შემთხვევებში, შეუთავსებელიც კი) სამურნეო იდეოლოგია, რომელიც ვერ ითვალისწინებს ჩვენს ეროვნულ მენტალიტეტს, ტრადიციებს, ეროვნული მეურნეობრიობის ფასეულობით კრიტერიუმებს.

ამ მიმართულებით ქართულ ეკონომიკურ სივრცეში სრული ვაკუუმია. ვეცდებით საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის ისეთი არქეტიპის, ისეთი მოდელის კონტურების გამოკვეთას რომელიც დაეფუძნება ჩვენს სისტემაგანსაზღვრელ ფასეულობებს. ბუნებრივ-ისტორიული განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბებულ “ეთოსს”. ეს გულისხმობს, ჩვენთვის იდენტური სამეწარმეო მენტალობისა და სპეციფიკური ეკონომიკური ქცევების ნორმების შერწყმა-შეხამებას მსოფლიოში აპრობირებულ, წარმატებულ ეკონომიკურ სისტემათა საუკეთესო, ადამიანზე ორიენტირებულ გამოცდილებასთან.

ვეცდებით გავცეთ პასუხები ურთულეს კითხვებს:

რაში მდგომარეობს ჩვენი ეთნო-სოციო-კულტურული მენტალიტეტის მდგრადობის, სიცოცხლისუნარიანობის და სოციალ-ეკონომიკურ პროცესებზე მისი ზეგავლენის არსი?

სამეურნეო და შრომითი, ზოგადად ეკონომიკური, სამეწარმეო აქტივობის რომელ ფასეულობებს უნდა დავეყრდნოთ ეროვნული ეკონომიკური სისტემის სრულყოფა-განვითარების პროცესში?

აუცილებელია ამოვატივტივოთ ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში დალექილი ძალიან საინტერესო შრომითი და სამეურნეო-მეწარმეობრივი ტრადიციები, ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიკური მსოფლმხედველობა, მეურნეობრიობის მოტივატორები და მატერიალური სტიმულების მყარი სისტემა.

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პირობებში თანამედროვე ანტრეპრენიორული ცნობიერების, ახალი ქართული ეკონომიკური აზროვნების ფორმირება და მითუმეტეს ეკონომიკური პრაქტიკის იმპლემენტაცია, ითხოვს ქართველ მაქს ვებერებს და ისეთი ტიპის ნაშრომების შექმნას, როგორიცაა საქართველოზე მორგებული, ადაპტირებული "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული". ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა გავააქტიუროთ **ე.წ. Path Dependency თეორიაზე** და მიდგომებზე დაფუძნებული კვლევები ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის მიმართულებით, უნდა დავძლიოთ **„ადრინდელ განვითარებაზე დამოკიდებულებით"** დეტერმინირებული, საბჭოთა ეკონომიკური სისტემისთვის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (ცენტრალიზებულად მართვადი) ბუნების, ხასიათის მენტალური სტერეოტიპები.

პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების აქტუალიზება, როგორიცაა იდნივიდების, საოჯახო მეურნეობების, ფირმების სამეურნეო ქცევისა და მოტივების მაგენერერიბელი ფაქტორების და მათ მიერ მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების ახლებური გააზრება.

სამეწარმეო ურთიერთობების სუბიექტების (ეკონომიკური აქტორების) ეკონომიკური ქცევის, მისი განმაპირობებელი მოტივატორების, ქცევის რაციონალურობის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების პრობლემების კვლევა მუდმივად ცვალებადი საბაზრო გარემოს, განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციის და საბაზრო რისკების პირობებში, წარმოადგენს ეკონომიკური კვლევის საკვანძო, სტრატეგიულ მიმართულებას.

საქართველოში ამ პრობლემებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

დასავლურ ეკონომიკურ წრეებში დისკუსია მეურნე სუბიექტების (აქტორების) ქცევის არსისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტული მექანიზმების შესახებ ძირითადად ორი მიმართულების – კლასიკურ-ნეოკლასიკური და ინსტიტუციონალურ-ნეოინსტიტუციონალური მოდელების ფარგლებში მიმდინარეობს.

კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიის პოზიციიდან მეურნე სუბიექტების ეკონომიკური ქცევისა და გადაწყვეტილებების მიღების პრობლემატიკა ეფუძნება, ადამიანის ცალმხრივად, როგორც მხოლოდ "ჰომო ეკონომიკუს"-ის, რაციონალურის გააზრებას. ამ მიდგომის მიხედვით, მეურნე აქტორების ქცევა და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება მაქსიმალურად სრული ინფორმაციის პირობებში და ორიენტირებულია დანახარჯების (ძალისხმევის) მინიმიზაციის გზით სარგებლის (მოგების) მაქსიმიზაციაზე, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ თეორიაში მყარად დამკვიდრებულ სტანდარტულ, სტერეოტიპულ ეკონომიკურ მოდელს. დანახარჯების მინიმიზაციის კრიტერიუმად აღიარებულია მხოლოდ წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) ოპტიმალური შერწყმა-შეერთება.

ინსტიტუციონალური და ნეოინსტიტუციონალური ეკონომიკური ტრადიციის მომხრეების აზრით მეურნე სუბიექტების ეკონომიკური ქცევა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის ბუნება თავისი არსით შეზღუდული (არასრული) რაციონალიზმით ხასიათდება, რომელიც დიდადაა დამოკიდებული გარე სოციალ-ეკონომიკურ და სოციო-კულტურულ ნორმებზე და ინსტიტუტებზე. წინა პლანზეა წამოწეული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა – ტექნოსტრუქტურა, საკუთრებითი და საკონტრაქტო ურთიერთობები, ეკონომიკური ქცევის და გადაწყვეტილებების შეზღუდული რაციონალურობა, რაც გამოწვეულია ინფორმაციის სიმწირით და მეურნე სუბიექტების შემეცნებითი (კოგნიტიური) შესაძლებლობების დეტერმინირულობით. აქცენტირება ხდება ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა – საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის ფორმირების აუცილებლობა, წარმოებითი ურთიერთობების აქტორების სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ქცევის თავისუფლებისა და სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მოცულობის ოპტიმიზაცია და სხვა.

საუბარია ე.წ. "ქცევით, ფსიქოლოგიურ ეკონომიკაზე", რომელშიც მნიშვნელოვანია შეზღუდული, მუდმივად ცვალებადი რაციონალურობის, ქცევითი (ბიჰევიორისტული) მახასიათებლების, ეკონომიკაში კვლევის ფსიქოლოგიური მეთოდების გათვალისწინება.

ამ შეხედულებამ კონცენტრირებული ასახვა პოვა ეკონომიკაში 2002 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, ფსიქოლოგ დანიელ კანემანის კვლევაში "პერსპექტივის თეორია – რისკის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების ანალიზი". ექსპერიმენტების საფუძველზე გამოიკვეთა დასკვნა, რომ ადამიანებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე არ ძალუძთ მოსალოდნელი სარგებლისა და დანაკარგების მოცულობისა და მათი ალბათობის დადგენა. ეს მოვლენა სახელდებული იქნა, როგორც კეთილდღეობის ცვლილებაზე ასიმეტრიული რეაქცია.

კვლევის ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულება ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ (მათ შორის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის პრობლემების მკვლევართა ჩათვლით) იგნორირებულია. აუცილებელია კვლევითი აქტივობის გაძლიერება სამეწარმეო ურთიერთობების სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელი ინტერდისციპლინარული ფაქტორების (ასპექტების) და განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციის, საბაზრო რისკების პირობებში ევრისტიკული, კოგნიტიური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პრობლემების მიმართულებით.

ბიზნესის ადმინისტრირების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის სამეცნიერო პოტენციალის აკუმულაცია ბიჰევიორისტულ მულტიდისციპლინარულ ფორმატში, მოგვცემს შესაძლებლობას ვკონცენტრირდეთ ბიზნეს-სექტორის წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველმყოფ ისეთ კვლევებზე, როგორიცაა:

1. ემოციური ინტელექტი, ლიდერობა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები თანამედროვე საქმიან ორგანიზაციებში
2. მენტალურ-ისტორიული ცნობიერების გამოვლინებები ტრანსფორმაციული ეპოქის ინდივიდის ფსიქიკაში (ქართული ქეისები) და საბაზრო მენტალობის ფორმირების პრობლემები პოსტსაბჭოთა საქართველოში.
3. გლობალიზაციის გამოწვევები და ორგანიზაციული ქცევის შესაძლებლობების, დაქირავებული მუშაკების ქცევაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.
4. სამუშაო ძალის მრავალფეროვნების დადგენა, კულტურების შეფასების გ. ჰოფსტედის კრიტერიუმების და გლობალური ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევის ეფექტურობის სისტემის (GLOBE) ინდიკატორების მიხედვით.

ამ ტიპის კვლევები ხელს შეუწყობს ქართული პოსტსაბჭოთა სამეწარმეო გარემოს თავისებურებების იდენტიფიცირებას და მათი გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებას, ანტრეპრენიორული სულისკვეთებისა და კორპორაციული კულტურის წარმატებული ქართული მოდელის ფორმირების პროცესს.


**რეზიუმე**

ქვეყნის მდგრადი განვითარება მიიღწევა ეკონომიკური აქტორების მრავალვექტორიანი, არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სისტემური გააზრებით. ბიზნესის მიმართულების კვლევების უმთავრესი ამოცანაა დაეხმაროს სამეწარმეო აქტივობის განსხვავებული ინტერესების მატარებელ მხარეებს მათი მიზნების მაგენერირებელი ფაქტორების იდენტიფიცირება - სინერგირებაში. საუნივერსიტეტო კვლევებში აქცენტები მეტწილად უნდა გაკეთდეს შიგა და გარე Stakeholder-ების მიზნების რეალიზაციის ინკლუზიური, თანაბარი შესაძლებლობების ბიზნეს-გარემოს ფორმირების პრობლემებზე. პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პირობებში თანამედროვე ანტრეპრენიორული ცნობიერების, თვისებრივად ახალი ქართული ეკონომიკური აზროვნების ფორმირების მიზნით აუცილებელია გავააქტიუროთ **ე.წ. Path Dependency თეორიაზე** და მიდგომებზე დაფუძნებული კვლევები ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის მიმართულებით. უნდა დავძლიოთ **„ადრინდელ განვითარებაზე დამოკიდებულებით“** დეტერმინირებული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური(საბჭოთა) სისტემისთვის დამახასიათებელი მენტალური სტერეოტიპები: 1. ტრანსფორმაციული ეპოქის სამეწარმეო ურთიერთობების სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების; 2. განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციის, საბაზრო რისკების პირობებში ევრისტიკული, კოგნიტური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების. კომპლექსური ანალიზი ბიზნესის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის კრებსითი(ინტერდისციპლინური) კვლევითი პოტენციალის საფუძველზე, უნდა გახდეს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.



**საკვანძო სიტყვები:** პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, ანტრეპრენიორი, ინტერდისციპლინური პარადიგმა, ქცევითი ეკონომიკა, დაინტერესებული მხარეები (სუბიექტები), ეკონომიკური აქტორები, მენტალური სტერეოტიპები, „ადრინდელ განვითარებაზე დამოკიდებულება“.



**Vakhtang Antia**


**Post-Soviet Transformation and Multidisciplinary Research Paradigm of Entrepreneurial Challenges**


**Summary**

Sustainable Development of any Country can be achieved through systematic understanding of the key economic actors' decision-making processes, which by nature are multi-vectoral and nonhomogeneous. Main objective of exploring entrepreneurship related challenges is to assist the players of entrepreneurial ecosystem in identification and harmonization of individual factors, that determine their long-term goals and objectives. University level research has to be oriented on studying challenges related to forming certain type of business environment, that provides equal and inclusive opportunities for meeting the goals of both, internal and external stakeholders. Formation of entirely new type of entrepreneurial mindset in Georgia, especially in the period of Post-Soviet transformation requires rapid adoption of Path Dependency theory- based research practices within the field of business

administration and management. It is of utmost importance to shift from the Business-as-Usual approach and to defy stereotypes, that are hallmark feature of Centrally Planned economic system: 1. Factors determining the behavior of main actors of entrepreneurial ecosystems relevant for the period of transformation; 2. Heuristic and cognitive managerial decision-making techniques in the period of uncertainty, lack of information and related market risks. Higher educational institutions should build their educational-scientific activities on complex business analysis and contributions from a number of behavioral disciplines, mainly psychology, sociology, social psychology, and anthropology.

**Key Words:** Post-Soviet transformation, entrepreneurship, interdisciplinary research paradigm, behavioral economics, economic actors, heuristics, cognitive biases, stereotypes.

**ია აფციაური**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

# დისტანციური საბანკო მომსახურეობები და კლიენტთა ელექტრონული წვდომის ფორმები

თანამედროვე საბანკო ბიზნესი, პირველ რიგში, წარმოადგენს მომსახურების ფართო სპექტრსა და მის მაღალ ხარისხს. თითქმის ყოველი საბანკო ოპერაცია შეიძლება აღვწეროთ პროგრამირების ენაზე, ვინაიდან ანგარიშის გახსნა, შემოსულობა თუ გასავალი, კრედიტი თუ პლასტიკური ბარათის გამოშვება – ყოველივე ეს წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის ბიტების გადაცემას ავტომატიზებულ საბანკო სისტემაში.

საქართველოს საბანკო სისტემის მსოფლიო სისტემაში ინტეგრაცია და მისი კონკურენტუნარიანობა წარმოუდგენელია მაღალი დონის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ბანკები სულ უფრო ხშირად ცდილობენ, განვითარდენ არა ფილიალების ფართო ქსელებისა და დამატებითი ოფისების გახსნის, არამედ კლიენტების დისტანციური საბანკო მომსახურების სხვადასხვა მეთოდებში რეალიზებული მოწინავე საბანკო ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, ბევრი ბანკისთვის ელექტრონული საბანკო მომსახურების განვითარება უბრალო ახალი დამატებითი საბანკო სერვისი კი არ გახდა, არამედ საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებადაც იქცა. ექსპერტების აზრით, ბიზნესის წარმოების ელექტრონულ მეთოდზე გადასვლა თანამედროვე საბანკო საქმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა.
დავიწყოთ ელექტრონული საბანკო მომსახურების სფეროს დახასიათებით და გავაანალიზოთ ახალი ტენდენციები, რომლებიც განვითარდა საბანკო საქმის ვირტუალიზაციის შედეგად. უპირველესყოვლისა, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ელექტრონული საბანკო მომსახურება, ე-ბანკინგი, არ წარმოადგენს ეკზოტიკურ ფინანსურ ინსტრუმენტს და არც საბანკო საქმიანობის დამატებით მიმართულებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ბიზნეს პროცესების განხორციელების ახალი ხერხი, რომლის არსიც მდგომარეობს ელექტრონული ქსელების მეშვეობით ტრანზაქციების განხორციელებაში.

ტრანზაქცია – ეს არის ერთ ან რამდენიმე მონაცემთა ბაზაში იმ მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებული პროცესი, რომლებიც ნაწილობრივ არ უნდა შესრულდნენ. თუ, პროცესის მიმდინარეობისას, შეუძლებელია ცვლილებების სრული მოცულობით შეტანა მოწყობილობის მუშაობის შეფერხების ან სხვა მიზეზების გამო, მაშინ მონაცემთა ბაზები უნდა დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას [1].

ელექტრონული საბანკო მომსახურებები წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს (ე-ბანკინგი მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: საინფორმაციო ონლაინ მომსახურება, ციფრული ფულის ემისია, ელექტრონულიგადახდები და ანგარიშსწორება, აგრეთვე, ელექტრონულად განხორციელებული სადეპოზიტო, სასესხო, სავალუტო და საფონდო ოპერაციები). მოცემული განმარტება გამოიყენება, როგორც განმაზოგადებელი. იგი შეესაბამება კლიენტების მიერ საბანკო მომსახურებებთან ელექტრონული წვდომის ყველა ფორმას, რაც გამოსახულია (იხ.ნახაზი 1).

ნახაზი 1.

კლიენტთან ელექტრონული წვდომის ფორმები




**დსმ საბანკო თვითმომსახურების საშუალებების გამოყენებით**

დსმ ტექნოლოგიები საბანკო თვითმომსახურების საშუალებების გამოყენებით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეს მსოფლიოში. გამოყენებული საშუალებების ტიპის მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ დსმ-ს რამდენიმე სახეობა:

- დსმ ბანკომატების გამოყენებით (ATM-bancking) – დაფუძნებულია ბანკომატში დაყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე;
- დსმ საგადახდო ტერმინალების გამოყენებით;
- დსმ საინფორმაციო ჯიხურების გამოყენებით.

საბანკო ოპერაციები შედის დახურულ ოპერაციათა სიაში, რომელთა განხორციელების უფლებაც ეკუთვნის მხოლოდ ბანკს. როგორც ცნობილია, საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნება:

1. ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებისთვის (მოთხოვნამდე და ვადიანებისთვის);
2. მოზიდული ფულადის სახსრების განთავსება საკუთარი სახელით;
3. ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება;
4. ფიზიკური და იურიდიული პირების დავალებით ანგარიშსწორების წარმოება;
5. ფულადი სახსრების, თამასუქების, საგადახდო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია და ფიზიკური და იურიდიული პირების სალარო მომსახურება;
6. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი და უნაღდო ფორმით;
7. საბანკო გარანტიების გაცემა;
8. საბანკო ანგარიშის გაუხსნელად, ფიზიკური პირის დავალებით ფულადი სახსრების გადარიცხვა (საფოსტო გზავნილების გამოკლებით) [2].

**დისტანციური საბანკო მომსახურების ძირითადი სახეები**

დისტანციური საბანკო მომსახურება (დსმ) – ეს არის საბანკო მომსახურების გაწევის ტექნოლოგიების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, რომელიც გულისხმობს კლიენტის მიერ განკარგულებათა დისტანციურად გაცემას (ბანკში მისი ვიზიტის გარეშე), რაც ყველაზე ხშირად ხორციელდება კომპიუტერული ქსელების გამოყენებით [3].

ინგლისურ ენაში დსმ ტექნოლოგიების აღსაწერად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები: on-line banking, remote banking, direct banking, home banking, internet banking, PC banking, phone banking, mobile-banking, WAP-banking, WAP-სტანდარტი, SMS-banking, GSM-banking, TV-banking.

ქსელური საფინანსო ურთიერთობის სისტემები–ეს არის საანგარიშსწორებო ფულადი ურთიერთობები, რომელთა მონაწილეები წარმოადგენენ ინტერნეტით დაკავშირებულ სამეურნეო სუბიექტებსა და კერძო პირებს.

აღსანიშნავია, რომ დისტანციური საბანკო მომსახურების ტექნოლოგიები შეიძლება კლასიფიცირდეს იმ საინფორმაციო სისტემების (პროგრამულ-აპარატურული საშუალებების) მიხედვით, რომლებიც გამოიყენება საბანკო ოპერაციების განხორციელებისათვის:

- PC-banking (ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ სისტემები „კლიენტი-ბანკი“);
- ინტერნეტბანკი;
- მობაილ ბანკინგი;
- სატელეფონო ბანკინგი (ხანდახან გამოიყენებენ ტერმინს „ტელებანკინგი“);
- მომსახურება ბანკომატებისა (ATM-banking) და საბანკო თვითმომსახურების საშუალებების გამოყენებით. (იხ. ნახ.2)

**სისტემები „კლიენტი-ბანკი“**

„კლიენტი-ბანკი“ ტიპის სისტემები დაფუძნებულია ბანკის მიერ მოწოდებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც დაყენებულია ბანკის კლიენტის სამუშაო სადგურებზე და კომუნიკაციის საშუალებად შეუძლია გამოიყენოს როგორც კერძო ქსელები, ასევე ინტერნეტ ქსელი. ამ დროს ბანკი სთავაზობს კლიენტს ტექნიკურ და მეთოდურ მხარდაჭერას სისტემის დაყენებისა და კლიენტის პერსონალის საწყისი სწავლების, აგრეთვე, პროგრამული უზრუნველყოფის განახლების დროს, ხოლო შემდგომში – კონსულტაციებსა და რეკომენდაციებსაც [5].

ნახაზი 2.

ქსელის ფინანსურ ურთუერთობათა სისტემა



როგორც წესი, სისტემები „კლიენტი-ბანკი“ უზრუნველყოფს სრულფასოვან საანგარიშსწორებო და დეპოზიტურ მომსახურებას, აგრეთვე, სავალუტო ანგარიშების მართვას ბანკის კლიენტის დაშორებული სამუშაო ადგილიდან. ამ სისტემების გამოყენება იურიდიული პირების მომსახურებისთვის კვლავაც რჩება დსმ ტექნოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახედ.

**ინტერნეტ ბანკი**

ეს არის იმ დსმ ტექნოლოგიების ზოგადი დასახელება, რომელთა დროსაც ანგარიშსა და ოპერაციებთან წვდომა შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ინტერნეტ ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ოპერაციების შესასრულებლად გამოიყენება ბრაუზერი, ანუ არ არსებობს კლიენტის ნაწილში სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის დაყენების აუცილებლობა.ვებბრაუზერი (Web browser) წარმოადგენს ვებგვერდების ძიების, ნახვის, მართვისა და რედაქტირების პროგრამულ უზრუნველყოფას.

დღეს ბრაუზერი – ეს არის კომპლექსური აპლიკაცია ვებგვერდების სხვადასხვა შემადგენლების გამოტანისა და დამუშავების, აგრეთვე, ვებსაიტსა და მის მომხმარებელს შორის ინტერფეისის შექმნისათვის. თითქმის ყველა პოპულარული ბრაუზერი ვრცელდება უფასოდ ან ოპერაციულ სისტემასთან „კომპლექტში“: Internet Explorer (მოჰყვება Microsoft Windows-ს), Mozilla Firefox (უფასო), Opera (უფასო), Safari (მოჰყვება Mac OS-სან უფასოა Windows NT-სათვის).

როგორც წესი, ინტერნეტ ბანკს მომსახურებები შეიცავს:

- ამონაწერებს ანგარიშებიდან;
- ინფორმაციას საბანკო პროდუქტებზე (დეპოზიტები, კრედიტები და ა.შ.);
- განაცხადებს დეპოზიტების გახსნაზე, კრედიტის მიღებაზე, საბანკო ბარათებზე და ა.შ.;
- შიდა გადარიცხვებს საბანკო ანგარიშებზე;
- გადარიცხვებს სხვა ბანკების ანგარიშებზე;
- სახსრების კონვერტაციას.

ინტერნეტ ბანკი კერძო პირებს საშუალებას აძლევს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან შეასრულონ საბანკო ოპერაციათა უმეტესობა: განახორციელონ შიდა და ბანკთაშორისი უნაღდო გადახდები, გახსნან ანგარიშები, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, იყიდონ და გაყიდონ ვალუტა, მიიღონ ანგარიშების ამონაწერები და გამოიყენონ სხვა მომსახურებები.

**მობაილ ბანკი**

მობაილბანკი (mobile-banking) გულისხმობს მობილური საკომუნიკაციო საშუალებებისა (ტელეფონი, PDA-Personal Digital Assistant, კომუნიკატორი და სხვ.) და ოპერატორის ცალკეული მომსახურებების გამოყენებას.

მობაილ ბანკი არის ერთ–ერთი ფორმა ელექტრონული ბანკის და ნათელი მაგალითი თუ როგორ უნდა გასცდე საზღვრებს მისი ფუნქციების საშუალებით. ისინი ხელმისაწვდომია მობილური ტერმინალების საშუალებით – მობილური ტელელეფონებით, პერსონალური ციფრული მოწყობილობებით, პორტატული კომპიუტერებითდა უკაბელო კომუნიკაციებთან ერთად უზრუნველყოფს წვდომას გლობალურ ქსელში, ამით იძლევა საშუალებას ინტერნეტით მომსახურეობების გამოყენების. საბოლოოდ აღარ გიწევს შეხება საბანკო მომსახურეობებთან კომპიტერის საშუალებით.

მობაილ ბანკი არის ერთ–ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულება დისტანციური საბანკო მომსახურეობის სისტემის განვითარების. მობიაილ ბანკის სისტემა შედგება სამი ნაწილისგან: მობილური საინფორმაციო მომსახურეობა, საბანკო ანგარიშების დისტანციური

მართვის სისტემა და გადახდის სისტემა. ყველაზე გავრცელებულია ანგარიშის შესახებ ამონაწერის მიღება ან ამონაწერი ლიმიტის შესახებ ბარათზე არსებული თანხის წვდომისთვის. საკრედიტო დაწესებულებებში ასეთი სისტემა იძლევა თანამშრომელთა მუშაობის ოპტიმიზაციისა და სხვადასხვა მარკეტინგული კვლევების განხორციელების საშუალებას.

კომპიუტერული შესაძლებლობების სწრაფმა განვითარებამ განაპირობა უფრო იაფი ტექნოლოგიების შექმნა ელექტრონული მომსახურეობის საფუძველზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კომპიუტერული შესაძლებლობები მკვეთრად გაიზარდა, ხოლო სატელეკომუნიკაციო ხარჯები მკვეთრად შემცირდა.

**სატელეფონო ბანკი**

სატელეფონო ბანკის (phone-banking) ტექნოლოგიები დაფუძნებულია ინფორმაციის ხმოვანი გადაცემის მეთოდზე სატელეფონო ოპერატორების მომსახურების (Call Center) ან ღილაკებიანი ტელეფონისა (Touch Tone Telephone) და კომპიუტერიზებული სატელეფონო კავშირის საშუალებების (Interactive Voice Response ტექნოლოგიები, Speech to Text, Text to Speech) გამოყენებით.

სატელეფონო ბანკის ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი სახის მომსახურების მიღება:

- ინფორმაცია ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ;
- ინფორმაცია კლიენტის სასარგებლოდ ჩარიცხული თანხის შესახებ;
- განაცხადის შეტანა გადახდის თაობაზე, ნაღდი ფულის შეკვეთა ნებისმიერ ვალუტაში;
- განაცხადის შეტანა ანგარიშის ამონაწერის ფაქსიმილური ასლის მიღებაზე [4].

## დასკვნა

უდაოა, რომ საბანკო საქმიანობის მომავალი დამოკიდებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. თანამედროვე კლიენტს სურს მიიღოს ისეთი საბანკო მომსახურება, რომელიც მის მოთხოვნებსა და მოლოდინს პასუხობს. ამასთანავე, მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ოპერატიული და მაქსიმალურად კომფორტული კლიენტისათვის. ამისათვის კომერციულმა ბანკებმა უნდა შეეცადონ, მუდმივად სრულჰყონ თავიანთი ტექნოლოგიები და მიიღონ ზომები ინფორმაციული სერვისების ხარისხისა და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის.

## ლიტერატურა


1. White L. H. The Technology Revolution and Monetary Evolution, In: The Future of Money in the Information Age. 2001 Cato Institute's 14th Annual MonetaryConference.
2. Банки и банковские операции: Учебник / Под ред. проф. Е.Ф. Жукова. (Банки и биржи, издательское объединение “ЮНИТИ”,2004,с.234, Ст.26.
3. http ://ru.wikipedia.org/wiki/%D0.
4. Система электронного банкинга, М.- Изд-во “ВИФИТ”, 2007, с.1.
5. Бабаев А. Б. Банки в сети Интернет, Банковские технологии, 2001, №11, ст.22.

**რეზიუმე**

საქმიანობის ახალი პირობები მოითხოვს არა მხოლოდ ტრადიციული საბანკო გადაწყვეტილებების აქტიურ გამოყენებას, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვას, რომლებიც რეალიზებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მოცემულ სტატიაში განხილულია ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება საბანკო საქმიანობაში და ყველაზე მეტად გავრცელებული საგადასახადო ელექტრონული სისტემები. ამასთანავე შესწავლილია დისტანციური საბანკო მომსახურების სახეები და გამოკვლეულია ინტერნეტ ბანკის ფუნქციები და განვითარების ძირითადი ფაქტორები. მოცემულია საბანკო ინტერნეტის დახასიათება და განხილულია ელექტონული საგადასახადო სისტემების და ინტერნეტ ბანკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** დსმ (დისტანციური საბანკ მომსახურეობა), ინტერნეტ ტექნოლოგიები, კომერციული ბანკები, სისტემა „კლიენტ-ბანკი“, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი, სატელეფონო-ბანკი, ბანკომატების მოსახურეობა, ელექტრონული წვდომა.

**Ia Aptsiauri**

**Distant Banking Service Methods and Forms of Electronic Access for Clients**

**Summary**

The new conditions in this sphere of work require not only the active usage of traditional bank decisions but also the installment of contemporary achievements of the science and engineering that are realized in distant banking service methods. In this article it is discussed the use of internet technologies in commercial banks and its specifics. We outline and briefly describe well-known online payment systems that exist in the world. We also studied distant banking service forms and made research internet banking functions and main factors for their development. The internet banking drscription and its economic efficiency is also analysed.

**Keywords:** DBS (distant banking service), internet technologies, commercial banks, PC-banking, internet-banking, mobile-banking, phone-banking, ATM-banking, electronic access.

**ელისაბედ ბალიაშვილი**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## ზღვისპირა კურორტების განვითარების ტენდენციები აჭარის მაგალითზე

**„კურორტი** ეწოდება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით (მინერალური წყალი, ტალახი, განსაკუთრებული კლიმატი) მდიდარ ადგილს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის აღნიშნული ფაქტორების გამოსაყენებლად[1].“ ხოლო **საკურორტო ადგილად** ითვება „ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით (მინერალური წყალი, ტალახი, განსაკუთრებული კლიმატი) მდიდარი ადგილი, რომელსაც არა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის აღნიშნული ფაქტორების გამოსაყენებლად“[2.] კლასიფიკაციის მიხედვით არსებობს კურორტის 3 ძირითად ჯგუფი:

- კლიმატური;
- ბალნეოლოგიურ-კლიმატური;
- ტალახით სამკურნალო.

აჭარის რეკრეაციულ მეურნეობაში, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ტურისტულ-საექსკურსიო ფუნქციასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია - საკურორტო. აჭარა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, მიმზიდველობითა და სილამაზით გამოირჩევა. ძირითადი რეკრეაციული საკურორტო ცენტრებია – ბათუმი, ჩაქვი, მახინჯაური ქობულეთი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, რომელთაც გააჩნიათ როგორც მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, ასევე, ზრდის ძალიან დიდი პერსპექტივები. აჭარა მდიდარია მინერალური წყაროებით. მთელი საქართველოსა და აჭარისთვის შავი ზღვის რესურსი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა, სანაპირო ხაზის სიგრძე 54 კმ–ზე არის გავრცელებული[3].

მთავარი განმასხვავებელი ნიშნები, რომლითაც ზღვის კლიმატი განსხვავდება სხვა ზონებისაგან- მაღალი ატმოსფერული წნევაა. აგრეთვე, ჰაერი, რომელიც გამოირჩევა სისუფთავითა და უარყოფითი აეროიონებით, როგორც ზღვის, ისე მცენარეული წარმოშობის (იოდის, ბრომის, ქლორის და ა.შ.) მიკროელემენტებისა და მინერალური მარილების მაღალი კონცენტრაციით, მაღალიტენიანობით, ოზონისა და მზის რადიაციის სიუხვით. „ზღვის წყლის შემადგენლობაში შედის მაკრო და მიკროელემენტების შემცველი ნივთიერებათა დიდი რაოდენობა, რომლებიც იდეალურია ადამიანის კანზე სამკურნალო ზემოქმედებისთვის ´´[4]

***გთავაზობთ აჭარის ზღვისპირა რამოდენიმე კურორტისა და საკურორტო ადგილის მოკლე დახასიათებას. მათ მიეკუთვნება:[5]***

---

[1] ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბ., 20011; გვ.23
[2]. იქვე;
[3]. http://gobatumi.com/ka/seaside-adjara
[4] ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბ., 20011; გვ. 27;
[5]. http://adjaratour.com/ge/tours-in-georgia/resorts-in-georgia

- ✓ ზღვისპირა კურორტი **ბათუმი** - მდებარეობს ზღვის დონიდან 5 მ-ის სიმაღლეზე – კახაბრის დაბლობზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შავშეთ -მესხეთის ქედები, ბათუმსა და თბილისს შორის 350 კმ-ია დაშორება. რელიეფი ძირითადად ვაკე-ბორცვიანია. კლიმატის ძირითადი სახე ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული ჰავა უთოვლო ზამთრით და თბილი ზაფხულით.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **ქობულეთი** - შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობს 5 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებზე, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 21 კმ-ის ქობულეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ვაკეა. გამოირჩევა ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 2514 მმ-ს. მცენარეების ძირითადი სახეა – სუბტროპიკული, დეკორატიული, ჩაისპლანტაციები. გამოირჩევა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, მკურნალობის ძირითადი სახეობა - თალასოთერაპი არის.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **სარფი** - ბათუმიდან სამხრეთით, 18 კმ-ში მდებარეობს, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ახლოს. განსაკუთრებით პოპულარულია კურორტი სარფი ზღვაზე დასვენების მოყვარულთათვის, იდეალური პერიოდია ზაფხული და გაზაფხული. საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლში ზღვის წყალი განსაკუთრებულად გამჭვირვალეა, სხვა ( წყლის) ნაპირებთან შედარებით.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **კვარიათი** ბათუმიდან სულ რაღაც 15 კმ-ში კახაბრის ვაკეზე მდებარეობს თურქეთის საზღვართან, ძირითადად მიდიან დამსვენებლები ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში. საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლში ზღვის წყალი განსაკუთრებულად გამჭვირვალე და სუფთაა. მრავალფეროვანი წყალქვეშა სამყაროა კვარიათის საზღვაო ტერიტორიაზე.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **მწვანე კონცხი** - ხელვაჩაურის რაიონში მდებარეობს, ბათუმიდან 9 კილომეტრში ზღვის დონიდან 90 მ-ზე. მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, მესხეთის ფერდობებს, მწვანე კონცხის რელიეფი მთაგორიანია. კლიმატი ნოტიო სუბტროპიკული, რის გამო ზაფხული ძალიან თბილია, ნოტიო ზამთარი კი თითქმის უთოვლო და თბილია. მწვანე კონცხის ფლორა სუბტროპიკული მცენარეებით არის წარმოდგენილი.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **მახინჯაური** მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში. შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლზე, ქ. ბათუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ის მანძილზე, ზღვის დონიდან – 15 მ. ვაკეზე. კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკულია. ზამთარი თბილი, უთოვლო, ხოლო ზაფხული გამოირჩევა ტენიანობით და ნალექების რაოდენობით.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **ციხისძირი** - ქობულეთის რაიონის შემადგენელი მთაგორიანი ნაწილია. მდებარეობს შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლზე, ზღვის დონიდან 50 მეტრში. ზამთარი თბილი, უთოვლოა. ზაფხული ძალიან თბილია, ნოტიო ჰავით. მცენარეებიდან გავრცელებულია, სუბტროპიკული, დეკორატიული მცენარეები, ციტრუსის ბაღები და ჩაის პლანტაციები.
- ✓ ზღვისპირა კურორტი **ჩაქვი** - ვიზიტისთვის საუკეთესო დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. 13 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ბათუმიდან, რომელიც ისტორიულად ქართული ჩაის სამშობლოდ მიიჩნევა. ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვის დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, სოფელი ჩაისუბანი, ცნობილი ადგილია ფრინველებზე დამკვირვებელთათვის, აჭარაში ჩამოსულ ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩაქვის სანაპირო ზოლის მწვანეში ჩაფლული სასტუმროები და აგარაკები.[6]

[6]http:gobatumi.com

*რაც შეეხება აჭარის საკურორტო ადგილებს მათ მიეკუთვნება:*

- ✓ კურორტი **ბეშუმი** -აჭარის მთიანეთის ნაწილი, მდებარეობს ხულოს რაიონში ზღვის დონიდან 1900 მ-ზე. ბეშუმი მთაგორიანი-რელიეფით არის წარმოდგენილი. რეგიონისათვის დამახასიათებელია ზომიერად მშრალი კლიმატი, ცივ ზამთარს უხვთოვლიანობა ახასითებს. ბეშუმი გამოირჩევა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, მათგან ძირითადია მთის ჰავა. მკურნალობის სახეებიდან გავრცელებულია პასიური კლიმატოთერაპია.
- ✓ **გომარდული** ზღვის დონიდან 112 მეტრში, შუახევიდან დაახლოებით 23 კმ-ის მანძილზე მდებარეობს, გომარდულის ტერიტორია მთა-გორიანია. გავრცელებული არის ზომიერად ნოტიო კლიმატი, სწორედ ამის გამო, რეგიონი ხასიათდება თბილი და ხანგრძლივი ზამთრის პერიოდით, შეადრებით თბილი არის ზაფხული. მცენარეებიდან გავრცელებულია წიწვოვანი ტყეები და ხეხილის ბაღები, სწორედ ეს მრავალფეროვნება განაპირობებს კურორტის სამკურნალო თვისებებს. ძირითადი სამკურნალო ფაქტორები, რომლითაც კურორტი გამოირჩევა არის, საშუალო მთის ჰავა, გომარდულის მკურნალობის სახეობაა პასიური კლიმატოთერაპია.
- ✓ **კოკოტაური** მდებარეობს – ქედის რაიონში. მდ. აჭარის წყლისხეობაში, ზღვის დონიდან 680 მეტრში, ბათუმიდან 25 კმ-ისმანძილზე. რელიეფი – მთაგორიანია, გავრცელებულია დაბალი მთის, ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით. ბუნებრივი პირობების გამო ზამთარი თბილი და თითქმის უთოვლოა,ხოლო ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. მკურნალობის სახეობებიდან გამოირჩევა: მინერალური წყლით მკურნალობა (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

როგორც ვხედავთ, აჭარის რეგიონს უხვად გააჩნია ტურისტული დანიშნულების ადგილი (კურორტი, საკურორტო ადგილი) რეკრეაციული ტურიზმის განსავითარებლად, მაგრამ თუ საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მონაცემებს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ მოთხოვნა გამაჯანსაღებელ კურორტებზე არც თუ ისე მაღალია. კერძოდ, 2019-2020 წლებში პანდემიის გავრცელებამდე

1. აჭარის რეგიონში ტურისტების რაოდენობა - 3,7% -ით გაიზარდა წინა წლებთან (2017-2018წ.წ.) შედარებით;
2. ბოლო სამი წლის პერიოდში საქართველოს კურორტებზე მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით უცხოელი ტურისტების მხოლოდ 1% იყო ჩამოსული;
3. წლიური მოთხოვნა რეკრეაციულ კურორტებზე 1-2%-ს შეადგენს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია ეს მაჩვენებელი დაახლოებით 10%-ის ტოლი.[7]

ზემოაღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ ძირითადად აჭარის კურორტებს მიმართავენ უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები პროფილაქტიკის მიზნით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია ქართული რეკრეაციული კურორტების შესახებ. რაც შეეხება ადგილობრივ ვიზიტორებს, მათთვის ეს მომსახურება საკმაოდ ძვირია. მწირ ინფორმაციას ფლობენ აჭარის კურორტების შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენელი ტურისტები. ეს კი უმეტესწილად გამოწვეულია საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს კურორტების განვითარებითა და საერთო ბაზარზე ცნობადობით. ამასთანავე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტურისტები მოდიან არა უშუალოდ რომელიმე დაავადების სამკურნალოდ, არამედ - დასვენებისა და ჰაერის შეცვლის მიზნით, შემდგომ კი ადგილზე ხვდებათ სხვადასხავა გამაჯანსაღებელი ცენტრები და მხოლოდ ამის

[7]საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახური; წელიწდეული 2018-2019-2020; https://www.geostat.ge/ka/single-archive/

შემდეგ იგებენ აღნიშნული კურორტების უნიკალური სამკურნალო თვისებების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარაში ადგილი აქვს ფარულ მოთხოვნილებას რეკრეაციული ტურიზმის მიმართულებით.

საერთაშორისო ვიზიტორები ძირითადად ჩამოდიან მეზობელი (პოსტსაბჭოთა და აზიური) ქვეყნებიდან. ისინი ძირითადად ირჩევენ მთის კურორტებს, რაც შეიძლება აიხსნას იმ ფაქტორით, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კლიმატი ძირითადად ცხელია და ირჩევენ ნოტიო ჰავას. აგრეთვე, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ უცხოელი ტურისტები ძირითადად ჩამოდიან მცირე დროით საქართველოს ისტორიულ-კულტურული ძეგლების დასათვალიერებლად და მიუხედავად იმისა, რომ ეცნობიან ასევე რეკრეაციულ კურორტებს, ეს უფრო შეესაბამება კულტურულ ტურიზმს, ვიდრე რეკრეაციულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საქართველოს ზღვისპირა კურორტების SWOT ანალიზს, რათა უკეთ წარმოვაჩინოთ ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები მათ განსავითარებლად.

**ცხრილი #1**

**საქართველოს ზღვისპირა კურორტების „SWOT ანალიზი“[8]**

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| ➢ საკურორტო ადგილების მრავალფეროვნება და სიუხვე;<br>➢ უნიკალური სამკურნალო ფაქტორები;<br>➢ გეოგრაფიული განფენილობა;<br>➢ ბაზარზე არსებული მზარდი მოთხოვნა;<br>➢ ჯანსაღი გარემო;<br>➢ უპირატესობა მედიკამენტურ მკურნალობასთან შედარებით. | ➢ აუთვისებელი საკურორტო ადგილების სიმრავლე;<br>➢ განუვითარებელი ინფრასტრუქტურა;<br>➢ კვალიფიციური კადრების სიმცირე;<br>➢ არასაკმარისი ცნობადობა;<br>➢ არაინფორმირებულობა; რეკლამის არარსებობა;<br>➢ შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>➢ არასწორი ფასწარმოქმნის პოლიტიკა;<br>➢ მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე |
| **შესაძლებლობები** | **მოსალოდნელი საფრთხეები** |
| ➢ ინფრასტრუქტურის განვითარება;<br>➢ კვალიფიციური კადრების მოძიება;<br>➢ სამუშაო ადგილების ზრდა;<br>➢ საზღვაო ტურიზმის პოპულარიზაცია;<br>➢ ტურიზმის მოცემულ სახეობაზე მოთხოვნის ზრდა;<br>➢ მედიკამენტური მკურნალობის ჩანაცვლება თერაპიული მკურნალობით;<br>➢ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;<br>➢ ინვესტიციების ზრდა; | ➢ ზღვისპირა საკურორტო ადგილებისა და კურორტების განადგურება;<br>➢ კურორტებზე არსებული რესურსების არასწორი გამოყენება;<br>➢ არაკვალიფიციური კადრები;<br>➢ არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებაში.<br>➢ ეპიდემია |

[8]ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

| | |
|---|---|
| ➢ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;<br>➢ ზღვისპირა კურორტებზე არსებული რესურსების ეფექტური გამოყენება. | |

როგორც ცხრილიდან ირკვევა, საქართველოს სამკურნალო კურორტებს, მიუხედავად მათი სიმრავლისა და უნიკალურობისა, მრავალი პრობლემა გააჩნია, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ - რესურსების აუთვისებლობა, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, რეკლამის არარსებობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა. კონკრეტულად კი:

1. ტურიზმის სექტორის სათანადოდ განვითარებას ძალიან აფერხებს გაუმართავი და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. არ არის სრულყოფილი სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელები, რის გამოც ფერხდება ტურისტების დაკმაყოფილება განთავსების ობიექტებით. ასევე, კერძო სექტორის უმეტესი ნაწილის სასტუმროების მომსახურების დონე კვლავ დაბალია.
2. გასათვალისწინებელია სატრანსპორტო სისტემაში არსებული პრობლემები. სატრანსპორტო ტრასები მოუწესრიგებელია, განუვითარებელია საზღვაო ტრანსპორტის სახეობები.
3. სანაპირო ზოლის ზოგიერთ მონაკვეთზე შეინიშნება არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა. არ ხდება სანაპიროს სათანადოდ დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა სტანდარტების მიხედვით. ასევე, ძალიან ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ნარჩენებით, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.
4. საქართველოს ზღვისპირა კურორტების პოტენციალის შესახებ არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა. აჭარის რეგიონის რამოდენუმე კურორტის გარდა, არ ხდება რეკლამისა და პროპაგანდის გაწევა დანარჩენ ზღვისპირა კურორტებზე. ამდენად, საჭიროა მათი მეტად პოპულარიზაცია.
5. ქვეყანაში ტურიზმის უკეთ განვითარებისათვის საჭიროა - საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ურიგო არ არის განვიხილოთ აჭარის ზღვისპირა კურორტების განვითარების პოლიტიკური ასპექტები. ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიო მასშტაბით არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო ტიპის რეგულაცია, რომელიც დაარეგულირებდა სამართლებრივი ასპექტებით ტურიზმის სფეროს.

გაეროს სისტემაში არსებობს შესაბამისი ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სახელით. „იგი ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას. ცდილობს ტურიზმის როლის წარმოჩენას ეკონომიკური ზრდის, ინკლუზიური განვითარების და გარემოს დაცვის მიმართულებით[9].“

საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა ნორმატიული აქტით არეგულირებს ტურიზმის სექტორს და მასში ჩართული პირების საქმიანობას, ეს ყველაფერი ხდება შესაბამისი კანონის მიხედვით, მაგრამ ცალკეული აქტი არ არსებობს უშუალოდ ამ სფეროს დასარეგულირებლად, ნაწილობრივ ხდება რეალურად ტურიზმის სფეროს რეგულირება, აქედან გმომდინარე, საჭიროა უახლესი კანონის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს ტურიზმის თანამედროვე გამოწვევებს.

[9]ttps://gnta.ge/ge/authors/მსოფლიო-ტურიზმის-ორგანიზაცია/

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა ტურიზმის დარგში ცალკე მსჯელობის საგანია, იქედან გამოდინარე, რომ გარკვეულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, მათ გააჩნიათ საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აჭარის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო 2007 წელს. შესაბამისად, ძირითადი საკითხები თანხვედრაში მოდის საქართველოს კანონთან, მაგრამ რეგიონის დონეზე საკანონმდებლო მოწესრიგება და პრიორიტეტების განსაზღვრა, ისევე, როგორც რეგიონული პოლიტიკის და მიმართულებების დადგენა - მთლიანად ავტონომიურ ხელისუფლებას არის მიკუთვნებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სანიტარიული დაცვის ზონების დადგენას აკისრებს შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ეს ორგანოები კი მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობა არც შესაბამის ორგანოს და არც წარდგენის პროცედურებს იმისათვის, რომ ტურიზმიდან შემოსული შემოსავლები უფრო მეტად გაიზარდოს.

ამდენად, საჭიროა ახალი რეგულაციების შემოღება, ზემოაღნიშნული დოკუმენტის განახლება და ცვლილებების შეტანა ტურიზმის განვითარების პოლიტიკაში, ძველი კანონი რეალურად ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ახალი გამოწვევების წინაშე მდგარი ეკონომიკის ამ დარგის - ტურიზმის ხელშეწყობას. თანაც ყურადღება მისაქცევია იმ ფაქტზეც, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი ტურიზმს ყოველთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ასახელებს, რითაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას რეგიონის განვითარებისთვის.

ყურადღება გასამახვილებელია კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკვანძო საკითხზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ანხორციელებს კურორტებზე ტურიზმის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის ერთიან პოლიტიკას, რომელიც მიმართული უნდა იყოს კურორტების განვითარების სრულყოფისკენ, მაგრამ შიდა ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ბიზნეს-ერთეულების მიერ შეთავაზებულ მომსახურებებზე არსებული მაღალი ფასები და მომსახურების დაბალი ხარისხი. რაც შეეხება სანაპირო ზონას, აქაც დიდი პრობლემა იკვეთება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: გამტარუნარიანობა, მდგრადობის შენარჩუნება და ნარჩენების მართვა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რეგიონს შემუშავებული აქვს გარკვეული რეგულაციები, მაინც დიდ პრობლემად რჩება ადამიანის ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოში არსებობს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების დაცვის შესახებ“, რომელშიც მითითებულია, რომ „სანიტარული დაცვის ზონები დგინდება ყველა კურორტისა და საკურორტე ადგილისთვის. კლიმატური ზონის ტერიტორიაზე ნებადართული არის ნებისმიერი სახის სამუშაოების დაშვება, რაც უარყოფითად არ იმოქმედებს საკურორტე ადგილზე.“ [10]

წინამდებარე კანონი ნაწილობრივ არეგულირებს ზღვისპირა კურორტების დაცვას, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს შესაბამისი სახის უწყება, რომელიც დაადგენს მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლების საზღვრებს. სანაპირო ზონის

[10]კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ

სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტს და განსაზღვრავს ზღვის სანაპიროს დაცვის ღონისძიებებს. მაგრამ რეალურად კვლავ დიდ პრობლემად რჩება, ზღვის სანაპირო ზოლის და წყლის ნარჩენების მართვა, ფლორისა და ფაუნის დაცვა. არსებული კანონი, რომლითაც რეგულირდება აჭარის ზღვისპირა კურორტები და საკურორტო ადგლები, მეტად მოძველებულია, ამდენად, ის საჭიროებს გარკვეული ცვლილებების გატარებას.

შავი ზღვის სანაპირო ზონაში უნდა განხორციელდეს ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა განვითარებისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი სტანდარტები, რომელიც შეესაბამება მსოფლიო სანაპირო ზონის მენეჯმენტს და არეგულირებს ზღვისპირა კურორტებს.

და ბოლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა უწყებებმა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ერთობლივად უნდა იმოქმედონ, რათა შეიმუშაონ სანაპირო ზონის ეფექტური მენეჯმენტის პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებს შემდეგ უარყოფით ფაქტორებს:

1. რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ კონფლიქტებს;
2. გარემოს დაბინძურებასა და რესურსების დეგრადაციით გამოწვეულ პრობლემებს;
3. უსაფრთხოების საკითხებს;
4. სანაპირო ზონის რეზიდენტთა დონეს;
5. სანაპირო ზონაში არსებული ინდუსტრიებისა და ეკოსისტემების გრძელვადიან მდგრადობის საკითხებს;
6. ადმინისტრაციულ მდგრადობას;
7. მომავალ გამოწვევებს.

საქართველოს ძალიან დიდი რესურსი გააჩნია ზღვისპირა კურორტებისა და საკურორტე ადგილების სახით, თუმცა არსებობს მრავალი ნეგატიური ფაქტორი, რომელიც აფერხებს საზღვაო ტურიზმის უფრო მეტად განვითარებასა და სრულყოფას.

იმისათვის, რომ სათანადოდ განვითარდეს ტურიზმის სექტორი, კერძოდ, ზღვისპირა კურორტები და ეფექტურად იქნეს გამოყენებული არსებული სამკურნალო დანიშნულების რესურსი, საჭიროა ქმედითი მასტიმულირებელი ღონისძიებების დასახვა და სწრაფად გატარება. კერძოდ:

- უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მართვის სტრატეგიები და განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ;
- განხორციელდეს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოზიდული იქნეს ინვესტიციები ტურიზმის სექტორში;
- აუცილებელია გაუმჯობესდეს საგზაო სისტემა, განსაკუთრებით მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი სწორედ მაღალმთიან რეგიონებშია თავმოყრილი;
- მოხდეს საზღვაო კურორტების მეტად პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს რეგიონის ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე;
- განხორციელდეს ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე პერსონალის გადამზადება;
- შეიქმნას სასტუმროებისა და სააგენტოებისთვის სრულყოფილი საინფორმაციო ელექტრონული ბაზა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერი მცხოვრებისათვის;

- დაწესდეს ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები და შეიქმნას სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მომსახურების დონის ამაღლებას.

## ლიტერატურა


1. ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბ., 20011;
2. საქართველოს კანონი - კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ, თბ., 1998;
3. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, თბ., 1997წ
4. საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე; თბ., 2006;
5. აფროდიტა კვაშილავა -ცეკვავა კურორტები ნარკვევი 2011;
6. აჭარის კლიმატის ცვლილებების სტრატეგია, თბ., 2013
7. ტურიზმის რეგულირება, პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა, ბათუმი., 2017 წელი
8. http://adjaratour.com/ge/tours-in-georgia/resorts-in-georgia;
9. საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახური; წელიწდეული 2018-2019-2020;
10. https://www.geostat.ge/ka/single-archive/
11. ttps://gnta.ge/ge/authors/მსოფლიო-ტურიზმის-ორგანიზაცია/
12. http:gobatumi.com


## რეზიუმე


ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი და მნიშვნელოვანი დარგია, ტურიზმის განვითარება ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას და საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას. საქართველო ამ მხრივ, რა თქმა აუნდა, გამოირჩევა, აქვს რა უაღრესად მრავალფეროვანი ბუნებრივი და კულტურული რესურსი და ჩვენი ქვეყანა არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. ნაშრომში განხილულია საქართველოს მნიშვნელოვანი ზღვისპირა რეგიონი - აჭარა - მისი მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, მისი განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები რეგიონის შემდგომი განვითარების მიმართულებით.



**საკვანძო სიტყვები:** რეკრეაციული ტურიზმი, კურორტი, საკურორტო ადგილი, ზღვისპირა სანაპირო ზოლი, სანიტარული დაცვის ზონა.

**Elisabed Baliashvili**

**Trends in the Development of Seaside resorts on the Example of Adjara**

**Summary**

Tourism is one of the growing and important sectors in economics. The development of tourism grows the country's economics, new job places, raising the cultural level of the country's population and develops communication systems. From this point of view, Georgia is exceptional. Georgia has diversified nature and cultural resources and faces many important challenges. In the papers is discussed the important seaside region -Adjara, it's challenges with strong and weak sides, hindering and supporting factors. Based on the carried out analysis, some recommendations for the region's further development is given.

**Key words**: recreational tourism, resort, resort place, seaside, sanitary protection zones.

**თინათინ დოლიაშვილი, ვახტანგ ნადირაძე**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## საჰაერო ტრანსპორტის საქმიანობაში COVID 19-ით გამოწვეული შედეგების ანალიზი და კრიზისიდან გამოსვლის გზები

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2020 წელი ისტორიაში შევა, როგორც კორონავირუსის პანდემიისა და მის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის წელი. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გამოვლენილმა ვირუსმა დაამტკიცა, რომ მისთვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები არაფერს წარმოადგენს და სულ რაღაც რამდენიმე კვირის მანძილზე ფაქტობრივად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამას მოჰყვა პანდემიით მოცულ ქვეყნებში აქამდე უპრეცენდენტო ღონისძიებები: მსხვილი ქალაქების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სრული იზოლაცია და კარანტინი, სატრანსპორტო კომუნიკაციების შეჩერება, მოსახლეობის სოციალური დისტანცირების ადმინისტრაციული წესით უზრუნველყოფა, მთელი რიგი საქმიანობების და წარმოების შეჩერება ან არსებითი გადაფორმატება და ა.შ. შესაბამისად, კორონავირუსის საფრთხემ და მის წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა სერიოზული ცვილებები გამოიწვიეს არა მარტო ადამიანთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ქცევაში, არამედ მოითხოვეს მთელი რიგი ინსტიტუტების სტატუსისა და ფუნქციების არსებითი ტრანსფორმირება.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის თავისებურება, ანუ მისი ატიპურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არაეკონომიკური წარმომავლობისაა, არ უკავშირდება ეკონომიკის რომელიმე სეგმენტს ან კვლავწარმოების ფაზას და სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათისაა, რის გამოც შემთხვევით არ დაიმსახურა სახელწოდება კორონომიკა [1, გვ.5].

აღნიშნული კრიზისი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე, მაგალითად, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი ან 1929-1933 წლების ე.წ. დიდი დეპრესია. კერძოდ, თუ 2008 წლის კრიზისმა პირველ რიგში დაარტყა ფინანსურ სისტემას, კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის ეპიცენტრი გახდა ჯანდაცვის სფეროს სისტემა. აქედან გავრცელდა ის რეალურ ეკონომიკაზე, სოციალურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელა „საკონტროლო გასროლა“ ფინანსურ სისტემაზე.

ამ კრიზისს, მასშტაბურობიდან გამომდინარე, შემთხვევით არ ადარებენ მესამე მსოფლიო ომს. მასში ჩართული სახელმწიფოების რაოდენობა (ფაქტობრივად ყველა მათგანის) სამჯერ და მეტად აღემატება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების რაოდენობას. მარტო ჩინეთის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში ვერ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი, მოცულობით შესადარ ფასებში უტოლდება მილიტარისტური იაპონიის მიერ მეორე მსოფლიო ომში გაღებულ სამხედრო ხარჯების ჯამურ ღირებულებას. კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შესაძლოა 1,1-დან 1,6 ტრილიონ აშშ დოლარამდე, ხოლო მთელმა მსოფლიომ 9 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი ზარალი განიცადოს, რაც მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 9,7%-მდეა [1, გვ.7].

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი გლობალურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მან მთლიანად მოიცვა მსოფლიო ეკონომიკისა და მოხმარების ერთიანი წრე

და ზარალისა და სოციალური შედეგების მასშტაბურობით ადეკვატურად აისახა ყველა სახელმწიფოზე და მათ მოსახლეობაზე. მან თავი იჩინა ეკონომიკური ურთიერთოებების ყველა ასპექტში, გამოიწვია რა ბიზნესის კეთების ღირებულების გაძვირება, სამუშაო ძალის მობილურობის შეზღუდვა, ჩავარდნები მიწოდების ჯაჭვში, გაურკვევლობის ზრდა, უსაფრთხოების ზომების გამკაცრება და საბაზრო ურთიერთობების მნიშვნელოვნად შეზღუდვა ოთხივე ძირითადი ჰიპოსტასის (კაპიტალი, სამუშაო ძალა, საქონელი და მომსახურება) მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანდემიის გლობალურმა ხასიათმა მოიცვა მსოფლიო ეკონომიკის ყველა დარგი, შექმნა განუსაზღვრელი კრიზისული მდგომარეობა, შეაფერხა ქვეყნებს შორის ურთიერთობა და ეკონომიკური საქმიანობა, შეზღუდა და გარკვეული ვადით აკრძალა, როგორც ქვეყნებს შორის, ისე საქალაქთაშორისო გადაადგილება ყოველგვარი ტრანსპორტით. ყველაზე დიდი ზიანი ამ მხრივ საჰაერო ტრანსპორტს მიადგა, რომელიც კორონამდელ პერიოდში მგზავრთგადაყვანებიდან და ტვირთგადაზიდვებიდან მიღებული შემოსავლების აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა.

2019 წელს 2 უძველეს ავიაკომპანიას - ჰოლანდიურ KLM-ს და ლათინო-ამერიკულ Avianca-ს 100 წელი შეუსრულდა. ეს წელი საავიაციო სამყაროს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რადგან მთელს მსოფლიოში თვითმფრინავებმა 4,7 მლრდ. მგზავრი გადაიყვანეს. თუმცა, სულ მალე 2020 წელიც მოვიდა და დღეს საავიაციო დარგის ახალი ამბები საომარ ქრონიკას მოგვაგონებს. ავსტრალიურმა Virgin Australia-მ 3000 ადამიანი გაათავისუფლა და გაკოტრების შესახებ განაცხადა. Thai Airways, Avianca, Air Mauritius, South African Airways გაკოტრდნენ. Norwegian-მა ყველა ფრენა 2021 წლამდე გადადო, Emirates კი თავისი ავიაპარკი გაანახევრა და ათასობით თანამშრომელი უმუშევრად დატოვა[2].

2019 წელს ავიაბაზრის მოგებამ 30 მლრდ. დოლარი შეადგინა, იმ დროისთვის ის მონათესავე დარგებსაც აძლიერებდა, ისეთებს როგორცაა სათადარიგო ნაწილების წარმოება, საწვავის მიწოდება, ტურისტული სექტორი, რესტორნები, სასტუმროები და ა.შ. მსოფლიოს ავიაციის სწრაფი ზრდის წყალობით, მშპ-ში ტურიზმის წილი საგრძნობლად გაიზარდა. 2018 წლის ბოლოსთვის 50 ყველაზე განვითარებულ ქვეყანათა შორის 15-ში, ტურიზმის წილი ეკონომიკაში 11%-24%-ს შეადგენდა. ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ავიაციის სულ უფრო მეტი ხელმისაწვდომობა. კორონავირუსის პანდემიის პირობებში კი გლობალური საავიაციო ბაზრის 90%-ი ჩამოიშალა. ზოგ ქვეყანაში ავიაგადაზიდვები გრძელდება, თუმცა მკვეთრად შემცირდა, მაგალითად ჩინეთში, თვითმფრინავების დატვირთვა 2019 წელთან შედარებით განახევრდა. ზოგიერთ ქვეყანაში კი საავიაციო მიმოსვლა საერთოდ შეიზღუდა. პირველ რიგში ეს პატარა ქვეყნებს შეეხო, ისეთებს - როგორიც საქართველოა. მათ მნიშვნელოვანი რაოდენობის შიდა ფრენები არა აქვთ, ხოლო გარე რეისები ჩაკეტილი საზღვრების გამო, არ სრულდება.

ავიაციის საერთაშორისო სააგენტოს (ICAO) ინფორმაციით, 2020 წელი კატასტროფული შედეგებით დასრულდება. მსოფლიო ავიაცია შემოსავლის 314 მლრდ დოლარს დაკარგავს. აღნიშნულ პროგნოზს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციაში (IATA) აკეთებენ. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო კარანტინიდან ნელ-ნელა გამოდის, საბოლოოდ, საერთაშორისო გადაზიდვების ვარდნა 45%-დან 80%-მდე იქნება. რა თქმა უნდა, მსოფლიოში არც ერთი ავიაკომპანია ასეთი კატაკლიზმისთვის მზად არ იყო. შესაბამისად, ისინი კრიზისს განსხვავებულად შეხვდნენ. დღეს ყველას უჭირს, თუმცა, სხვებზე ნაკლებად დაბალბიუჯეტიანი კომპანიები დაზარალდნენ, პირველ რიგში Ryanair, Wizzair, Air Arabia,

IndiGo, AZUL და ამერიკული Southwest [2]. ისინი კრიზისს ფინანსური თვალსაზრისით შედარებით უკეთესად მომზადებულები შეხვდნენ, ამიტომ მათი დანაკარგები მინიმალური იქნება და აღდგენასაც სხვებზე უკეთესად მოახერხებენ. გარდა ამისა, Wizzair და Ryanair, როგორც ჩანს, ბაზრის მკვეთრი დაპყრობისთვის ემზადებიან.

კორონა-კრიზისმა მსოფლიოში არსებული ტრენდები დააჩქარა. მაგალითად ისეთი, როგორიც ონლაინ-ვაჭრობის ზრდაა. საკუთარი ტენდენციები ავიაბაზარსაც ჰქონდა. მაგალითად, დაბალბიუჯეტიანი კომპანიები ბაზარს აქტიურად იპყრობდნენ და 2019 წელს მათზე მთლიანი ბაზრის 30% მოდიოდა. სავარაუდოდ, უახლოეს 3-4 წელიწადში ეს მაჩვენებელი 50%-მდე გაიზრდება. ასევე სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი ავიაჰაბის კუთხით, რადგანაც ტრანსკონტინენტალური ავიაფრენები ყველაზე ბოლოს აღდგება. შესაბამისად, ამით ისეთი გიგანტი აეროპორტები, როგორებიც ფრანკფურტში და მიუნჰენშია, ყველაზე მეტად დაზარალდებიან. შედარებით სწრაფი აღდგენა იქნება დიდ ქვეყნებში, სადაც შიდა გადაზიდვების სეგმენტი საკმაოდ მსხვილია. მაგალითად შტატებში, ჩინეთში, რუსეთში, ბრაზილიაში, ინდოეთსა და ინდონეზიაში. შესაბამისად, პატარა ქვეყნებს, სადაც შიდა ფრენები არ არსებობს ან მცირე მოცულობისაა, ეს უპირატესობა არ ექნებათ.

საჰაერო ბიზნესმა კატასტროფული ვარდნა განიცადა მსოფლიო მასშტაბით. ევროპაში, მაგალითად, 88%-იანი ვარდნა დაფიქსირდა. პანდემიის დროს დარჩა მხოლოდ ტვირთგადაზიდვები და სარეპატრეაციო ფრენები. ICAO-მ ეკონომიკური პროგნოზისა და კრიზისიდან გამოსვლის 2 მიმართულება ჩამოაყალიბა: რეგულარული ფრენების მყისიერი აღდგენა, რომელიც ფაქტიურად გამორიცხული იყო იმ მომენტისათვის და ფრენების რაოდენობის შეზღუდვა, რაც გამოყენებულ იქნა. ამან გამოიწვია 320 მილიარდი შემოსავლის დანაკარგი.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პატარა ქვეყნებში, ეს პრობლემა უფრო მკაცრად დადგა, რადგან ჩვენთან ძირითადად საერთაშორისო ფრენები ხორციელდება და ნაკლებად განვითარებულია შიდა გადაზიდვები. თებერვლის მდგომარეობით ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო და დაფრინავდა 33 ავიაკომპანია, 69 რეგულარული მიმართულება და კვირაში 285 სიხშირე. გარდა ამისა, ფუნქციონირებდა 3 სატვირთო კომპანია 3 რეგულარული მიმართულებით და კვირაში 7 სიხშირით. პანდემიის დაწყებისთანავე ეს მონაცემები განულდა, ანუ 3 თვის განმავლობაში გაუქმდა 5000-ზე მეტი რეისი და განხორციელდა მხოლოდ 45 სარეპატრეაციო ფრენა თბილისის მიმართულებით [3]. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ შეხებია ტვირთგადაზიდვების პროცესს, რომლის მოცულობაც მთლიანობაში გაზრდილია 9%-ით და ძირითადად გამოწვეულია სამედიცინო ინვენტარისა და სადეზინფექციო საშუალებების ტრანსპორტირებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შვიდ თვეზე მეტია, რაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი არ ფუნქციონირებს.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მსოფლიო საჰაერო ბიზნესის წინაშე დგას 3 ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა, რომლებზეც დამოკიდებულია ამ დარგის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია:

1. პანდემიის ხანგრძლივობა - ბუნებრივია, თუ არ მოხდება სივრცეების და შეზღუდვების მოხსნა, ვერ აღდგება მიმოსვლა ქვეყნებს შორის;
2. ავიაოპერატორებისადმი მგზავრების მხრიდან სანდოობა და მათი ამ მომსახურების სექტორში დაბრუნების დრო;
3. ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობა - შეძლებენ კი ისინი იგივე სიხშირით ამ მომსახურების შეძენას? ამის ნიადაგზე Ryanair-ის დირექტორის ბატონი მაიკლ ოლირის

განცხადებით: „99 ევროს ნაცვლად 9 ევროდ ან თუ საჭირო გახდა 99 ცენტადაც კი უნდა გავყიდოთ ბილეთი, რომ სანდოობა დავიბრუნოთ და გავზარდოთ მგზავრთნაკადი“ [3].

დასახული ამოცანების გადაჭრისთვის, შემდგომ კი კრიზისიდან გამოსვლისა და კორონამდელი ნიშნულის მიღწევისათვის, აუცილებელია შემუშავდეს მოქმედებების პაკეტი. ამ პაკეტში, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს შემდეგი გარემოებები. კერძოდ:

1. მაქსიმალურად დაიზოგოს თანხები, რათა შენარჩუნებულ იქნეს პროფესიონალი პერსონალი შემდგომი საქმიანობის მზაობისთვის;
2. ვინაიდან ანალიტიკური კვლევები ცხადყოფს, რომ საჰაერო ტვირთგადაზიდვები მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, საჭიროა ავიაგადამზიდველებმა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა;
3. VIP და ბიზნეს-ავიაციის ხელშეწყობა. როგორც ვიცით, ბიზნესი აქტიურად იყენებს საკუთარი საქმინობისა და შეხვედრებისთვის ავიამიმოსვლას და სწორედ ამ სეგმენტზე იქნება მომგებიანი ყურადღების გამახვილება კორონა-პანდემიის დროს;
4. ადგილობრივ ბაზარზე ოპერირება, რაც მიღწევადია საშუალო სიდიდის ქვეყნებისათვის შიდა რეისების შესრულებით;
5. აეროპორტებისთვის დროებითი „პარკინგ“ სტატუსის მინიჭება. საკმაოდ მსხვილი ავიაკომპანიები ბოლო დროს დროებითი ავიაპარკის შემცირების ტენდენციით ხასიათდებიან. სწორედ ამის გამო მცირე ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, საშუალება აქვთ აეროპორტების ტერიტორია სწორედ „ავიაპარკინგის“-თვის გამოიყენონ და ამით საკმაოდ სოლიდური შემოსავალი მიიღონ, რაც შეამსუბუქებს კორონა-პანდემიით გამოწვეულ დანაკარგებს;
6. სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებების მოთხოვნა კრიზისის დაძლევისა და მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ანუ ე.წ. „რესტარტ“-ის გეგმა, რომელიც გულისხმობს 12 თვეზე გათვლილ სამოქმედო გეგმას „Zero-based budgeting (ZBB)“ [3]. ასეთ რესტარტ-გეგმას ითხოვს ევროკავშირი თითოეული ავიაკომპანიისთვის, რათა მან შეძლოს და ფინანსური დახმარება გაუწიოს მის ბენეფიციარს. საქართველო არის ევროკავშირის ერთიანი საჰაერო სივრცის წევრი და სწორედ ამის საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულ ავიაკომპანიებს მთავრობის სახელით თავისუფლად შეუძლიათ მოითხოვონ ფინანსური დახმარება. მაგალითად, შვედეთმა 455 მილიონი დოლარი მიიღო ავიბიზნესის კრიზისიდან ამოსვლისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის.

მოპოვებული ინფორმაციის კვლევის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავიაკომპანიების, აეროპორტებისა და მთლიანად საჰაერო ტრანსპორტის კრიზისიდან გამოყვანა შესაძლებელია ჩვენს მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ღონისძიებების გატარების ხარჯზე. მაგრამ მთავარი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი რჩება. როდის დასრულდება პანდემია? მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არაერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრი ინტენსიურად მუშაობს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე, რაიმე სტრატეგიულ წარმატებაზე საუბარი ამ მიმართულებით ჯერჯერობით ნაადრევია. დღეისათვის არც ისაა ცნობილი, რა პირდაპირ და არაპირდაპირ მასშტაბურ ზიანს მოუტანს ეს პანდემია ცალკეულ ქვეყნებსა და ზოგადად კაცობრიობას. მაგრამ, ერთი რამ არის უტყუარი. ის ნამდვილად არ შემოიფარგლება მხოლოდ 2020 წლით და მომავალში მსოფლიოს მოსახლეობის ჯამრთელობაზე, ეკონომიკასა და, დიდი ალბათობით, სახელმწიფოთაშორის ურთერთობებზეც საგრძნობლად იმოქმედებს.

## ლიტერატურა

1. იოსებ არჩვაძე. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ-ეკონომიკური ასპექტი), თბ., 2020
2. https://www.facebook.com/ssu.edu.ge/videos/1607561969384424/UzpfSTUyMDk2NjAyMTY0NjIxNDo4MjEzMjIwMjgyNzcyNzc/
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4852932?publication=0



## რეზიუმე

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გამოვლენილმა ვირუსმა დაამტკიცა, რომ მისთვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები არაფერს წარმოადგენს და სულ რაღაც რამდენიმე კვირის მანძილზე ფაქტობრივად მთელ მსოფლიოში გავრცელდა. შესაბამისად, პანდემიამ გლობალური ხასიათი მიიღო და მოიცვა მსოფლიო ეკონომიკის ყველა დარგი, შექმნა განუსაზღვრელი კრიზისული მდგომარეობა, შეაფერხდა ქვეყნებს შორის ურთიერთობა და ეკონომიკური საქმიანობა, შეზღუდა და გარკვეული ვადით აკრძალა, როგორც ქვეყნებს შორის, ისე საქალაქთაშორისო გადაადგილება ყოველგვარი ტრანსპორტით. ყველაზე დიდი ზიანი ამ მხრივ საჰაერო ტრანსპორტს მიადგა, რომელიც კორონამდელ პერიოდში მგზავრთგადაყვანებიდან და ტვირთგადაზიდვებიდან მიღებული შემოსავლების აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის კვლევის საფუძველზე სავარაუდოა, რომ ავიაკომპანიების, აეროპორტებისა და მთლიანად საჰაერო ტრანსპორტის კრიზისიდან გამოყვანა შესაძლებელია, ნაწილობრივ მაინც, სტატიაში წარმოდგენილი კომპლექსური ღონისძიებების გატარების ხარჯზე.



**საკვანძო სიტყვები:** აეროპორტი, ავიაკომპანია, საჰაერო ტრანსპორტი, კორონა-ვირუსი, პანდემია, ტვირთგადაზიდვები, მგზავრგადაყვანები.



**Tinatin Doliashvili, Vakhtang Nadiradze**


**Analysis of the Consequences of COVID- 19 in Air Transport Activities and Crisis Solutions**


## Summary

The virus detected in China at the end of 2019 proved that it has nothing to do with the administrative-territorial boundaries, and practically in a few weeks it has spread all over the world. Consequently, the pandemic took on a global character and covered all sectors of the world economics, creating an indefinite crisis situation, disrupting the relations and economic activities between countries, temporally restricted and banned both intercity and long-distance transportation. The biggest damage in this regard was to air transport, which was characterized by an upward trend in revenues from passenger and cargo transportation in the pre-Corona period. Based on the research we have obtained, that airlines, airports, and the air transport sector as a whole will pass through crisis, even partially, at the expense of the complex measures presented in the article.



**Keywords:** airport, air company, air transport, coronavirus, pandemic, freight, passenger transportation.

**ელისო ლანჩავა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University
**მაია ჭანია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# კრეატიული აზროვნება, ინოვაცია და იდეების გენერირება თანამედროვე მენეჯმენტში

დღეს, ბიზნეს და კორპორაციულ სამყაროში კრეატიულობა განიხილება კონკურენტული უპირატესობის მთავარ ფაქტორად. იყო კრეატიული კომპანია, გქონდეს გამორჩეული პროდუქტი თუ მომსახურება და ამავე დროს, შეინარჩუნო კონკურენტული უპირატესობა აუცილებელია იმისათვის, რათა გადარჩე. ამრიგად, ორგანიზაციებს, გადარჩენისათვის ჭირდებათ ინოვაცია, ახალი გადაწყვეტილებების პოვნა, ახალი იდეები. თანამედროვე რეალობაში მენეჯმენტის მართვა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია უნარებზე, ალღოზე, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე [1].

თანამედროვე მენეჯმენტი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს და შეიძლება ითქვას, საქმიანობის ყველა ფორმას და სახეობას. შესაბამისად კანონზომიერია, რომ მართვის ობიექტზე, პროცესსა და შინაარსზეა დამოკიდებული საქმიანობის, წარმოების თუ მომსახურების ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, სრულიად ახალი შესაძლებლობებისა და პროცესების ზრდა. საბოლოო ჯამში, ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ამოძრავებს და განკარგავს ყველა რესურსს. მასზეა დამოკიდებული პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური პროცესების, უსაფრთხოების თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ფუნქციონირება [2].

შესაბამისად, მართვის შედეგი, როგორც უმთავრესი მამოძრავებელი ფაქტორის პროდუქტი, აისახება ყველასა და ყველაფერზე. ამ ვითარებაში მთავარი პრობლემის წყარო არის მხარეთა მიზნების, მსოფლმხედველობითი პრინციპების, ინტერესების და სხვა უამრავ ფაქტორს შორის ასრებული რადიკალური და კანონზომიერი განსხვავებები. მენეჯმენტის ტრადიციული მოდელების პრინციპები, რომლებიც გაცილებით ეფექტიანად გამოიყურებოდნენ შედარებით ნელი და პროგნოზირებადი ეკონომიკური პროცესების დროს, მოუქნელი და არაეფექტიანი გახდნენ თანამედროვე პირობებში. წარმატების მოპოვებისათვის საჭირო ხდება უფრო ახალი და დაგროვილი ცოდნის ჰიბრიდული კომბინირება, რომელიც საბოლოოდ უნდა აისახებოდეს სტაბილური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც ინტელექტუალური შრომის პროდუქტი, განსაკუთრებული და კონკურენტუნარიანი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტრანსფორმირდება დაგროვილი ცოდნის ახალ ერთობლიობაში, ან არსებულ ცოდნას ემატება თუნდაც ისეთი მარცვალი, რის შედეგადაც ის ავლენს უკეთეს თვისებებს. შესაბამისად, მმართველის როლი კონკრეტული მიზნის მისაღწევად გვევლინება როგორც გადამწყვეტი ფაქტორი. ყოველგვარი უპირატესობის მთავარი წყარო, ანუ მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი. ორგანიზაციის მართვის, სტრატეგიული და მარკეტინგული ამოცანების ფორმულირების და ამოხსნის დროს პოტენციური შედეგის ეფექტიანობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა ადმინისტრაციისა და

შემოქმედებითი ჯგუფების კრეატიულობის დონე. კრეატიულობა საზოგადოების განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. რას ნიშნავს იყო კრეატიული? ეს არის ადამიანი, რომელიც შემოქმედებითად აზროვნებს, ყოველთვის გამორჩეულია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ფიქრის, მსჯელობის და ქმედების უნარით. ის როგორღაც უცებ ახერხებს რეაგირებას ყველა პრობლემურ გარემოებაში და პოულობს ყოველთვის არასტანდარტულ, ერთი შეხედვით, უმარტივეს და ზუსტად მორგებულ გამოსავალს, რითაც გარშემომყოფების გაოგნებას და აღფრთოვანებას ერთდროულად იწვევს ხოლმე. კრეატიულობა უმთავრესი წინაპირობაა ინოვაციების შესაქმნელად. ინოვაციურად ითვლება პრაქტიკაში რეალიზებული ახალი (კრეატიული) იდეა, რომელიც როგორც წესი მიიღება კრეატიული აზროვნების შედეგად [3].

აზროვნება ადამიანის განმასხვავებელი თვისებაა. ლოგიკური აზროვნება მოქმედებს მხოლოდ ერთი მიმართულებით. კრეატიული აზროვნება პირიქით, არ გვზღუდავს, გადის ჩარჩოებს მიღმა. იყენებს გონებრივ რესურსს იმ წესებით, რომლებიც ლოგიკას არ ემორჩილებას. სწორედ წარმოსახვა, გამბედაობა და აზროვნების იმპულსების ერთობლიობა აერთიანებს ერთ ადამიანში ხელოვანს, შემოქმედს, წარმატებულს, ჭკვიანს, მოაზროვნეს, ინოვატორს, ანუ პიროვნებას, ეპოქებს რომ ქმნიან ხოლმე. საგნები არ შექმნილან ერთფეროვნებისთვის და მითუმეტეს ადამიანის დანიშნულება ვერ იქნება- იყოს ერთგვარი და არაცვალებადი. აზროვნება და მისი განვითარება წარმოადგენს მექანიკური იმპულსების, აკვიატებული ფიქრების, ჩამოყალიბებული, ხშირად მცდარი რწმუნებულებისა და ერთფეროვნებისაგან გათავისუფლების გზას. კრეატიულობა არის ფენომენი, რომლის საშუალებითაც ხდება რაღაც ახლის და გარკვეულწილად ძვირფასის შექმნა. შემნილი ,,პროდუქტი'' შეიძლება იყოს როგორც არამატერიალური (იდეა, მუსიკალური ნაწარმოები), ასევე ფიზიკური ობიექტი (ნახატი,ლიტერატურული ნამუშევარი, გამოგონება) [4].

კრეატიულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმართვისათვის, განსაკუთრებით, ისეთ ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროში, რომელიც უშუალოდ ცოდნას ეფუძნება. ინოვაციური აზროვნება და ინტელექტი პროვოცირებას უწევს კრეატიულობას თანამშრომლებში. სწორედ, კრეატიული მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს სრულად გამოავლინოს ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობები, მაშინ როდესაც ტრადიციული ადმინისტრაცია ეფუძნება კარგად დამკვიდრებული წესების მქონე პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, უგულებელყოფს მათ ინიციატივას. კრეატიული მენეჯმენტი გულისხმობს ორგანიზაციებში ადამიანების ისეთ მართვას, რომლის მიზანია მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, რათა საფუძველი ჩაეყაროს გამოგონებების დონეზე ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ახალი კონკურენტუნარიანი იდეების აღმოცენებას. მისი მიზანია ახალი იდეების გენერირება, არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება , როგორც ფირმის (ორგანიზაციის), ასევე ქვეყნის წარმატებით განვითარებისათვის. აუცილებელია მენეჯმენტის მზაობა მოისმინონ დასაქმებული პირების ორიგინალური იდეები. დააწესონ სპეციალური შეხვედრები, სადაც თანამშრომლები პირადად წარუდგენენ იდეებს ხელმძღვანელობას. თანამშრომლების კრეატიულობა, შეიძლება ითქვას, დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაგან ფაქტორებზე, არამედ ორგანიზაციულ კულტურაზე, სამუშაო გარემოზე, მენეჯმენტის ფორმებზე. შესაბამისად, კრეატიულობის პროვოცირება მრავალი მეთოდითაა შესაძლებელი, თუ ხელმძღვანელობის ნება იქნება და მზაობა განიხილოს სხვადასხვა მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს კრეატიული აზროვნების განვითარებას ორგანიზაციში [3]. კრეატიულმა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური კაპიტალის შექმნაზე მინიმალური დანახარჯები და მომავალში მაქსიმალური პოტენციური შემოსავლების მიღება. მისი მთავარი

ამოცანაა ადამიანური კაპიტალის საქმიანობის შექმნა და მოტივაცია, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურება. წარმოგიდგენთ კრეატიული აზროვნებისა და კრეატიული მენეჯმენტის ტექნიკის რამოდენიმე სახეობას:

- **ბრეინსთორმინგი.** ამ ტექნიკას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ იდეების ფასეულობამ შეიძლება შეზღუდოს ჩვენი გონება ახალი იდეების ძიებაში. ხშირად ხდება, როდესაც რაიმე ნორმალური იდეა გვეწვევა, ფიქრის პროცესი ძალაუნებურად წყდება. მიუღებელი იდეის ერთხელ გაჟღერების შემდეგ კი არა, მაგრამ წყდება გაჟღერებული იდეების ნაკადი. გუნდის თითოეული წევრი ქვეცნობიერად ფილტრავს იმ იდეებს, რომელთა შემდეგ მიაჩნია, რომ გაჟღერებული და მიუღებელი იდეის მსგავსია და ვეღარ აჟღერებს ხმამაღლა. ბრეინსთორმინგის მთავარი მიზანია იდეების შეფასებისა და გაჟღერების პროცესების ერთმანეთისაგან გამოცალკევება. ადამიანები წამოაყენებენ იდეებს, ყველანაირი შეფასებისა და მსჯელობის გარეშე. ეს იდეები იწერება (დაფაზე, ქაღალდზე), ამის შემდეგ იწყება მათი შეფასება და მათ გარშემო კამათი. ბოლოს ხდება ყველაზე ოპტიმალური იდეის შერჩევა.
- **დაშვების მეთოდით შემოწმება.** როდესაც რაიმე საკითხის გარშემო ფიქრი გვიწევს, რამდენიმე იდეა ისე ყალიბდება გონებაში, რომ გამორიცავს საპირისპიროს. კრეატიული აზროვნების პროცესში საპირისპიროს დაშვებას არ უნდა გავექცეთ. პირიქით, ყოველთვის უნდა ვეძიოთ ალტერნეტივები, შევამოწმოთ დაშვებები. მას შემდეგ, რაც საკითხი, რომლის მართებულობაც უნდა შემოწმდეს, არჩეულია, მცირე ჯგუფმა ან ცალკეულმა წევრებმა უნდა დაიწყონ სხვადასხვა საპირისპირო დაშვების შესაძლებლობების მოძიება და დომინანტი იდეების გამოცალკევება. ყველა დაშვება მოწმდება. ეს პროცესი მიმდინარეობს თვალსაჩინოდ, სასურველია დაფაზე. ყველა დაშვების და ალტერნატივის შესაძლო შედეგები და სარგებელი უნდა იყოს გაანალიზებული. საბოლოო დასკვნას მთელი ჯგუფი (ან ერთი წევრი) წარადგენს [5] კომპანიის შიგნით, კრეატიულობა არ უნდა იყოს ერთი რომელიმე ინდივიდის ხვედრი. ხელმძღვანელობამ შესაბამისი შემოქმედებითი გარემო უნდა შექმნას მთელი გუნდისათვის და მოახდინოს თითოეული თანამშრომლის სტიმულირება.

დღეს, მსოფლიოში ძირეული ცვლილებები ხდება. კაცობრიობა კვლავაც არასტაბილურობისა და გაურკვევლობის წინაშე დგას. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მრეწველობის სფეროების ახალმა რევოლუციამ კაცობრიობას განვითარების ახალი შესაძლებლობები და ამავდროულად, უპრეცედენტო გამოწვევები მოუტანა.საერთო კეთილდღეობის მისაღწევად ურთიერთკავშირებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა, ურთიერთშეთანხმებული განვითარება- კანონზომიერი არჩევანია. ტრანსფორმაცია და ინოვაცია ადამიანთა საზოგადოების წინსვლისა და განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ის, ვინც უარყოფს გარდაქმნას და სიახლეს, დროებას ჩამორჩება და ასპარეზობას გამოეთიშება. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინოვაციურობა აუცილებელია განვიხილოთ, როგორც არასტანდარტული, კრეატიული იდეების რეალიზების ფორმა, როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებაში. შიდა კონკურენცია და ეროვნული ინოვაციური სისტემა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის, ეკონომიკური უსაფრთხოების და შესაბამისად, გლობალური მასშტაბით სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი ფუნდამენტია. ინოვაციას უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაში. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის.ის ხელს უწყობს მაღალ კონკურენტუნარიანობას, რასაც თავის მხრივ წვლილი შეაქვს ბიზნესისა და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებაში [6]. სხვადასხვა კვლევა ცხადყობს, რომ იქ, სადაც განვითარებულია ინოვაცია, მაღალია საზოგადოების

ცხოვრების დონე. ეს კი განვითარებული ეკონომიკის ცალსახა ინდიკატორია. ინოვაცია წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების შანსს არ ჩამორჩნენ განვითარებულ სამყაროს და მდგრადი განვითარების გზით გააუმჯობესონ ცხოვრების დონე. დღეს, მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ რეჟიმზე გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში. საქართველო, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, შეიძლება ითქვას, რომ ინარჩუნებს მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს- მეწარმეთა მაღალ პოტენციალს. მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მის ხელთ არსებული რესურსი მიმართოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისაკენ [6]. ამასთან დაკავშირებით, ინოვაციური სფეროს განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ძირითადად ამ სფეროში ხდება ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების ბაზაზე მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციის შექმნა. ინოვაციური სფეროს განვითარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს ამ სფეროში მომუშავე პერსონალის მომზადებისა და გადამზადების საკითხი. თანამედროვე ბიზნესმენები და მენეჯერები მოქმედებენ სულ სხვა გარემოში, ვიდრე 10-20 წლის წინ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქართული გარემოს თავისებურების გათვალისწინებით ადგილობრივი კადრების აღზრდასა და განვითარებაზე ყურადღების ყოველმხრივ გააქტიურება, მართვის თანამედროვე კულტურის დამკვიდრება. მხედველობაშია მისაღები ის, რომ მართვის ეფექტიანობა, მისი ფორმები უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ტრადიციებთან. ამდენად, აუცილებელია ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, საკუთარი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების სახსრების მოზიდვა, ტრეინინგის სპეციფიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათის. ეს პროგრამები უნდა შედგეს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. მეწარმეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასამთავრორმო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები არსებობს. საქართელოში შექმნლია დაფინანსების საგრანტო მექანიზმები, შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციებისა და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. შექმნილია პირველი ტექნოლოგიური პარკი, სადაც დიდ და მცირე კომპანიებს შეუძლიათ ერთობლივად მუშაობა. კრეატიულ და საინჟინრო ინდუსტრიის წარმომადგენლებს მსგავსი ეკოსისტემა მისცემს საშუალებას უფრო მაღალი ღირებულებისა და გლობალურ ბაზარზე გათვლილი საინტერესო პროექტების ინიცირება განახორციელონ. ბოლო 11 წელია სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციების დონეს ინოვაციის გლობალური ინდექსით (GII) ზომავენ და ყოველწლიურად კვლევა კორნელის უნივერსიტეტის, ბიზნეს სკოლა INSEAD-ისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ორგანიზებით მზადდება. 2018 წელს ინოვაციის გლობალური ინდექსის კვლევაში საქართველო ცხრა პოზიციით დაწინაურდა და 35,05 ქულით 59-ე ადგილს იკავებს. კვლევაში ის  დასახელდა იმ 20 ქვეყანას შორის, რომელიც ქვეყნის განვითარებასთან შედარებით, ინოვაციების განვითარების კუთხით, მაღალ შედეგებს აჩვენებენ. ყოველიე ეს მისასალმებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რასაც კომპლექსური მიდგომა და დაძლევა სჭირდება [6].  მცირე და საშუალო მეწარმეები ფინანსებს ნაკლებად აბანდებენ კვლევასა და განვითარებაში, რაც ინოვაციების წარმოქმნას ხელს უშლის და

საბოლოოდ ამ მხრივ დგება ნაკლებად სახარბიელო შედეგი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები სწორად იქნას აღქმული და გაანალიზებული კომპეტენტური ორგანოების მიერ, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს ის ქმედებები, რომელიც გააუმჯობესებს ვითარებას და ქვეყნის მდგრად განვითარებაში წვლილს შეიტანს, რაც შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე აისახება. მიზანშეწონილია ეტაპობრივად განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები ქართული მეცნიერებისა და განათლების სისტემის, როგორც ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისათვის, ასევე რეგიონის მეგობარ ქვეყნებთან კვლევითი საქმიანობის სფეროში კოოპერაციის განვითარების მიზნით. ახალი ტექნოლოგიების, ინდუსტრიების, მოდელების შექმნით ეკონომიკური გლობალიზაციის ღია, ინკლუზიური, უნივერსალური და მომგებიანი მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა [7]. მთავრობა უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მის ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს ჰქონდეს წარმატების, ბედნიერებისა და უსაფრთხოების შეგრძნება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ახლო მომავალში.

## ლიტერატურა


1. ქობალია ე. ,,კრეატიულობა და მისი მნიშვნელობა“ 2019 http:/ intermedia.ge.
2. მაისურაძე თ. ,, უპირატესობის მენეჯმენტი“ ; თბილისი 2014.
3. გორგოძე ს., ჯანაშია თ. ,,კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნება, წარმოსახვითი განათლება“; პროფესიული სტანდარტები/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პორტალი , თბილისი 2012.
4. ბოკუჩავა თ. ,,კრეატიულობა, როგორც წარმატებული ცხოვრების პრედიქტორი“ 2019 http:/ intermedia.ge.
5. http:/ucnauri.com.
6. სიგუა გ. ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში“. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული; თბილისი 2016.
7. მაისურაძე თ. ,,მართვის პრობლემების გადაჭრის პრინციპები“; ეკონომიკა N1-2 თბილისი 2014.


## რეზიუმე


XXI საუკუნეში მენეჯმენტის წინაშე დადგა ახალი მნიშვნელოვანი პრობლემები. დღეს, თანამედროვე მენეჯმენტი გულისხმობს ინოვაციური აზროვნების მხარდაჭერას და კრეატიული მიდგომების იზოლირების მოხსნას. კრეატიული მემეჯმენტი, რომელიც ამავე დროს, ინოვაციური მენეჯმენტის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი, დაგროვილი ცოდნა ახალი, კონკურენტუნარიანი იდეების შესაქმნელად, რომლებსაც გამოიყენებენ ორგანიზაციის წარმატებით ფუქციონირებისათვის. რადგან ორგანიზაციებს სხვადასხვა ფაქტორთა გავლენებისა და კრეატიული ნაკადების გათვალისწინებით უწევთ მოღვაწეობა, ეს თავისთავად მოითხოვს თვით ორგანიზაციის შიგნით ცვლილებებს და მუდმივად ცვალებად პირობებში მაღალი ადაპტირების უნარის გამომუშავებას, რაც უნდა მოხდეს არა დოგმებზე დაყრდნობით, არამედ ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებით. თანამედროვე მენეჯმენტი უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ ეფექტურობას, არამედ

შემოქმედებითობას, ინოვაციურ განვითარებას. შემოქმედებითობა, წარმატებაზე ორიენტირებული კომპანიების ორგანიზაციული კულტურის ნაწილი ხდება, რაც ხელს უწყობს სტაგნაციის თავიდან აცილებას და საკითხის ახალი პერსპექტივიდან დანახვას. კრეატიულობა ხომ ზუსტად ამას გულისხმობს- აღმოაჩინო პრობლემაში უნიკალური შესაძლებლობა, შეგეძლოს რისკის აღქმა, დაამსხვრიო შაბლონები და შექმნა რაღაც ღირებული, განსხვავებული. ეს არის ზუსტად ის, რასაც მოაქვს სიახლე.

**საკვანძო სიტყვები:** კრეატიულობა, ინოვაცია, კრეატიული აზროვნება, კრეატიული მენეჯმენტი, ინოვაციური აზროვნება, შემოქმედებითობა.

**Eliso Lanchava, Maia Chania**

**Creative Thinking, Innovation and Generating Ideas in Modern Management**

**Summary**

In XXI century management has faced new significant problems. Today, modern management aims at supporting innovative thinking and removes the isolation from creative approaches. Creative management, which at the same time is a part of innovative management, helps people to work in the organization to reveal their creative ability, accumulated knowledge to create something new, express competitive ideas that will be used to operate the organization successfully. The organizations have to take into account the influence of various factors and creative flows, this in itself requires changes within organization and the ability to adapt to ever-changing conditions, which should be realized not based on dogmas, but on new forms and methods. Modern management must ensure not only efficiency, but also creativity, innovative development of the company. Creativity becomes part of success-oriented companies, which helps to avoid stagnation and see themain issue from the new perspective. Creativity means exactly that – discover a unique opportunity in a problem, be able to percieve risk, break down patterns and create something valuable, different. This is exactly what the news brings.

**Keywords:** creativity, innovation, creative thinking, creative management, innovative thinking, creativity.

**ნინო ლიპარტელიანი**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Gori State Teaching University
**გიორგი კასრაძე**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# საინვესტიციო პოლიტიკა-ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

საინვესტიციო პოლიტიკა გაიაზრება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდისაკენ. სწორედ საინვესტიციო პოლიტიკა გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საინვესტიციო პროცესების მიმართ. იმისათვის, რომ საინვესტიციო პოლიტიკამ ქვეყანაში ნორმალურად იფუნქციონიროს საჭიროა მისი მუდმივი განახლება და სრულყოფა. ქვეყანაში დიდი ხანია მომწიფდა ნორმალური საინვესტიციო პოტენციალის ფორმირების ობიექტური აუცილებლობა, რომ შემუშავებულ იქნეს ფინანსური კაპიტალის და ფულადი სახსრების კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის მექანიზმები, რომ მოხდეს დანაზოგების სისტემის სტიმულირება და დამატებითი საკრედიტო რესურსების ფორმირება. საინვესტიციო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების შედარებით ეფექტური მეთოდების შემუშავება, მისი განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. სახელმწიფო დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულია უამრავი სტრუქტურა და რეგიონული ინსტიტუციები.

ინვესტიციები ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში წარმოადგენს საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის საფუძველს. კარგად გათვლილი ინვესტიციები მაკრო, მეზო და მიკროდონეზე წყვეტს ეკონომიკური ამოცანების მთელ კომპლექსს, ქმნის სასურველ პირობებს ეკონომიკის რეფორმირებისა და რესტრუქტურიზაციისათვის. თანამედროვე პირობებში ფინანსური ბაზარი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელს უწყობს სახსრების განაწილებას ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის, წარმოგვიდგება ეკონომიკის რეალურ სექტორში საინვესტიციო პროცესებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვის ძირითად მონაწილედ. ამიტომ, ფინანსურ ბაზარზე კომპანიას შეუძლია მოიძიოს საინვესტიციო რესურსი მხოლოდ იმ პირობებით, რომლითაც მოცემულ მომენტში ფინანსური ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება მხოლოდ იმ წყაროებიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ კომპანიის არსებულ საინვესტიციო მოთხოვნებს.

ინვესტიციები წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის საფინანსო-საკრედიტო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ელემენტს. სიღრმისეული გააზრება იმისა, რომ ინვესტიციები არ არის მხოლოდ დანახარჯები, ის კაპიტალდაბანდებაა მომავალში, დაგვეხმარება ეფექტურად ვმართოთ საინვესტიციო პროცესები. ინვესტიციების გამოყენება ხორციელდება სახელმწიფოსა თუ საწარმოების სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის გზით.

საქართველოსათვის საინვესტიციო რესურსების მოზიდვა ყოველთვის იყო უმნიშვნელოვანესი როგორც ხელისუფლებისათვის, ისე ბიზნესისათვის. აღნიშნული

პრობლემა განსაკუთრებული აქტუალობით იჩენს თავს კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდებში.

საწარმოს ეფექტური საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების წყაროების ოპტიმიზაცია. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს საინვესტიციო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. რეალური ინვესტიციების განხორციელების სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმების სრულყოფას აქვს უდიდესი სტრატეგიული და რეგიონალური მნიშვნელობა. ამ კონტექტსტში უმნიშვნელოვანესია საინვესტიციო ბაზრის თითოეული მონაწილის როლისა და ეკონომიკური ინტერესის გაგება, ზუსტი ნორმატიულ-საკანონმდებლო და სახელშერულებო ფორმატის განსაზღვრა და საინვესტიციო პროექტის რელიზაციის ყველა ეტაპის ფინანსური ეფექტურობის ანალიზი.

მოუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო პროექტების ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობების მიმართულებით არაერთი მეცნიერის კვლევა არსებობს ,ბევრი შეკითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. კაპიტალის ინტეგრაციის და ფინანსური გლობალიზაციის პირობებში გაძლიერებულია საინვესტიციო პროცესების დაფინანსების ცალკეული მეთოდების როლი, როგორიცაა კონცესია, ერთობლივი მეწარმეობა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ფორმირება და საერთაშორისო ლიზინგი.

ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს, რომელიც ეროვნული ეკონომიკისათვის ყველაზე დეფიციტური რესურსია. ინვესტიციის არსი თავის თავში მოიცავს საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც ზემოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისათვის საჭირო საინვესტიციო რესურსების მოზიდვასა და გამოყენების ეფექტურობის ზრდაზე. სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება მიზანმიმართული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური პრობლემების გადაჭრას, წარმოების ეფექტურობის ზრდას, ეკონომიკის აღმავლობას და საინვესტიციო საქმიანობის გამოცოცხლებას. ეკონომიკურ პროცესებში ინვესტიციებს უკავია ცენტრალური ადგილი საწარმოს ზოგადი ეკონომიკური ზრდის და საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში. საინვესტიციო სქმიანობის ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული საინვესტიციო პოლიტიკასთან, რომელიც წარმოადგენს საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ნაწილს.

გამოყოფენ საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს:

- ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის მაღალი და მყარი ტემპების უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო რესურსების ბაზრის ფორმირება;
- სოციალური სფეროს, საქმიანი ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიური პროგრამების და სხვა კერძო ინვესტორებისათვის ნაკლებად საინტერესო სფეროების დაფინანსებაში სახელმწიფოს წამყვანი როლის შენარჩუნება;
- პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერა;
- უცხოური კაპიტალის მოზიდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით;
- სამამულო და უცხოური კაპიტალის მოზიდვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში;

მნიშვნელოვანია საინვესტიციო პოლიტიკის რამდენიმე პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარყოფითად იმოქმედებს საინვესტიციო პროცესის განვითარებაზე.

- ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენს ინვესტიციების არსებული დონის შენარჩუნება;
- ნომერ მეორე პრობლემას წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მხრივ ყველაზე მიმზიდველია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც არ იწვევენ შიდა მოხმარების შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას და სახელმწიფო ვალის ზრდას;
- ნომერ მესამე პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების გაჯერება საინვესტიციო პროექტებით. საინვესტიციო პროექტები აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მსოფლიო სტანდარტების დონის მკაცრ ექსპერტიზას, ასევე უნდა მოხდეს კონკრეტული მეთოდების და მეთოდიკის ადაპტაცია ქართულ სინამდვილესთან (საგადასახადო გარემო, ინფლაცია, რისკები და ა.შ.);

იმისათვის, რომ საინვესტიციო პოლიტიკამ ქვეყანაში ნორმალურად იფუნქციონიროს საჭიროა მისი მუდმივი განახლება და სრულყოფა. ქვეყანაში დიდი ხანია მომწიფდა ნორმალური საინვესტიციო პოტენციალის ფორმირების ობიექტური აუცილებლობა, რომ შემუშავებულ იქნეს ფინანსური კაპიტალის და ფულადი სახსრების კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის მექანიზმები, რომ მოხდეს დანაზოგების სისტემის სტიმულირება და დამატებითი საკრედიტო რესურსების ფორმირება.

ფართო გააზრებით საინვესტიციო პოლიტიკა გაიაზრება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდისაკენ. სწორედ საინვესტიციო პოლიტიკა გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საინვესტიციო პროცესების მიმართ. საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების შესახებ დაისმის ბევრი შეკითხვა. ინვესტიციების მართვის სტრატეგია მეტად შედეგიანი იქნება თუ:

- ის წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიის ნაწილს;
- არსებობს აუცილებელი ინფრასტრუატურა, საგანმანათლებლო რესურსი, ბიზნესის მხარდაჭერის ეფექტური მეთოდები, განვითარებული ლოგისტიკა, სამრეწველო და კომერციული საწარმოები, წყლის რესურსები, ენერგიით მომარაგება, სატელეკომუნიკაციო ხელმისაწვდომობა და ა.შ.
- შემუშავებული ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კონცეფცია;
- ხდება იმ პროგრამების რეალიზება, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს უქმნიან ინვესტორებს;
- ხდება იმ პროგრამების რეალიზება, რომელიც ამცირებენ ადმინისტრაციულ ბარიერებს და ებრძვიან კორუფციას;
- ხელმისაწვდომია ინფორმაცია სამეურნეო სუბიექტების განთავსების და პირობების შესახებ;
- ვითარდება სამრეწველო ზონა, ბიზნეს და ტექნო პარკები;
- ქვეყნის მმართველობა მხარს უჭერს ბიზნეს-ასოციაციების განვითარებას.

საინვესტიციო საქმიანობა ასახვას პოვებს სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფო რეგულაციების და ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მეთოდების კომპლექსს. საინვესტიციო პოლიტიკა ხორციელდება განსაზღვრული პრინციპებით, რომლებიც არაა მუდმივი და დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა მოდელზე. ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი პრინციპები:

- სამეურნეო სუბიექტების საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;

- ისეთი სამართლებრივი და საორგანიზაციო პირობების შექმნა, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საინვესტიციო რისკები;
- სახელმწიფოს მიერ ჩადებული საინვესტიციო რესურსების ეფექტიანობის ზრდა;
- პრიორიტეტული პროეტქების მხარდაჭერის მექანიზმის და ინსტრუმენტების შემუშავება;
- სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მექანიზმის გაძლიერება სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების მიზნობრივი გამოყენების შესამოწმებლად.

ამრიგად, საინვესტიციო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების შედარებით ეფექტური მეთოდების შემუშავება, მისი განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. საინვესტიციო სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს:

- საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების აკუმულირება;
- საინვესტიციო აქტივობის მხარდაჭერის და ზრდის ინსტრუმენტების ძიება;
- დაბანდებული სახსრების ეფექტურობის ზრდა;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეალიზაცია;

ამ მიზნების რეალიზაციის პროცესში ინვესტიციების მართვა მიმართული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი ამოცანების გადასაჭრელად:

- ეფექტური საინვესტიციო საქმიანობის ფონზე ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო რისკების მინიმიზაციის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის დაჩქარების გზების ძიება;

დაგეგმილი საინვესტიციო პროგრამები რეალიზაციზებულ უნდა იქნენ რაც შეიძლება სწრაფად შემდეგი მიზეზების გამო:

- საინვესტიციო პროგრამების რეალიზაცია უზრუნველყოფს მთლიანობაში რეგიონის ეკონომიკურ ზრდის დაჩქარებას;
- რაც უფრო ოპერატიულად განხორციელდება საინვესტიციო პროგრამა, მით დროულად მოხდება დამატებითი ფინანსური რესურსების ფორმირება;
- საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის ვადების შემცირება ავტომატურად ამცირებს საკრედიტო რესურსების გამოყენების ვადებს იმ საინვესტიციო პროექტებში, რომელებიც მოზიდული საკრედიტო რესურსებით ხორციელდება;
- საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის დაჩაქარება იმ საინვესტიციო რისკებს ამცირებს, რომლებიც დამოკიდებულია საინვესტიციო ბაზრის კონიუქტურის არასასურველ ცვლილებაზე, ქვეყანაში საინვესტიციო ფონის გაუარესებაზე.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მაგალითად, რეგიონის განვითარების მაღალი ტემპები შესაძლებელია ერთის მხრივ მაღალშემოსავლიანი საინვესტიციო პროექტების მოზიდვის ხარჯზე, ხოლო მეორეს მხრივ არსებული საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის დაჩქარების ხარჯზე.

სახელმწიფო დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულია უამრავი სტრუქტურა და რეგიონული ინსტიტუციები. საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად გვევლინება:

- საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს პრიორიტეტების გამოყოფა;

- ინვესტორებისათვის საკანონმდებლო ბაზის გამართულობა;
- მიზნობრივი ტიპის პროგრამების რეალიზაციისათვის სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური ვარიანტის მოძებნა;
- სახსრების უკანდაბრუნების ვადების შემცირების ხარჯზე ჩადებული კაპიტალის შემოსავლიანობის ზრდა;
- არასახელმწიფოებრივი ინვესტიციების როლის ზრდა;
- საინვესტიციო პროექტების საბიუჯეტო დაფინანსების მკვეთრი შემცირება;

საინვესტიციო პოლიტიკა ითვალისწინებს საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების და კონტროლის მექანიზმის დახვეწას. ამისათვის აუცილებელია საორგანიზაციო და საინვესტიციო საქმიანობაზე სახელმწიფოს პირდაპირი ზემოქმედების მეთოდების ეფექტურობის ამაღლება, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა და ა.შ.

**ლიტერატურა**


1. Karen D. Adams, INVESTMENT POLICY. 2018. CPA Treeaassure
2. GENERAL INVESTMENT POLICY AND GUIDELINES. May 9, 2018. The state university of New York.
3. Investment Policy Statement. Cornell University Retirement Plan for the Employces of the Endowed Colleges at Ithaca Cornell University. May 11, 2019
4. Investment Policy. University of BATH. Issued May 2017.
5. California ABLE Program Trust Statement of Investment Policy. September 25, 2018
6. Investment Policy. City of Arlington, Texas. Ianuary 30, 2018
7. Investment Policy. The United Church of Canada General Funds. November 29, 2017
8. Investment Policy Statement for Colorado Country Officials and Employees Retirement Association. Revised May 20, 208.


**რეზიუმე**


საინვესტიციო სქმიანობის ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული საინვესტიციო პოლიტიკასთან, რომელიც წარმოადგენს საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ნაწილს, თავისი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, როგორებიცაა: ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის მაღალი და მყარი ტემპების უზრუნველყოფა, საინვესტიციო რესურსების ბაზრის ფორმირება, სოციალური სფეროს, საქმიანი ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიური პროგრამების და სხვა კერძო ინვესტორებისათვის ნაკლებად საინტერესო სფეროების დაფინანსებაში  სახელმწიფოს წამყვანი როლის შენარჩუნება, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერა, უცხოური კაპიტალის მოზიდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით,  სამამულო და უცხოური კაპიტალის მოზიდვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში. იმისათვის, რომ საინვესტიციო პოლიტიკამ ქვეყანაში ნორმალურად იფუნქციონიროს, საჭიროა მისი მუდმივი განახლება და სრულყოფა. ქვეყანაში დიდი ხანია მომწიფდა ნორმალური საინვესტიციო პოტენციალის ფორმირების ობიექტური აუცილებლობა, რომ შემუშავებულ იქნეს ფინანსური კაპიტალის და ფულადი სახსრების კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის მექანიზმები, რომ მოხდეს დანაზოგების სისტემის სტიმულირება და დამატებითი საკრედიტო რესურსების ფორმირება.



**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიცია, პროექტი, ეფექტიანობა, პოტენციალი, კონცენტრაცია, ცენტრალიზაცია.

**Nino Liparteliani, Giorgi Kasradze**

**Investment Policy - Part of the Country's Economic Policy**

**Summary**

The efficiency of investment activity is directly related to the investment policy, which is part of the overall financial strategy of the enterprise, with its most important areas, such as: ensuring high and sustainable growth rates of investments in fixed assets, the formation of a market for investment resources, social infrastructure, business infrastructure, etc. Maintaining the leading role of the state in financing areas of interest, state support for priority investment projects, attracting foreign capital in the form of foreign direct investment, attracting domestic and foreign capital to free economic zones must be noted. In order for the investment policy in the country to function normally, it must be constantly updated and improved. The country has long overdue an objective need for the formation of a normal investment potential, for the development of mechanisms for the concentration and centralization of financial capital and funds, for stimulating the savings system and the formation of additional credit resources.

**Keywords**: investment, project, efficiency, potential, concentration, centralization.

**მანანა ნანიტაშვილი**
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Gori State Teaching University

## მომხმარებელთა ლოიალურობა და მისი ფორმირების პროცესი

მომხმარებელთა ლოიალურობა წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტუალურ მიმართულებას სამომხმარებლო ქცევის ფსიქოლოგიაში; მომხმარებელთა ლოიალურობის ფენომენოლოგია ვლინდება მდგრადობაში განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების შერჩევისას. მომხმარებელთა ასეთ ქცევას განაპირობებს ის, რომ მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილს გააჩნია განსაზღვრული საქონლის შეძენისადმი რეგულარული მიდრეკილება. როგორც წესი, ამგვარი ქცევა უკავშირდება პიროვნულ და სიტუაციურ ფაქტორებს, დადებით გამოცდილებას და ამ საქონელთან მომხმარებლების დამოკიდებულებებს. მაშასადამე, ლოიალურობა წარმოადგენს სამომხმარებლო ქცევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს და აქტიური შესწავლის საგანს სამამულო და უცხოელი ავტორებისათვის, მაგრამ დღესდღეობით ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა აღნიშნული ცნების განსაზღვრისადმი.

„სამომხმარებლო ლოიალურობის“ განსაზღვრის პირველ მცდელობას ადგილი ქონდა 1923 წელს. ლოიალურ მომხმარებელში იგულიხმება ის „ადამიანი, რომელიც ყიდულობს ბრენდს ასი პროცენტის შემთხვევაში“ [6]. ასევე ლოიალურობას განმარტავდნენ როგორც „ერთი მარკის უპირატესობის სქემას პროდუქტის ყოველი ყიდვისას“ [1]. მაშასადამე, ლოიალურობის ცნების განმარტება უშუალოდ დაკავშირებულია განსაზღვრული ბრენდის პროდუქციის ყიდვის რაოდენობრივ მაჩვენებელთან.

მომხმარებლის ლოიალურობის შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ფ. რაიხელდს. მან შეიმუშავა მარკეტინგული კვლევის ალგორითმი, რომელსაც იყენებენ კომპანიები მარკეტინგული კვლევების დროს მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხის დასადგენად. ფ. რაიხელდი ლოიალურობას განმარტავს, როგორც ფასეულობის (საქონლის/მომსახურების) ერთგულებას თავისი წყაროსადმი. ლოიალური მყიდველი არ იცვლის ფასეულობის წყაროს, ასევე რეკომენდაციას უწევს მას გარშემომყოფებში [11]. ამგვარად, იგი ლოიალურობას განიხილავდა ფასეულობასთან კავშირში და მის მიერ შემოღებული იქნა ლოიალურობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ცვლადი - რეკომენდაცია გარშემომყოფთათვის.

დ. გრემლერის და ს. ბრაუნის განმარტებით ლოიალურობის განმსაზღვრელია „მომხმარებლის მიერ განმეორებითი ყიდვის განხორციელების ხარისხი, რომელსაც გააჩნია პოზიტიური დამოკიდებულება მიმწოდებლისადმი, როდესაც წარმოიშვება მომსახურების საჭიროება და განიხილავს მხოლოდ ერთ მიმწოდებელს“ [4]. მაშასადამე, ლოიალურობა განისაზღვრება განსაზღვრული ბრენდის ან მთლიანად კომპანიისადმი გამოხატული პოზიტიური ეფექტიანი კომპონენტის მეშვეობით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია სამი ძირითადი მიდგომა ლოიალურობის ცნების განმარტებისადმი.

პირველი მიდგომა ლოიალურობას განიხილავს, როგორც მომხმარებელთა ქცევით რეაქციას. ამ მიდგომის თვალსაზრისით მომხმარებლის ფიქრები, გრძნობები და

დამოკიდებულება მეორადია, მნიშვნელოვანია მხოლოდ ქცევითი ასპექტი, ე. ი. ყიდვა. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ საზღვარგარეთელი ავტორები: რ. ოლივერი, ჟ. ჟ. ლამბენი, ჯ. ბლოიმერი, ა. შარპი, უ. ნილი, ჯ. ჯაკობი, ფ. რაიხელდი, ხოფმეიერი და სხვ.

აღნიშნული მიდგომა უაღრესად პოპულარულია, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპანიის ეკონომიკურ შედეგებთან. ამ მიდგომით გასაზომი პარამეტრების სახით განიხილება მხოლოდ სამომხმარებლო ქცევა-ყიდვის სიხშირე, ყიდვის მოცულობა და ფულადი თანხის განსაზღვრა, დახარჯული განმეორებით ერთი და იმავე საქონელზე.

ფ. რაიხელდი ემყარება მოსაზრებას, რომ ლოიალურობა - ეს უპირველეს ყოვლისა არის განმეორებითი ყიდვები, ამ ყიდვების სიხშირე, მოცულობა, ფულად გამოხატულებაში [11].

ქცევითი მიდგომის მთავარ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ის არ ხსნის მიზეზებს, რომელთა მიხედვითაც მომხმარებელი ახორციელებს ყიდვას განსაზღვრული მიმწოდებლისაგან და ითვალისწინებს მხოლოდ ქცევის შედეგებს, ე. ი. უშუალოდ განმეორებით ყიდვას.

მეორე მიდგომა ლოიალურობის ძირითად მახასიათებლად განიხილავს მომხმარებელთა დამოკიდებულებას ბრენდის ან მთლიანად კომპანიისადმი. ამ მიდგომის თვალსაზრისით ყიდვის განხორციელების მთავარ მიზეზად განიხილება- ემოციური კომპონენტი. მაშასადამე, მთავარ ასპექტებს წარმოადგენენ მომხმარებელთა შეფასებები და მათი სუბიექტური მოსაზრებები [18].

აღნიშნული მიდგომის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ რთულია მომხმარებლის ლოიალურობის რეალური ემოციური დონის განსაზღვრა, რამდენადაც აღქმული ლოიალურობის (ადამიანის სუბიექტური მოსაზრება) დონე ყოველთვის არ წარმოადგენს განმეორებითი ყიდვის მიზეზს [18].

მესამე მიდგომის თანახმად, ლოიალურობა აუცილებელია განხილული იქნეს, როგორც ქცევითი ასპექტისა და მომხმარებლის დამოკიდებულების ერთობლიობა. ლოიალურობის აღნიშნული გაგება წარმოადგენს ქცევითი და ემოციური მიდგომების კომბინაციას და ეწოდება კომპლექსური ლოიალურობა [18].

ჯ. ხოფმეიერის განმარტებით, ლოიალური მომხმარებელი არის ის მომხმარებელი, რომელიც მუდმივად ყიდულობს ბრენდს და განიცდის ძლიერ ემოციურ სიახლოვეს და კმაყოფილებას [6].

კომპლექსური ლოიალურობის აქტიური მხარდამჭერები ა. დიკი, კ. ბაზუ, გ. დეი თვლიან, რომ კომპლექსური ლოიალურობა ემყარება რაციონალურ და ქცევით კომპონენტებს, რომლებიც შემოთავაზებული იქნა ჯ. ხოფმეიერის და ბ. რაისის მიერ [6]. ისინი თვლიდნენ, რომ საქონლის შეფასების პროცესში ფორმირდება აზრი სავაჭრო მარკის ან ყიდვის ადგილის შესახებ, რომელიც შემდგომში იმოქმედებს მომხმარებლის ქცევაზე, ყიდვის განხორციელების განსაზღვრულ პერიოდულობაზე. მაშასადამე, ლოიალურობის ფორმირების პროცესი ითვალისწინებს მნიშვნელოვანწილად მომხმარებლის მოქმედების რაციონალურობას, რომელიც ფორმირდება საქონლის შეფასების პროცესში მოხმარების შემდეგ [3].

თანამედროვე ავტორები, რომელთა შესწავლის საგანს წარმოადგენს სამომხმარებლო ლოიალურობა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კოგნიტურ და ეფექტიურ კომპონენტებს, რომლებიც განიხილება, როგორც ლოიალურობის ფორმირების ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმები.

ზემოთ აღნიშნული მიდგომების საფუძველზე, გამოყოფენ სამი ტიპის ლოიალურობას:

1. ტრანსაქციური ლოიალურობა, რომელიც განიხილავს ცვლილებებს მომხმარებელთა ქცევაში, აღნიშნული ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების შესწავლის გარეშე.
2. პერცენციური ლოიალურობა, რომელიც ახდენს მომხმარებლის სუბიექტური მოსაზრებების, გრძნობების, დამოკიდებულების, კმაყოფილების შეფასებას.
3. კომპლექსური ლოიალურობა, რომელიც წარმოადგენს პირველი და მეორე ტიპის ლოიალურობის კომბინაციას და მოიცავს, როგორც ემოციონალურ დამოკიდებულებებს, ისე განმეორებით ყიდვებს (ბრენდისადმი ერთგულება მიუთითებს ლოიალურობის დონეზე, როგორც დამოკიდებულების, ხოლო ყიდვის სიხშირე _ ქცევითი ლოიალურობის დონეზე).

კომპლექსური მიდგომის თანამოაზრეების ა. ს. დიკის და კ. ბაზუს მიერ ლოიალურობა განხილული იქნა, როგორც ორგანზომილებიანი კონტრაქტი (ემოციონალური დამოკიდებულება და განმეორებითი ყიდვები). ამ კომპონენტებისაგან დამოკიდებულებით მათ მიერ გამოყოფილი იქნა ლოიალურობის შემდეგი ტიპები: ჭეშმარიტი რეალური ლოიალურობა, ლატენტური ლოიალურობა, არარეალური ლოიალურობა და არარსებული ლოიალურობა [3].

რეალური ლოიალურობა ვლინდება ემოციური დამოკიდებულებისა და განმეორებითი ყიდვების მაღალი დონის მიღწევის შემთხვევაში (როცა ხდებიან აღნიშნული საქონლის/მომსახურების მუდმივი მომხმარებლები სიტუაციური ფაქტორებისა და კონკურენტების მარკეტინგული ძალისხმევის მიუხედავად) [10].

ლატენტური ლოიალუროიბა ხასიათდება ემოციონალური დამოკიდებულების მაღალი დონით და იშვიათი ყიდვებით. აღნიშნული ტიპის ლოიალურობის შემთხვევაში, ემოციონალური სიმპათიის არსებობის მიუხედავად, მომხმარებლები სიტუაციური ფაქტორებიდან გამომდინარე ყიდვას ანხორციელებენ ასევე კონკურენტი ფორმებიდან/კომპანიებიდან. მაშასადამე, ლატენტურად ლოიალური მომხმარებლები _ არიან პოტენციურად მომავალი მყიდველები, რომლებიც შიგა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე თავს იკავებენ ყიდვისაგან. ლოიალურობის ქცევითი კომპონენტის განვითარებით, აღნიშნული მომხმარებლები შეიძლება გახდნენ რეალური ლოიალური მომხმარებლები. ქცევითი კომპონენტის განვითარება შესაძლებელია მარკეტინგული აქციების, ფასისმიერი სტიმულების, დისტრიბუციის არხების გაფართოების დახმარებით [17].

არარეალური ლოიალურობისათვის დამახასიათებელია ემოციონალური დამოკიდებულების დაბალი დონე და ყიდვის მაღალი სიხშირე. აღნიშნული ტიპის ლოიალურობის შემთხვევაში მყიდველი ვერ ხედავს განსხვავებებს საცალო გამყიდველებს შორის. ის ანხორციელებს ყიდვებს ჩვევიდან გამომდინარე, რომელიც გამოწვეულია საცალო ობიექტისადმი ფორმირებული ლოიალურობიდან, მაგალითად, მისი მდებარეობა სახლთან ახლოს [3].

ლოიალურობის არარსებობა _ არის სიტუაცია, როდესაც მომხმარებელს გააჩნია ემოციონალური დამოკიდებულების დაბალი დონე და იშვიათად ანხორციელებს ყიდვას. ლოიალურობის ამ ტიპის მომხმარებლები საქონელს ყიდულობენ შემთხვევით.

კომპლექსური ლოიალურობის საინტერესო იდეა იქნა შემოთავაზებული ა. ვ. ცისარის მიერ, რომლის მიერაც შემუშავებული იქნა მოდელი, „ლოიალურობა-კმაყოფილება“, რომელიც ა. დიკის და კ. ბაზუს მოდელის მსგავსია იმ განსხვავებით, რომ ლოიალურობის ძირითად ფაქტორად მან გამოყო კმაყოფილება, ხოლო ქცევითი ლოიალურობის საფუძვლად-განმეორებითი ტრანსაქციები, აქცენტი გააკეთა კონკურენტების აქტიურობაზე.

ლოიალურობის მსგავსი კლასიფიკაცია იქნა შემოთავაზებული ჯ. ხოფმეიერისა და ბ. რაისის მიერ. ისინი ლოიალურობას განიხილავდნენ როგორც ქცევითი კომპონენტისა და მომხმარებელთა დამოკიდებულების კომბინაციას, ხოლო ამ უკანასკნელს განსაზღვრავდნენ როგორც ვალდებულებას [6]. აღნიშნული ცნებების კომბინაციის საფუძველზე მათ მიერ გამოყოფილი იქნა ლოიალურობის შემდეგი ტიპები: ვალდებულებითი, ქცევითი და შერეული ტიპის ლოიალურობა.

ვალდებულებითი ლოიალურობა იყოფა დამოკიდებულებებთან დაკავშირებულ ლოიალურობად და ლოიალურობად ვალდებულების გარეშე. დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ლოიალურობა, არის მომხმარებლის დაინტერესება მოცემული ბრენდის ყიდვით. ლოიალურობის აღნიშნული ტიპისათვის დამახასიათებელია მაღალი ემოციონალური ჩართულობა და დამოკიდებულება. ვალდებულების გარეშე ლოიალურობის დროს მომხმარებელი მაღალ შეფასებას აძლევს ბრენდს, კმაყოფილია და დაინტერესებულია ამ ბრენდით, მაგრამ მას არ გააჩნია შესაძლებლობა მისი ხშირად ყიდვის სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, ეკონომიკური ფაქტორები ან ბაზარზე ბრენდის არ არსებობა. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საქონლის ყიდვის შესაძლებლობების გამოჩენისთანავე მომხმარებელი იყიდის სწორედ მას.

ქცევითი ლოიალურობა (ლოიალურობა ვალდებულების გარეშე) ვლინდება მოცემული ბრენდის რეგულარულად ყიდვაში, მაგრამ არ არსებობს მისდამი ემოციონალური დამოკიდებულება. ასეთი მომხმარებელი განეკუთვნება ან იმ კატეგორიას რომლისთვისაც სულ ერთია ეს საქონელი, ან არ არის კმაყოფილი ამ საქონლით, მაგრამ იძულებულია იყიდოს იგი სხვადასხვა მიზეზების გამო - ეკონომიკური ფაქტორების ან ბაზარზე „საყვარელი“ საქონლის არ არსებობის გამო.

შერეული ტიპის ლოიალურობის (ვალდებულება და ლოიალურობა) შემთხვევაში ლოიალურობის ამ ტიპის მომხმარებლები საქონელს ყიდულობენ რეგულარულად, გააჩნიათ კმაყოფილება და მაღალი დამოკიდებულება [6].

განსაზღვრული ბრენდისადმი სამომხმარებლო ლოიალურობის იდენტიფიცირება სხვადასხვა ნიშნების მიხედვითაა შესაძლებელი.

კოსკელის მოსაზრებით სამომხმარებლო ლოიალურობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: მომავალში ყიდვის განხორციელების განზრახვა, წინააღმდეგობა მიმწოდებლის შეცვლაზე და რეკომენდაციის ფაქტორი. პირველი ორი ფაქტორი შეიძლება განისაზღვროს როგორც ლოიალურობის შედეგი, რომლის გაზომვაც მოხდება განმეორებითი ყიდვის რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ყიდვის მოცულობის ზრდის მაჩვენებლის მიხედვით. რეკომენდაციის ფაქტორი მოიცავს მომხმარებლის მიდრეკილებას რეკომენდაცია გაუწიოს საქონელს/ბრენდს მეგობრების, კოლეგების წრეში. აღნიშნული ფაქტორის გაზომვა შესაძლებელია მომხმარებელთა გამოკითხვის გზით [8].

ლოიალურობის ფორმირების განსხვავებული მიდგომას გვთავაზობს რ. ოლივერი და გამოყოფს სამომხმარებლო ლოიალურობის ოთხ ასპექტს: კოგნიტიური, ემოციონალური, ეფექტიანი და ნებაყოფლობითი. ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ასპექტები წარმოადგენენ ლოიალურობის არა სახეებს, არამედ ლოიალურობის სხვადასხვა დონეებს, სადაც კოგნიტიური ლოიალურობა - ყველაზე სუსტი ფორმაა, ხოლო ნებაყოფლობითი - ყველაზე ძლიერი [10].

განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ა. ვ. ცისარს, რომელიც სამომხმარებლო ლოიალურობის ძირითად ნიშნად გამოყოფს საქონლით/ბრენდით კმაყოფილებას, ხოლო ქცევითი ლოიალურობის შემთხვევაში- განმეორებითი ყიდვების მნიშვნელობას [19].

საბანკო მომსახურებისადმი მომხმარებელთა ლოიალურობის შესწავლის მიზნით ავტორების მიერ შემუშავებული იქნას ლოიალურობის რვაფაქტორიანი მოდელი და გამოყოფილი იქნა ლოიალურობის შემდეგი პარამეტრები: რეალური განმეორებითი ყიდვები, ზეპირი რეკომენდაციები, პროდუქტის გამოყენების პერიოდი, ფასების მატებისადმი ტოლერანტობა, განმეორებითი ყიდვის განხორციელების განზრახვა, უპირატესობა, არჩევანის შეგნებულად შემცირება და პირველი, რაც გონებაში მოსდის მომხარებელს - ასოციაციები [19].

ბრენდისადმი დამოკიდებულება შეიძლება იყოს უარყოფითი. ს. ლიის და მისი თანამოაზრეების მიერ შემოთავაზებული იქნა ანტილოიალურობის ცნება Brand Avaidance, რომელიც ნიშნავს „სწრაფვას ბრენდის თავიდან აცილებისაკენ“. აღნიშნული ცნების ავტორი ანტილოიალურობას განსაზღვრავს როგორც ფენომენს, რომლის დროსაც მომხმარებელი გააზრებულად სიფრთხილით ეკიდება ბრენდს და უარს ამბობს მასზე [9].

მაშასადამე, განსაზღვრული ბრენდისადმი სამომხმარებლო ლოიალურობის იდენტიფიცირების ნიშნებს მიეკუთვნება: განზრახვა განმეორებითი ყიდვის, განმეორებითი ყიდვის სიხშირე, პროდუქტით სარგებლობის პერიოდი, რეკომენდაციები, წინააღმდეგობა მიმწოდებლის შეცვლაზე, ფასების ზრდისადმი ინტენსიური დამოკიდებულება, შერჩევის გააზრებულად შემცირება (მომხმარებელი განიხილავს კონკურენტების მარკებს).

ეკონომიკურ ლიტერატურაში სამომხმარებლო ლოიალურობის ცნების განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობა იწვევს „ლოიალურობისა“ და „კმაყოფილების“ ტერმინების არაზუსტ გამიჯვნას.

ხშირად პარქტიკაში ლოიალურობა ასოცირდება მომხმარებლის კმაყოფილებასთან, რაც არ არის მართებული.

ფ. კოტლერის აზრით, კლიენტების კმაყოფილებაში იგულისხმება კომპანიის კლიენტების გამოცდილების საერთო შეფასება საქონლის ან მომსახურების შეძენისა და გამოყენების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ კომპანიას. კმაყოფილი იქნება თუ არა კლიენტი, ამაზე იქნება დამოკიდებული აღნიშნული კომპანიისა და მისი ფასეულობებისადმი (საქონელი/მომსახურება) განმეორებითი მიმართვის ალბათობა. კოტლერი აღნიშნავს, რომ მომხმარებლის კმაყოფილების ზრდასთან ერთად იზრდება მისი ლოიალურობა აღნიშნული კომპანიისადმი [16].

კ. კოინეს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად მომხმარებლის კმაყოფილება ყოველთვის ვერ მოახდენს გავლენას ლოიალურობის ფორმირებაზე. ავტორის მიერ გამოყოფილი იქნა კმაყოფილების სამი ტიპი _ დაბალი, საშუალო და მაღალი. კვლევებით დადასტურდა, რომ მხოლოდ დაბალი და მაღალი კმაყოფილების შემთხვევაში იკვეთებოდა ლოიალურობის ურთიერთკავშირი ბრენდის მიმართ. კმაყოფილების საშუალო დონის შემთხვევაში ლოიალურობაზე გავლენა იყო ბევრად უფრო შემცირებული, რადგან ამ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია მომხმარებლის ქცევის პროგნოზირება, რაც ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება დაუბრუნდეს აღნიშნული ბრენდის განმეორებით ყიდვას ან გადავიდეს კონკურენტის საქონელზე [2].

ჯ. ფ. ენჯელის, რ. დ. ბლეკუელის და პ. უ. მინიარდის მიერ შემოთავაზებული იქნა ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდელი და დაადგინეს, რომ ლოიალურობის ფორმირების ფუნდამენტი ყალიბდება აღნიშნული პროცესის ბოლო სტადიებზე [15].

აღნიშნული მოდელის თანახმად მყიდველობითი გადაწყვეტილება, როგორც პროცესი, მოიცავს შემდეგ სტადიებს: მოთხოვნის გაცნობიერება, ინფორმაციის მოძიება, წინასწარ შეძენის ალტერნატივების შეფასება, ყიდვის განხორციელება, მოხმარება, შეფასება მოხმარების შემდეგ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომხმარებლის ლოიალურობა ფორმირდება თანდათანობით საქონელთან ურთიერთობის ყველა ეტაპის გავლით. მომხმარებლის ლოიალურობის ფორმირების მნიშვნელოვან ეტაპებს წარმოადგენენ საქონლის მოხმარება და ყიდვის შემდგომი შეფასება. აღნიშნულ სტადიებზე მომხმარებლის ფსიქოლოგიური თავისებურებების განხილვისას აუცილებელია განხილული იქნეს კმაყოფილების/ ინტენსიურობის პრობლემა, რომელსაც ემყარება მომხმარებლის ლოიალურობის ფორმიების წინაპირობები. მომხმარებლის შემოსავლების არსებობა იმ ოდენობით, რაც საკმარისია ნებისმიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, გარდაქმნის მას აქტიურ ფიგურად ეკონომიკური და არა ფსიქოლოგიური ასპექტით [1]. ბრენდისადმი ლოიალურობა კი წარმოიშვება იმ მომენტში, როცა საქონელი ხდება თავისი ფუნქციონალური მახასიათებლების მიხედვით მნიშვნელოვანი და წარმოიშვება ემოციონალური კავშირი მომხმარებლისა და საქონელს შორის. ძირითადი ფაქტორების სახით შეიძლება გამოიყოს კმაყოფილება, ფასი, მომხმარებლის ემოცია, მოლოდინთან შესაბამისობა და მოხმარების შედეგი, ხოლო ლოიალურობის ნიშნების სახით _ მომხმარებლის განმეორებითი მიმართვის განხორციელება იმავე საქონელზე.

ს. გროუნრუსი ლოიალურობის ფორმირებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის გამოყოფს საქონლის/მომსახურების ხარისხსა და სიტუაციურ ფაქტორებს _ რამდენად მოსახერხებელია და კომფორტულია მომხმარებლისათვის ურთიერთობა აღნიშნულ კომპანიასთან [7].

ლოიალურობის განხილული მოდელების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მომხმარებლის ლოიალურობის ფორმირება არ ხდება სპონტანურად, ის გადის მომხმარებლის საქონელთან ურთიერთმოქმედების გარკვეულ ეტაპებს და ყურადღების აქცენტირება ხდება სიტუაციურ ფაქტორებზე, საქონლის მახასიათებლებზე და მომხმარებლის პიროვნულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე.

- ლოიალურობა განაპირობებს მომხმარებლის ბრენდით კმაყოფილებას;
- მომხმარებლის კმაყოფილება წარმოადგენს აუცილებელს, მაგრამ არასაკმარის პირობას ლოიალურობის ფორმირებისათვის;
- კმაყოფილების გაზრდით იზრდება აღნიშნული მარკისადმი მომხმარებლის ლოიალურობის ფორმირების ალბათობა.

მაშასადამე, მომხმარებლის ქცევა წარმოგვიდგება როგორც ყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პროცესი, რომელიც უპირატესად აღწერილობითი პროცესია და არ არის გამოხატული სისტემურ დონეზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, ჩვენი შეხედულებით წარმოადგენს მოხმარების შიდა და გარე პირობების შედეგების დამუშავებისადმი არასათანადო მიდგომა [23].

## ლიტერატურა


1. Busch P. S., Houston M. J. Marketing Strategic Foundations. Homewood, 1985. P. 22.
2. Coyne K. Beyond service fads-meaningful strategies for the real world//Sloan Management Keview. 1989. P. 69-76.
3. Dick A. S., Basu K. Customer loyalty: Toward an integrated conceptual frame work//Journal of the Academy of Marketing Science. 1994. vol. 22. P. 99-113.

4. Gremler D. D., Brown S. W. Service loyalty: lts nature, importance, implications//Proceedings American Marketing Association. 1996. P. 171-180.
5. Jacoby J., Chestnut R. W. Brand Loyalty: Measurement and Management. N.-Y.: Wiley, 1978. P. 115.
6. Hofmeyr J., Rice B. Commitment. Led Marketing. John wiley and sons. 2000. O. 22-85.
7. Gronroos C. Service marketing. Lexington: Lexington Books. 1990.
8. Koskela H. Guctomer Satisfaction and Loyalty in After Sales Service: Motes of Care in Telecommunications syctems Delivery. Diss. …Doct. Technol. Helsink: Yniversity of Technology. 2002.
9. Lee S., Jeon S., Kim D. The impact of four quality and tourist satisfaction on tourist loyalty: the case of Chinese tourists in Korea//Tourism Management. 2011.Vol. 32. No. 5. P. 1115-1124.
10. Oliver R. L. Satisfaction: A Behavioral Perspective on the Consumer. N.-Y.: McGraw-Hill Irwin. 1997. P. 392.
11. Reichheld F. The one number you need to grow//Harvard Business review. December 01.2003. http://www.bain.com/publications/articles/the-one-number-you-need-to-grow.aspx.
12. Алешин А. Ориентация на потребителя – ключевой фактор успешной деятельности потребителя // Стандарты и качество. 2008. №12.
13. Антонова Н. В., Патоша О. И. Восприятие брендов и стратегии потребительского поведения. М.: 2017.
14. Балашев К. Построение систем лояльности клиентов // Маркетинг. 2007. №2(93). с. 78-90.
15. Блэкуэлл Р., Миниард П., Энджел Дж. Поведение потребителей. СПБ.: Питер. 2002. (15).
16. Котлер Ф. Маркетинг. Менеджмент. СПБ.: Питер. 2006.
17. Мартышев А. В. Маркетинг отношении: учеб. пособие. 2005.
18. Современные потребительские тренди и удовлетвореность потребителя: монография/под. ред. О. К. Ойнер. М.: Илфра-М.: 2013.
19. Цысорь А. В. Лояльность покупателей: основные определения, методы измерения, способы управления // Маркетинг и маркетинговые исследования. 2002. №5.
20. Шальнова О. А. Аспекты потребительской лояльности к магазину // Маркетинговые коммуникации. 2009. №3. с. 166-174.
21. მოხმარება, როგორც კვლევის ობიექტი, ეკონომიკურ ლიტერატურაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. ინგლისურ ენაზე. გვ. 170. #3. 2004.
22. სამომხმარებლო ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა და ბიზნესი“. #2. 2012.
23. მომხმარებლის ქცევის, როგორც მარკეტინგული კვლევის ობიექტის ზოგიერთი მხარე. აკადემიის „მოამბე“. ტ. 7. #3. 2013.

**რეზიუმე**

მომხმარებელთა ლოიალურობა წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტუალურ მიმართულებას სამომხმარებლო ქცევის ფსიქოლოგიაში. თანამედროვე ავტორები, რომელთა შესწავლის საგანს წარმოადგენს სამომხმარებლო ლოიალურობა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლოიალურობის ფორმირების ძირითად ფსიქოლოგიურ მექანიზმებს. მომხმარებლის ლოიალურობა ფორმირდება თანდათანობით საქონელთან ურთიერთობის ყველა ეტაპის გავლით. მომხმარებლის ლოიალურობის ფორმირების მნიშვნელოვან ეტაპებს წარმოადგენენ საქონლის მოხმარება და ყიდვის შემდგომი შეფასება. აღნიშნულ სტადიებზე მომხმარებლის ფსიქოლოგიური თავისებურებების განხილვისას, აუცილებელია განხილული

იქნეს კმაყოფილების/ინტენსიურობის პრობლემა, რომელსაც ემყარება მომხმარებლის ლოიალურობის ფორმიების წინაპირობები. ლოიალურობა წარმოიშვება იმ მომენტში, როცა საქონელი ხდება თავისი ფუნქციონალური მახასიათებლების მიხედვით მნიშვნელოვანი და წარმოიშვება ემოციონალური კავშირი მომხმარებლესა და საქონელს შორის. ძირითადი ფაქტორების სახით შეიძლება გამოიყოს კმაყოფილება, ფასი, მომხმარებლის ემოცია, მოლოდინთან შესაბამისობა და მოხმარების შედეგი, ხოლო ლოიალურობის ნიშნების სახით _ მომხმარებლის განმეორებითი მიმართვის განხორციელება იმავე საქონელზე. მომხმარებლის ლოიალურობის ფორმირება არ ხდება სპონტანურად, ის გადის მომხმარებლის საქონელთან ურთიერთმოქმედების გარკვეულ ეტაპებს და ყურადღების აქცენტირება ხდება სიტუაციურ ფაქტორებზე, საქონლის მახასიათებლებზე და მომხმარებლის პიროვნულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. მაშასადამე, მომხმარებლის ქცევა წარმოგვიდგება როგორც ყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პროცესი, რომელიც უპირატესად აღწერილობითი პროცესია და არ არის გამოხატული სისტემურ დონეზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, ჩვენი შეხედულებით წარმოადგენს მოხმარების შიგა და გარე პირობების შედეგების დამუშავებისადმი არასათანადო მიდგომა.

**საკვანძო სიტყვები:** მომხმარებლის ქცევა, სამომხმარებლო მოლოდინი, მომხმარებლის ლოიალურობა.

**Manana Nanitashvili**

**Consumer Loyalty and Its Formation Process**

**Summary**

Consumer loyalty represents one of the most important research directions of the psychology of a consumer behaviour. Modern authors, whose study subject is a consumer loyalty, pay great attention to the formation of the main psychological mechanisms of the loyalty formation. Consumer loyalty is being formed gradually by going through all stages of dealing with the goods. The most important stages of shaping a customer loyalty is consumption and feedback. When considering psychological characteristics of a consumer at these stages, it is important to consider the problem of the satisfaction/intensity on which is based the preconditions of the consumer loyalty formation. Loyalty arises in the moment when goods becomes important because of its functional characteristics and the emotional connection is born between a consumer and goods. Satisfaction, price, consumer's emotion, expectations and the results of a consumption may be distinguished as the main factors, while the repetitive consumption of the same goods – as the loyalty signs. The formation of consumer loyalty is not spontaneous. It goes through certain stages of interaction between consumer and goods and the attention is paid to the situational factors, goods characteristics and on the personal and the social-psychological characteristics of a consumer. Thus, the behavior of a consumer is presented as the process of making decisions about purchase, which is mostly descriptive process and is not expressed at the systematic level. From our viewpoint, one of the main reasons is an inadequate approach to the processing results of internal and external conditions of a consumption.

**Key words:** Customer's behaviour, Customer expectation, consumer loyalty.

**ქეთევან ნანობაშვილი**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## სტუდენტთა აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების ფორმალიზებული მოდელი

სტუდენტი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აკადემიურ მობილობაზე, უკვე დგას ახალი პრობლემის წინაშე - ალტერნატიული (ფაქტობრივი) უნივერსიტეტებიდან შეარჩიოს არა ყველაზე საუკეთესო, არამედ მისთვის ყველა განზომილებით მისაღები ანუ ოპტიმალური ვარიანტი. საქმე იმაშია, რომ სტუდენტისათვის ოპტიმალური ვარიანტით შერჩეული უნივერსიტეტი შეიძლება არ იყოს ყველაზე უპირატესი, მაგრამ ის სწორედ რომ ოპტიმალურად აკმაყოფილებს სტუდენტის მოთხოვნებს (თუნდაც ფინანსურ შესაძლებლობას, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე პრობლემებს და ა.შ.). ე.ი. სტუდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება არის პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება უნივერსიტეტების არსებული ვარიანტებიდან (ალტერნატივებიდან) მისთვის ყველაზე მისაღების შერჩევა.

უნდა ითქვას, რომ პრობლემის გადაჭრა და გადაწყვეტილების მიღება ერთი და იმავე პროცესის - მობილობისათვის სასურველი უნივერსიტეტის შერჩევის ორი მხარეა: პირველი - პრობლემის გადაჭრა, მეორე - გადაწყვეტილების მიღება. პრობლემის გადაჭრამ უნდა უპასუხოს კითხვას - რატომ დადგა მობილობის აუცილებლობის პრობლემა? გადაწყვეტილების მიღებამ უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტის ყველა ის მოთხოვნა, რაც მობილობის აუცილებლობას განაპირობებს.

პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური ქმედება შედგება თანამიმდევრული კითხვებისგან, რომლებიც მოითხოვენ ადეკვატური პასუხის გაცემას. ადეკვატური პასუხისათვის კი საჭიროა, ჩატარდეს პრობლემის ანალიზი, ხოლო შემდეგ მოფიქრებული იყოს თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. განვიხილოთ ეს კითხვები.

როგორია მობილობის არსებული სიტუაცია? ეს ნიშნავს, რომელ სასწავლო დაწესებულებაში ვსწავლობთ და სად გვინდა ვისწავლოთ?

რატომ ვაპირებ მობილობას, რა არის მიუღებელი ჩემთვის აქ, რომელ უნივერსიტეტშიც ვსწავლობ? ეს შედგება სხვადასხვა ხასიათის პრობლემური საკითხებისგან, რომლებიც საერთო პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ, შეიძლება ერთი ინდივიდისათვის მისაღები აღმოჩნდეს, მეორისათვის მიუღებელი. ასეთი სიტუაცია მეტნაკლებად ყველა უმაღლეს სასწავლებელში არსებობს. მაგალითად გამოგვადგება სტუდენტის საცხოვრებელი ადგილიდან უნივერსიტეტის შორს მდებარეობა, დაოჯახების შემთხვევაში საცხოვრებლის შეცვლა, სპეციალობის შეცვლის გადაწყვეტილება, სწავლების მიუღებელი ფასი და ა.შ.

რამ გამოიწვია მობილობის გადაწყვეტილების მიღება? მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაირკვა, თუ რა არის მიუღებელი სტუდენტისათვის იქ, რომელ უნივერსიტეტშიც სწავლობს, ამ კითხვის ქვეშ მან მაინც უნდა გააკეთოს იმის ანალიზი, თუ როდის წარმოიქმნა მობილობის პრობლემა, რა ვითარებამ შეუწყო ხელი, ხომ არ განმეორდება ასეთი ვითარება ახალარჩეულ

უნივერსიტეტში. ე.ი. სტუდენტმა უნდა შეაფასოს მობილობის წარმოშობის მიზეზები, გაერკვეს, რატომ შეიქმნა ეს სიტუაცია.

რა შეიძლება მოხდეს მისთვის ცუდი, რა გადაუჭრელი პრობლემა შეექმნება, თუ სტუდენტი არ განახორციელებს მობილობას და დარჩება უნივერსიტეტში? ამ კითხვის კარგად მოფიქრებული პასუხი აჩვენებს სტუდენტს, რამდენად (ან საერთოდ არის თუ არა) საჭიროა მობილობის სასწრაფოდ განხორციელება, იქნება თუ არა მობილობა პრობლემის გადაჭრის ადეკვატური ნაბიჯი, რომელიც ჩაითვლება მაკორექტირებელ მოქმედებად.

რა მიზანს ისახავს მობილობა? ცხადია, თუ მობილობა ხორციელდება ფინანსური, ადგილმდებარეობის ან ამის მაგვარი სიტუაციიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში მიზანი გასაგებია. მაგრამ, ეს ყველაფერი შეიძლება არ წარმოადგენდეს მობილობის მიზეზს, ან საერთოდ, მიზეზი არც კი არსებობდეს, მაგრამ იყოს მიზანი, მაგ., უცხოეთში სწავლა ან სხვ. ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს არსებული სიტუაციის შეფასება და განისაზღვროს, სიტუაციის ახლით შეცვლისას, იქნება თუ არა მიზანი მიღწეული.

რა შეზღუდვები შეიძლება ახლდეს აკადემიურ მობილობას? საქმე ისაა, რომ ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სტუდენტთა ლიმიტირებული კონტინგენტი. გარდა ამისა, შესაძლებელია დიდი სხვაობა იყოს უნივერსიტეტების სასწავლო კრედიტებში, რომელთა დაფარვა დაკავშირებულია როგორც ფინანსურ, ასევე დროით დანაკარგებთან. შეიძლება იყოს სხვა ხელშემშლელი ობიექტური (თუნდაც სუბიექტური) შეზღუდვებიც.

აკადმიური მობილობის რა ალტერნატივები არსებობს? ცხადია, მობილობის გამოცხადების პროცესში უნივერსიტეტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, აქვეყნებენ თავიანთ მონაცემებს, რაც მობილობის მსურველებისათვის ქმნის ალტერნატივათა სიმრავლეს ანუ, ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენილია სხვადასხვა ალტერნატივა.

რომელი ალტერნატივაა ოპტიმალური სტუდენტისათვის? რა თქმა უნდა, ეს საკითხი ყველაზე პრობლემატური და მწვავე საკითხია. ნაშრომში სწორედ ამ საკითხის გადაჭრის კომპიუტერული მოდელია შემოთავაზებული, რომელსაც აღვწერთ ქვემოთ. ზოგადად კი ცხადია, ყველა ალტერნატივა ერთმანეთთან უნდა შედარდეს მობილობის იმ მიზნიდან გამომდინარე, რომელიც დასახული აქვს სტუდენტს, და შეირჩეს ისეთი ვარიანტი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ამ მიზანთან.

როგორ განვახორციელოთ მობილობის მიღებული გადაწყვეტილება? ამ კითხვის პასუხიც მოცემულია ნაშრომში. აქვე აღვნიშნავთ, რომ მობილობის გადაწყვეტილების ბოლო ეტაპი- არის მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობის შემოწმება (შეფასება), საჭიროების შემთხვევაში არასასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად კორექტივების შეტანა და ბოლოს, შესაძლო ჰიპოთეზის დაფიქსირება, თუ რამდენად გაამართლებს მიღებული გადაწყვეტილება.

აკადემიური მობილობის გადაწყვეტილების მიღება და ალტერნატივებიდან ოპტიმალური არჩევანის გაკეთება, ალტერნატივების ირგვლივ არსებული ინფორმაციის ერთად თავმოყრას და ყურადღებით გადასინჯვას მოითხოვს.

აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების კონცეპტუალური მოდელის რეალიზების ძირითად საშუალებად მივიჩნევთ პერსონალ კომპიუტერთან სტუდენტის ინტერაქტიურ რეჟიმში ურთიერთობას. ამ დროს სტუდენტს ეძლევა მაქსიმალური საშუალება: დაადგინოს შეზღუდული რესურსები; გამოავლინოს პოტენციური ალტერნატივები; ჩაატაროს ალტერნატივების ანალიზი; შეძლოს მისთვის საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა; მოახდინოს გადაწყვეტილების რეალიზაცია; შედეგების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. პირველ რიგში, მთავარია მობილობის პრობლემის სწორი და ფრთხილი გამოკვლევა. თუ

მობილობის პრობლემა თავიდანვე არასწორად იქნება გამოკვლეული, მაშინ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება იქნება არაეფექტური.

სტუდენტის აკადემიური მობილობის გადაწყვეტილების მიღების ინტერაქტიური რეჟიმის რეალიზებისათვის საჭიროა, ავაგოთ მისი ხელშემწყობი ყველა შესაძლო ინფორმაციული მონაცემების ბაზა, რათა სტუდენტმა შეძლოს ჩაატაროს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი.

ამისათვის პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რა ინფორმაციაა საჭირო სტუდენტისათვის, რათა მან სწორი ორიენტაცია მისცეს თავის გადაწყვეტილებას.

სტუდენტთა აკადემიური მობილობის ჩვენს მიერ განსაზღვრული, საინფორმაციო მონაცემების ანუ ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უკავშირდება უმაღლესი სასწავლებლის არჩევანს, შედგება ორი შტოსაგან. ეს არის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამონათვალი ასეთია:

- უმაღლეს სასწავლებლების ჩამონათვალი საქართველოში, რომლებიც აცხადებენ მობილობას; ამ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ფაკულტეტები (სკოლები) და სპეციალობები.
- საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლების ჩამონათვალი, რომლებიც სასურველია კონკრეტული სტუდენტისათვის; ამ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ფაკულტეტები (სკოლები) და სპეციალობები.
- არსებული პირობები და მდგომარეობა, მობილობისათვის სავარაუდო ქვეყანაში და მის უმაღლეს სასწავლებლებში: სასურველი პროგრამის არსებობა და სწავლების ენა; საკანონმდებლო ვითარება, პოლიტიკური სიტუაცია, სტაბილურობა; სწავლების ღირებულება (ფინანსური ხელმისაწვდომობა); გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, კლიმატი, ტრანსპორტი და სხვ.); სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები (საერთო საცხოვრებელი ან უფასო საცხოვრებელი, სტიპენდიების არსებობა) და სხვ.
- მობილობისათვის სავარაუდო უმაღლეს სასწავლებლების ხარისხობრივი მონაცემები: ისტორიული მონაცემები, ტრადიციები, სასწავლებლის რეპუტაცია/პრესტიჟი, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა (მათი კვალიფიკაცია, სამეცნიერო-პედაგოგიკური იმიჯი, კომპეტენციები და სხვ.); სტრატეგიული განვითარების გეგმა; სპეციალისტების მოთხოვნის მაჩვენებელი შრომის ბაზარზე (მაღალი, საშუალო, დაბალი); სასწავლებლის დროულად დასრულების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი); სწავლის გაგრძელების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი); სწავლის დასრულების შემდეგ, დასაქმების შანსები და ანაზღაურებადობა (მაღალი, საშუალო, დაბალი).
- მობილობისათვის სავარაუდო უმაღლეს სასწავლებლების რაოდენობრივი მაჩვენებლებია:

ა) შიგა (საუნივერსიტეტო) მობილობის მაჩვენებლები: მობილობით მისაღები სტუდენტების (ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) კონტინგენტი ფაკულტეტებისა (სკოლების) და სპეციალობების მიხედვით და სხვა ადგილობრივი მაჩვენებლები.

ბ) გარე უმაღლეს სასწავლებლების მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებლები: ბოლო (ვთქვათ, 5 წლის განმავლობაში) სპეციალობების მიხედვით სხვა უნივერსიტეტიდან გადმოსული, აქედან დარჩენილი და წასული სტუდენტების რაოდენობა.

აღნიშნული ინფორმაციული მონაცემების საფუძველზე ავაგოთ სტუდენტთა აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების მენეჯმენტის ფორმალიზებული მოდელი და ჩავატაროთ მისი ანალიზი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოპტიმალურობაში ყოველთვის

იგულისხმება ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე უფრო შესაფერი, საუკეთესო, ყველაზე უმჯობესი და ა.შ.

პირველ რიგში, პროცესის ფორმალიზებისათვის შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

$U_{iს}$, i= 1, 2, 3, ..., I - ალტერნატიული უნივერსიტეტები საქართველოში;

$U_{jუ}$, j= 1, 2, 3, ..., J - უცხოური (საზღვარგარეთ) ალტერნატიული უნივერსიტეტები;

$F_{ikს}$, i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K; - i-ური (საქართველოს) უნივერსიტეტების k ფაკულტეტები;

$F_{jqუ}$, j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q; - j-ური (უცხოური) უნივერსიტეტების q ფაკულტეტები;

$S^{ბ}(U_{iს})$, i= 1, 2, 3, ..., I - საქართველოს i-ური უნივერსიტეტიდან მობილობით გასული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{შ}(U_{iს})$, i= 1, 2, 3, ..., I - საქართველოს i-ურ უნივერსიტეტში მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{ბ}(U_{jუ})$, j= 1, 2, 3, ..., J – უცხოური j- ური უნივერსიტეტიდან მობილობით გასული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{შ}(U_{jუ})$, j= 1, 2, 3, ..., J - უცხოურ j-ურ უნივერსიტეტში მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{შ}(F_{ikს})$, i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K; - საქართველოს i-ური უნივერსიტეტის k ფაკულტეტზე მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{ბ}(F_{ikს})$, i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K; - საქართველოს i-ური უნივერსიტეტის k ფაკულტეტიდან მობილობით გასული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{ბ}(F_{jqუ})$, j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q; - უცხოეთის j-ური უნივერსიტეტის q ფაკულტეტიდან მობილობით გასული სტუდენტების რაოდენობა;

$S^{შ}(F_{jqუ})$, j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q; - უცხოეთის j-ური უნივერსიტეტის q ფაკულტეტზე მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა.

მოცემული ფორმალიზებული ჩანაწერის საფუძველზე, ჩავატაროთ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მენეჯმენტის ხელშემწყობი ანალიზი.

ცხადია, ანალიზი უნდა ჩატარდეს ორი მიმართულებით - მობილობისათვის სავარაუდო უმაღლეს სასწავლებლების და ფაკულტეტების: Uiს, Ujუ, Fikს, Fjqუ, ხარისხობრივი მონაცემებისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სტუდენტი გაეცნობა ალტერნატიულ უმაღლესი სასწავლებლების ხარისხობრივ მაჩვენებლებს: უნივერსიტეტების ისტორიული მონაცემები, ტრადიციები, სასწავლებლის რეპუტაცია/პრესტიჟი და ა.შ. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, ალტერნატიული უმაღლესი სასწავლებლების მისთვის სასურველი ჩამონათვალი დაიყვანოს მინიმუმამდე, რაც შემდგომში გაუმარტივებს რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარების პროცედურას.

მობილობისათვის სავარაუდო უმაღლეს სასწავლებლების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გამოვყავით შიგა (საუნივერსიტეტო) მობილობის და გარე (უცხოეთის) უმაღლეს სასწავლებლების მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ჩავწერეთ ფორმალიზებული აღნიშვნების სახით.

ჩვენს მიერ შემუშავებული, რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარების ოპერაციას (ალგორითმს) აქვს შემდეგი სახე:

1. განისაზღვრება ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შერჩეული ყველა ალტერნატიული უმაღლესი სასწავლებლის (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთის) შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლების ჯამი:

**ა) უნივერსიტეტების მობილობის მთლიანი მაჩვენებლები:**

$\sum S^{ბ}(U_{iს})$, i= 1, 2, 3, ..., I;

$\sum S^{მ}(U_{iს})$, i= 1, 2, 3, ..., I;

$\sum S^{ბ}(U_{jუ})$, j= 1, 2, 3, ..., J;

$\sum S^{მ}(U_{jუ})$, j= 1, 2, 3, ..., J.

**ბ) უნივერსიტეტების ფაკულტეტების (სკოლების) მთლიანი მაჩვენებლები:**

$\sum S^{ბ}(F_{ikს})$, i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K;

$\sum S^{მ}(F_{ikს})$, i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K;

$\sum S^{ბ}(F_{jqუ})$, j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q;

$\sum S^{მ}(F_{jqუ})$, j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q.

**2. მოხდება ხარისხობრივი მაჩვენებლების შედარება**

**ა) უნივერსიტეტების მობილობის მთლიანი მაჩვენებლების:**

$\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს}) = ?$, i= 1, 2, 3, ..., I;

$\sum S^{მ}(U_{jუ}) - \sum S^{ბ}(U_{jუ}) =?$ j= 1, 2, 3, ..., J.

**ბ) უნივერსიტეტების ფაკულტეტების (სკოლების) მთლიანი მაჩვენებლების:**

$\sum S^{მ}(F_{ikს}) - \sum S^{ბ}(F_{ikს}) = ?$ i= 1, 2, 3, ..., I; k= 1, 2, 3, ..., K;

$\sum S^{მ}(F_{jqუ}) - \sum S^{ბ}(F_{jqუ}) = ?$ j= 1, 2, 3, ..., J; q= 1, 2, 3, ..., Q.

შედარების ოპერაციით მიღებული შედეგის ანალიზი მარტივია, რადგან ის ემყარება უბრალო არითმეტიკულ მონაცემებს. ავიღოთ მაგალითად, ერთ-ერთი ოპერაციის შედეგი (ცხადია, დანარჩენი იქნება ანალოგიური).

განვიხილოთ სხვაობის - $\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს})$ ორი შემთხვევა:

**1. თუ ეს სხვაობა უარყოფითია:**

$$\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს}) < 0,$$

მაშინ ვღებულობთ, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე გასულის, რაც მიუთითებს უნივერსიტეტიდან სტუდენტების გადინებაზე და ცხადია, ასეთი უნივერსიტეტი ვერ იქნება მობილობის მსურველი სტუდენტის ინტერესების სფეროში.

**2. თუ ეს სხვაობა დადებითია:**

$$\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს}) > 0,$$

მაშინ ვღებულობთ, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში მობილობით შემოსული სტუდენტების რაოდენობა მეტია, ვიდრე გასულის, რაც მიუთითებს უნივერსიტეტში სტუდენტების შემოდინებაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში დასადგენია სხვაობის მნიშვნელობა, თუ რამდენად აღემატება შემოსული სტუდენტების რაოდენობა გასული სტუდენტების რაოდენობას. ვფიქრობთ, მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, სხვაობამ მიაღწიოს მაქსიმუმს:

$$\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს}) \Rightarrow \max.$$

ვფიქრობთ, მობილობისათვის მისაღები ვარიანტი იქნება, თუ:

$$\sum S^{მ}(U_{iს}) - \sum S^{ბ}(U_{iს}) \geq 1/2 \sum S^{მ}(U_{iს}).$$

რაც ნიშნავს, რომ შემოსული სტუდენტების რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტად აღემატება გასული სტუდენტების რაოდენობას.

**რეზიუმე**

განხილულია ალტერნატიული უნივერსიტეტებიდან მობილობისათვის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ხელშემწყობი ინფორმაციული მონაცემების სტრუქტურისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმალიზებული მოდელის აგების პრობლემა. პრობლემის გადაჭრამ უნდა უპასუხოს კითხვას - რატომ დადგა მობილობის აუცილებლობის პრობლემა? გადაწყვეტილების მიღებამ უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტის ყველა ის მოთხოვნა, რაც მობილობის აუცილებლობას განაპირობებს. პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური ქმედება შედგება თანამიმდევრული კითხვებისგან, რომლებიც მოითხოვს ადეკვატურ პასუხს. ადეკვატური პასუხისათვის კი საჭიროა ჩატარდეს პრობლემის ანალიზი, ხოლო შემდეგ მოფიქრებულ იქნეს თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. სტატიაში თანამიმდევრულად არის განხილული ყველა ეს კითხვა. მოყვანილია სტუდენტის აკადემიური მობილობის გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი საინფორმაციო მონაცემების ანუ ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უკავშირდება უმაღლესი სასწავლებლის არჩევანს. აგებულია სტუდენტთა აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების მენეჯმენტის ფორმალიზებული მოდელი და ჩატარებულია მისი ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** მობილობა, ოპტიმალური გადაწყვეტილება, საინფორმაციო სისტემები, ფორმალიზებული მოდელი.

**Ketevan Nanobashvili**

**Formalized Model of Optimal Decision on Students' Academic Mobility**

**Summary**

In the article, we discuss the problem of building the informative data structure and formalized model of decision-making that contribute to select the optimal variant for mobility from the alternative universities. Solving the problem should answer the question – why is the necessity of mobility stated for a student? The decision should satisfy all the demands of a student that define the inevitability of mobility. The procedural action of problem solving and decision-making consists of the successive questions, requiring the appropriate answer. For the appropriate answer, it is necessary to carry out the problem analysis, and afterwards a student should think what kind of decision to make. In this work, all the questions are analyzed step-by-step. We provide the list of information data or factors that contribute to decision-making process on students' academic mobility in the context of choosing a high educational institution. There is built the formalized model of optimal decision management on students' academic mobility and the issue analysis is also conducted.

**Keywards**: mobility, optimal decision, information systems, formalized model.

**მაია ჭანია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## კოვიდპანდემიით გამოწვეული შედეგები მსოფლიო ეკონომიკასა და საქართველოსთვის

2019 წლის ბოლოს ვუჰანში დაფიქსირებული კორონარული ვირუსის (COVID-19) სწრაფმა გავრცელებამ და პანდემიაში გადასვლამ მთელი მსოფლიო დააყენა ურთულესი გამოწვევის წინ არა მხოლოდ ჯანდაცვის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მხრივაც. მოვლენების სწრაფმა და ნეგატიურმა განვითარებამ ცხადყო, რომ არსებული ვითარება შეუქცევადი მოცემულობაა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს COVID - 19 ცალკეული ქვეყნების და ზოგადად, გლობალურ ეკონომიკაზე დიდწილად არის დამოკიდებული აღნიშნული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე და იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ქვეყნები მასთან გამკლავებას რა მეთოდებით დაიცავენ თავიანთ ეკონომიკას, ასევე ვაქცინის შექმნის ვადებზე და ქვეყნების მზაობაზე და უნარზე ყველა მიმართულებით იმოქმედონ ეფექტიანად. ზემოთაღნიშნული სიტუაციის ყველაზე მეტად გადაულახავ და ნეგატიურ მხარედ მიგვაჩნია, მისი თვისება, რომ სექტემბერში გაკეთებული პროგნოზები ნოემბერში მნიშვნელოვნად შეიცვალა პესიმისტური სცენარისკენ. აქედან გამომდინარე უმეტესი სახის პროგნოზი, წინასწარი გათვლები, გეგმები, ციფრები და მონაცემები რასაკვირველია, მიახლოებითია და მხოლოდ წარმოდგენის შექნმა თუ შეუძლიათ ყველა შედეგზე, რომელიც პანდემიამ განაპირობა ქვეყნების ეკონომიკაზე. საინტერესოდ მიგვაჩნია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული კვლევები მსოფლიო ეკონომიკაზე.

ძირითადად გამოიკვეთება ვირუსის გლობალურ ეკონომიკაზე გავლენის სამი შესაძლო შემთხვევა, თუმცა ესეც დამოკიდებულია იმაზე, თუ დროის რა პერიოდი დასჭირდება პანდემიის დამარცხებას. პირველი სცენარით, რომელსაც გვთავაზობს აზიის განვითარების ბანკი, COVID-19 77 მლრდ აშშ დოლარიდან 347 მლრდ აშშ დოლარამდე ზარალს მიაყენებს გლობალურ ეკონომიკას. მეორე სცენარით, კი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შემოგვთავაზა, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა საერთო ჯამში სულ მცირე 2,5%-თ შემცირდება, თუმცა ორგანიზაცია უშვებს უკიდურესად ცუდ სცენარსაც, რომლის მიხედვით ეს ნეგატიური პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა გაორმაგდეს და ტრილიონ დოლარს ასცდეს. ამ ანალიზით ყველაზე დიდ დანაკარგს ნავთობის ექსპირტიორი ქვეყნები განიცდიან და აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა სულ მცირე 1%-ით დაეცემა. მესამე სცენარით ეუთო ვარაუდობს, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა ძირითადად ვაჭრობის დონის მკვეთრი ვარდნით იქნება გამოწვეული და დაახლოებით 2,4%-ს მიაღწევს.

რაც შეეხება საქართველოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადების მიხედვით, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ირანთან და ჩინეთთან განხორციელებული ავიარეისების შეწყვეტამ ქვეყნის ეკონომიკა 30 მლნ ლარით აზარალა. ავიამიმოსვლის შეჩერებამ კი ევროპის და სხვა დანარჩენ ქვეყნებთან ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უდიდესი, რთულად აღსადგენი ზიანი მიაყენა. COVID-19-ით მიყენებული ზიანის მოლოდინები საკმაოდ განსხვავებულია, თუმცა, ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ყველაზე

დიდ ეკონომიკურ ზიანს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც ვირუსის გავრცელების მასშტაბები ყველაზე მაღალია. ამის შემდგომ იზარალებენ ის სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებულნი ტურიზმზე. ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალდებიან ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკის ძირითად დასაყრდენს ნავთობის ექსპორტი წარმოადგენს, და უკვე შემდგომ კრიზისს განიცდიან მათი პარტნიორი ქვეყნები. სწორედ ამ მოსაზრებით, არსებითია ქართულ ეკონომიკაზე COVID-19-ის პოტენციური გავლენის ანალიზი, რისთვისაც საჭიროა ყურადღების გამახვილება ეკონომიკის სტრუქტურაზე, ძირითად სავაჭრო პარტნიორებსა და ეკონომიკისთვის პოტენციურ რისკებზე.

ის სექტორები, რომლებიც წარმოადგენენ მაღალ ეკონომიკურ გამტარებს, კერძოდ, საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი და ა.შ. უნდა მოექცნენ ხელისუფლების მხრიდან ყურადღების ეპიცენტრში. ამგვარი ანალიზისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, იმ ქვეყნებზე დაკვირვება, სადაც COVID-19-ის ყველაზე მეტი შემთხვევა არის დაფიქსირებული.

ახალი კორონავისრუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერალს დადასტურდა. დადასტურებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამედიცინო სექტორმა და ხელისუფლებამ ყველა ღონე გამოიყენა ვირუსის შესაჩერებლად ქვეყანაში და პანდემიის მეორე ტალღამდე საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგებიც დაიდო, იმ ფონზე, რაც დანარჩენ სამყაროში განვითარდა. თუმცა, საქართველო მსოფლიოს ნაწილია და სამყაროში განვითარებული მოვლენები, როგორც მოსალოდნელი იყო, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აისახებოდა ჩვენს ქვეყანაშიც. დღეის მდგომარეობით საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 100 000-მდე შემთხვევა არის დადასტურებული, რაც ასეთი პატარა ქვეყნისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ვირუსის წინააღმდეგ ვაქცინის შემუშავებამდე მასთან ბრძოლის ერთადერთ მექანიზმად მიჩნეულია პირბადის ტარება დახურულ და ღია სივრცეებში და სოციალური დისტანცირება. ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომ ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მიმართეს ისეთ მკაცრ მეთოდს, როგორიცაა მკაცრი იზოლაცია (lockdown). უსაფრთხოების ისეთმა რადიკალურმა ზომებმა, როგორიცაა, საგანგებო მდგომარეობა, საერთაშორისო მიმოსვლის უკიდურესად შეზღუდვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, და სავაჭრო ობიექტების დახურვა და მხოლოდ სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების ოპერირება, დამანგრეველი შედეგები გამოიწვიეს ქვეყნების ეკონომიკებისათვის.

თუმცა, საქართველო, ისევე, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, რომელშიც მძვინვარებს კორონავირუსი, დგას ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის არჩევანის, დილემის წინაშე. ქვეყნის ჩაკეტვა და მაქსიმალური სოციალური დისტანცირება ხელს უშლის პანდემიის გავრცელებას, მაგრამ მეორე მხრივ, ძალზე ზღუდავს ეკონომიკურ აქტივობას, აფერხებს ქვეყნების განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

2019 წლისთვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5,1%-ით დაფიქსირდა [1]. 2020 წელს ახალი კორონავირუსის ფონზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის შემცირება დაახლოებით 3%-ის ფარგლებში. როგორც მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები პროგნოზირებენ COVID-19 დიდ ნეგატიურ გავლენას იქონიებს ყველა ქვეყანაზე, განურჩევლად მათი ეკონომიკური მდგრადობისა. თუმცა, რამდენად უარყოფითად აისახება იგი ქვეყნების მოსახლეობაზე და რამდენად მკვეთრად გააუარესებს ეს მათი ცხორების დონეს, დამოკიდებულია ამ ქვეყნების

რეზერვებსა და პოტენციალზე- ფინანსურ-რესურსული და ეკონომიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის პროცესი- რეცესიაში გადავა ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში და ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდება -4,4%-სა და -2,8%-ს შორის. მათივე პროგნოზით საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0,1%-ს გაუტოლდება [2].

აზიის განვითარების ბანკის პროგნოზიც თითქმის ანალოგიურია. მათ თანახმად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0%-თან ახლოს იქნება, ხოლო 2021 წლისთვის შესაძლოა, 4,5%-ს მიაღწიოს. აზიის განვითარების ბანკთან შედარებით, ბევრად უფრო მკაცრ პროგნოზს აკეთებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის თანახმად, მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკის 4%-იანი ვარდნა დაფიქსირდება [3].

პანდემიის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებების გამო, რაც პირველ რიგში სოციალურ დისტანცირებას და შინ დარჩენის ღონისძიებებს მოიაზრებს, ეკონომიკის, ვაჭრობის სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი ელექტრონულ ოპერირებაზე გადავიდა. ნაწილმა კი საერთოდ შეაჩერა საქმიანობა. გამონაკლის წარმოადგენენ სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი პროდუქციის მწარმოებელი და სავაჭრო ობიექტები, როგორებიცაა, სასურსათო მაღაზიები და აფთიაქები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ 2020 წლის მთლიან შიდა პროდუქტში სავაჭრო სექტორის გამოშვების ხვედრითი წილი შემცირდება. ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების და მისი მომავალი კურსის, სტაბილურობის ბუნდოვანების გამო, მნიშვნელოვან წილად შემცირებულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებიც. უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობა თავს იკავებს მსხვილი ეკონომიკური გარიგებებისაგან. მძიმე სიტუაციაში არიან დეველოპერებიც, რომელთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე მკვეთრად ნეგატიური როლი ითამაშა პანდემიამ. კერძოდ, დანაზოგის შენარჩუნების და ახალი ვალდებულებებისგან თავის შეკავება, უარყოფითად ისახება მათზე. ეს ტენდენცია კი ძლიერდება ეროვნული ვალუტის სტაბილური გაუფასურებით. მკვეთრად შემცირდა მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა. საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის დასაწყისში დასრულდა დაახლოებით 500 ობიექტის მშენებლობა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 22%-ით ნაკლებია [1]. პანდემიამ თავისი ნეგატიური კვალი დაატყო დამამუშავებელ მრეწველობასაც, სადაც გარკვეული დარგების წარმოების მასშტაბები რადიკალურად დაეცა. მეორეს მხრივ, კი გაიზარდა წარმოება სამედიცინო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში. ასევე, სხვადასხვა საწარმოს შეფერხებით მუშაობის, ან გაჩერების გამო, შეფერხდა წარმოება და მიწოდება მათ მომიჯნავე დარგებში და მათთან დაკავშირებულ საწარმოებში.

ცხადია, ერთ-ერთი დარგი, რომელმაც ყველაზე დიდი ზარალი განიცადა ეს არის ტურიზმი. 2019 წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის შემოსავლების შეფარდებამ მთლიან შიდა პროდუქტთან 21% შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს კონკრეტული დარგისთვის [5]. ვიზიტების რაოდენობა ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა, ისევე როგორც ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, 2019 წლის განმავლობაში საქართველოში საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობებიდან შემოსავალმა 3 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ასეთი მზარდი დინამიკის პირობებში პანდემიით მიყენებული ზარალი ტურიზმის სექტორზე მნიშვნელოვან დარტყმას წარმოადგენს.

ასევე რადიკალურად შემცირდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვეტიციებიც. COVID 19-ის პანდემიით მიყენებული ზარალი ქვეყნის ეკონომიკაზე, ადამიანების კეთილდღეობაზე და მათ ცხოვრების დონეზე, კვლავაც არაპროგნოზირებადად და მზარდი ტენდენციის მატარებლად რჩება. ქვეყნების ხელისუფლთა მხრიდან ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნვის გამო გაწეულმა პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებბა, როგორიცაა ეკონომიკის ჩაკეტვა, საზღვრების დაკეტვა, ქალაქებს შორის მოძრაობის შეზღუდვა, მნიშვნელოვანი და ძნელადაღსადგენი ზარალი მიაყენა უამრავი, წარმატებული ქვეყნის ეკონომიკას და მით უფრო ისეთი არასტაბილურ და არამდგრად ეკონომიკას, როგორიც არის საქართველოს ეკონომიკა. პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის ასეთი მოწყვლადობა პირველ რიგში სწორედ მისი ეკონომიკის სენსიტიურობით არის გამოწვეული და ასევე დაკავშირებულია მშპ-ს სტრუქტურასთან, რომელიც ხასიათდება სწორედ იმ დარგების განვითარებით, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ პანდემიით, კერძოდ, ტურიზმი, მშენებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, საერთაშორისო ვაჭრობა, საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ არსებითად მიგვაჩნია პანდემიით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური შედეგების უგულველსაყოფად, შესარბილებად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოციალური პაკეტების ზრდა;
- დაუსაქმებელი და პანდემიის გამო სამსახურდაკარგული მოსახლეობის კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- გეგმების შემუშავება სტრუქტურული ცვლილებებისთვის;
- უნდა განხორციელდეს ფინანსური რესურსების მობილიზაცია ბიზნესის იმ სფეროსთვის, რომელიც დაკავებულია ადგილობრივი წარმოებით;
- არსებითი ღონისძიებები უნდა გატარდეს ლარის კურსის შენარჩუნება-სტაბილიზაციითვის;
- აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მიმზიდველი პროექტების ინიცირება.

## ლიტერატურა


1. https://mof.ge/News/9445.
2. https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=288&Type=PDF.
3. http://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf.
4. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3912&lng=geo.
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp.


## რეზიუმე


თითქმის ერთი წელიწადია მსოფლიო მოიცვა COVID -19-ის ვირუსულმა პანდემიამ. ის, თუ რა გავლენას იქონიებს პანდემია ცალკეული ქვეყნების და ზოგადად, გლობალურ ეკონომიკაზე, დიდწილად არის დამოკიდებული აღნიშნული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე და იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ქვეყნები მასთან გამკლავებას, რა მეთოდებით დაიცავენ თავიანთ ეკონომიკას, ასევე ვაქცინის შექმნის ვადებზე და ქვეყნების მზაობაზე და უნარზე ყველა მიმართულებით იმოქმედონ ეფექტიანად. 2019 წლისთვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5,1%-ით დაფიქსირდა. 2020 წელს ახალი

კორონავირუსის ფონზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის შემცირება დაახლოებით 3%-ის ფარგლებში. როგორც მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები პროგნოზირებენ COVID-19 დიდ ნეგატიურ გავლენას იქონიებს ყველა ქვეყანაზე. არსებითად მიგვაჩნია პანდემიით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური შედეგების შესარბილებად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოციალური პაკეტების ზრდა; დაუსაქმებელი და პანდემიის გამო სამსახურდაკარგული მოსახლეობის კომპენსაციით უზრუნველყოფა; გეგმების შემუშავება სტრუქტურული ცვლილებებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური მდგრადობა, ეკონომიკური ზრდა, რეცესია, გლობალური ეკონომიკა, დანაზოგი, დასაქმება.

**Maia Chania**

**The Results in the World Economy and Georgia Caused by the Covid Pandemic**

**Summary**

It is already a year since the world was consumed by the virus COVID-19. How the pandemic will influence on separate countries and the whole world's economics, depends on virus spread tendences, on the countries' ability to deal with the problemt and what methods will they use to protect their economics, on the deadlines of the vaccine development and the ability as well as readiness to work effectively in all direction. By 2019 the indicator of economic growth was 5.1%. In the background of Coronavirus, according to various international organizations' prognosis, the world economy is going to decrease by 3%. Following the world's leading financial institutes' prognosis, COVID-19 will cause great negative effect in all countries. To our mind, the government must carry out the following measurements to lighten the economic damage caused by the pandemic: they must provide the growth of social help; the unemployed, jobless ones must be compensated and work out the structural change plans.

**Keywords**: economic sustainability, economic growth, recession, global economy, savings, employment.

**გულნარა ჯანელიძე, ნინო ბერიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Georgian Technical University; Samtskhe-Javakheti State University

## „ჭკვიანი სწავლების“ გამოწვევები თანამედროვე რეალობაში

რამდენიმე წელია, რაც „ჭკვიანი“ ტექნოლოგიების კონცეფცია და მასთან დაკავშირებული ცნებები შეიქმნა და მკვიდრდება ჩვენს ყოველდღიურობაში. ჭკვიანი მოწყობილობების, ჭკვიანი ტექნოლოგიების, სმარტფონებისა თუ სხვა ახალი მაღალტექნოლოგიური სისტემების სწრაფი გავრცელება, უმაღლესი საგანმანათლებლოო დაწესებულებების სტუდენტებისა თუ პროფესიონალი კადრებისთვის ახალი სწავლების მიდგომების უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის, რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდაზე. ამას გარდა, ეს ტექნოლოგიური მიღწევები უზრუნველყოფს უნივერსიტეტებისა თუ კოლეჯების ძირითად ფუნქციებსა და მომსახურებებს.

,,ჭკვიანი უნივერსიტეტის“ კონცეფცია არის სწრაფად განვითარებადი, რომელიც წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის, ჭკვიანი პროგრამებისა და ინოვაციური კონცეფციების ინტეგრირებას. ყოველივე ეს ქმნის, ჭკვიანი პედაგოგიკის საფუძველზე თანამედროვე სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებს. მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არის აღჭურვილი მაღალ ინოვაციური ტექნოლოგიებით, რომელთაც აქვთ მოქნილი სწავლისა და სწავლების სტილი, ასევე საგანმანათლებლო მასალებზე ინფორმაციის მოპოვება საყოველთაოდ ხელმისაწვდომია [1].

„ჭკვიანი“ განათლების სისტემის შექმნა მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების დანერგვას, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ:

- ონლაინ კლასების ორგანიზება;
- ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრაქსტრუქტურის შექმნა;
- ციფრული სახელმძღვანელოების გამოყენება და განვითარება;
- ონლაინ შეფასებების გამოყენება;
- მასწავლებელთა კომპეტენციის გაძლიერება;
- სწავლა-სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომა;
- დიდი რაოდენობის სასწავლო მასალის გადამუშავების შედეგად პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- მიღებული ცოდნის საზოგადოებრივი მიზნებისთვის გამოყენების უნარების გამომუშავება.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე სასწავლო პროცესი მოითხოვს შესაბამის რესურსებს, რათა ხელი შეუწყოს „ჭკვიან“ განათლებას. კერძოდ, უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს მონაცემთა დამუშავების ცენტრი, ასევე ელექtრონული სწავლების ცენტრი (ღრუბლოვანი სისტემები), მულტიმედიური ცენტრი (Campus), კომპიუტერული ოთახები (ინტერნეტ სერვისები), მობილური ტექნოლოგიები, ბიბლიოთეკა უკაბელო ტექნოლოგიები, სამეცნიერო ლაბორატორიები და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჭკვიანი სასწავლო კურსის ფორმირების საკითხები[1,2].




ნახ.1. „ჭკვიანი სასწავლო კურსის“ სტრუქტურა

„ჭკვიანი“ პედაგოგიური მიდგომების სფეროში მიმდინარე კვლევის უმრავლესობა ორიენტირებულია სტუდენტის სწავლისა და სწავლების მეთოდებსა და მიდგომებზე, რომელიც ინოვაციურ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული, როგორიცაა: სწავლება ვირტუალური ლაბორატორიების აქტიური გამოყენებით, ჯგუფური სწავლება, ადაპტირებადი სწავლება, თამაშებზე დაფუძნებული სწავლება, პერსონალური სწავლება, სწავლის ანალიტიკა და აკადემიური ანალიტიკა, კონტექსტზე დაფუძნებული სწავლა, ელექტრონული წიგნები, პერსონალურ კვლევაზე დაფუძნებული სწავლა, კროსოვერი და სხვა ინოვაციური სტრატეგიები.

ინტერნეტის ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა დიდი რაოდენობის ინფორმაციის მიღება. ამან აგრეთვე გავლენა იქონია სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზეც და შესაბამისად ინფორმაციის მოცულობა იზრდება მათი ინტერესისა და არჩევანის მიხედვით. მეორეს მხრივ, პედაგოგებისთვის რთული გახდა ყველა სტუდენტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. საჭირო გახდა სასწავლო მასალების ავტომატურად მიწოდება, საცნობარო მასალის გავრცელება, ანგარიშების შეგროვება და ტესტების ჩატარება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ეს მოითხოვს საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, რომელიც პასუხობს სტუდენტზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, დიდი მონაცემების ანალიზი ხელს შეუწყობს ინტელექტუალური განათლების სისტემის შექმნას. ეს არის გზა, სადაც პედაგოგები უზრუნველყოფენ სწავლებას, რომელიც შეესაბამება თითოეული სტუდენტის შესაძლებლობებს [1,2,3].

სასწავლო დაწესებულებებში მონაცემების მოცულობამ მკვეთრად მოიმატა და მონაცემების დაგროვების და შენახვის მიზნით, აუცილებელი გახდა მონაცემთა საცავების

გამოყენება. გარდა შენახვისა, აუცილებელია მონაცემთა ანალიზი, რომელიც ფაქტობრივად არის გზა პროგნოზირებისაკენ, რათა დავგეგმოთ თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს მომავალში. რა არის შესაცვლელი და რა ღონისძიებებია ჩასატარებელი. ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას ცხადი სურათი შევქმნათ ცალკეულ სტუდენტზე და პედაგოგზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია მომავალში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისთვის.

ამდენად, „ჭკვიანი“ განათლების სისტემის გასავითარებლად მიზანშეწონილია მოხდეს ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ურთიერთშერწყმა, რაც გამოიხატება ტექნიკური თვალსაზრისით მოდერნიზებული აპარატურის დანერგვასა და საკლასო გარემოს ტექნოლოგიების განვითარებაში, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით სასწავლო პროცესის მონაცემების ანალიზში [4].

ინტელექტუალური ანალიზი ანუ "Data Mining" ცნების გვერდით, ხშირად გამოიყენება აგრეთვე ფრაზა "ცოდნის აღმოჩენა" (Knowledge Discovery), რაც იმით არის განპირობებული, რომ Data Mining-ის შემთხვევაში ნედლი მონაცემების მიხედვით ხდება მანამდე უცნობი, არატრივიალური, პრაქტიკულად სასარგებლო და მისაწვდომი ცოდნის აღმოჩენა-გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

Data Mining ტექნოლოგია ფართოდ იყენებს სტატისტიკური მეთოდების თითქმის სრულ პაკეტს. მათ შორის ძირითადი ყურადღება ეთმობა კორელაციურ, რეგრესიულ, ფაქტორულ ანალიზს და სხვ. თანამედროვე Data Mining ტექნოლოგია წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ დარგს, რომელიც, გარდა გამოყენებითი სტატისტიკისა, ვითარდება ხელოვნური ინტელექტის მეთოდების, მონაცემთა ბაზების თეორიისა და სხვათა მიღწევების საფუძველზე.

თანამედროვე პერიოდში ინფორმაციული მასივების ზრდის კვალდაკვალ ორგანიზაციებში ჩნდება მრავალი გადაწყვეტილების ერთდროულად მიღების აუცილებლობა. ამავდროულად, მონაცემთა უზარმაზარი მოცულობა საჭიროა დამუშავდეს გაცილებით მოკლე დროში. ამდენად, ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს გაფანტული მონაცემების სტრუქტურირებულ ინფორმაციად გარდაქმნა. სწორედ ამისთვის გამოიყენება მონაცემთა ანალიტიკური დამუშავების სპეციალური სისტემები OLAP (On-Line Analysis Processing). ორგანიზაციის საქმიანობის მოდელირებისა და ზუსტი ანგარიშების შედგენისთვის, საჭიროა მონაცემთა ამორჩევა სხვადასხვა წყაროდან ერთდროულად. ამისათვის OLAP სისტემები სპეციალურად მორგებულია მონაცემთა წყაროს სხვადასხვა ფორმატზე და ქმნიან მრავალგანზომილებიან მასივს განაწილებული ინფორმაციიდან [4,5].

OLAP ტექნოლოგია გვთავაზობს სწრაფ ხერხს მონაცემთა დათვალიერებისა და ანალიზისთვის ნებისმიერ ასპექტში, ნებისმიერი თვალსაზრისით და დეტალიზაციის საჭირო დონით. შესაბამისად, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯს მრავალ ინსტრუმენტულ საშუალებებსა და მეთოდებთან შედარებით, რომელიც შემუშავდა ბიზნესის მართვის სისტემების ევოლუციის ადრეულ ეტაპზე.

მონაცემთა ანალიზის სისტემების და პროგნოზული ანალიტიკის გამოყენება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების მთელი პოტენციალის ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ასეთი სისტემების მეშვეობით საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო მონაცემები. ამ კლასის პროგრამულმა პროდუქტებმა ჰპოვეს ფართო გავრცელება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამავდროულად, ისინი გამოიყენება სხვადასხვა დარგში და განსხვავებული სახეობის საქმიანობაში.

OLAP ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, Data Mining (მონაცემთა მოპოვების) ინსტრუმენტები ორიენტირებულია ახალი დამოკიდებულებებისა და კანონზომიერებების

მოძიებაზე. OLAP და Data Mining საშუალებებისთვის სხვადასხვანაირად ისმება ამოცანები. მაგალითად, თუ OLAP-ისთვის ამოცანა შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სხვადასხვა იერარქიის დონეზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, საგნებში საშუალო შეფასებების, ჯგუფების საშუალო შეფასებების პოვნა, მაშინ Data Mining-ისთვის ეს არის ფაქტორების მოძიება, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ შეფასებებზე, შრომითი ბაზრის მოთხოვნების კვლევა, სასწავლო კურსების ტიპური სცენარების განსაზღვრა და სხვა. ამავდროულად იგი საშუალებას იძლევა აიგოს ახალი ჰიპოთეზები მონაცემებში უცნობი, მაგრამ რეალურად არსებული დამოკიდებულებების ხასიათის შესახებ, შეიქმნას მოდელები, რომლებიც შესაძლებელს გახდის რაოდენობრივად შეფასდეს კვლევების ფაქტორების გავლენის ხარისხი.

ერთობლივად, ოპერატიული ანალიტიკური დამუშავებისა და მონაცემების მოპოვების ინსტრუმენტები ინფორმაციის დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა, რასაც თავის მხრივ მივყავართ მონაცემთა საცავებში ახალი ცოდნის აღმოჩენის პროცესის გაცილებით ეფექტურ შედეგებამდე. OLAP ტექნოლოგიები ჩვეულებრივ გამოიყენება მონაცემთა ბაზებში ცოდნის აღმოჩენის პროცესის ადრეულ ეტაპებზე. ეს იწვევს მონაცემთა უკეთ გააზრებას, ეხმარება ანალიტიკოსებს გამოავლინონ მონაცემთა აქტუალური ნაწილები, ხოლო მონაცემთა მოპოვების ტექნოლოგიები ამდიდრებენ ამ ფუნქციონალობას [4,5].

## ლიტერატურა


1. Bakken J.P., Uskov V.L., Penumatsa A., Doddapaneni A., Smart Universities, Smart Classrooms and Students with Disabilities. Smart Innovation, Systems and Technologies 59. DOI 10.1007/978-3-319-39690-3-2, Switzerland. 2016.
2. Deswarte Y., Cuppens F., Jajodia S., Wang L., Information Security Management, Education and Privacy. IFIP 18th World Computer Congress. TC11 19th International Information Security Worksops. Print by International Federation for Information Processing. eBook ISBN: 1-4020-8145-6. Boston. 2004.
3. Zaharie M.A., Employment of the graduate labour force and employers needs – components of quality management in higher education. doctoral thesis – summary, 2011.
4. Ovsyanitskaya L., The OLAP-Cubes Technology Application for Analysising Pedagogical Monitoring Data. 2014. 271-278.pp.
5. Sinaga A.S., Girsang A.S., University Accreditation using Data Warehouse. International Conference on Computing and Applied Informatics 2016. IOP Conf. Series: Journal of Physics: Conf. Series 801 (2017) 012030, DOI: 10.1088/1742-6596/801/012030, 2017.


## რეზიუმე


ნაშრომში წარმოდგენილია „ჭკვიანი უნივერსიტეტის“ და „ჭკვიანი სასწავლო პროცესის“ ანალიზი და სერვისების მიმოხილვა, რომელიც სადღეისოდ არის სწრაფად განვითარებადი და ქმნის თანამედროვე სწავლისა და სწავლების ახალ შესაძლებლობებს. დამუშავებულია „ჭკვიანი სასწავლო კურსის“ მოდელი, სადაც ჩანს ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ურთიერთშერწყმის მიზანშეწონილობა. ამავდროულად, ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვა ვერ იქნება სრულყოფილი და ეფექტური თანამედროვე ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენების გარეშე. ამდენად, ნაშრომში შემოთავაზებულია სასწავლო პროცესის მართვის ამოცანების გადაწყვეტა მონაცემთა ოპერატიული და ინტელექტუალური ანალიზის (Data Mining) მეთოდების გამოყენებით.

კერძოდ, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი მონაცემთა საცავისა და OLAP (Online Analytical Processing) ტექნოლოგიის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** „ჭკვიანი უნივერსიტეტი“, “ჭკვიანი სასწავლო კურსი”, ინტელექტუალური ანალიზი, ცოდნის აღმოჩენა.

**Gulnara Janelidze, Nino Beridze**

**Challenges Of "Smart Teaching" In Modern Reality**

**Symmary**

The article presents an analysis of the "smart university" and "smart learning process", as well as an overview of services that are rapidly developing today and create new opportunities for modern learning and teaching. A model of “smart training course” has been developed, showing the feasibility of combining hardware and software. At the same time, the management of the educational process of any educational institution cannot be complete and effective without the use of modern tools. Thus, the article proposes the solution to the problems of managing the educational process using the methods of operational and data mining. In particular, the analysis of data obtained as a result of monitoring, the learning process using data warehouses and OLAP (Online Analytical Processing) technology.

**Keywords:** “smart university”,” smart training course”, intellectual analysis, knowledge discovery.

**ნესტან აკობია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## სარეკლამო დისკურსი და ნეოლოგიზმები

სარეკლამო ტექსტი რეკლამის შინაარსისა და მისი ფორმების ერთობლიობაა. ნებისმიერი ტექსტის შექმნისას „გამოხატვის“ საკითხი ყოველთვის მოითხოვს რედაქტირებას. რეკლამის ენა ეს არის ვერბალური საშუალება, რომლითაც გადმოიცემა მისი შინაარსი. აზრი შეიძლება გადმოიცეს უამრავი საშუალებით, სხვადასხვა სტილისტური შეფერილობისა და აქცენტების გამოყენების მეშვეობით. შეიძლება სხვადასხვანაირად აიგოს ტექსტი, დაიყოს სხვადასხვა აბზაცებად, წინადადებებს სხვადასხვა აგებულება ჰქონდეს, სხვადასხვაგვარად შეირჩეს სიტყვები და მრავალნაირად დალაგდეს ისინი წინადადებაში. იდეალურ სარეკლამო ტექსტში „ყველაფერი შეიძლება იყოს საუცხოო“: საუცხოოდ გასაყიდი თუ გასაცემი აზრები, გადმოცემული საუცხოო ენით, საუცხოოდ გაფორმებული, რომელიც გაუმარტივებს ადამიანს მის კითხვასა და პირობებს [1].

მთავარი მოთხოვნა სარეკლამო ტექსტისათვის არის მაქსიმალური ინფორმაციის გადმოცემა მინიმალური სიტყვებით. სიტყვების რაოდენობა უნდა იყოს იმდენი, რომ მყიდველმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ერთი შეხედვით დაიმახსოვროს იგი. გამოყოფილია სარეკლამო ღირებულების შემცველი სიტყვები, დიდი ემოციური შეფერილობით, რომელიც ქმნის მიმოხილვითი სახის სანახაობით ეფექტს. ბილბორდის ან აფიშის ამოცანაა, უპირველეს ყოვლისა, მიიპყროს პოტენციური მყიდველის ყურადღება და აიძულოს იგი გაჩერდეს რეკლამის წინ და წაიკითხოს სარეკლამო ტექსტი. ამიტომ მთავარი მზერა მიმართულია გამოსახულებაზე (ფოტოზე ან კოლაჟზე), ხოლო ტექსტიდან მოითხოვება მოკლე და მაქსიმალური ინფორმაცია. ორივე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს რეკლამა, რომლის სტრუქტურა ასახავს სწრაფვას სარეკლამო ტექსტის ეკონომიურობისა და მაქსიმალური ექსპრესიულობისაკენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეკლამო ტექსტის სინტაქსურ აგებულებას. ცალკეული სტრუქტურული წევრების ერთიანობა უზრუნველყოფს სარეკლამო ტექსტის მჭიდრო სინტაქსურ კავშირს, რომელიც წარმოადგენს ზეფრაზულ და ფრაზულ ერთიანობას. ეს მჭიდრო სინტაქსური კავშირი ააქტიურებს სარეკლამო ინფორმაციას, უზრუნველყოფს სარეკლამო იდეის აქტიურ წარმოჩენას. ყურადღების მისაქცევად გამოიყენება რიტორიკული კითხვა, აღტაცება, კითხვა-პასუხის ფორმა ტექსტის დასაწყისში, ხოლო ამთავრებს ტექსტს წამახალისებელი გამონათქვამი დამაჯერებელი თხოვნის, რჩევის, შეხსენების შეფერილობით [1].

სარეკლამო ტექსტი შედგება 4 ძირითადი ელემენტისაგან, რომლებიც თითქმის ყოველთვის გამოიყენება რეკლამაში: სათაური, ქვესათაური, ძირითადი ტექსტი, სარეკლამო ლოზუნგი (სლოგანი) [1].

სათაურს გადააქვს ყურადღება ტექსტზე და აინტერესებს მყიდველს. ეს მთავარია რეკლამაში და ძლიერი გზავნილია მყიდველისთვის, ამიტომაც სათაური უნდა იყოს ექსპრესიული და აზრობრივად ნათელი [1].

ქვესათაური ხიდია ძირითად ტექსტსა და სათაურს შორის. თუ კლიენტი დააინტერესა სათაურმა, მაშინ ქვესათაური იძლევა კიდევ მისი ყიდვის ერთ შანსს. ხოლო ძირითადი ტექსტი - ასრულებს სათაურის დაპირებას.

ტექსტი იყოფა 3 ნაწილად: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესავალში რეკლამის შემქმნელს მომხმარებელი შემოყავს თემაში. ეს დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ იცნობს მოცემულ პრობლემას, ან შესაძლებელია, ვერ აღიქვამს მას. ძირითად ნაწილში მდგომარეობს კომერციული წინადადების არსი. მასში მითითებულია საქონლის/მომსახურების ძირითადი სარგებელი. ცნობილია, რომ სარეკლამო ტექსტის მკითხველი დაინტერესებულია არა საქონლით, არამედ მისი სარგებლით, რომელიც მან უნდა მიიღოს რეკლამირებული ობიექტისაგან. ამიტომაც ამ ნაწილში მთავარია მომხმარებლის დარწმუნება ლოგიკურად, რომ აღნიშნული საქონელი მისთვის აუცილებელია. დასკვნისას კი შეჯამებულია შეთავაზებული წინადადება [2].

დასკვნითი ფრაზა -სარეკლამო სლოგანი. სარეკლამო სლოგანი (*a motto of the brand*) – ეს არის მოკლე, იოლად დასამახსოვრებელი ფრაზა, რომელიც გადმოიცემა მკაფიოდ, სარეკლამო კომპანიის მთავარი იდეის საჩვენებელი ფორმით. სლოგანი ეხმარება ფირმა გამოიყოს თავის კონკურენტებს შორის და იძლევა სარეკლამო ღონისძიებების მთლიანობას. კარგი სლოგანი რეპუტაციას უნარჩუნებს კომპანიას და ასახავს მის სპეციფიკას. რიტორიკული ლოზუნგების მნიშვნელოვან თვისებებს წარმოადგენს სიმოკლე, რიტმული და ფონეტიკური განმეორება, კონტრასტულობა, ენობრივი თამაში და ფარული დიალოგის ეფექტი. სლოგანი წარმოადგენს კორპორაციული სტილის მნიშვნელოვან კომპონენტს [2].

კარგი სლოგანის შექმნა მოითხოვს დიდ ხელოვნებას, ინტუიციას, შემოქმედებით ხედვას, თუმცა შესაძლებელია წარმატებული სლოგანის აგების რამდენიმე პრინციპის ფორმულირება. ეს პრინციპები მიეკუთვნება სლოგანის შინაარსობრივ, ინფორმაციულ მხარეს ან ეხება რიტორიკას-თუ როგორ მიეწოდება ეს ინფორმაცია. სლოგანი წარმოადგენს სარეკლამო ობიექტს, ახასიათებს მას, გამოყოფს მას სხვების ფონზე. შინაარსობრივი თვალსაზრისით პრესტიჟული რეკლამის სლოგანი ეხმარება კომპანიის პრესტიჟის შექმნას, უქმნის მას ნდობის ფაქტორს. სარეკლამო ტექსტის სტრუქტურაში სლოგანს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. რეკლამირებად საკუთარ სახელთან ერთად იგი გამოხატავს სარეკლამო კონცეპციის მთავარ იდეას. არც თუ ისე იშვიათად სარეკლამო ტექსტი შედგება მთლიანად რეკლამირებადი საკუთარი სახელისაგან და მისი თანმხლები სლოგანისაგან, ამიტომაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ სლოგანი ერთ-ერთი სარეკლამო ტექსტის დამოუკიდებელი ჟანრია, ვინაიდან იგი ყველაზე ექსპრესიული სახეა სარეკლამო ტექსტისა [2].

ვინაიდან რეკლამა წარმოადგენს ნეოლოგიზმების წყაროს, შეუძლებელია აქვე არ აღვნიშნოთ მისი როლი, რეკლამის როგორც მეტყველების აქტის კვლევისას, რაც ესოდენ დიდ კრეატიულობას სძენს მას, მისი ლექსიკური თავისებურების შესაბამისად. პროდუქტის მარკის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც ყველა სარეკლამო მესიჯში ფიგურირებს, არის ლინგვისტური ნიშანი, რომელიც სარეკლამო ტექსტშია ჩართული და მის შემადგენელ ნაწილს წარმოაგენს. ახალი სიტყვებით გამდიდრებული რეკლამა, მისი ორიგინალურობა, უნიკალურობა, რომელიც ხაზს უსვამს პროდუქციის თვისებებს და მას წარმოაჩენს ახლებურ, უცნაურ რაკურსში, განსაკუთრებულად იპყრობს მომხმარებელთა ყურადღებას [2].

ნეოლოგიზმის ცნება თავისთავში მოიცავს მოცემულ ენაში ახალი ტერმინების და ეფექტური ლექსიკური ნოვაციების შექმნის სისტემას. მაგრამ მათ რეალიზებას ენაში ვერ დავაკვირდებით, თუ არ განვიხილეთ ნეოლოგიზმების არსებული ფორმები. განვიხილოთ ლ.

გილბერტის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია, რომელშიც იგი გამოყოფს ფონეტიკურ, სემანტიკურ, სინტაგრამატურ და ნასესხებ ნეოლოგიზმებს. ფონეტიკური ნეოლოგიზმი გულისხმობს ნიშნისა და მისი ტრანსკრიპციის შეჯვარების შედეგად ახალი სიტყვის მიღებას. ეს არის თვითნებური ფონოლოგიური პროცესი, რომელიც დაფუძნებულია, სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ, „არაფერზე“, ეს პროცესი ძალიან იშვიათია, განსხვავებით ონომატოპიისაგან, რაც გულისხმობს ხმამიბაძვით ახალი სიტყვების შექმნას. მაგ: You Tube (იუთუბი), სნიკერსი: „როცა გშია–მაგარია!“ „თუ გინდა წერო, უნდა წერო!“: თქვენი ქსელი–ჯეოსელი!“ სემანტიკური ნეოლოგიზმი, სემანტიკურ ცვლილებას გულისხმობს. მისი პირველი მნიშვნელობა წამოიჭრება უკვე არსებულის ფონოლოგიური სეგმენტიდან, როგორც ეს იყო თაგვის“Mouse“–ის შემთხვევაში. მისი ომონიმი აღნიშნავს „პატარა ძუძუმწოვარა მღრღნელს“. მაგრამ ამ სიტყვამ განიცადა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ ტერმინოლოგიაში სემანტიკური ცვლილება და აღნიშნავს „კომპიუტერის ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც გამოიყენება ეკრანზე კურსორის სამართავად“ [3, 4].

ნასესხები ნეოლოგიზმები, ეს უცხოური ენიდან (ინგლისურიდან) შემოსული სიტყვებია. ნასესხები სიტყვები, მართალია, არ გულისხმობს ახალი ნიშნების შექმნას, მაგრამ ისინი მაინც განიხილება, როგორც ახალი ლინგვისტური ელემენტები, რადგანაც მისი ნეოლოგიზმი მდგომარეობს არა ახალი ნიშნების შექმნაში, არამედ მათ მიღებაში. მაგალითად: „დავ–clik–ე“ (დავაკლიკე) ანუ დავაწკაპუნე კურსორით, „დავა–like-ე“ (დავალაიქე) ანუ მოვიწონე, „დავ–post–ე“ (დავპოსტე) ანუ ახალი ამბავი გამოვაქვეყნე, „smile –ები“ (სმაილები) ანუ ღიმილები [3, 4].

სინტაგმატიკური ნეოლოგიზმი მიმართავს სხვადასხვა ელემენტის კომბინირებას დერივაციის თუ კომპოზიციის გზით. ეს გულისხმობს პრეპიქსაციას, სუფიქსაციას, ინტერფიქსაციას, კომპოზიციას, პოლისემიურ სიტყვებს, სიგლებს, აკრონინებს. ინგლისურ ენაში სემანტიკური და ნასესხები ნეოლიზმები, ასევე დერივაციისა და კომპოზიციის ფენომენი ძალზედ ხშირია. ონომატოპეა, სიგლიზაცია და ტრონკაცია შედარებით იშვიათი მოვლენაა და ფამილიარული ენისათვისაა დამახასიათებელი. რეკლამის ენა, ისევე როგორც არგო, ეფუძნება იშვიათ ნეოლოგიურ ქმნილებებს. ამ მხრივ, იმის გარდა რომ იგი იყენებს სტანდარტული ენისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, იგი მიმართავს თეორიულად შესაძლებელ, მაგრამ იშვიათად უტილიზებულ სიტყვებს, რათა გაამყაროს ესა თუ ის მნიშვნელობა. ამგვარად, აკრონიმია, ონომატოპეა და სიგლიზაცია ძირითადად რეკლამის ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, რეკლამა ნეოლოგიზმების ერთ–ერთი წყაროა. სარეკლამო განცხადებებში გამოიყენება სტანდარტული ენისათვის უცხო, „ახალშექმნილი“ სიტყვები, უცხოურიდან ნასესხები სიტყვები. განსაკუთრებით აქტიურად ნეოლოგიზმები გამოიყენება სავაჭრო მარკის, ფირმების თუ პროდუქციის უნიკალური მახასიათებლების დასახელებისას. ორიგინალობა, უნიკალურობა, რომელიც ხაზს უსვამს პროდუქციის თავისებურებებს და მას წარმოაჩენს ახლებურ, უცნაურ რაკურსში, განსაკუთრებულად იპყრობს მომხმარებელთა ყურადღებას [5, 6].

პროდუქციის მარკის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც ყველა სარეკლამო მესიჯში ფიგურირებს, არის ლინგვისტური ნიშანი, რომელიც სარეკლამო ტექსტშია ჩართული და მისი შემადგენელი ნაწილია.

მარკის სახელი შეგნებულად შექმნილი „სახელწოდების“, სახელრქმევის ნეოლოგიზმია (Red Bull-წითელი ხარი (ენერგიული სასმელი), Coca-Cola - კოკა-კოლა (გამაგრილებელი სასმელი). როგორც ცნობილია, პროდუქციის მარკის სახელწოდებად შეიძლება გაფორმდეს

ნებისმიერი მატერიალური ნიშანი, გარდა სმენითი ნიშნისა: ყოველდღიური სასაუბრო ენის სიტყვა (შემდეგი – NEXT (ტანსაცმლის ფირმა), უცხო ენიდან შემოსული სიტყვა (ავტობანი, ვიდეოკლიპი), ნეოლოგიზმი (DJ, Parking) ნომინალური სინტაგმა (ზღვის სანაპიროზე დგას თანამედროვე რკინაბეტონის სარკეებიანი ნაგებობა ქართული ანბანით), თუ სლოგანი "Less is More"- Prada (ნაკლები უფრო მეტია –პრადა) და ა.შ.

ნეოლოგიზმი არის ლინგვისტიკური ელემენტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სარეკლამო მესიჯების ასაგებად. ნეოლოგიზმების უპირატესობა არის უსაზღვრო სარეკლამო ფანტაზია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ყოველთვის ლოგიკურია და კონტექსტის პირობებზეა დამოკიდებული. სარეკლამო დისკურსი მნიშვნელოვნად იზღუდება. იგი მონაწილეობს ერთდროულად ინფორმაციის გადაცემაში და მიღებაში. სარეკლამო დისკურსი სიმბოლური ქმნილებაა, რომელსაც განსაზღვრავს ეკონომიკური ბაზარი და რეკლამის სიტყვის ფასი არის ის, თუ რამდენად განსაზღვრავს იგი მესიჯის ფორმას. სარეკლამო მესიჯის გადაცემა, ეს არის სარისკო და ამავდროულად ღირებული დისკურსული ოპერაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს შესაძლო კომუნიკაციურ მარცხს. სხვადასხვა პირობა გავლენას ახდენს დისკურსის ფორმაზე: უპირველესად ეს არის ეკონომიკური აუცილებლობა, წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული სისწრაფის ელემენტი გადაცემის პროცესში, მაქსიმალურად შეზღუდული ფორმით უნდა მოხდეს მესიჯის მიღება, უნდა გამოირჩეოდეს თავისი ვიწრო ფორმებით, მაგრამ ამავდროულად უნდა აღიქმებოდეს დროის უმცირეს მონაკვეთში. ამის გამო სარეკლამო მესიჯი მიმართავს იშვიათ სემანტიკურ ფორმებს, რათა შეძლოს მაქსიმალური ინფორმაციის გადმოცემა მინიმალურ დროში და ფორმებში. რეკლამის ენის კრეატიულობა უპირველესად მის ლექსიკაზე აისახება. მაგალითად: რეკლამის იმპერატივის, ბრძანებითი კილოს აღსანიშნავად ხშირად გამოიყენებენ ზმნის, მსგავს უცნაურ ფორმებს. მაგალითად: „არ გაჩერდე! წაუსნიკერსე!" Sneakers [1, 2, 3, 4, 5, 6,].

განსაკუთრებით საინტერესოა ორთოგრაფიული მოდიფიკაციით შექმნილი ახალი სიტყვები. მაგალთიად: გა–Remix–ება, და–like-ბა, გა–Hit-ება (გარემიქსება, დალაიქება, გაჰიტება); უცხო სიტყვები (ბანერი, ფართი, შოუ, სეილი, შოპინგი) ორთოგრაფიული თამაშის მაგალითი: და–კომენტარ–ება, ლექსიკური ბაზის არევა. ბევრი ლინგვისტი თვლის, რომ რეკლამის ენა „აბინძურებს" ლექსიკონს. მათი აზრით რეკლამის შემქმნელნი არღვევენ ინგლისური ენის ყველა პრინციპს, ზოგიც ადანაშაულებს მათ უცნაური ნეოლოგიზმების „აგრესიაში". ეს და სხვა მსგავსი კრიტიკა ცხადყოფს ვიწრო თვალთახედვას, რომელიც უარყოფს დისკურსის კრეატიულობას, ატყვევებს მას ენის ნორმატიულ ყალიბში. ის დაუდევრად ეპყრობა და არ ცდილობს შეისწავლოს ენის ან განსაკუთრებული სახეობის სტილისტური და კომუნიკაციური თავისებურება [1, 2, 3, 4, 5, 6].

რეკლამის ენისათვის უპირველესად დამახასითებელია ახალ სიტყვათა შექმნა, ლექსიკის გადახალისება.

„ყოველ სამშაბათს The ვანო's Show";

დაკლიკვა – დაწკაპუნება;

დალაიქება – მოწონება;

გაშეარება – გაზიარება;

დეველოპერული - განვითარებადი;

სლოგანი – დევიზი;

დაკოპირება – ასლის გაკეთება;

შოუ – ჩვენება, წარმოდგენა;

შოუმენი - წარმომდგენი, წამყვანი;
პიარი - საჯარო ურთიერთობა;
ფართი – წვეულება;
დიზაინერი – შემქმნელი, კონსტრუქტორი;
გაჯაზება – დროის ტარება, გართობა;
მაუსი – თაგვი,კურსორი;
მონიტორი – ეკრანი;
დამესიჯება - ინფორმაციის ან წერილის გაგზავნა;
ამოსაპრინტერებელი – დასაბეჭდი;
დაქსეროქსება – ასლის გაკეთება;
ზუმის მიცემა - გადიდება;
თოქ შოუ - ტელე ან რადიო შოუ, რომელშიც სტუმრები განიხილავენ საკამათო თემებს ან პირადულ საკითხებს;
პრომოუშენი – ჩინის მინიჭება, მიცემა; დახმარება, შველა, ხელის შეწყობა, დაწინაურება;
ოპერირება – მოქმედება, მუშაობა;
გაპიარება – ხელშეწყობა, საჯარო ურთიერთიერთობა.
სმაილიკები – ღიმილები;
ესემესები – მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
ლოგინი – ვებ–გვერდზე შესასვლელი კოდური ტექსტი, სიტყვა.

ნეოლოგიზმების მიღების გზა და მისი გავლენა საერთოდ ენის ლექსიკურ მარაგზე, ჯერ კიდევ გამოსაკვლევი რჩება [1, 2, 3, 4, 5, 6].

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეკლამა, როგორც მეტყველების აქტი მოიცავს ორაზროვნების კვლევას სარეკლამო ტექსტებში, ვინაიდან ენობრივი თამაში სარეკლამო ტექსტებში სწორედ მეტყველების ორაზროვნებას ეფუძნება, აქვე აღსანიშნავია დიალოგის როლიც, რომელიც სარეკლამო შეტყობინების და საგნის სხვადასხვა ასპექტის აქტუალიზებას ახდენს. პოლისემანტების და ომონიმების პრაგმატული გათამაშება კი სარეკლამო ტაქტიკის რეალიზაციას ემსახურება.

ორაზროვნებაზე დაფუძნებული ენობრივი თამაში ითვალისწინებს არა მხოლოდ ინტერნაციონალური ფაქტორის, არამედ ინტერპრეტაციული ფაქტორის გათვალისწინებას. გარდა ორაზროვნებისა, აგრეთვე მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება კომუნიკაციური ეფექტურობის კვლევაც რეკლამის, როგორც მეტყველების აქტის შესწავლისას. რეკლამის კომუნიკაციური ეფექტურობის არსის შეფასებისას აუცილებელია არამარტო მაჩვენებლების და კრიტერიუმების, არამედ მათი ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებაც, რომელთა როლსაც ასრულებენ კომუნიკაციური პროცესის ელემენტები: კომუნიკატორი, შეტყობინება, რეციპიენტი, უკუკავშირი. თითოეული ელემენტის ოპტიმიზაციას და მათ ურთიერთზემოქმედებას შეუძლიათ უზრუნველყონ სარეკლამო კომუნიკაციის წარმატებულობა.

## ლიტერატურა


1. დუმბაძე ს. 2006. „რეკლამა, როგორც მეტყველების აქტი და მისი სტილისტურ-სემატიკური თავისებურება“(სამაგსტრო ნაშრომი). ბათუმი, 2006.
2. სურგულაძე ნ. 2009: სარეკლამო სლოგანის ორაზროვნება, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების XIII ტ., ბათუმი, 2009.

3. www.Georgianslogans.ge.
4. www.Englishslogans.ge.
5. სურგულაძე ნ. 2009: სარეკლამო სლოგანის ორაზროვნება, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების XIII ტ., ბათუმი, 2009.
6. სურგულაძე ნ. 2009: სარეკლამო სლოგანის პარადოქსები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, "ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში" ბათუმი, 2009.

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სარეკლამო დისკურსისა და ნეოლოგიზმების განხილვა. რეკლამა, როგორც მეტყველების აქტი მოიცავს ორაზროვნების კვლევას სარეკლამო ტექსტებში, ვინაიდან ენობრივი თამაში სარეკლამო ტექსტებში სწორედ მეტყველების ორაზროვნებას ეფუძნება, აქვე აღსანიშნავია დიალოგის როლიც, რომელიც სარეკლამო შეტყობინების და საგნის სხვადასხვა ასპექტის აქტუალიზებას ახდენს. პოლისემანტების და ომონიმების პრაგმატული გათამაშება კი სარეკლამო ტაქტიკის რეალიზაციას ემსახურება. რეკლამის კომუნიკაციური ეფექტურობის არსის შეფასებისას აუცილებელია არა მხოლოდ მაჩვენებლების და კრიტერიუმების, არამედ მათი ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებაც, რომელთა როლსაც ასრულებენ კომუნიკაციური პროცესის ელემენტები: კომუნიკატორი, შეტყობინება, რეციპიენტი, უკუკავშირი. თითოეული ელემენტის ოპტიმიზაციას და მათ ურთიერთზემოქმედებას შეუძლიათ უზრუნველყონ სარეკლამო კომუნიკაციის წარმატება. ვინაიდან რეკლამა წარმოადგენს ნეოლოგიზმების წყაროს, შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი როლი, რეკლამის როგორც მეტყველების აქტის კვლევისას, რაც ესოდენ დიდ კრეატიულობას სძენს მას.

**საკვანძო სიტყვები:** სარეკლამო დისკურსი, ნეოლოგიზმები, სარეკლამო სლოგანი, კომუნიკატორი, რეციპიენტი.

**Nestan Akobia**

**The Advertising Discourse and Neologisms**

**Summary**

The article presents the discussion of advertising discourse and neologisms. Advertising as a speech act ambiguities research- includes advertising texts, since the language play in the advertising texts is based on the ambiguity of the speech; it is worth noting the role of the dialogue, which actualizes advertising messages and various aspects of subjects. Pragmatic play of polysemants and homonyms serve for the realization of advertising tactics. While evaluating the essence of the communicative effectiveness of advertisements, considering not only the criteria and indicators, but their impact factors are also necessary which perform the role of a communication process elements: a communicator, a message, a recipient, the feedback. They interact and optimize each element to ensure the success of the advertising communication. Since advertising is a source of neologisms, it is impossible not to note the role of advertising as a speech act of the study, which gives so much creativity to it.

**Keywords:** the advertising discourse, neologisms, the advertising slogan, a communicator, a recipient.

**მაკა დოლიძე**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

## დავითგარეჯი და საინფორმაციო საშუალებები

როგორც ცნობილია, ოდითგანვე, ქართულ ეკლესია-მონასტრებს სხვა ეროვნების წარმომადგენლები ეპატრონებოდნენ და ცდილობდნენ ქართული ნიშნების წაშლასა და ამოძირკვას. მაგ. იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ და შოთა რუსთაველის ფრესკას თვალები ამოთხარეს, ტაო-კლარჯეთში მდებარე ხანძთის, ოშკის, იშხნისა და ოთხთა ეკლესია თურქეთის ტერიტორიაზეა, დავითგარეჯის მისაკუთრებას აზერბაიჯანელები ცდილობენ.

საინტერესოა, როგორ ეხმაურება ქართული ეკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობას თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები. რა რეზონანსი აქვს ამ ფაქტს და რა სახის პუბლიკაციები შუქდება. უნდა ითქვას, რომ ქართული მედია განსაკუთრებით დაინტერესდა დავით გარეჯის საკითხით. ინტერნეტ-რესურსი „მედიაკრიტიკა" აქვეყნებს ზაალ ანჯაფარიძის პუბლიკაციას იმის თაობაზე, თუ როგორ არაჯანსაღ რეაქციას ავლენს ქართული მასმედია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის და ქართულ-აზერბაიჯანული საზღვრის დაზუსტების თემასთან დაკავშირებით. „ოპოზიციის სასარგებლოდ უკვე ღიად მომუშავე სამი ტელევიზია „ფორმულა", ტვ „პირველი" და „მთავარი არხი" (და მათი რესპონდენტები) თავგამოდებით ცდილობენ, საკითხი ისე წარმოაჩინოს, თითქოს აღმოჩენილი ახალი რუკები, რომელთა თანახმადაც დავით გარეჯის კომპლექსის სადავო მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მოხვდეს, მცდარია და რომ ეს ყოველივე რუსეთის ხრიკებია"[1] - აღნიშნულია პუბლიკაციაში.

ქართული მედია უძველესი და უნიკალური კულტურის ძეგლით ჯერ კიდევ ათი წლის წინათ დაინტერსდა. წლების მანძილზე საზოგადოებისაგან მივიწყებული ისტორიული ძეგლი მედიას მაშინ გაახსენდა, როცა დავით გარეჯის კომპლექსი აზერბაიჯანთან სადაოდ გადაგვექცა. „დავითგარეჯის ულამაზესი კომპლექსი, რომელიც წლების მანძილზე მეზობელ, სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანთან სადავოდ გადაგვექცა, დიდი ხანია ყველასგან იგნორირებულია." _ აცხადებდა „პრესა. ge" [2].

ქართული მედია ხშირად აშუქებდა იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანელები დავითგარეჯის კომპლექსის ბერთუბნის მონაკვეთს ქეშიკ-ჩიგდა-ღის (ღვთის მსახურთა მთის) სახელწოდებით მოიხსენიებენ. ის კი არა და, დავითგარეჯის კომპლექსის სულ წაღება უნდოდათ, იქამდე იყო საქმე მისული, რომ დავითგარეჯი ტურისტული ცენტრი უნდა ყოფილიყო და შემოსული ფული შუაზე გაყოფილიყო. აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ქალბატონმა ელენე რუსტამოვამ, ერთ-ერთ პუბლიკაციაში, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გარეჯი ალბანური ქრისტიანული კულტურის კუთვნილებად გამოაცხადა.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, დავითგარეჯის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ახალი სასაზღვრო კომპლექსი გახსნეს.

სააგენტო Apa.az სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურზე დაყრნობით წერს, სასაზღვრო პოსტის გახსნის ცერემონიაზე აღინიშნა, რომ ობიექტის განთავსების მიზანი როგორც სასაზღვრო, ასევე აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვაა [3].

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების გარდა, რუსეთის ეკლესიაც ცდილობს გააძლიეროს აზერბაიჯანელების რწმენა – რომ ისინი ქრისტიანი ალბანელების მემკვიდრეები არიან [4].

„ამერიკის ხმის" ინფორმაციით სტრატეგიული სწავლებების ცენტრის წარმომადგენელი ფუად ჩირაგოვი ამბობს, რომ სომხეთთან კონფლიქტის შემდეგ, კავკასიის ალბანეთის აზერბაიჯანული ქრისტიანული წარსული მემკვიდრეობა განსაკუთრებით მგრძნობიარედ აღიქმება. აზერბაიჯანს სურს აჩვენოს მსოფლიოს, რომ ის არის ამ წარსულის გამგრძელებელი და მისი მემკვიდრეც [5].

„რას წარმოადგენს დავით გარეჯის კომპლექსი და რატომ არის ამდენი ვნებათაღელვა მონასტრის ირგვლივ ამ ბოლო დროს?“ - კითხულობს სომეხი ჟურნალისტი რაფი სამველიანი და თავადვე პასუხობს: „აზერბაიჯანს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ორი მიზეზით სჭირდება: პირველი - ისტორიის გასაყალბებლად, რომ აზერბაიჯანმა თავისი "უძველესი" წარმოშობა დაამტკიცოს: ბაქოს პოზიციით, რადგან დავით გარეჯი ალბანური მონასტერია, ესე იგი, აზერბაიჯანელთა პირდაპირი წინაპრებიც ალბანელები არიან. მეორე - სამხედრო მნიშვნელობის გამო: იმ მთიდან, სადაც სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, კარგად მოჩანს საგარეჯო და რუსთავი. ამით აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიების მიმართ დამპყრობლურ გეგმებზე მიანიშნებს.“

პუბლიცისტმა საინტერესოდ წარმოაჩინა აზერბაიჯანელების დამოკიდებულება დავით გარეჯისადმი და დასძინა, რომ ბაქოს მტრული განზრახვები თბილისის მიმართ საქართველოში აზერბაიჯანული ენერგეტიკული კომპანიების ძლიერ დომინირებაშიც გამოიხატება. იგი შეეცადა ძირითადი მხარე გამოეკვეთა. პუბლიცისტი საუბრობს იმ დაძაბულ მდგომარეობაზე, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შეიმჩნევა და ამის დასამტკიცებლად აცხადებს: „ოდესღაც ერთმანეთის ახლო პარტნიორებს შორის გაუგებრობები მატულობს. მტკივნეული პრობლემები, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებიან "ლოდები შებრკოლებისა" ორმხრივ დამოკიდებულებაში. ამიტომაც გამორიცხული არაა სიტუაციის გამწვავება ბაქოსა და თბილისს შორის" [6].

დავით გარეჯის საკითხს დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც გამოეხმაურნენ. გაზეთებში იბეჭდება მასალები შემდეგი სათაურებით: „საქართველო აზერბაიჯანულ „რკალში", „საქართველო და აზერბაიჯანი დავით გარეჯის მონასტერს ვერ იყოფენ", „დავით გარეჯი: ძველი მონასტერი, რომლის გამოც საქართველო და აზერბაიჯანი საზღვრის შესახებ ერთმანეთთან ვერ თანხმდებიან" და სხვ.

პუბლიკაციებში განხილულია ტერიტორიული დავა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების გამო. გადმოცემულია პრობლემის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. საუბარია აზერბაიჯანელ მესაზღვრეთა მოქმედების, მონასტრის რელიგიურ მსახურთა განცხადებების, ქართული საზოგადოების საპროტესტო აქციების, მხარეთა ოფიციალური პოზიციების შესახებ. „აზერბაიჯანულ მხარეს არაერთხელ გადაუკეტავს მონასტერთან მისასვლელი გზები ქართველი მომლოცველების, მღვდლებისა და ტურისტებისათვის, რაც დიდ ვნებათაღელვას იწვევს და ჩრდილს აყენებს საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიულ პარტნიორობას და მჭიდრო თანამშრომლობას“ - ვკითხულობთ ერთ-ერთ პუბლიკაციაში [6].

რამდენიმე წლის წინ ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია მოქმედი იყო. ახლა კი ქართველებს ეკლესიაში მხოლოდ გიორგობისა და აღდგომის დღესასწაულებზე უშვებენ. სხვა დროს ტაძარი დაკეტილია იმ მოტივით, რომ ზიანდება. „ერთ ტაძარში წირვა-ლოცვას ვითხოვთ

და არ გვანებებენ, საქართველოს ყველა სოფელში კი სოკოებივით იზრდება მეჩეთები. აშენებენ და აშენებენ მეჩეთებს უნებართვოდ, უკონტროლოდ“ [7] - წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა”.

მართლაც შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელები თითქმის ყველა კუთხეში მეჩეთებს აშენებენ. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო მეჩეთებსა და ქართულ კულტურულ ძეგლებს. მაგრამ გაზეთ „კვირის პალიტრაში” დაბეჭდილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში განხილულია აქტუალური და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხი. ყურადღებაა გამახვილებული არა მარტო მეჩეთების მშენებლობაზე,არამედ აზერბაიჯანელების მიერ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უგულველყოფაზე და თავიანთი რელიგიური შეხედულებების განმტკიცებაზე. „რა ვქნათ, მშვიდობის ხათრით გავამუსლიმანოთ მთელი საქართველო?” [8] - სამართლიანად კითხულობს კორესპონდენტი და აქვე დასძენს, რომ 4-5 წელში იმდენი მეჩეთი ააშენეს საქართველოში, რაც ყიზილბაშებმა, შაჰ-აბასმა და ყველა დამპყრობელმა ერთად ვერ მოახერხა. როგორც ცნობილია, საქართველოში ასობით მუსლიმანური სალოცავია და მათ მოქმედებას არავინ კრძალავს; ქართველები -მეჩეთების აშენების წინააღმდეგ არასოდეს წასულან, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. „როგორი თანასწორობაა, ჩემს ტერიტორიაზე შენი აღმსარებლობის ასობით სალოცავი იყოს და შენს ტერიტორიაზე - არც ერთი მართლმადიდებლური ტაძარი? _ ვკითხულობთ გაზეთ „კვირის პალიტრაში” [9].

„ეს მხოლოდ საქართველოში თუ მოხდება”[8] - აცხადებს პუბლიცისტი და აინტერესებს რა ქნას ეკლესიამ, გულზე ხელი დაიკრიფოს და ელოდოს, როდის გადაგვაჯიშებენ და ჩვენს სარწმუნოებას გამოგვირეცხავენ თავიდან. აზერბაიჯანელები მარტო ამას როდი სჯერდებიან. ალბანურ ძეგლად გამოაცხადეს ზაქათალის რაიონში მდებარე მამრუხის მონასტერი, კახის რაიონში - ოხტი-ექეთი, ლექიტის ეკლესია და ბევრი სხვა ძეგლი, რომელთაც უკვე აზერბაიჯანული სახელწოდებებით იხსენიებენ. აზერბაიჯანელები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კავკასიელი ალბანელების გამუსლიმანებული შთამომავლები არიან და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქრისტიანული ძეგლები მათია. პუბლიცისტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ  აზერბაიჯანელები არა მარტო აცხადებენ აზერბაიჯანისა და ყარაბაღის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ძეგლები მათია, არამედ იმასაც, რომ ამით ამყარებენ არგუმენტს, თუ რატომ უნდა იყოს ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ჟურნალ-გაზეთები წერენ რა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების შესახებ, ამავე დროს აღნიშნავენ, რომ რა აბრებიც არ უნდა დაკიდონ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე, ყველამ მშვენივრად იცის, რომ ეს ქართული ძეგლებია. ქართველი პუბლიცისტები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სწორი ანალიზისა და შეფასების გამოყენებით გვესაუბრებიან დავითგარეჯის, როგორც კულტურული ძეგლის მნიშვნელობაზე. საყურადღებოა, ქართული მედიის განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩვენ მომმე აზერბაიჯანთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ აქვე აღნიშნავს, როცა საქმე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ეხება, თვალის მოხუჭვას არ ვაპირებთ. „საქართველო დავითგარეჯის საკითხზე აზერბაიჯანთან ფრთხილად, მაგრამ სერიოზულად მუშაობს", „ტაბუდადებული დავითგარეჯი”, „დავითგარეჯის საკითხი როცა დადგა…” - აი, ასეთი ციტატებით გამოირჩევა ქართული პრესა.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ მედიას, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს თავიანთ სასარგებლოდ აშუქებს.  ისინი თვლიან, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ალბანური კულტურის ძეგლია, დადასტურებულად მათი კუთვნილებაა და სალაპარაკოც

არაფერი აქვთ. აზერბაიჯანლებს ცალსახად გადაწყვეტილი აქვთ, რომ დავითგარეჯი მათ მფლობელობაში უნდა მოექცეს. „როგორი იქნება ბაქოს შემდეგი ნაბიჯი? დაუთმობს აზერბაიჯანი თავის ტერიტორიას, ანუ ალბანური წარმოშობის მონასტერს საქართველოს? ვფიქრობთ, რომ არ დაუთმობს. ამიტომაც საქართველოს ხელმძღვანელებმა უკეთესი იქნება გონებას მოუხმონ და იმ ჭაში ნუ ჩააფურთხებენ, საიდანაც ისინი წყალს სვამენ“, - წერდა აზერბაიჯანული გამოცემა «Новое время» [10].

საქართველოს ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ის არავითარ დათმობაზე არ მიდის, ქართული მხარე მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. არადა, სწორედ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დავითგარეჯის კომპლექსი ქართველებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის ქართველებისთვის არა მარტო მონასტერია, არამედ ქართული კულტურის ძეგლია, ისტორიული მემკვიდრეობაა. აზერბაიჯანელები კი თვლიან, რომ მათთვის სომხეთთან დამოკიდებულებაში დავით გარეჯი სამხედრო მნიშვნელობის სიმაღლეა.

საკმაოდ საინტერესოა ეკა ქევანიშვილის პუბლიკაცია „დავით გარეჯის დილემა“ [11]. სადაც პუბლიცისტი გვესაუბრება არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია - დემარკაციაზე, არამედ  დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი გზის ჩაკეტვის შესახებ. პუბლიცისტი გვაცნობს ისტორიკოს ლადო მირიანაშვილის კომენტარს. მისი აზრით უდაბნოს მთა აზერბაიჯანელებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეა, რომლის დათმობაც არ სურთ. ისტორიკოსის თქმით, ამ პრობლემის გადაჭრა საქართველომ ადრეც რამდენჯერმე სცადა და აზერბაიჯანს გამოსავლად ე.წ. „ტერიტორიის გაცვლა“ შესთავაზა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ნაბიჯია. პუბლიკაციაში ფიქსირდება საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება აზერბაიჯანისადმი. ერთ-ერთი  რესპოდენტი „საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე ალი ბაბაევი შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ შესაძლებელია ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობები დაიძაბოს „დღეს ქარელის რაიონიდან დამირეკეს, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და ადგილობრივებთან ჰქონიათ დაპირისპირება, ეუბნებიან თურმე გარეჯს გვართმევთო? არასწორი ინფორმაციის გამო ხდება ეს. ამას, შესაძლოა, დაპირისპირება მოჰყვეს და ეთნიკური შუღლი მეტად გაღვივდეს“.

სიტუაციის გამწვავებით არაა დაინტერესებული არც აზერბაიჯანული და არც ქართული მხარე, პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ და ამბობენ, რომ რეალურად, აქ სიტუაციის ამღვრევა აწყობს მხოლოდ „მესამე ძალებს“. „დავით გარეჯის საკითხის გამწვავება, შესაძლოა, გარკვეულ გარე ძალებსაც აწყობდეს, მესამე ქვეყანას... იმისათვის, რომ საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლური ურთიერთობები გაფუჭდეს - განაცხადა ალი ბაბაევმა.

ამ ფონზე დავითგარეჯის გარშემო კიდევ ახალი პრობლემა იქმნება. ტელეკომპანია „მთავარის” ინფორმაციით, გარეჯის უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტი მოხდა, რა დროსაც, სავარაუდოდ, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქეს ესროლეს.

„მთავარი” მომხდარის შესახებ რამდენიმე ვერსიაზე საუბრობდა. ერთის მიხედვით, მწყემსს ცხვრები ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაექცა, სადაც გადავიდა და მესაზღვრეებმა ესროლეს; მეორე ვერსიით, მესაზღვეებმა ძაღლს დაუმიზნეს, თუმცა ტყვია მწყემსს მოხვდა.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, დაჭრილი საქართველოს მოქალაქე განჯის საავადმყოფოში აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა გადაიყვანეს.

საყურადღებოა, რომ ამ ფაქტმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა პუბლიკაციები, ინფორმაციათა უმრავლესობა არაობიექტური და

გადამოუწმებელი იყო. მათი მიზანი იყო ფაქტის ცალმხრივი გარკვევა. „დასამალი არაფერია. აჩვენებენ მონასტრის ხედებს და საუბრობენ სადღაც მომხდარ ამბავზე. ტრაგედიაა, როცა ასეთი რამ ხდება, მაგრამ მონასტრის ხსენება ისედაც არეულ სიტუაციაში საკითხს ხელოვნურად ართულებს და ძაბავს", – აცხადებდა დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი [12].

როგორც ვხედავთ, ქართულ მედიაში გაშუქებული პუბლიკაციები გამოირჩევა კრიტიკული ტონით. ცოცხალი და დამაჯერებელი ფაქტებითა და არგუმენტებით მოგვითხრობს დავით გარეჯის გარშემო არსებულ პრობლემებზე. მართლაც აღმაშფოთებელია, როდესაც დავით გარეჯის ქართული კულტურის ძეგლობა დასამტკიცებელი გაგვხვდომია, როცა ხედავ რომ მონასტრის ნახევარ ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან, აზერბაიჯანელები კი გვპირდებიან, ხელს არ შეგვიშლიან ამ ტერიტორიაზე ქართველმა მომლოცველებმა და ტურისტებმა რომ იარონ.

საუკუნეების ტრადიცია არ ირღვევა. დავით გარეჯის მცველად კვლავ ქართული ეკლესია, საპატრიარქო და სასულიერო პირები რჩებიან. ეკლესია და მართლმადიდებლობა ყოველთვის იყო საქართველოს გამაერთიანებელი. ქართული ეკლესია და საპატრიარქო ყოველთვის პატრონობდა ერსა და კულტურულ მემკვიდრეობას, რადგანაც სწამდა, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც თავის ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას ივიწყებს.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული პუბლიკაციების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. პუბლიკაციების მიზანია წარმოაჩინოს დავითგარეჯის გარშემო არსებული პრობლემები;
2. ქართული მედია ცდილობს აზერბაიჯანის დადანაშაულებას;
3. მედიის მიზანია არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა

## ლიტერატურა


1. ქართული მედია დავით გარეჯის დაბრუნების წინააღმდეგია? https://mediacritic.ge/blog/kartuli-media-davit-garejis-dabrunebis-tsinaaghmdeg?fbclid=IwAR2whXkSPVoMHonzedqktQUpG7sO8F5Mlp7Z3yYdDRsb12e-YXVU0V5mQjc
2. www.presa.ge, 2011 წლის 12 მარტი;
3. На азербайджано-грузинской границе открылся новый комплекс погранзаставы https://apa.az/ru/armiya/na-azerbajdzhano-gruzinskoj-granice-otkrylsya-novyj-kompleks-pogranzastavy-fotosessi%CC%87ya-392564
4. გაზ. „ალია" 2020 წლის 15 ოქტომბერი;
5. რა არის სადავო დავით გარეჯში https://www.amerikiskhma.com/a/georgia-azerbaijan-davitgareja-patriarchate-monastery-border-demilitarization/4937885.html
6. Претензии Азербайджана на Давид-Гареджи – Намек на захватнические планы на исконно грузинские территории https://news.am/rus/news/511925.html
7. გაზ. „კვირის პალიტრა", 2010 წლის 27 დეკემბერი;
8. გაზ. „კვირის პალიტრა", 2009 წლის 2 ნოემბერი;
9. გაზ. „კვირის პალიტრა", 2011 წლის 24 იანვარი;
10. Давид-Гареджи: древние монастыри, из-за которых Грузия и Азербайджан не могут договориться о границе. https://www.bbc.com/russian/features-48207741
11. დავით გარეჯის დილემად https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9

7-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90/29912811.html
12. დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარის ცნობით, ინციდენტი მონასტრის სიახლოვეს არ მომხდარა. https://netgazeti.ge/news/413030/

**რეზიუმე**

როგორც ცნობილია, ოდითგანვე, ქართულ ეკლესია-მონასტრებს სხვა ეროვნების წარმომადგენლები ეპატრონებოდნენ და ცდილობდნენ ქართული ნიშნების წაშლასა და ამოძირკვას. მაგ. იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ და შოთა რუსთაველის ფრესკას თვალები ამოთხარეს, ტაო-კლარჯეთში მდებარე ხანძთის, ოშკის, იშხნისა და ოთხთა ეკლესია თურქეთის ტერიტორიაზეა, დავით გარეჯის მისაკუთრებას აზერბაიჯანელები ცდილობენ. საინტერესოა, როგორ ეხმაურება ქართული ეკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობას თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები. რა რეზონანსი აქვს ამ ფაქტს და რა სახის პუბლიკაციები შუქდება. უნდა ითქვას, რომ ქართული მედია განსაკუთრებით დაინტერესდა დავით გარეჯის საკითხით. ჩვენს მიერ განხილული პუბლიკაციების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: 1. პუბლიკაციების მიზანია წარმოაჩინოს დავით გარეჯის გარშემო არსებული პრობლემები; 2. ქართული მედია ცდილობს აზერბაიჯანის დადანაშაულებას; 3. მედიის მიზანია არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ეკლესია-მონასტრები, მედია, პუბლიკაციები, საქართველო, აზერბაიჯანი, დავით -გარეჯი.

**Maka Dolidze**

**Davit-Gareji and Media**

**Summary**

From the time immemorial, people of other nationalities took possession over Georgian churches and monasteries and tried to erase and eradicate Georgian signs. For example: taking into possession- Georgian Jvari Monastery in Jerusalem Greeks erased eyes on Shota Rustaveli's fresco. Churches of Khandzta, Oshki, Ishkhani and Otxta of Tao-Klarjeti are on the territory of Turkey, Azerbaijanians are trying to possess Davit-Gareji. It is interesting, how the modern media comments on current condition of Georgian churches and monasteries. What resonance does this fact have and what kind of publications are highlighted. It must be denoted that lately Georgian media is especially interested in Davit-Gareji problem. According to our discussion of the publications we can conclude that: 1.The aim of publications is to show problems existing around Davit-Gareji; 2.Georgian media is trying to blame Azerbaijan; 3.The goal of Media is to find a way out of this situation.

**Key words:** Georgian churches and monasteries, media, publication, Georgian, Azerbaijan, Davit-Gareji.

**მარინა იზორია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University

# ახალი სახელმწიფოები პოლიტიკურ რუკაზე XXI ს. (სამხრეთ სუდანი და აღმოსავლეთ ტიმორი)

## გეოპოლიტიკური ინტერესები სუდანის გარშემო და ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება აფრიკის კონტინენტზე

სამხრეთ სუდანის სახელმწიფოს ჩამოყალიბება გეოპოლიტიკური ბრძოლის შედეგია. თავისი მნიშვნელობით იგი გვევლინება, როგორც არაბული და აფრიკული სამყაროს წყალგამყოფი. დასაწყისისათვის უნდა აღვნიშნო, რომ განსხვავება სამხრეთ და ჩრდილოეთ სუდანს შორის საკამოდ მძაფრია, ჩრდილოეთ სუდანი თავიდან ბოლომდე არაბული კულტურისა და ისლამის გავლენის სფეროებშია მოქცეული. რაც შეეხება სამხრეთს- აქ სუდანელი არაბების რაოდენობა არც ისე დიდია. სამხრეთში ყველანაირად უარყოფენ არაბულ კულტურას, მათ შორის დარფურის პროვინციაშიც, რომელიც ქვეყნის ცენტრში მდებარეობს, თუმცა დღევანდელ თემაში დარფურის კრიზისზე საუბარი არ გვექნება, უფრო მეტად ვისაუბრებთ სუდანის სახელმწიფოზე მთლიანობაში და სამხრეთ სუდანის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე.

სუდანის სახელმწიფო ინტერესის ობიექტი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გახლდათ. იმ პერიოდისათვის არსებობდა მხოლოდ ჩრდილოეთ სუდანი, რომელიც „ნუბიის სამეფოს“ სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის სამეფო ხშირად ახორციელებდა თავდასხმებს ნუბიაზე და თავის კულტურასაც ავრცელებდა. ტრადიციულ ძველეგვიპტურ სარწმუნოებაზე ნუბიამ უარი განაცხადა დაახლოებით მეექვსე საუკუნისათვის, როდესაც ბიზანტიის იმპერიამ გაგზავნა რამდენიმე კათოლიკური მისია, ააშენა რამდენიმე ეკლესია, მაგრამ ეგვიპტის მიერ არაბთა დაპყობის შემდეგ ნუბია გაემიჯნა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ისლამური კულტურის სფეროში მოექცა. დაიდო მშვიდობის ხელშეკრულება ე.წ. „ბაქტი“, რომელიც XIV საუკუნემდე ფუნქციონირებდა და უზრუნველყოფდა მეტნაკლებ მშვიდობას არაბული ცივილიზაციის დაქვემდებარებაში. უკვე 1312 წლიდან იწყება ნუბიის აქტიური ისლამიზაცია.

სუდანის სახელმწიფოს ისტორია შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში იწერებოდა. სამხრეთ სუდანი კი დიდი ხნის განმავლობაში იზოლაციონიზმში არსებობდა და არანაირ ფიგურალურ ფუნქციას არ ასრულებდა. სამხრეთ სუდანის ისტორიის წერა მხოლოდ XIX საუკუნიდან იწყება, ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პარალელურად. სწორედ ეგვიპტურ-ოსმალური იმპერიის ბატონობის ბოლო წლებში გამოჩნდენ სამხრეთ სუდანში ბრიტანელი მისიონრები, რომლებიც აქ ქრისტიანობის გასავრცელებლად მოვიდნენ. მოგვიანებით თავად ეგვიპტე მოექცა ბრიტანეთის კოლონიალური პოლიტიკის გავლენის ქვეშ. 1898 წლისათვის უკვე ბრიტანეთი და ეგვიპტე მართავენ მთელი სუდანის ტერიტორიას კონდომინიუმის პრინციპით. 1956 წელს კი გამოცხადდა სუდანის დამოუკიდებლობა ბრიტანეთისაგან.

კოლონიალურ პერიოდში სუდანის საზღვრები ხელოვნურად ჩამოყალიბდა და არ გაითვალისწინეს ეთნიკური და რელიგიური თავისებურებები, რამაც ორი სამოქალაქო ომი გამოიწვია. ***სუდანის განთავისუფლების სახალხო არმია*** - სამხრეთის სეპარატისტების

შეიარაღებული ძალები აღშფოთებული იყვნენ რადიკალურად განწყობილი ***პრეზიდენტის ჯაფარ ნიმეირის*** [1] გადაწყვეტილებით -ისლამიზაციის პოლიტიკის განახლებასთან დაკავშირებით. მან ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეიტანა ***შარიათით*** გათვალისწინებული ისეთი სახის სასჯელები, როგორიცაა ***ქვებით ჩაქოლვა, სახალხო გაროზგვა*** და ხელის მოჭრა. ამ და სხვა მიზეზების გამო სუდანის გათავისუფლების სახალხო არმია ისევ საბრძოლო მოქმედებებს დაუბრუნდა. პირველი და მეორე სამოქალაქო ომს საბოლოო ჯამში 2 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი დევნილად იქცა მეზობელ სახელმწიფოებში.

***2003-2004*** წლებში მთავრობასა და სამხრეთ სუდანს შორის მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, შეტაკებები კვლავ გრძელდებოდა. ***2005*** წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ***სამხრეთი სუდანი*** მიიღებდა ავტონომიას 6 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდებოდა რეფერენდუმზე, ხოლო ნავთობის შემოსავლებს ამ პერიოდის განმავლობაში თანაბრად გაიყოფდა ორივე მხარე. ***2005*** წლის ივლისში აჯანყებულთა ლიდერი ***ჯონ გარანგი*** სუდანის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს. პარლამენტში და მთავრობაში ადგილები განაწილდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის წარმომადგენლებს შორის, როგორც მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. ***2011*** წლის 9-15 იანვარს გაიმართა ***სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი***, რომლის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობამ (98,83 %) მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. ***9 ივლისს*** გამოცხადდა ***სამხრეთ სუდანის*** დამოუკიდებლობა. თუმცა ***2011*** წლის მაისში ჯერ კიდევ ერთიანი ქვეყნის არსებობის პერიოდში დაიწყო კონფლიქტი ***სამხრეთ კორდოფანში***, რომელიც სუდანისა და სამხრეთ სუდანის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ასევე სამხრეთ სუდანს აქვს სადაო ტერიტორიები სუდანთან (აბიეი და კაფია-კინგი) და კენიასთან (ილემის სამკუთხედი).

რამდენადაც ისტორიული ექსკურსიდან ვიგებთ, რომ სუდანის სახელმწიფო არა მარტო თანამედროვე დიდი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს „გემრიელ ხორცის ნაჭერს“, არამედ თავისი მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულით ოდითგანვე იპყრობდა ძლევამოსილი ქვეყნების ყურადღებას და ისინიც მიისწრაფოდნენ ამ რესურსების ფლობისაკენ. სამხრეთ სუდანმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიიღო მთელი ქვეყნის სანავთობო რესურსის 75% და აფრიკის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების სიაში მესამე ადგილი დაიკავა. ახალგაზრდა სახელმწიფოს ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ნავთობის მოპოვების მასშტაბებზე, თუმცა შავი ოქროს დიდი რაოდნეობით მარაგი ძლიერი სახელმწიფოებისა და მსხვილი ინვესტორების ყურადღებასაც იქცევს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასეთ ახალგაზრდა სახელმწიფოს ღიად და დაუფარავად უჭერს მხარს ორი ზესახელმწიფო.

**აშშ,** რომელსაც მეორენაირად სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის „ნათლიასაც“ ეძახიან. ცხადია აშშ-ს ინტერესებიც ბუნებრივ რესურსებთანაა დაკავშირებული. თეორიულ დონეზე ანალიტიკურ წრეებში მუსირებს აზრი, რომ თეთრი სახლი სამხრეთ სუდანს განიხილავს, როგორც პლაცდარმს, სადაც უნდა განთავსდეს აშშ-ს სამხედრო ბაზა, რათა დაცული იქნეს ე.წ. „ტრანსაფრიკული მილსადენი“ კენიიდან კამერუნამდე. თუმცა იმის გამო, რომ აშშ-მა ჩრ. სუდანი ჩართო ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნების სიაში, ასევე ჩრდილოეთ სუდანის ხელისუფლების განუხრელმა სურვილმა სამხრეთ სუდანის ნავთობისაგან მიეღო შემოსავლების ნაწილი ნებისმიერი საერთაშორისო საქმიანი შეთანხმებიდან ამერიკულ

[1] ჯაფარ მუჰამედ ნიმეირი - ***სუდანის პრეზიდენტი 1971–1985*** წლებში

სანავთობო კომპანიებს არ შეუძლიათ იმოქმედონ სამხრეთ სუდანთან, რომელსაც არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. შედეგად ამერიკული კომპანიები პრაქტიკულად არ მონაწილეობდნენ სამხრეთ სუდანის სანავთობო სექტორში 2011 წლამდე.

**ჩინეთი**, რომელიც არის სამხრეთ სუდანის მთავარი ინვესტორი სახელმწიფო, გარდა მატერიალური ინვესტიციებისა აქტიურად ახდენს მშვიდობისმყოფელი ძალების შემოყვანას სამხრეთ სუდანის სახელმწიფოში, რომელთაც რეალურად არა მშვიდობის, არამედ ნავთობმილსადენების დაცვა ევალებათ. 1990-იანი წლებიდან ჩინეთი აქტიურად იღებს მონაწილეობს სუდანის სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში და მისი გეოეკონომიკური ინტერესები სერიოზულ კონკურენციას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს აფრიკის კონტინენტზე. სწორედ ზესახელმწიფოების არაპირდაპირი ჭიდილი წარმოშობს ქვეყანაში არეულობას და ქაოსს. ჩინეთი ყველანაირად ცდილობდა გაემყარებინა ომარ-ალ-ბაშირის პოზიციები და აწვიდიდა მას შეიარაღების 90%-ს. პარალელურად აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა, ეს რეგიონი „ამერიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონად“ გამოაცხადა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც 6 თვეში სამხრეთ სუდანის სახელმწიფო 116-მა ქვეყანამ აღიარა, მან 40-მდე სახელმწიფოსთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 5 დღეში იგი მიიღეს გაეროს წევრად, 18 დღის შემდეგ აფრიკული კავშირის წევრად, ერთი წლის შემდეგ ხელი მოაწერა ჟენევის კონვენციას და გახდა მსოფლიო ბანკის წევრიც. ასეთი საერთაშორისო წარმატება ახალდაბადებული სახელმწიფოსათვის ძალიან საინტერესო, მაგრამ ამავდროულად საეჭვო ფაქტია. ეს წარმატება მეტწილად განაპირობა დიდი სახელმწიფოების ქმედებამ, რომელთაც დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აღიარეს სამხრეთ სუდანის სახელმწიფოებრიობა.

არაბულმა სამყარომ ძალიან მტკივნეულად აღიქვა სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ისინი ადანაშაულებენ დასავლეთს სუდანის სახელმწიფოში განვითარებული მოვლენების გამო, მაგრამ მათაც არანაკლები წვლილი მიუძღვით აქ მომხდარ არეულობაში, რადგან ბრიტანელების წასვლის შემდეგ სუდანის არაბული მთავრობა საერთოდ არ ფიქრობდა სამხრეთის განვითარებაზე, იძულებით ავრცელებდა ისლამურ კანონებს სამხრეთის ქრისტიან მოსახლეობაში. მიუხედავად ამისა, არაბთა მხრიდანაც ისმის შედარებით ზომიერი შეფასებები. მაგალითად, ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“, რომელიც თავისი პროდასავლური რიტორიკით გამოირჩევა, ხშირად უსვამს ხაზს, რომ ,,ჩრდილოეთი იმდენად მარგინალიზირებულია, რომ მუქი ფერის კანი სირცხვილად ითვლება“.

## ინდონეზია და ტიმორის კრიზისი

„აღმოსავლეთ ტიმორის დემოკრატიული რესპუბლიკა“, ოფიციალურად სწორედ ეს სახელი ჰქვია მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს. ტიმორის სახელმწიფოში განვითარებული მძიმე მოვლენები და იქ მომხდარი გენოციდი თითქმის 20 წელიწადს გრძელებოდა.

1511 წელს ტიმორის ტერიტორია პორტუგალიელმა დამპყრობლებმა დაიკავეს, ხოლო უკვე 1613 წლისათვის მათ ჰოლანდიელებიც მოყვნენ. ტიმორი იქცა კოლონიური სახელმწიფოების ბრძოლის არენად. კოლონიურ ქვეყნებს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა 1859 წლამდე. მანამ, სანამ ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე კუნძულის დასავლეთ ნაწილი საბოლოოდ ნიდერლანდების იურისდიქციაში არ დარჩა, ხოლო აღმოსავლეთი პორტუგალიელებისა. პორტუგალიელ კოლონიზატორებს სხვებისგან

განსხვავებით ერთი სპეციფიკური ნიშანი გამოარჩევდა, ისინი დაპყრობილ ქვეყნებში მასობრივად და იძულების ყველანაირი მექნიზმის გამოყენებით ავრცელებდნენ კათოლიციზმს. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ტიმორი (ადმ. ცენტრი დილი) ყველაზე მეტად ეკონომიკურად ჩამორჩენილ და განუვითარებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა პორტუგალიის ყოფილ კოლონიებს შორის. ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, რომელიც ხორციელდებოდა პრიმიტიული იარაღითა და ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ პორტუგალიის სახელმწიფოს ბიუჯეტის უმეტესობას სამხედრო ხარჯები შეადგენდა, ხოლო სოციალურ პოლიტიკაზე სულ რაღაც 4% იხარჯებოდა, ამას თან ერთვოდა პორტუგალიელი პლანტატორების უხეში და არაადამიანური დამოკიდებულება, რაც ბუნებრივია უბიძგებდა ტიმორელებს აჯანყებებისაკენ (1719,1726,1769,1895-1912 წ.წ.).

XX საუკუნისათვის ერთი შეხედვით პატარა და სუსტი ტიმორის მიმართ გაჩნდა გარკვეული გეოპოლიტიკური ინტერესი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ღერძის ქვეყნების დამარცხებამ მეორე მსოფლიო ომში გააჩინა იმედი, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები არ დაუშვებდნენ ტიმორის პორტუგალიის ქვეშევრდომობაში ყოფნას, რომლის სათავეში იყო დიქტატორული რეჟიმი  სალაზარის ხემძღვანელობით, მაგრამ წყნარი ოკეანის აუზში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. 1941 წლის 12 დეკემბერს იმისათვის, რომ არ დაეშვათ ქვეყანაში ნაცისტური იაპონიის ინტერვენცია ტიმორის სახელმწიფო ავსტრალიამ აიღო. 1943 წლისათვის ავსტრალია რჩებოდა უკანასკნელ საყრდენად მოკავშირეებისათვის შორეულ აღმოსავლეთში, ყოველ შემთხვევაში, იაპონიის ოკუპაციამდე, რომელიც 1945 წლამდე გრძელდებოდა. თავად აღმოსავლეთ ტიმორი ომის შემდეგ დაუბრუნეს არაოფიციალურად ნაცისტური ძალების გულშემატკივარ სალაზარის რეჟიმს, რომელსაც ყველანაირად აწყობდა მოვლენათა ასეთი განვითარება. ერთი მხრივ იგი იღებდა ტიმორს, ხოლო მეორე მხრივ გამარჯვებული ქვეყნების მხარდამხარ ხდებოდა ნატოს შექმნის ერთ-ერთი მონაწილე. ამის პარალელურად, ნიდერლანდებს გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა მისმა ყოფილმა კოლონიამ, ინდონეზიამ, რომელმაც მალევე თავის ნაწილად გამოცხადა დასავლეთ ტიმორი. პორტუგალია, როგორც კოლონიალური სახელმწიფო ღიად აცხადებდა უარს თავის სამფლობელოებისთვის რაიმე სახის თვითმმართველობის მიცემის თაობაზე. ამით იგი უფრო მეტად აღვივებდა მოსახლეობაში უკმაყოფილებას და დამატებით სტიმულს აძლევდა კოლონიას ეროვნულ-განამთავისუფლებელი მოძრაობისაკენ. ასე მოხდა ტიმორში. 1970 წელს ნაციონალისტურ-სოციალისტური იდეოლოოგის მქონე „ეროვნული ფრონტი“ (ფრეტილინი) ჩამოყალიბდა, რომლის მთავარ მოთხოვნად იქცა აღმ. ტიმორის დამოუიდებლობა. თუმცა მეტროპოლიასთან გამარჯვება და დამოუკიდებლობის მოპოვება აღმოსავლეთ ტიმორისათვის მხოლოდ ერთი და ძალიან მცირე ნაბიჯი იყო წარმატებისაკენ. მთავარი ბრძოლა მათ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ელოდათ.

ჯაკარტაში 1965 წელს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ აშშ-ს მოკავშირე სუხარტო[2]  მოვიდა ხელისუფლებაში, რომელმაც ქვეყანაში მკაცრად პროამერიკული და ანტიკომუნისტური სამხედრო დიქტატურა დაამყარა. იმისათვის, რომ არ დაეშვათ დილიში მემარცხენე ძალების მოსვლა ინდონეზიური სამხედრო დაზვერვა აქტიურად უჭერდა მხარს სხვა იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ ძალებს აღმოსავლეთ ტიმორში. 1975 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ჯაკარტის გულუხვმა ფინანსურმა რესურსებმა არ

[2]**ჰაჯი მუჰამედ სუხარტო – ინდონეზიის დიქტატორი** 1965-1997 წლებში

იმუშავა. გამარჯვება მოიპოვეს მათმა ოპონენტებმა, ესენი იყვნენ „ფრეტილინი“ ანუ „რევოლუციური ფრონტი“. ამის შემდეგ დაიწყო შიდა სახელმწიფოებრივი განხეთქილება „ფრეტილინსა“ და ტიმორის დემოკრატიულ კავშირს შორის, რომლებმაც ადგილობრივი პოლიციისა და სამხედრო ქვედანაყოფების დახმარებით მოაწყვეს გადატრიალება და დაიკავეს დედაქალაქი დილი. პროინდონეზიური ძალების პასუხად ნაციონალური ფრონტის ჯარები დახმარებას თავისი ფორმალური სუზერენისაგან, პორტუგალიისაგან ელოდნენ, თუმცა ამაოდ. 1976 წელს აღმოსავლეთ ტიმორი ოფიციალურად იქნა ანექსირებული და გამოცხადდა, როგორც ინდონეზიის 27-ე პროვინცია.

საინტერესოა რა პოზიცია ეკავა საერთაშორისო საზოგადოებას ამ კონფლიქტთან დაკავშირებით. ბუნებრივია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოუწოდებდა ინდოენეზიას, რომ გამოეყვანა ჯარები აღმოსავლეთ ტიმორიდან, მაგრამ აშშ-ს წარმომადგენელმა ეს საკითხი დაბლოკა, ინდონეზიას კი შეეძლო ჯარი იმდენი ხანი ჰყოლოდა რამდენსაც მოისურვებდა მოხალისეობის სახელით. ამას ერთვოდა ისიც, რომ აშშ-ს მნიშვნელოვანი პარტნიორი რეგიონში ავსტრალია მხარს უჭერდა ინდონეზიის ქმედებას. ცხადია აშშ-ს პოლიტიკური ესტაბლიშმენტის ამგვარ ქმედებას ჰქონდა მიზეზები, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს იმ ტრაგიკულ სურათს, რომელიც ტიმორში განვითარდა. საქმე იმაში იყო, რომ ვიეტნამის ომში მარცხისა და სოციალისტური ბანაკის გამარჯვების შემდეგ პარანოიდული შიში მთელი შორეული აღმოსავლეთის „გაწითლებისა“ ამერიკაში კიდევ უფრო გამძაფრდა, ამიტომაც აშშ ყველანაირი ძალებით ახშობდა ნებისმიერი სახის ეროვნულ-ნაციონალისტურ გამოვლინებებს ამ ქვეყნებში, მითუმეტეს მას შემდეგ,რაც ტიმორის საკითხში ჩაერთო მესამე ძლიერი სახელმწიფო კომუნისტური ჩინეთის სახით, რომელიც მხარს უჭერდა ტიმორის ეროვნულ-გნამათავისუფლებლურ მოძრაობას. გენოციდი, რომელიც ინდონეზიის არმიამ ტიმორში განახორციელა შეუძლებელი იქნებოდა მუდმივი შეიარაღების მიწოდების გარეშე. ინდონეზიური ოკუპაციის შედეგად დაღუპული, ნაწამები და თვითმკვლელობამდე მიყვანილი ადამიანების რიცხვი საშუალოდ 150000-250000-მდე ადამიანს ითვლის. ეს მთელი მოსახლეობის ¼ ნაწილს შეადგენს, განადგურდა დასახლებული პუნქტების 80%. მოსახლეობას ე.წ. „სტრატეგიულ სოფლებში“ ანადგურებდნენ, ასე ეძახდნენ ინდონეზიურ საკონცენტრაციო ბანაკებს. ინდონეზიელების გენოციდი მართლაც საზარელი იყო. დილის სამხრეთით პროვინციებში ინდონეზიელებმა მთლიანად გაწყვიტეს მკვიდრი მოსახლეობა 3 წლის ზევით. სამწუხარო ისაა, რომ ამ გენოციდის შესახებ ცივილიზებული სამყაროს ქვეყნებში არ საუბრობდნენ არც მაშინ და არც დღეს. საერთაშორისო საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში არ აქცევდა ყურადღებას ტიმორში განვითარებულ მოვლენებს, ამიტომაც ინდონეზიური ძალების მიერ აქ განხორციელებულ განუკითხაობასა და ანარქიის შესახებ მსოფლიომ არაფერი იცოდა. მხოლოდ 1996 წლისათვის ნობელის კომიტეტმა მიაქცია ყურადღება აქ მიმდინარე მოვლენებს და თანდათან ცივილიზებული სამყაროს ყურადღებაც ტიმორისაკენ იქნა მიმართული. მხოლოდ 1998 წელს ინდონეზიაში სუხარტოს რეჟიმის დამხობის შემდეგ, ახალი პრეზიდენტი ჰაბიბი[3] დათანხმდა აღმოსავლეთ ტიმორის ავტონომიური სტატუსის მინიჭებაზე. 1999 წლისთვის ინდონეზიურმა ჯარებმა დატოვეს ოკუპირებული ტერიტორია, ხოლო ხელისუფლებაში მოვიდა გაეროს მიერ ჩამოყალიბებული დროებითი კომისია. დეკოლონიზაციიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ 2002 წლის 20 მაისს აღმოსავლეთ ტიმორმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

[3]ბაჰარუდინ იუსუფ ჰაბიბი - ინდონეზიის პრეზიდენტი 1998-1999 წწ.

25 წლის განმავლობაში იბრძოდა აღმ. ტიმორი დამოუკიდებლობისათვის. 2001 წლის მიწურულს აღმ. ტიმორში პირველად ჩატარდა არჩევნები, სადაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი მიიღეს მემარცხენე ძალებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ტიმორის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მათ 88 სადეპუტატო ადგილიდან 55 დაიკავეს, პრეზიდენტად აირჩიეს შანანა გუჟმაუ, ხოლო პრემიერ მინისტრი გახდა მარი ალკატირი. მიუხედავად ამ წარმატებისა ტიმორის ახლადჩამოყალიბებული მთავრობა პოლიტიკური ზეწოლის აქტიურ ობიექტად იქცა დიდი ქვეყნების მხრიდან, რომელთაც სურდათ ტიმორის ზღვაში არსებული ენერგეტიკული რესურსების ხელში ჩაგდება. ტიმორის ზღვა საკმაოდ მდიდარია ნავთობითა და გაზით, ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აღმოსავლეთ ტიმორმა დაიწყო იმაზე ზრუნვა, რომ მას ეწარმოებინა ბუნებრივი გაზი. ამას გარდა ტიმორის სოციალ-დემოკრატიული კურსი აღიზიანებდა, როგორც პროავსტრალიურ, აგრეთვე სხვა ნეოლიბერალურ ძალებს. მიუხედავად საერთაშორისო ეკონომიკური წრეებისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებისა, აღმოსავლეთ ტიმორის ხელისუფლებამ მაინც არ შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა და კვლავ სოციალურ პროგრამებს მიანიჭა უპირატესობა. ამან მოიტანა ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური ზრდა- მაგ. ბრინჯის წარმოება 37 000 ტონიდან 65 000 ტონამდე გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიას ტიმორის კონფლიქტში საკამოდ დიდი ფუნქცია ეკისრებოდა. სწორედ ეკლესია იყო დამაკავშირებელი ხიდი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტიმორის ხელისუფლებას უნდოდა სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამიტომაც უარი განუცხადა ეკლესიას თხოვნაზე, რომ ქრსტიანობა ყოფილიყო კონსტიტუციურად დადგენილი ერთადერთი რელიგია ქვეყანაში. ეკლესიასა და ახალ ხელისუფლებას შორის გაჩენილი უთანხმოება კარგად გამოიყენეს იმ ძალებმა, რომელთაც უნდოდათ ფრეტილინის ხელისუფლებიდან ჩამოშორება.

ტიმორის ახალი პოლიტიკური კრიზისი დაიწყო ქვეყნის არმიაში წარმოქმნილი განხეთქილებით, როდესაც 500-მდე ჯარისკაცი არ დაემორჩილა ბრძანებას. ისინი ითხოვდნენ სამხედრო განაწესის შერბილებას და პრემიერ მინისტრის მარი ალკატარის თანამდებობიდან გადადგომას. მათ უბრძანეს ყაზარმაში დაბრუნება, მაგრამ ბრძანებას არ დაემორჩილნენ, რის შემდეგაც ისინი გამოაცხადეს დეზერტირებად და არმიიდან დაითხოვეს. მათ სულ მალე მიემხრნენ ქუჩის ბანდები ახალგაზრდათა გარკვეული ჯგუფი და სამხედრო პოლიციის რამდენიმე ქვედანაყოფი, რამაც მოიტანა ქვეყანაში მასობრივი არეულობა. მდგომარეობა საერთაშორისო საზოგადოების ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამაც გაართულა, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ძალიან საეჭვოდ დატოვა ტიმორის ტერიტორია. არეულობა ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა. იქამდე სანამ პრემიერ მინისტრი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები არ გადადგნენ. პოლიტიკურ კრიზისს დაერთო პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომაც და მის ადგილზე ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის რამუშ ორტას დანიშვნა.

2006 წლის დაძაბული მოვლენების გამოძახილად იქცა 2008 წლის პოლიტიკური კრიზისი, როდესაც გახდა ცნობილი, რომ ტიმორ-ლეშტის უმაღლესი ხელისუფლება ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ იყო. 2008 წლის 11 თებერვალს აჯანყებულები თავს დაესხნენ პრეზიდენტის სახლს მისი მოკვლის მიზნით. პრეზიდენტის დაცვამ გაუხსნა ცეცხლი უცნობ თავდამსხმელებს, რომელბმაც თავის მხრივ მოასწრეს და მძიმედ დაჭრეს ჟოზე რამუშ ორტა. ამის პარალელურად ამბოხებულები თავს დაესხნენ პრემიერ მინისტრის მანქანასაც. შიდა პოლიტიკური არეულობის პარალელურად ავსტრალიის სახელმწიფომ თანდათან გაზარდა

თავისი სამხედრო კონტინგენტის შეყვანა აღმ.ტიმორის ტერიტორიაზე. ამას გარდა გაიღო დაახლ 550 მლნ. დოლარის ეკონომიკური ინვესტიცია. არ შემდგარი აჯანყების შემდეგ შექმნილი მეტნაკლები სტაბილური მდგომარეობა ტიმორში დღემდეა შენარჩუნებული, ამას ერთვის ისიც, რომ აღმ.ტიმორის ხელისუფლებას მოუწია რიგ დათმობებზე წასვლა. მაგალითად, აშშ-ს სამხედრო კონტინგენტი, რომელიც ამ ტერიტორიაზეა განლაგებული სარგებლობს აბსოლუტური დიპლომატიური იმუნიტეტით. აგრეთვე ფრეტილინის ხელისუფლებას დაეკისრა ვალდებულება, რომ მანდატები პარლამენტში პროპორციულად გაენაწილებინა და ყველა პარტია თანაბრად შესულიყო.

## ლიტერატურა


1. Полончук А. А. Причины конфликта в Судане. Разделение и последствия // Молодой ученый. - 2015. - №17.
2. Филатов. С. Судан: острые приступы «независимости». Блог Сергея Филатова. [Электронный ресурс]. - Режим доступа: http://voprosik.net/komu-nuzhna-vojna-v-sudane/ (дата обращения 19.08.2015).
3. Karl R. DeRouen and Uk Heo. Civil wars of the world: major conflicts since World War II. 1. ABC-CLIO.
4. Серёгичев. С. Ю. МУС - Судан: последний бой президента аль-Башира? Институт Ближнего Востока. [Электронный ресурс]. -Режим доступа: http://www.iimes.ru/rus/stat/2009/01–02–09.htm (дата обращения 26.08.2015).
5. Sudan. The World Factbook. Central Intelligence Agency. [Электронный ресурс]. - Режим доступа: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/su.html (дата обращения 22.08.2015).
6. Government Statement on East Timor. Question. Jakarta, 1975.
7. René Pélissier: Timor en guerre - le crocodile et les Portugais (1847-1913). Éditions Pélissier, Montamets, Orgeval 1996, ISBN 2-902804-11-3.
8. Агеев, Ю. Е. Национально-освободительное движение на Восточном Тиморе – «Мир Лузофонии». Спб. 2001.
9. Урляпов, И. П., Урляпов, В. Ф. Восточный Тимор: тернистый путь к независимости. М.: Гуманитарий. 2005.
10. Урляпов, И. П., Урляпов, В. Ф. Восточный Тимор: тернистый путь к независимости. М.: Гуманитарий. 2005.
11. https://www.cidob.org/biografias-lideres-politicos/asia/timor-leste/xanana-gusmao.


## რეზიუმე


სტატია ეძღვნება ორი ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს, მათ თავისებურებებსა და მოკლე ისტორიას. განხილულია საკითხები იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვიოს დაპირისპირებები ეთნოსებს შორის, და შესაბამისად, მისცეს დასაბამი სეპარატისტულ მოძრაობებს. სუდანში 2011 წლის იანვარში ჩატარდა რეფერენდუმი იმის დასადგენად, უნდა გამხდარიყო თუ არა სამხრეთ სუდანი დამოუკიდებელი ქვეყანა და გამოყოფოდა სუდანს. მოსახლეობის 98,83% -მა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. სამხრეთ სუდანი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი სუდანისგან 9 ივლისს, თუმცა გარკვეული დავა კვლავ დარჩა, მათ შორის ნავთობის შემოსავლების დაყოფა,

რადგან ყოფილი სუდანის ნავთობის მარაგების 75% სამხრეთ სუდანშია თავმოყრილი. 2001 წლის 30 აგვისტოს აღმოსავლეთ ტიმორმა მონაწილეობა მიიღო გაეროს მიერ ორგანიზებულ პირველ არჩევნებზე დამფუძნებელი კრების წევრების არჩევის შესახებ. 2002 წლის 20 მაისს ძალაში შევიდა აღმოსავლეთ ტიმორის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და გაერომ აღმოსავლეთ ტიმორი დამოუკიდებლად აღიარა. 2002 წლის 27 სექტემბერს აღმოსავლეთ ტიმორს ეწოდა ტიმორი-ლესტე, პორტუგალიური ენის გამოყენებით და გაეროს წევრად მიიღეს. 2011 წლის მარტში გაერომ აღმოსავლეთ ტიმორის ხელისუფლებას გადასცა საპოლიციო ძალების ოპერატიული კონტროლი.

**საკვანძო სიტყვები:** სმ. სუდანი, ლიბია, ფრეტილინი, კონფლიქტი, გენოციდი, აღმ. ტიმორი, ჯაკარტა, რეფერენდუმი

**Marina Izoria**

**Newly Formed Countries on the Political Map- XXI c. (South Sudan and East Timor)**

**Summary**

The article is dedicated to the two emerging states, their peculiarities and a brief history. Issues are discussed about how the wrong policies of the government can lead to confrontations between ethnic groups, and consequently give rise to separatist movements. January 2011, a referendum was held to determine whether South Sudan should become an independent country and separate from Sudan. 98.83% of the population voted for independence. South Sudan formally became independent from Sudan on 9 July, although certain disputes still remained, including the division of oil revenues, as 75% of all the former Sudan's oil reserves are in South Sudan. On 30 August 2001, the East Timor voted in their first election, organised by the UN to elect members of the Constituent Assembly. On 20 May 2002, the Constitution of the Democratic Republic of East Timor came into force and East Timor was recognised as independent by the UN. On 27 September 2002, East Timor was renamed Timor-Leste and was admitted as a member state by the UN. In March 2011, the UN handed over operational control of the police force to the East Timor authorities.

**Key Words:** South Sudan, Libya, Fretilin, Conflict, Genocide, East Timor, Jakarta, Referendum.

**მარინა იზორია, თამარ ლორთქიფანიძე**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University; Ilia State University

## ჰუმანიტარული ინტერვენციები: დასაბამი და აწმყო

ტერმინმა „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ სამართლებრივ დოკუმენტებში ფეხი- მხოლოდ მე-20 საუკუნეში მოიკიდა. ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების იდეა პირველად იქნა ფორმულირებული 1987 წელს ბ. კუშნერის[1] მიერ. სწორედ კუშნერმა დააარსა მოძრაობა „ექიმები საზღვრებს გარეშე“, რომელიც გულისხმობდა უფლებასა და საერთაშორისო საზოგადოების ვალდებულებას სხვა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევისა და ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ. 1999 წელს ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინა აშშ-ს პრეზიდენტმა ბ. კლინტონმა გააჟღერა, როგორც სამხედრო ჩარევის უფლება ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.

მიუხედავად ამისა, ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ომში ჩაბმის იდეა მათ დასახმარებლად, ვინც უსამართლო მმართველობის ქვეშ იტანჯება - გამართლებულია; ეს პროცესი კი გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდში იღებს სათავეს.

მსგავსი იდეა შეგვიძლია საერთაშორისო სამართლის „მამების“ - გროციუსისა და ვატელის - ნაშრომებშიც ვიპოვოთ, პოლიტიკის თეორეტიკოსების, როგორიცაა მილი და კანტი, ფილოსოფიაში და ის ასევე გარკვეული სახით გვხვდება მე-19 საუკუნის სახელმწიფოთა პოლიტიკაში. ჰუმანიტარული ინტერვენცია იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს - გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ქარტიის ფარგლებში - სათავეს იღებს მრავალმხრივი დიპლომატიის ადრეული მცდელობების პერიოდში- საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა დებატებიდან ერთიან ჰუმანიტარულ ინტერვენციებზე (მაგ. ერთა ლიგის პერიოდი).

ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე საუბრისას ხშირად თავს იჩენს ორი მცდარი წარმოდგენა:

რომ მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებდა ძალის გამოყენებას. შესაბამისად, ნებისმიერი ქმედება, რომლის დახასიათებაც შეიძლებოდა, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენციის, იყო არაფერი, თუ არა გამოვლინება (საერთოდ) უფლებისა თავს დასხმოდი მეზობელს რა მიზეზითაც გსურდა - სინამდვილეში არსებობდა ომის წარმოებასთან, შეიარაღებულ ინტერვენციებთან და თავდაცვასთან დაკავშირებული დოქტრინები და სახელმწიფოებიც მას არ უგულებელყოფდნენ.

სახელმწიფოს სუვერენობის პრინციპი უზენაესი იყო სახელმწიფოების მიერ შინაგან საქმეთა წარმოებაში - თუმცა ადამიანის უფლებებს იმ სახით, რა სახითაც ისინი დღეს არსებობს, მე-20 საუკუნემდე არ ეკავა საერთაშორისო სამართლის დოქტრინებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი, მმართველის შინაგან საქმეთა დოქტრინას ბევრი იურისტი თუ ფილოსოფოსი მიიჩნევდა სხვა მმართველთათვის რელევანტურ საკითხად.

[1]ბერნარ კუშნერი - (დაიბ. 1939 წ. 1 ნოემბერს, ავინიონ, საფრანგეთი) - ფრანგი ექიმი, დიპლომატი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (2007- 2010წწ). მოძრაობა „ექიმები საზღვრის გარეშე“-ს ერთერთი დამფუძნებელი.

რა თქმა უნდა, ჰუმანიტარული ინტერვენცია იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს - გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ქარტიის რეგულაციის ქვეშ - ადრე არ არსებობდა, მაგრამ აქტუალური იყო ძალის გამოყენების სამართლიანობის საკითხი: საღვთო (divine cause) თუ სამართლებრივი მიზეზით - და არსებობდა რიგი თვითდაწესებული შეზღუდვებისა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა სიტუაციაში შეიძლებოდა ძალის გამოყენება.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეები - არისტოტელე, თუკიდიდე, პლუტარქე - განიხილავდნენ თუ რა იყო სამართლიანი ომი. თუმცა მათი იდეები სამართლიან ომთან დაკავშირებით მხოლოდ ბერძნულ ქალაქებზე ვრცელდებოდა. ნებისმიერი ომი „ბარბაროსების“ (ანუ ყველა არა-ბერძნული ტომის) წინააღმდეგ ავტომატურად სამართლიანი იყო.

ადრეული ქრისტიანული ტრადიცია უარყოფითად ან ამბივალენტურად იყო განწყობილი ქრისტიანების ომში მონაწილეობაზე. დროთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება შეიცვალა - ჯერ რომის იმპერიის გავლენამ, ხოლო შემდეგ თავად იმპერიის დაშლამ მოიტანა აუცილებლობა - სამართლიანად აღიარეს თავდაცვითი ან საღვთო მიზნით ძალის გამოყენება. შუა საუკუნეებში, თომა აქვინელმა[2] განავითარა სამართლიანი ომის დაწყების სამი პირობა:

ჭეშმარიტი ავტორიტეტი - მთავარი, რომელსაც ავტორიტეტი ღმერთისგან მიენიჭა;

მთავარს უნდა ჰქონდეს სამართლიანი მიზეზი;

მთავარს უნდა ჰქონდეს სწორი განზრახვა (სიკეთის გავრცელება და ბოროტების თავიდან აცილება).

ვესტფალიის ზავმა და ერი-სახელმწიფოების აღზევებამ მოიტანა სამართლიანი ომის პრინციპების დახვეწის აუცილებლობა. თუმცა ზოგი პოლიტიკური მოაზროვნე ჯერ კიდევ ზავამდე დიდი ხნით ადრე ამტკიცებდა, რომ კარგი მთავარი არის ეფექტური მთავარი, რომელიც ქრისტიანულ ეთიკასა და მორალს გვერდზე სდებს და წინ სახელმწიფოს ინტერესებს აყენებს (მათ შორის რეალპოლიტიკის აღიარებული „მამამთავარი“ ნიკოლო მაკიაველიც).

ერი-სახელმწიფოების დომინირებამ ევროპაში სახელმწიფო ინტერესები განსაკუთრებით აქტიურად გადაიტანა წინა პლანზე. სუვერენობის პრინციპიც - რომლის მიხედვითაც მხოლოდ სუვერენ მმართველებს ქონდათ თავიანთი შინაგანი საქმეების ადმინისტრირების უფლება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე - ევროპული მმართველობის ამოსავალი წერტილი გახდა.

თუმცა სუვერენობის პრინციპი არ ნიშნავდა იმას, რომ ერთ მთავარს არ ჰქონდა მეორეს საქმეებში ჩარევის უფლება - მეტიც, მთავარს სრული უფლება ქონდა ეწარმოებინა ომი, თუ ეს მისი სახელმწიფოს ინტერესში იყო. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ფუნდამენტურად შეიცვალა აქვინელის სამართლიანი ომის პირველი პრინციპი - მთავრის უფლებამოსილება მოდიოდა არა ღმერთისგან, არამედ საზოგადოებისგან, რომელსაც იგი წარმოადგენდა. ამავე დროს მეტ-ნაკლებად სისტემატიზირდა საერთაშორისო სამართალიც, რომელიც შეიცავდა კანონებს ომის წარმოებაზეც.

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გროციუსმა გააჟღერა უსამართლო მთავრის მიერ დაჩაგრული ხალხის შეიარაღებული ინტერვენციით დახმარების იდეა. ამ იდეას მე-18 საუკუნეში მხარი ვატელმა დაუჭირა. თუმცა გროციუსიც და ვატელიც სუვერენიტეტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ორივე მათგანი ემხრობოდა აზრს, რომ უსამართლო მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა ხალხის უფლება იყო და სხვა მმართველებს უფლება ჰქონდათ დაჩაგრული ხალხის დასახმარებლად ძალა გამოეყენებინათ.

---

[2]**თომა აკვინელი** - (დაახლ. 1225- 1274) - ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი. დომინილელთა ორდენის წევრი. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი.

მე-19 საუკუნეში ევროპაში უკვე არსებობდა ჰუმანიტარული ინტერვენციების კონცეფცია, თუმცა კვლავ არ არსებობდა ტერმინი. ამავე საუკუნეში ევროპულმა სახელმწიფოებმა განახორციელეს რიგი ინტერვენციებისა, რომლებიც შეგვიძლია დღევანდელ ჰუმანიტარულ ინტერვენციებს შევადაროთ.

რაც შეეხება იმ კონკრეტულ მნიშვნელობას, რითაც ტერმინს დღესდღეობით ვხმარობთ - მსგავს ინტერვენციებზე საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, როდესაც მოლაპარაკებების დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს ქარტიაში ადამიანის ძირითადი უფლებების ხელშეწყობაზე დაკვირვების რეკომენდაცია წარმოადგინა (რეკომენდაცია ჩავარდა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის გამო, რომლებიც თვლიდნენ, რომ გაეროს ჩართვა მსგავს საკითხში ქვეყნების სუვერენიტეტის შელახვა იქნებოდა).

იმავე წელს[3], სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე როგორც რიგი ქვეყნების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების ლობის ფონზე, ქარტიაში შეიტანეს ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხებიც. თუმცა ჩაურევლობისა (nonintervention) და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის პრინციპები უმთავრესი დარჩა [3].

სტენლი ჰოფმანის მიხედვით ჩაურევლობის პრინციპს ორი მთავარი ფუნქცია აქვს: სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების მინიმიზაციისა და სახელმწიფოს ავტონომიის. თუმცა ისეთმა ტრენდებმა, როგორიცაა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, იდეოლოგიური ომები (განსაკუთრებით ცივი ომის პერიოდში) და მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი მასობრივი სისასტიკის მსხვერპლი ადამიანთა უფლებების დაცვისადმი გაზრდილი ინტერესი. ამ ტრენდებმა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ცნების ერთგვარი *ეროზია* გამოიწვია.

ამ ახალ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში შინაგან საქმეებში ინტერვენციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურად დგას.

ერთის მხრივ ლიბერალი ინტელექტუალები სუვერენიტეტის ამგვარ ეროზიას პროგრესის ფორმად აღიქვამენ და მიიჩნევენ იარაღად ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ სუვერენიტეტის ცნებას ამოფარებულები საკუთარი სახელმწიფოს საზიანოდ და სხვა სახელმწიფოების საკეთილდღეოდ იქმედონ, თუნდაც საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დარღვევის ხარჯზე.

მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმეტესობა - იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკმაყოფილოა მმართველობით - ეჭვის თვალით უყურებს გარეშე ძალების ინტერვენციას და უარყოფითად არის განწყობილი უცხო ძალების განცხადებებისადმი, რომ მათ აქვთ უფლება შეიჭრან ტერიტორიაზე და, მაგალითად, დაიცვან არაპოპულარული უმცირესობა მჩაგვრელი უმრავლესობის წინაშე. დამატებით, ინტერვენციების უმეტესი ნაწილი სავარაუდოა იყოს ეგოისტური მიზნებით განპირობებული - მაშინაც კი, როდესაც მათ კეთილი მიზნები ამოძრავებთ, როგორიცაა, ვთქვათ, დემოკრატიული მმართველობის დამყარება - მაღალია შანსი მსგავსმა გარეშე „დახმარებამ“ სერიოზული ზიანი მიაყენოს „დახმარებულთა“ მორალურ ავტონომიას.

---

[3]აქ იგულისხმება სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კონფერენცია რომელიც გაიმართა 1945 წლის 25 აპრილიდან - 26 ივნისამდე. ამ კონფერენციაზე მიიღეს გაეროს წესდება.

თუმცა ჰოფმანი ასევე ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო სადაც ჩაურევლობის კანონი ხელშეუხებელი იქნება, კიდევ უფრო ქაოტური გახდება, ვიდრე დღეს არის, ხოლო მავნებელი შინაგანი პოლიტიკის დაუსჯელობამ მისი საზღვრებს გარეთ გავრცელება შეიძლება განაპირობოს.

შესაბამისად, სამყარო ჰუმანიტარული ინტერვენციების გარეშე სახიფათოა, მაგრამ თავად ინტერვენციებიც მსოფლიო წესრიგისთვის გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს: რაოდენ ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს ცალმხრივი ინტერვენციის მიზეზები, გზა მათი დამახინჯებისთვის თითქმის ყოველთვის ხსნილია [1].

რაჯან მენონის აზრით კი ჰუმანიტარული ინტერვენციებზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ მართალია სახელმწიფოებისთვის სრულიად შეუძლებელი არაა ეთიკურ-მორალური კუთხით მოქმედება, მაგრამ ისინი ნაკლებად მიდრეკილნი არიან ეფემერული მორალური პრინციპების მიხედვით იმოქმედონ, როდესაც სასწორზე კონკრეტული ინტერესები დევს. დემოკრატიული სახელმწიფოები უბრალოდ არ იქნებიან ინტერვენციაში დაინტერესებულები თუ არ აქვთ პირადი ინტერესები, როდესაც ამ ინტერვენციას არ აქვს მასებისგან მხარდაჭერა და შესაძლოა მათთვის სახიფათო აღმოჩნდეს.

ამასთანავე როდესაც ჰუმანიტარულ ინტერვენციაზეა საუბარი არ არსებობს კონსენსუსი დიდ ძალებს შორის. მაგალითად, ბალკანეთში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებას ხელი შეუწყო არა ერთობამ, არამედ დასავლეთის უპირატესობამ ძალის მხრივ (რუსეთი და ჩინეთი ამ ინტერვენციის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი და მათთვის სუვერენიტეტის საკითხი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ადამიანთა უფლებების დაცვა).

ქვეყნებს ახასიათებთ ამომრჩევლობა თავიანთ ჰუმანიტარულ ძალისხმევებში და უმრავლესობა ეწინააღმდეგება რაიმე ერთიანი კანონპროექტის შემუშავებას, რომელიც მათ ლეგალურად *აიძულებდა* ემოქმედათ მასობრივი სისასტიკის შემთხვევაში. ამასთან მსოფლიოს დიდი ნაწილი - განსაკუთრებით არა-ევროპული და კოლონიზაციის ისტორიის მქონე ქვეყნები - ეჭვის თვალით უყურებენ ჰუმანიტარულ ინტერვენციებს და აღიქვამენ მათ როგორც დიდი ძალების მცდელობებს დაფარონ თავიანთი ამბიციები და მოიპოვონ მეტი ძალა.

მენონის აზრით ჰუმანიტარული ინტერვენცია ვერასდროს გახდება წმინდა ეთიკური საკითხი, რომელიც განყენებული იქნება ძალაუფლებისა და ინტერესებისგან. საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე ძალიან ბევრი გამონაკლისი დაუშვა მათთვის ვინც მისი პრინციპები ბევრჯერ დაარღვია: ამერიკის ორსახა დამოკიდებულება ერაყისადმი, თურქეთისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერა ქურთების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოების უმოქმედობა რუანდაში. მნიშვნელოვანია ის, ვის უპყრია ხელთ ძალა. მაგალითად, რუსეთი და ჩინეთი ამ ეტაპზე ხელშეუხებლები არიან - რა სახითაც არ უნდა დაარღვიონ ადამიანის უფლებები საკუთარ რეგიონებში მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენცია სავარაუდოდ არასდროს განხორციელდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის უბრალოდ არ იქნება ეფექტური.

იმის მტკიცება, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციების წარმოება სრულ შესაბამისობაშია დოქტრინასთან იმ სახით, რითაც ის დღესდღეობით არსებობს იქნებოდა არა მხოლოდ გულუბრყვილო, არამედ სახიფათო. რეალურად როგორც პრაქტიკა აჩვენებს ის წინდახედულობა, რომელსაც ქვეყნები იჩენენ ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებისას ამ ინტერვენციების სამიზნედ ტოვებენ მხოლოდ სუსტ ქვეყნებს, რომლებსაც არ ყავთ ძლიერი პროტექტორები.

ჰუმანიტარულ ინტერვენციების განხორციელებას რეალობაში არ გააჩნია ერთიანი ნორმები. რეალიზმი შეიძლება არ იყოს იდეალური გიდი ყველაფერ იმის ასახსნელად რაც დღესდღეობით მსოფლიო პოლიტიკაში ხდება, მაგრამ არის მომენტები, როდესაც ის გვაიძულებს ვიყოთ გულწრფელნი [2].

მაშასადამე, თანამედროვე ეტაპზე ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების იდეა ფართოდაა გავრცელებული. მიუხედავად ამისა ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობები პოლიტიკური მოტივების თვალსაზრისით და მისი განხორციელების მექანიზმიდან გამომდინარე ისევ დისკუსიის ობიექტად რჩება.

## ლიტერატურა


1. Hoffman, Stanley, Robert C. Johansen, James P. Sterba, Raimo Vayrynen. 1996. Ethics and Politics of Humanitarian Intervention. Notre Dame: University of Notre Dame Press. 12-23
2. Menon, Rajan. 2016. The Conceit of Humanitarian Intervention. New York: Oxford University Press. 8-12
3. Murphy, Sean D. 1996. Humanitarian Intervention: The United Nations in an Evolving World Order. Philadelphia: University of Pennsylvania Press. 35-69


## რეზიუმე


ჰუმანიტარული ინტერვენცია, როგორც ტერმინი, საერთაშორისო სამართალში ფეხს იკიდებს მე-20 საუკუნიდან - თუმცა თავად წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ომში ჩაბმა მათ დასახმარებლად, ვინც უსამართლო მმართველობის ქვეშ იტანჯება- გამართლებულია, საკითხის დასმა კი გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდში იღებს სათავეს. ჰუმანიტარული ინტერვენციის დასაბამი შეგვიძლია ვეძიოთ სამართლიანი ომის პრინციპებზე წარმოდგენებში დაწყებული ანტიკური ხანის ფილოსოფოსებიდან, გაგრძელებული შუა საუკუნეების მოაზროვნეებით და დამთავრებული მრავალმხრივი დიპლომატიის ადრეული მცდელობების პერიოდში საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა დებატებით ერთიან ჰუმანიტარულ ინტერვენციებზე (მაგ. ერთა ლიგის პერიოდი), რომელთაც ეყრდნობა ტერმინი იმ გაგებით, რა გაგებითაც მას აღიარებს გაეროს ქარტია, რომელიც უმთავრესად მაინც ჩაურევლობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს ტოვებს. ჰუმანიტარული ინტერვენციების უმთავრესი კრიტიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ რაოდენ ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს ცალმხრივი ინტერვენციის მიზეზები, გზა მათი დამახინჯებისთვის თითქმის ყოველთვის ხსნილია: არსებულ სინამდვილეში, სახელმწიფოები მოქმედებენ უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არა ეფემერულ მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით.



**საკვანძო სიტყვები:** სამართლიანი ომი, სუვერენიტეტი, ჩაურევლობის კანონი, გაეროს ქარტია.



**Marina Izoria, Tamar Lortkipanidze**


**Humanitarian Interventions: The Beginning and The Present**

## Summary


The term humanitarian intervention has been used in the international law since the 20th century – but the notion that is getting involved in a war- to help those who suffer under unjust rul- is justified and can be found in documents since the earlier period. The origins of humanitarian intervention can be traced back to the works of ancient philosophers, continued to the medieval

thinkers, and the early attempts at multilateral diplomacy – namely the debates of international law experts on unified humanitarian interventions (ex. The League of Nations period). The term as it's been used by the UN Charter is primarily based on the latter with the principles of non-interference and sovereignty still having precedence over anything else. The main criticism of humanitarian interventions stems from the fact that, no matter how legitimate the reasons for unilateral intervention could be, almost always they become distorted with no mechanism in place to stop it: as in reality, states act primarily out of their own interests and it is not based on ephemeral moral principles.

**Keywords**: just war, sovereignty, non-intervention, the UN Charter.

**ინგა კოკაია, თამარ ხეცურიანი**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა და სიტყვა, როგორც ამ ველის შემადგენელი ერთეული

კვლევა ეძღვნება თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურას და მისი ძირითადი ერთეულის, სიტყვის, დახასიათებას. სტატიაში ლინგვისტური ცნება - ლექსიკურ - სემანტიკური ველი - განხილულია თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებზე დაყრდნობით, როგორიცაა ენის ნიშნობრიობა და სისტემურობა. სიტყვა გაანალიზებულია როგორც სრულფასოვანი ნომინაციური ერთეული და ამით იგი გამიჯნულია მორფემისაგან; სისტემურობის პრინციპზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ენის ლექსიკური სისტემის ძირითადი სტრუქტურული უჯრედი, ლექსიკურ - სემანტიკური ველის ელემენტი - სიტყვა.

სტატიაში კვლევის მეთოდოლოგიური ორიენტაცია ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკაში ენობრივ ერთეულთა კვლევის ორ ძირითად მეთოდს: პარადიგმატურს და სინტაგმატურს.

სიტყვა, როგორც ლექსიკური სისტემის ერთეული „...არის იერარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეული, რომელსაც სრულად აქვს ნომინაციური, ანუ სახელდების ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვას შეუძლია დაასახელოს სინამდვილის გარკვეული სეგმენტი (სუბსტანცია, ხდომილება, ნიშან - თვისება...) და რამდენადმე ასახოს ამ სეგმენტის სტრუქტურა თავის საკუთარ სტრუქტურაში'' [1]. როგორც ვხედავთ, სიტყვა საგანს, მოვლენას, მოქმედებას, თვისებას აღნიშნავს. სიტყვა, თავისი ნიშნობრივი არსის და ფუნქციის მიხედვით, ლექსიკური კატეგორიაა. ყოველი სიტყვა არა მარტო სინამდვილეს, არამედ სინამდვილის სეგმენტთა გარკვეულ კლასს ასახავს. ყველა სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ გამორიცხულია, რომ ვერ შევძლოთ რომელიმე სიტყვის გაერთიანება სხვა სიტყვებთან ერთად სიგნიფიკატთა ტიპობრივი მსგავსების საფუძველზე. მაგალითად: არსებითი სახელის ჯგუფში ყველა სიტყვა განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი კატეგორიალური ნიშანი. ყველა მათგანი პასუხობს კითხვაზე - ვინ? რა? ეს პრინციპი ვრცელდება ყველა იმ სიტყვაზე თუ ენობრივ ერთეულზე, რომელიც ამა თუ იმ მეტყველების ნაწილშია გაერთიანებული. სიტყვა შეიძლება იყოს სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე. სრულმნიშვნელოვანია სიტყვა, თუ ის, სხვა სიტყვების დაუხმარებლად, ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე მიგვითითებს, მაგალითად: a wall, river, to go, to have, ten, hundred, yesterday… . ხოლო დამხმარე სიტყვებია, მაგალითად: if, but, because, oh… ამგვარი სიტყვები სხვა სიტყვებთან ერთად იძლევიან გარკვეულ მნიშვნელობებს, ცალკე კი არც რაიმე საგანზე ან თვისებაზე მიგვითითებენ და არც რაიმე ქმედება - მდგომარეობას აღნიშნავენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულმნიშვნელოვანი სიტყვები ზოგ შემთხვევაში საჭიროებენ კონტექსტს, ე.ი. „სხვა სიტყვების „წაშველებას'' [2]. კონტექსტში ამა თუ იმ სიტყვათა მნიშვნელობა ზუსტდება. ბუნებრივია, სიტყვა როგორც ლექსიკური ერთეული, ზოგ შემთხვევაში განიცდის კონტექსტუალურ ტრანსპოზიციას. თუკი ლექსიკურ ერთეულთა სტატუსი თანამედროვე ლინგვისტიკაში ენობრივი ნომინაციის საფუძველზე განიხილება, ჩვენი

აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვის კონტექსტუალურად განპირობებული ფუნქციაც - ნომინაციურ პლანში უნდა გავიაზროთ.

ახლა კი განვიხილოთ, თუ რა მიმართებაა პირდაპირ და ირიბ ნომინაციას შორის. „ეს მიმართება დერივაციულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ირიბი ნომინაცია ნაწარმოებია პირდაპირი ნომინაციისგან, ანუ წარმოადგენს მის დერივატს, რომელიც შეიძლება იყოს ორი სახის: 1. ტრანსპოზიცია; 2. ტრანსფორმაცია'' [1]. თუ პირდაპირი ნომინაციის ირიბ ნომინაციაში გადაყვანისას ნიშნის ფორმა (სტრუქტურა) არ იცვლება, მაშინ საქმე გვაქვს ტრანსპოზიციასთან: ასე მაგალითად: „რკინის მოაჯირი'' > „რკინის ხასიათი", ან iron fence > iron hand. მაგრამ თუ ,,ირიბი ნომინაციის მიღებისათვის აუცილებელია ამოსავალი ენობრივი ნიშნის ფორმის შეცვლა, გვექნება ტრანსფორმაცია.'' [1]. ასე მაგალითად, თუ შევადარებთ ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი გვარის შემცველ წინადადებებს: „A teacher explains a lesson'' და "The lesson is explained by the teacher," ორივე შემთხვევაში სინტაქსურ ნომინაციასთან გვაქვს საქმე. რატომ შევჩერდით ამ ორ მოვლენაზე (ტრანსპოზიცია, ტრანსფორმაცია)? იმიტომ, რომ ჩვენ ნომინაციის სახეებზე საუბრისას შემდეგ ორ მოსაზრებას ვეყრდნობით: 1) „...ენობრივი ნიშნები როგორც თავისი სტრუქტურით, ისე ფუნქციურად და სტილისტურად დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, ასრულებენ ისინი პირდაპირ თუ ირიბ ნომინაციას; 2) ირიბი ნომინაციის ყოველი შემთხვევა შეიძლება ატარებდეს ეპიზოდურ, მხოლოდ „ამწუთიერ'' ხასიათს - ამ შემთხვევაში ნიშანი გამოყენებულია ოკაზიონალური მნიშვნელობით, მაგრამ ენობრივ სისტემაში ხდება ნიშანთა ირიბი ნომინაციური ფუნქციით დაფიქსირებაც'' [1]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ სიტყვის (თუ ლექსიკური ერთეულის) დაფიქსირების დროს, ლექსიკონში ასევე ფიქსირდება მისი პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობა კონტექსტის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

**1. iron**– 1. commonest of all metallic elements, used in various forms… cast iron

- …(fig) **as hard as iron** ; / **an iron fist in a valvet glove** - an appearance of gentleness concealing severity, determination.
- **Strike while the iron is hot**- an act while the opportunity is good.
- **The Iron Age** – prehistoric period, following the Bronze Age, when iron came into use for tools and weapons.
- **Iron curtain -** (fig) frontier between countries, considered as a barrier to information and trade…

**2. iron** – tool, etc. made of iron, flat-bottomed household implement, heated (usu. electrically) and used for smoothing clothes, etc… [6]

როგორც ვხედავთ, მოყვანილ მაგალითებში ლექსიკური ერთეული 'Iron' წარმოდგენილია როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ნომინაციური ფუნქციით. მოცემულ შემთხვევაში შევეცადეთ შევხებოდით და გაგვეანალიზებინა სიტყვა, როგორც ლექსიკური სისტემის ერთეული. მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება ყოველთვის წყვეტს სიტყვის მნიშნელობის საკითხს'' [2].

ლექსიკურ-სემანტიკურ ველის სტრუქტურის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ „ლექსიკურ-სემანტიკურ ველში სიტყვები გაერთიანებულია არა ქაოტურად, არამედ გარკვეული პრინციპის მიხედვით, ანუ იმ მთავარი ნიშნის მიხედვით, რომელიც მათ როგორც ერთ სემანტიკურ მთლიანს აერთიანებს'' [3].

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიტყვის როგორც ნომინაციური ერთეულის განხილვა, მაგრამ ენობრივი ნომინაცია სიტყვის დონეზე, როგორც წესი, რეალიზებულია არა ერთი რომელიმე იზოლირებული სიტყვით, არამედ სიტყვათა

ჯგუფის მნიშვნელობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ლექსიკური ნომინაცია ხსენებული პარადიგმის ფარგლებში მუდამ ატარებს *ველის* სახეს. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ლექსიკურ-სემანტიკური ველი უნდა ეყრდნობოდეს აუცილებელ სტუქტურულ-ფუნქციურ მომენტს: იგი უნდა იმეორებდეს მისთვის ფუძემდებელი ლექსიკურ-სემანტიკურ ველის სტრუქტურას.

ამ საკითხთან დაკაშირებით გვინდა დავეყრდნოთ ე. ჩიგოგიძის კვლევას, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „რას წარმოადგენს ლექსიკურ-სემანტიკური ველი იმ სტრუქტურულ-ფუნქციური პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა ჩაითვალონ ფუძემდებლად ამ ენობრივი ფენომენისთვის? დავასახელოთ ეს პრინციპები... ეს არის ის *„არსებითი ნიშნები",* რომლებიც ველზე როგორც სტრუქტურაზე საუბრის საშუალებას იძლევიან...''[3]. ავტორი შემდეგ პრინციპებს ასახელებს: ,,1. მთლიანურობის (ინტეგრალურობის) პრინციპი; 2. სისტემურობის პრინციპი; 3. ურთიერთგანსაზღვრის პრინციპი; 4. სისრულის პრინციპი; 5. ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი; 6. სიცარიელეთა არსებობის პრინციპი''. [3]. ამ ექვსი პრინციპიდან ავტორი გამოყოფს მთლიანურობის პრინციპს და აღნიშნავს, რომ ყველა დანარჩენი პრინციპი მისგან გამომდინარეობს და მას ექვემდებარება. ველი, როგორც გარკვეული სახის სისტემა, ვერ იქნება შინაგანად მოწესრიგებული, მასში შემავალი ლექსემები ვერ შეძლებენ ურთიერთგამიჯვნას და ა.შ. თუ ველი არ წარმოადგენს იმას, რასაც გულისხმობს მთლიანურობის პრინციპი, ,, ... ანუ ისეთ შინაგანად სტრუქტურირებულ სემანტიკურ მთლიანს, რომელიც ენობრივ საშუალებებზე დაყრდნობით უნდა გამოხატავდეს სამყაროს ამა თუ იმ შინაარსობრივ სეგმენტს'' [იქვე]. ავტორი აქვე დასძენს, რომ ლექსიკურ-სემანტიკურ ველში თითოეული სიტყვა საკუთარ შინაარსობრივ დანიშნულებას, საგნობრივ მნიშვნელობას იმის მიხედვით იძენს, თუ რა მიმართებაში იმყოფება იგი ველის სხვა შემადგენელ ელემენტებთან. ,, ... ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა რგოლს აქვს საერთო შინაარსობრივი მნიშვნელი, ე. წ. *„საერთო სახელმდები".* თუმცა, ამავდროულად, ველის თითოეული ელემენტის შემთხვევაში საერთო ბაზას ემატება მთელი რიგი დამატებითი მიმართებები, რომლებიც ამ ელემენტებს ველის ზოგად სურათში შინაარსობრივად გამორჩეულ ხასიათს ანიჭებენ და ამის საფუძველზე ველის ყველა შემადგენელ რგოლს ერთმანეთისგან მიჯნავენ'' [3]. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ერთგვარი *საზღვრის ცნება,* რომელიც ფიქსირდება არა მარტო ცალკეულ ლექსიკურ - სემანტიკურ ველებს შორის, არამედ თითოეული ველის ფარგლებში მოქცეულ ელემენტებს შორისაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა რგოლს აქვს საერთო შინაარსობრივი მნიშვნელი, ე. წ. საერთო სახელმდები. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ველის სტრუქტურაში ენობრივ ელემენტებს ემატება მთელი რიგი მიმართებები, რომლებიც მათ შინაარსობრივად გამორჩეულ ხასიათს ანიჭებენ. ველის შემთხვევაში მიმართება ცალკეულ რგოლსა და მთელს სისტემას შორის დამატებით სიღრმეებს იძენს, რაც, ერთის მხრივ, განპირობებული უნდა იყოს ლექსიკურ-სემანტიკური ველისათვის დამახასიათებელი *„არქილექსემის",* ანუ მთავარი ლექსემის (ი.კ.) არსებობით.

აქვე გვსურს მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებშიც ლექსიკურ - სემანტიკურ ველში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა, ანუ სიტყვათა არსებობის საფუძველი *სემანტიკური მთლიანობაა.* მაგალითად: ლექსიკურ-სემანტიკური ველი „სიყვარული'' = 'love' აერთიანებს შემდეგ სიტყვებს: Love - affectionate, kind feeling, fondness, tender, passion, desire... ლექსიკურ - სემანტიკური ველი „მცენარე'' = 'plant' აერთიანებს შემდეგ სიტყვებს: Plant – tree, flower, bush, pot flower, grass, leaf, fruit, vegetable, shrub... ლესიკურ-

სემანტიკური ველი „წყალი'' = 'water' აერთიანებს შემდეგ სიტყვებს: Water - pond, lake, river, sea, ocean, ice, water-fall, stream, spring... .

ზემომოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ლექსიკურ - სემანტიკურ ველში სიტყვები გაერთიანებულნი არიან საერთო სემანტიკით, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მათი გამოყენება დამოკიდებულია კონტექსტზე. თუ ენობრივი პარადიგმა შინაგანად სტრუქტურირებული ოდენობაა, ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმაც იმ სიტყვათა ერთობლიობა იქნება, რომლებიც ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავენ. „ლექსიკურ - სემანტიკურ პარადიგმას მუდამ აქვს ველის სტრუქტურა: მუდამ იქნება სიტყვა (ველის ცენტრალური სიტყვა, ანუ „არქილექსემა''), რომელიც მეტად თუ ნაკლებად, ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ამოსავალ ცნებას გამოხატავს, და დანარჩენი ლექსემები, რომლებიც ამ სიტყვის გარშემო განლაგდებიან. ამ სტრუქტურაში მუდამ იქნებიან სიტყვა ან სიტყვები, რომლებზეც ძნელია ბოლომდე ითქვას, ისინი ამ ველს მიეკუთვნებიან თუ არა. ამდენად, ,,ლექსიკურ - სემანტიკური ველის საზღვარი მუდამ რადმენადმე ღიაა... გრამატიკული პარადიგმისაგან განსხვავებით, რომელიც მუდამ შეიცავს წევრთა ზუსტად განსაზღვრულ რაოდენობას'' [1].

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერ ველს აქვს სტრუქტურა. ეს არის ე.წ. ***ცენტრის ცენტრი → ცენტრი → პერიფერია → პერიფერიის უკიდურესი ზღვარი.*** ასევე, ლექსიკურ - სემანტიკურ პარადიგმასაც აქვს ველის სტრუქტურა. ყოველი ლექსემა, როგორც ენობრივი ნიშანი, მეტყველებაში წარმოდგენილია ლექსიკურ - სემანტიკური ვარიანტებით. მაგალითების საფუძველზე შევეცდებით ველის სტრუქტურის ჩვენებას. ამისთვის მოგვიხდება ენობრივი ნომინაციის არეალის გაფართოვება. მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა „ყვავილი''– 'flower'-ის ლექსიკურ-სემანტიკური ველი, სადაც flower - არქილექსემა იქნება: *Flower → rose, pink, tulip, lily, orchid, violet, water-lily...* თუ გავაფართოვებთ 'flower' -ის ლექსიკურ - სემანტიკურ ველს, მაშინ მასში ასევე შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი სიტყვები: *→ bunch, bouquet, posy, nosegay ...* თუ უფრო მეტად გავაფართოვებთ მოცემულ ველს, ამ ველში აღმოჩნდებიან სიტყვები: *→ aroma, sweet smell, fragrance…* კიდევ თუ გავაფართოვებთ *→ garden, yard, vase…* და მეტად გავაფართოვებთ *→ white , red, green ... .* მოყვანილ მაგალითებში flower - არქილექსემაა, ამ სიმრავლეში ჩართული, ანუ შემავალი ლექსემებია: rose, lily, tulip და სხვა. უფრო მეტად პერიფერიული ლექსემებია: bouquet, bunch,posy, და ა.შ. პერიფერიის პერიფერიაზე აღმოჩნდნენ ლექსემები: garden, vase, pot ... . და პერიფერიის უკიდურეს ზღვარზე განლაგდნენ შემდეგი ლექსემები: fragrance, aroma, smell …. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკურ-სემანტიკური ველის საზღვარი რამდენადმე მაინც ღიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება კიდეც გაფართოვდეს, მაგალითად: white , red , green ...

ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითს შეიძლება შემდეგი გრაფიკული სახე მიეცეს:

***ცენტრის ცენტრი → ცენტრი → პერიფერია → პერიფერიის უკიდურესი ზღვარი ...***

*Flower (არქილექსემა) → rose → bouquet → leaf → garden → fragrance → white …*
*→ tulip → bunch → bud → vase → aroma → red…*
*→ lily → posy → stem → pot → smell → green …*

სტატიაში წარმოდგენილი სიტყვის, როგორც ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურული ერთეულის განხილვამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. სიტყვა თავისი ნიშნობრივი არსის და ფუნქციის მიხედვით ლექსიკური კატეგორიაა. ყოველი სიტყვა არა მარტო სინამდვილეს, არამედ სინამდვილის სეგმენტთა გარკვეულ კლასს

ასახავს. ყველა სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ გამორიცხულია, რომ ვერ შევძლოთ რომელიმე სიტყვის სხვა სიტყვებთან ერთად სიგნიფიკატთა ტიპობრივი მსგავსების საფუძველზე გაერთიანება.

2. ლექსიკურ - სემანტიკური ველი, როგორც გარკვეული სახის სისტემა, შინაგანად მოწესრიგებული ფენომენია. მასში შემავალი ლექსემები ლექსიკურ - სემანტიკურ ველში ერთიანდებიან მთლიანურობის პრინციპის მიხედვით, ანუ სიტყვები საერთო სემანტიკით არიან გაერთიანებულნი. ლექსიკურ - სემანტიკურ ველში თითოეული სიტყვა საკუთარ შინაარსობრივ დანიშნულებას იძენს, ლექსიკურ - სემანტიკური ველის ყველა რგოლს საერთო შინაარსობრივი მნიშვნელი, ე. წ. „საერთო სახელმდები'', ანუ „არქილექსემა'' აქვს .

3. ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურაში მუდამ არიან სიტყვები ან სიტყვა, რომლებზეც ძნელია ბოლომდე ითქვას, ისინი ამ ველს მიეკუთვნებიან თუ არა. ამდენად, ლექსიკურ - სემანტიკური ველის საზღვარი მუდამ რამდენადმე ღიაა.

## ლიტერატურა


1. ლებანიძე გ. ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში. თბილისი, ,,ენა და კულტურა", 1997.
2. ჩიქობავა არნ. – ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
3. ჩიგოგიძე ე. სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში (ნეორომანტიკული ზღაპრული ნარატივის მასალაზე). თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', 2005.
4. Cooper India, Gallagher Judith, Johnson Mary – The World Book of Word Power. Volume I. A Scott Fetzer Company, Chicago, London, Sydney, Toronto. 1996.
5. Алефиренко Н. Спорные проблемы семантики. Москва, «Гнозис», 2005.
6. მარგალიტაძე თ. დიდი ინგლისურ - ქართული ონლაინ ლექსიკონი. dictionary.ge (MARGALITI).


## რეზიუმე


კვლევა ეძღვნება თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურას და მისი ძირითადი ერთეულის, სიტყვის, დახასიათებას. ენობრივი ნომინაცია სიტყვის დონეზე რეალიზებულია არა ერთი რომელიმე იზოლირებული სიტყვით, არამედ სიტყვათა ჯგუფის მნიშვნელობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ლექსიკური ნომინაცია ხსენებული პარადიგმის ფარგლებში მუდამ ატარებს *ველის* სახეს. სიტყვა თავისი ნიშნობრივი არსის და ფუნქციის მიხედვით ლექსიკური კატეგორიაა, რომელიც არა მარტო სინამდვილეს, არამედ სინამდვილის სეგმენტთა გარკვეულ კლასს ასახავს. ლექსიკურ - სემანტიკური ველი შინაგანად მოწესრიგებული ფენომენია, რომელშიც შემავალი ლექსემები მთლიანობის პრინციპის მიხედვით ერთიანდებიან. ლექსიკურ - სემანტიკური ველის ყველა რგოლს საერთო შინაარსობრივი მნიშვნელი, ე. წ. „საერთო სახელმდები'', ანუ „არქილექსემა'' აქვს . ნებისმიერ ლექსიკურ - სემანტიკურ ველს აქვთ სტრუქტურა. ეს არის ე.წ. *ცენტრის ცენტრი → ცენტრი → პერიფერია → პერიფერიის უკიდურესი ზღვარი...* ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურაში მუდამ არიან სიტყვა ან სიტყვები, რომლებზეც ძნელია ბოლომდე ითქვას, ისინი

ამ ველს მიეკუთვნებიან თუ არა. ამდენად, ლექსიკურ - სემანტიკური ველის საზღვარი მუდამ რამდენადმე ღიაა.

**საკვანძო სიტყვები:** ლექსიკურ-სემანტიკური ველი, სიტყვა, არქილექსემა, სტრუქტურა.

**Inga Kokaia, Tamar Khetsuriani**

**Structure of Lexico-Semantic Field and a Word as Its Constituent Unit**

**Summary**

The paper deals with the analysis of the structure of the lexico-semantic field of the modern English language and the description of its main unit, the word. Linguistic nomination is realized at the word level not by any isolated word, but by the meaning of a set of words (or lexemes), which means that lexical nomination always takes the form of a field within the mentioned paradigm. A word, by its semantic essence and function, is a lexical category, which denotes not only the reality, but the certain class of the segments of reality. Lexico-semantic field is internally arranged phenomenon, in which the lexemes are united according to the integrity principle. All the field segments have the same conceptual nomination, the so-called ,,arch-lexeme''. Any lexico-semantic field has its structure: *a main centre → centre → periphery → the edge of the periphery... .* There are always words or a word in a lexico-semantic field structure, which are entirelly difficult to define whether they belong to this field or not. So, a boarder of lexico-semantic field, to some extent, is always opened.

**Keywords:** a lexico-semantic field, word, arch-lexeme, structure.

**მარინე ლომიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

# ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია (ოთარ ჭილაძის დიალოგების მიხედვით)

ინტერვიუ (საუბარი) ყველაზე მოხერხებული და ხელჩასაჭიდი ფორმაა საზოგადოებას გააცნო შენი მოსაზრება, მიაწოდო ის მთავარი სათქმელი გზავნილის სახით, რომელიც ასე მნიშვნელოვნად მიგაჩნია. ამდენად, ინტერესი ჟურნალისტური ჟანრის ამგვარი პროდუქტის PR-ის ჭრილში წარმოსადგენად მუდმივად აქტუალურია, რადგან იგი თვალნათლივ წარმოაჩენს პიროვნებას და ამ თვალსაზრისით იმიჯის ერთ-ერთ ქმედით ტექნოლოგიადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომაც, ინტერვიუ-დიალოგი ყოველთვის თანაბრად საინტერესო შეიძლება იყოს PR-სპეციალისტებისა და ჟურნალისტებისთვის.

ინტერვიუს, როგორც პუბლიცისტიკის ნიმუშის, PR-ის ინსტრუმენტად განხილვა განსაკუთრებით მომხიბვლელია, როცა საუბრის მონაწილენი (ინტერვიუერი და ინტერვიუირებული/კორესპონდენტი და რესპონდენტი) თანაბრად წარმართავენ დიალოგს და ერთმანეთს აძლევენ საშუალებას საზოგადოების წინაშე წარდგნენ სათანადოდ, ღირსეული სახით: ჟურნალისტი პროფესიული სტანდარტის დამცველად - წარუძღვეს საზოგადოებრივი ინტერესის მომცველ საუბარს, ხოლო მოპასუხე - თავისი საქმის მცოდნედ და პიროვნებად. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტური პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია.

ჟურნალისტებს ინტერვიუ-დიალოგის ფორმატი ეიოლებათ და ეს ნათლად ჩანს მათი სიმრავლით ქართულ მედიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბეჭდური და სამაუწყებლო საშუალებები ამ ჟანრის პროფესიული ნიმუშების დიდ დანაკლისს განიცდის. დღევანდელი პრესისა და სატელევიზიო ინტერვიუებში არ ჩანს ჟურნალისტთა მხრიდან განსახილველი საკითხის შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობა და სიღრმისეული ცოდნა. აღნიშნული ვითარება რესპონდენტებს გარკვეულწილად უძნელებთ მედიასაშუალებათა წარმომადგენლებთან საზოგადოებისათვის საინტერესო და სასარგებლო საუბრის წარმართვას.

კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია- გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. საკითხების მრავალმხრივი გაშუქების პრინციპის დაურღვევლობა წარმოდგენილი ინტერვიუების ტენდენციად იკვეთება. ნათქვამის დასადასტურებლად, მიზანშეწონილია ჟურნალისტური საქმიანობის რამდენიმე მახასიათებელის გამოყოფა, რომელთა შორის ჟანრის შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენება უმთავრესია.

ჟურნალისტური ჟანრები ზოგადად ნაკლებად მყარი კატეგორიაა. ისინი იხვეწება, სახეს იცვლის, ერთმანეთში იჭრება. ინტერვიუმ, როგორც ჟანრმა, რამდენადაც არ უნდა იცვალოს სახე, ინტერვიუირების პრინციპები უცვლელად უნდა შეინარჩუნოს. სპეციალისტები, არსებული გამოცდილების თანახმად, მართებულად მიუთითებენ ,,წარმატებული ინტერვიუს ოთხ მთავარ წესზე:

- გულდასმით მოემზადე, გაეცანი რაც შეიძლება მეტ ფონურ ინფორმაციას;

- დაამყარე ურთიერთობა შენთვის ღირებულ წყაროსთან;
- დასვი შეკითხვები, რომლებიც შეესაბამება ამბავს და წყაროს აალაპარაკებს;
- ყურადღებით უსმინე და დააკვირდი“[1,295].

ამ წესებს აუცილებლად უნდა მივუმატოთ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ლარი კინგის მიერ შემოთავაზებული მეთოდი, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მიუკერძოებლობაა. ამის საფუძველი ტელეჟურნალისტის 50-წლიანი საქმიანობის მანძილზე 30 000-ზე მეტი ჩატარებული ინტერვიუა [1, 301].

მედიაპროდუქტის შექმნისას პროფესიონალი ავტორი(ჟურნალისტი) ეთიკურ ნორმებს იცავს და ამავდროულად ჟანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით თავისეული შტრიხები შეაქვს. ინტერვიუს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ,,თავისუფალი ცურვის“ პრინციპის გამოყენება, როდესაც კითხვა ისე დაისმის, რომ გულისხმობს პასუხის ყველა შესაძლო ვარიანტს: თემის ამომწურავი, მოკლე, გავრცობილი, განგაშის სიმბოლო და ა.შ.

ამგვარი მოდელის არჩევით ჟურნალისტი განსაზღვრავს წინასწარ მომზადებული კითხვების მნიშვნელობას, ხოლო იმპროვიზებულს წარმოაჩენს მათგან ლოგიკურად გამომდინარეს, დამატებითი კითხვები დასვას იმ შემთხვევაში, თუკი მოსაუბრის პასუხი გაუგებარია, ან რესპონდენტს არ შეუძლია (ან არ სურს) კვალიფიციურად გასცეს კითხვას პასუხი. გამოსავალი, უმთავრესად, ერთია, კორესპონდენტი კითხვას მისთვის სასურველი ვარიანტით ცვლის, რაც მის პროფესიულ უნარს საუკეთესოდ წარმოაჩენს.

წარმოდგენილ ინტერვიუს ვარიანტებში ე.წ. თავისუფალი ცურვის პრინციპი მოქმედებს საუბრის ორივე მონაწილისათვის. ჟურნალისტები გააზრებული, მიზანმიმართული კითხვების დასმით ააშკარავებენ წამოჭრილი პრობლემების მასშტაბურობას. ისინი თანმიმდევრულად მიყვებიან პასუხებს სათანადო კითხვებით, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ პასუხს დამატებითი კითხვით, და, რაც ასე მნიშვნელოვანია, არსად არ იგრძნობა, რომ მწერალი შეზღუდულია აზრის გამოთქმაში. მისი სივრცე ყოველთვის თავისუფალია და მისდამი კეთილსაიმედოდ განწყობილი. ეს კი ადასტურებს, რომ ჟურნალისტი თავს ართმევს სოციალურად განსაზღვრულ მოთხოვნას: მისცეს საშუალება რესპონდენტს, დაეხმაროს მკითხველ აუდიტორიას გაეცნოს მწერლის სამყაროს, მსოფლმხედველობას, გაიღრმავოს ცოდნა და წარმოდგენები არსებულ რეალობასა და ისტორიის გაკვეთილებზე - აიმაღლოს საზოგადოებრივი შეგნება. ინტერვიუერის პროფესიული დანიშნულება ხომ სწორედ ესაა: ჟურნალისტმა მოითხოვოს პასუხები იმ კითხვებზე, რომელთა მიმართ მეტია საზოგადოების ინტერესი, თუნდაც ცნობისმოყვარეობა.

ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის მიზანი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, ეფექტური უკუკავშირის დამყარებაა, რისი მიღწევის ერთ-ერთი საშუალება თანამოსაუბრისათვის სხვადასხვა ტიპის კითხვების დასმაა. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ საუბრის დასაწყისში დახურული კითხვა და სათანადო პასუხი- ,,დიახ“ ან ,,არა“ - თანამოსაუბრის ნდობის მოსაპოვებლად მომგებიანი ხერხია. განხილულ ინტერვიუებში ჟურნალისტები მას თითქმის არ მიმართავენ. დასმული კითხვების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ისინი სამად (ღია, სარკისებური, ესტაფეტური) დავაჯგუფოთ. წარმოდგენილ დიალოგებში ღია კითხვები ემსახურება განსხვავებული აზრის დაბადებას, რაც ითხოვს კონკრეტულ ახსნა-განმარტებას. მისი მიზანი დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და თანამოსაუბრის რეალური მოტივების ამოცნობაა. სარკისებური კითხვებით კორესპონდენტებმა დიალოგის შინაარსი გააფართოეს, მწერლის ნათქვამი სხვა მხრიდან წარმოაჩინეს და მოსაუბრეთა თანამშრომლობაც სარწმუნო გახდა. ესტაფეტურმა კითხვებმა პარტნიორის საუბრისათვის ხელის შეწყობა განაპირობა. მათ მწერლის

,,პროვოცირება გამოიწვიეს“ და მოცემულ საკითხებზე უფრო მეტის ან სხვაგვარად თქმა ,,აიძულეს“.

განხილული საუბრები შინაარსიანია და საინტერესო, მდიდარია ფილოსოფიური არსით, დახვეწილი პუბლიცისტურ-მხატვრული სიტყვით, სულიერი აღმაფრენით, მხატვრული სისტემური აზროვნებით. უპირველესად, ხაზგასასმელია, რომ ამ ფონზე დიალოგების მონაწილეებს არ ავიწყდებათ მკითხველი აუდიტორია, ადამიანთა (სრულიად საზოგადოება ან კონკრეტული სამიზნე ჯგუფი/ლიტერატურის მოყვარულები, დაინტერესებული პირები) საჭიროებები/ინტერესები, რომ დაეხმარონ მათ გაერკვნენ კონკრეტულ საკითხებში, გაეცნონ უცნობ პოზიციებს, გაიმყარონ შეხედულებები, გაუჩნდეთ მოქმედების სურვილი; ხელი შეეწყოს უცილობელი ფასეულობების დამკვიდრება-განმტკიცებას, საყოველთაო წინსვლას.

პრობლემას (დროებით სიძნელეს ან დროში გაწელილ სირთულეს) შინაარსის მიხედვით (ფაქტისა და იდეისგან განსხვავებით), აქვს უფრო რთული სტრუქტურა, რომელსაც განაპირობებს შექმნილი სიტუაცია, სოციალურ სფეროში არსებული კონფლიქტური ურთიერთობები. მათზე საუბარი მოითხოვს მოვლენის ხასიათის ჭეშმარიტი არსის (დადებითი, უარყოფითი მხარეების, შესაძლებლობების გამოვლენის, რისკის განსაზღვრის) უფრო ღრმად წვდომას, ან ე.წ. SWOT-ანალიზის ერთგვარ მოდელს. ამასთან, ეს გარემოება საზოგადოების განახლების პირობებში ჟურნალისტის წინაშე აყენებს თვისებრივად ახალ მოთხოვნებს - მსოფლმხედველობის, ეთიკის, პროფესიონალიზმის ამაღლებას.

ზოგადად, ურთიერთობის პროცესში პიროვნების დადებითი თვისებების გამოყენება უნივერსალური ფაქტორია, რომელიც თანაბარი წარმატებით მოქმედებს როგორც დადებითი, ისე კრიტიკული ინფორმაციის მოპოვებისას. ჟურნალისტთან საუბრისას ოთარ ჭილაძე, როგორც რესპონდენტი, წარმოგვიდგება ინფორმაციული სისტემის ელემენტად /სუბიექტად. იგი, ასე ვთქვათ, წარმოაჩენს თავისი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებს (მაგალითად, გასული საუკუნის 80-იანი წლები, XXI საუკუნის დასაწყისი), რომელთაც თან სდევს ავტორისეული გამარჯვებები, სიძნელეები, თვალსაზრისები, პიროვნული და შემოქმედებითი განვითარება და სხვა. არ არის ადვილი, რესპონდენტი ოთარ ჭილაძისათვის დასასმელი კითხვების შედგენა, რასაც ისიც განაპირობებს, რომ უნდა გაითვალისწინო რა სურს მკითხველს, რა მოლოდინი აქვს, რა იქნება მისთვის საინტერესო. მაგალითად, კორესპონდეტისათვის ცნობილია, რომ მწერალი სოციალურად ნაკლებად აქტიურია, მაგრამ მისთვის საინტერესოა რესპონდენტის აზრი შემოქმედის აქტიურობის შესახებ სხვადასხვა სფეროში (მასმედია, პოლიტიკა). ამიტომ დროსა და მედროვეებზე საუბრისას [2, 26-49] ჟურნალისტი თვალყურს ადევნებს მწერლის ლოგიკას, გამოყოფს მთავარ აქცენტებს.

ვფიქრობ, ეს მართებული მიდგომაა, რადგანაც ინტერვიუირებულის მსჯელობა, შესაძლოა, მკითხველი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის არასასურველი (ზოგიერთ შემთხვევაში მიუღებელი) პოზიციის გაცნობის საშუალებაც იყოს. ჟურნალისტის მხრიდან რესპონდენტისათვის გულახდილობისკენ ბიძგი, არსებული რეალობის მისეული ვერსიის გადმოცემის მოხერხებული ფორმაა.

ცალკეულ დიალოგში თანამიმდევრულობის პრინციპის დაცვით ჟურნალისტები ახერხებენ, ერთი შეხედვით, ,,უმტკივნეულო საკითხების“ გარკვევიდან იმ თემებზე გადასვლას, რაც რესპონდენტს პირდაპირ ეხება. „თანამიმდევრულობის ეფექტი“ მხოლოდ წინასწარგანსაზღვრული კითხვების ჩამოყალიბებას არ გულისხმობს. იგი მიზნად ისახავს მოსაუბრისათვის ერთგვარი ფსიქოლოგიური ინერციის შექმნას, რაც მსჯელობის პროცესში წარმოიშობა და პრობლემის არსებით მხარეს მოიცავს.

ჟურნალისტისათვის უდიდესი ფუფუნებაა მხატვრული სახეებით მოაზროვნე რესპონდენტი, რომელიც გამორჩეულ ხიბლს აძლევს მედიაპროდუქტს. ამავდროულად, ამგვარ რესპონდენტთან საუბარი ჟურნალისტის პროფესიონალიზმის ერთგვარი ინდიკატორია. სხვაგვარად, ჟურნალისტისგან შეიძლება ერთგვარი გამბედაობის ტოლფასიც იყოს - სწორად გაიგოს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დაუზიანებლად მიიტანოს მკითხველამდე ინტერვიუირებულის მთავარი სათქმელი იმ ნიუანსებით, რომელიც მისი აზროვნებისა და გამოთქმის ინდივიდუალობას განაპირობებს. ახალ აზრს ნოვატორული ფორმა მოსდევს და ჟურნალისტი ინტერვიუს ჟანრობრივ პალიტრას იმარჯვებს, რომ საუბარი იყოს სააზროვნოც, კონსტრუქციულიც, ემოციურიც.

ამ მხრივ გამორჩეულია ქეთევან სადღობელაშვილის „ღრუბელი“, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტის სათაურადაც გამოუტანიათ მის შემდგენლებს.

კორესპონდენტის ე.წ. ჩაღრმავება, ანუ როგორც თავად მწერალი უწოდებს „ჯიუტობა“, საშუალებას აძლევს მას ჩვეული ფილოსოფიური მხატვრულობით წარმოაჩინოს მოვლენები, პროცესები. ჟურნალისტის „ჯიუტობა“ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც გულწრფელობის ერთგვარი მასტიმულირებელი ფაქტორი [ 2, 111].

ინტერვიუში ,,თავისუფლება ადამიანით იწყება“ ვრცელი ე.წ. ძირითადი პირველი კითხვის დასმით, ჟურნალისტი თავიდანვე საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს. ამ ერთგვარი კითხვა-კომენტარის დასმით ჟურნალისტი ამავდროულად სძლევს გაუცხოების ნეგატიურ ფაქტორს და აჩქარებს თანამოსაუბრეთა შეგუების პროცესს. ეს გარემოება დიალოგს თავიდანვე, როგორც ფორმალურად, ასევე შინაარსით, საქმიან სახეს აძლევს [2, 153-172].

ქრისტიანე ლიხტენფელდთან საუბარი ისეა აგებული, რომ მკითხველი ყურადღებით მიჰყვება კითხვა-პასუხის დინამიკას, რესპონდენტის მასშტაბური კატეგორიებით აზროვნებას, ფაქტებს შეიმეცნებს არა მარტო როგორც არსებულ რეალობას, არამედ ხედავს საზოგადოებრივი პროცესის მსვლელობას, მონაცვლეობას. ფაქტებს შორის მრავალგვარი კავშირის მრავალგვარობის აღქმა მკითხველისთვის უკვალოდ არ რჩება და იგი თანამიმდევრულად იაზრებს მწერლის ნარატივს, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის გარკვეულ გზებსაც სთავაზობს. მოვლენათა შორის კანონზომიერი კავშირების დამყარება ეპოქის კონტექსტთან ურთიერთქმედებით რესპონდენტის იდეოლოგიური ინტერპრეტაციის საშუალებად გვევლინება.

სპეციალისტთა აზრით, ამგვარ დიალოგში, ისევე როგორც სხვა ტიპის ურთიერთობებში, ადამიანი იკმაყოფილებს საკუთარი ინდივიდუალობის რეალიზაციის, ანუ თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს. ურთიერთობის ფუნქცია მრავალგვარია. ადამიანთა კავშირის დანიშნულება სხვადასხვა ინფორმაციის გადაცემითაც გამოიხატება. ურთიერთქმედება შეიძლება გავიგოთ როგორც დიალოგის მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის პროცესი - საუბარი საერთო ამოცანის გადასაჭრელად: მკითხველისათვის ინფორმაციის აღქმისა და მწერლის პიროვნული ფაქტორის გაგება-გაცნობიერების გაადვილება. თუმცა კორესპონდენტისთვის არსებითია არა მარტო შემოქმედის მოღვაწეობის ობიექტური არსი, არამედ ქმედების მოტივი, ზნეობრივი წარმმართველი რეგულატორი, მოვლენათა სუბიექტური ფონი.

ამ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად, მკაცრი თანამიმდევრულობით განსაზღვრული კითხვა-პასუხი იცვლება საუბრის თავისუფალი სტილით, ხშირად იმპროვიზებული საუბრის წარმართვის ფორმით, სადაც რაციონალური საგნობრივი საუბრის პარალელურად ლომის წილი ინფორმაციის ემოციურად მიწოდების ფორმებს განეკუთვნება.

ინტერვიუებში ჩანს ჟურნალისტთა მიზნის მიღწევისა და ამ ფონზე საკუთარი ინდივიდუალიზმის შენარჩუნების, საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისა და არასაჭირო პათოსის თავიდან აცილების მცდელობა. დასმული კითხვების ანალიზით იკვეთება მათი პასუხისმგებლობა

დიდი მწერლის პერსონისადმი, ერთგვარად იდეოლოგიური სტერეოტიპებისგან გამიჯვნა. უმრავლეს შემთხვევაში კითხვები თავისუფალია მიკერძოებისა და სწორხაზოვნებისგან.

ჟურნალისტებს ახსოვთ, რომ დიალოგი პიროვნებათაშორისი ვერბალური ურთიერთობაა საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის მიღებისა და ახალი ცოდნის დაგროვების მიზნით: მკითხველს შეატყობინოს მწერლის სამომავლო გეგმებისა და ამოცანების, შემოქმედებითი წარმატებებისა და მიღწევების, წარსული ამბების ნიუანსების, დეტალების შესახებ, მკითხველისათვის ნაცნობი ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის ახსნა-განმარტება, მოსაზრების გაგება.

სათაური ჟანრის სტრუქტურის მთავარი კომპონენტია, რომლის საშუალებით მჟღავნდება აზრის მიმართულება, იკვეთება მოსაუბრის დამოკიდებულება. სათაური ინფორმაციულობის ხარისხით, ფაქტობრივი მასალის განზოგადებით, მიზნობრივი დანიშნულებით ავლენს ჟანრობრივ თავისებურებებს. ინტერვიუში თითქმის წესადაა რესპონდენტის საუბრიდან ფრაზის ან სიტყვის სათაურად გამოტანა, ამჯერადაც ასეა. ყველა ინტერვიუს სათაური ან პირდაპირაა ტექსტიდან ციტირებული ან პერიფრაზია, რომელიც კონკრეტულ საკითხზე მწერლის პოზიციას გამოხატავს და სავარაუდოა, რომ მას ჟურნალისტიც იზიარებს.

კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა, ასე პრობლემად რომ იქცა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასა და PR-ის პრაქტიკაში.

დადასტურდა, რომ ინტერვიუ ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგიაა.

## ლიტერატურა


1. მელვინ მენჩერის ახალი ამბების გაშუქება და წერა. გამ-ობა ,,დიოგენე“. 2013
2. ოთარ ჭილაძე. ღრუბელი. დიალოგები. გამ-ობა ,,ინტელექტი“. 2014.


## რეზიუმე


ინტერვიუს, როგორც პუბლიცისტიკის ნიმუშის, PR-ის ინსტრუმენტად განხილვა განსაკუთრებით მომხიბვლელია, როცა საუბრის მონაწილენი (ინტერვიუერი და ინტერვიუირებული/კორესპონდენტი და რესპონდენტი) თანაბრად წარმართავენ დიალოგს და ერთმანეთს აძლევენ საშუალებას საზოგადოების წინაშე წარსდგნენ სათანადოდ, ღირსეული სახით: ჟურნალისტი პროფესიული სტანდარტის დამცველად - წარუძღვეს საზოგადოებრივი ინტერესის მომცველ საუბარს, ხოლო მოპასუხე - თავისი საქმის მცოდნედ და პიროვნებად. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტური პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია. კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. საკითხების მრავალმხრივი გაშუქების პრინციპის დაურღვევლობა წარმოდგენილი ინტერვიუების ტენდენციად იკვეთება. ნათქვამის დასადასტურებლად გამოყოფილია ჟურნალისტური საქმიანობის რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა შორის ჟანრის შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენება უმთავრესია. ინტერვიუებში ჩანს ჟურნალისტთა მიზნის მიღწევისა და ამ ფონზე საკუთარი ინდივიდუალიზმის შენარჩუნების, საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისა და არასაჭირო პათოსის თავიდან აცილების მცდელობა. დასმული კითხვების ანალიზით იკვეთება მათი პასუხისმგებლობა დიდი მწერლის პერსონისადმი, ერთგვარად იდეოლოგიური სტერეოტიპებისგან გამიჯვნა. უმრავლეს შემთხვევაში

კითხვები თავისუფალია მიკერძოებისა და სწორხაზოვნებისგან. კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა, ასე პრობლემად რომ იქცა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასა და PR-ის პრაქტიკაში. დადასტურდა, სოციალურად რამდენად სასარგებლო ჟანრია ინტერვიუ-დიალოგი, თუ მისი მონაწილეები პროფესიონალები არიან. ინტერვიუს ჟანრის ამ თხზულებებში რესპონდენტი თავისი საქმისა და როლის (ინტერვიუირებულის) ჩინებული ოსტატია (ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით) და ჟურნალისტებიც თავს ართმევენ პროფესიულ მოვალეობას (ეს იშვიათი გამონაკლისია დღევანდელ ქართულ მედიაში ზოგადად!). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი - წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია - მიღწეულია.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერვიუ, ჟურნალისტი, მწერალი, კორესპონდენტი, რესპონდენტი, პროფესიული იმიჯი.

**Marine Lomidze**

**Interview as a Technology of Journalist's Professional Image (according to Otar Chiladze's Dialogues)**

**Summary**

Interview (verbal) is the most efficient tool for expressing your opinion to society, for sending the important message. Therefore, the interest towards interview from the PR perspective is always relevant, as it clearly represents the person and can be considered as one of the major techniques of image. This is why interview-dialogue can always be equally interesting for PR specialists and journalists. Viewing interview as a PR instrument is extremely appealing when participants of the conversation (interviewer/correspondent and respondent) equally contribute to the dialogue and allow each other to be respectfully represented towards society: journalist complying towards professional standards and the respondent as a professional in one's area of expertise and as a person. The following paper is aimed at representing interview as a technique of professional image. The subject of the research is the set of dialogues by Otar Chiladze's "Grubeli" (the Sponge) where 20 interviews are contained. Among those 10 are published by Georgian and the rest 10 -by international media sources since the 80-ies of the last century. The last interview contained in the set- is dated with 2008. All interviews are based on the principle of diversity and multi-perspective approach. This is basically reflected in the creative attitude towards the interview. The deeper analysis of these interviews gives the opportunity to see the strive for achieving multiple goals, such as the efforts of the journalist towards achieving one's goals along with preserving his/her authenticity, protection of societal interest and avoiding the unnecessary exaggeration. Questions used in the dialogues reflect the utmost responsibility towards the persona of the writer, they are distinct from the ideological stereotype. In most of the cases questions are free from judgement and narrow perspective. The research hypothesis has been approved: dialogues can be used as patterns of paradigm of communicating with society which itself has become a challenge in modern journalism and PR practice in Georgia. It has been approved how much socially important the interview-dialogue can be when its participant are professionals. In these essays respondent is a profound master of its work and role and journalists on the other hand, fulfill their obligations (which is indeed an exception in Georgian media in general). The purpose of the paper has been achieved.

**Keywords:** interview, journalist, writer, correspondent, respondent, professional image.

**ნონა ქეცბაია, მირანდა თოდუა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sukhumi State University

## ეკლის სემიოტიკა და ქართული ჰიმნოგრაფია

ლექსიკის სემანტიკური კვლევა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ენა მუდმივად ვითარდება. საზოგადოებრივ ყოფაში წარმოქმნილ ყოველ ახალ ინფორმაციას მოსდევს ლექსიკური ცვლილებები ენაში; ახალი ცოდნა ახალი ლექსიკური მარკერით აღინიშნება, იქმნება ან სესხების გზით შემოდის ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მკვიდრდება და თანაარსებობს უკვე ჩამოყალიბებულ ლექსიკურ ,,ინვენტართან" ან ენაში უკვე არსებული სიტყვის ადგილს იკავებს. ზოგადად ენა აქტიურად რეაგირებს ყოფა-ცხოვრებით სიახლეებზე და სათანადო ლექსიკას ქმნის, მოიძიებს და ამკვიდრებს მთლიან ლექსიკონში, მაგრამ კონკრეტული ენების ქცევა ასეთ შემთხვევაში , ცხადია, ერთნაირი არაა. ქართული ენა ბევრ სხვა ენასთან შედარებით კონსერვატიულია, თუმცა მისთვის შემოქმედებითი აქტიურობაცაა დამახასიათებელი, რასაც ძირითადად ქართული ენის მრავალფეროვანი დიალექტები უზრუნველყოფენ. მეტად არის შენარჩუნებული კონტაქტი ძველსა და თანამედროვე ქარულს შორის, ენაში ლექსიკის ზოგი უბანი უფრო ნელა იცვლება, ზოგი უფრო სწრაფად. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მობილობა და სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვალებადობა, საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ლექსიკის სიცოცხლისუნარიანობას, მის გაჩენა-დაკარგვასა და გადააზრებას. ენას აქვს უნარი ასახოს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენა, არამედ დამოკიდებულებაც ამ მოვლენის მიმართ. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა ლექსიკურმა ერთეულმა, **ეკალმა** [6].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ეკლის** შემდეგი მნიშვნელობებია დადასტურებული: 1. ზოგიერთი მცენარის ტანზე განვითარებული მაგარი წვეტიანი გამონაზარდი; 2. მცენარე (ჩვეულებრივი ბუჩქი ), რომელსაც ეკლები აქვს, ეკლიანი მცენარე; 3. ზოგიერთი ცხოველის ტანზე განვითარებული წვეტიანი გამონაზარდი [4].

ეკალი ღეროს, ფოთლის, ფესვისა და მათი ნაწილების მეტამორფოზის შედეგად განვითარებული მაგარი წვეტიანი წარმონაქმნია. ეკლად შეიძლება გარდაიქმნეს მთელი ფოთოლი (კოწახურისა, ხურტკმელისა და სხვ), მისი შუა ძარღვი (ბაძგის, გლერძას, და სხვა ფრთისებრი ფოთოლი) ანდა თანაფოთლები (ცრუაკაციისა, ძეძვისა და სხვა). თუ ეკალი სახეცვლილი ყლორტია (კუნელისა, კვრინჩხისა, მაჟალოსი, პანტისა), ის უფოთლოა, ან სუსტად შეფოთლილი. ეკალი შეიძლება განვითარდეს დამატებითი ფესვებიდანაც, ღეროს ქვედა ნაწილზე(პალმა). ეკალი ხშირად მშრალი და ცხელი ადგილსამყოფელების მცენარეებს აქვთ.

აღსანიშნავია სიტყვა ეკლის მონაწილეობით შედგენილი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები და შესიტყვებები: ეკლად (ეკალივით) ესობა, ეკლებზე ზის, ეკალს აუშვებს, ეკლიანი გზა, ეკლის გვირგვინი [3]. ხშირად გვხვდება სიტყვა ეკალი ანდაზებში: ეკალს თითო-თითოდ ამოიღებენო; შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებაო...

საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ეკლის სინონიმები ქართული ენის დიალექტებში: ლეკალი(ლეჩხ), ქასვი(ლეჩხ.), ქაცუცა(იმერ.), ქაჭვი (გურ.), ძეძვი ძენძვი

(ლეჩხ.), ძიგვე (იმერ.), ჯგვერი, ნარეკალი, ძიგირი (მეგრ.), ძიგურა (გურ.)...[5].

ეკალი ერთ-ერთი კომპონენტია თხზულ სიტყვებში: ეკალბარდი, ნარეკალი, ეკალმუხა, ეკალუკალი, ეკალღიჭი, ეკალძმარა..

ეკლის მხატვულ გააზრებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცენარეთა მითოპოეტურ სახეთა შორის. მხატვრულ სააზროვნო სისტემაში ეკალს რამდენიმე ძირითადი ტროპული ფუნქცია აკისრია (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, სიმბოლო, ალეგორია).

მითოლოგიაში ეკალთან დაკავშირებით სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთ-ერთი მითის მიხედვით, თავდაპირველად ვარდს არ ჰქონია ეკალი. ვარდის ყნოსვისას მის ფურცლებში მიმალულმა ფუტკარმა დაკბინა კუპიდონი (სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში), რომელიც განრისხდა და ვარდს ისარი ესროლა, რის შემდეგაც იქცა იგი ეკლიანად, სხვა ვერსიით, ეკლების წარმოშობა ბაკხუსს უკავშირდება, როდესაც მას ნიმფა გაურბოდა და მის წინ აღმართული ვარდები ეკლიანი გახადა [8].

ეკალი და ეკლიანი ტოტები ცოდვას, სევდას, ტანჯვას გამოხატავენ. ეკალი ქრისტეს ტანჯვის სიმბოლოა. ეკლიანი გვირგვინი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის წინ დაადგეს, რომის იმპერატორის გვირგვინის პაროდირებას წარმოადგენდა. ეს მოქმედება იყო ქრისტეს დაცინვა. სხვა წმინდანების ეკლის გვირგვინი კი მათ მოწამეობაზე მიუთითებს.

სასულიერო მწერლობაში ვარდის ეკალი სევდისა და მწუხარების გამომხატველი. სამოთხიდან განდევნილმა ურჩმა ქმნილებებმა ღვთის უმკაცრესი რისხვა და წყევლა დაიმსახურეს: „წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, ეკალსა და კუროჲსთავა რმოგიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა“ (დაბ. 3, 17-18). სწორედ უფლის რისხვის შემდეგ იქცა მიწა „ეკლის გამომღებ ქუეყანად“[7]. ცოდვით დაცემის შედეგად აღმოცენებულ ეკალს ჰიმნებში რამდენიმე ვარიაციით ვხვდებით: 1) ეკალი ცოდვისა: „რაჲთა შეწუნეს ეკალნი პირველითა პატიჟთანი“[7].; ბ) ურჩების ეკალი: „დასწუენ ურჩებისა ეკალნი ადამისნი“[7], გ) წყევის ეკალი: „ეკალი წყევისაჲ აღიფხურა დღეს ქუეყანით“[7]. წუთისოფლის ცოდვისა და უკეთურობის, რომელიც ეკლის სიმბოლიკით განსახოვანდა, აღმოსაფხვრელად წმინდა მამანი იღწვიან: „ეკლოვანებაჲ სოფლისა საცუთრთაჲ შესწჯ, ეფთჯმი, ღმერთშემოსილო“[7]. ეკალი განასახიერებს ყოველგვარ ბოროტებას, უკეთურობას, მწავალებლობას, ღვთის მცნებისაგან გადახვევას, რომლის დასათრგუნად დაუღალავად იღვწიან ღვთისმსახური წმინდა მამები: „ვითარცა რაჲ ელიაჲ, აღეგზნენ ცეცლითა საღმრთოჲსა შურისაჲთა და შესწუენ წვალებასა იგი ეკალნი, ღმერთშემოსილო“[7]. „საღმრთოჲსა სულისა სიბრძნითა აღივსე ბასილი და ენითა ცეცხლისაჲთა შესწუენ უღმღოვებისა ეკალნი“[7]..

შესაქმის გვირგვინმა, ურჩობით დამდაბლებულმა, მხსნელს თავის ეკლის გვირგვინი დაადგა, რომელმაც კაცთა ხსნის გზა კაცისავე უკეთურობით აღმოცენებული ეკლიანი გზით განვლო და ქვეყნად ღვთის წყევლა კურთხევად შეცვალა: „გჯრგჯნი ეკლისაჲ შეიმოსა თავსა საღმრთოსა უღმრთოთა ჰურიათაგან, აღმაღლდა ძელსა, რათა დასცეს მტერისა სიმაღლე და აღამაღლოს ბუნებაჲ კაცობრივი“[7]. „ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ მარგალიტით მორთულს გვირგვინს რით ჩამოჰრჩება? გვირგვინი წამებისა და ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარეობისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშისთვის“ [9]. მაცხოვარმა წყევის ეკალი ჯვარს გააკრა და ადამის შთამომავლობა დიდების გვირგვინით შეამკო.

ეკალს ნეგატიურის სიმბოლოდ ადრექრისტიანული ტრადიციაც ადასტურებს,

რომლის თანახმას, „ვარდი პირველცოდვამდე უეკლო იყო. სწორედ ამიტომ არის სასულიერო მწერლობაში ვარდის ეკალი სევდისა და მწუხარების გამომხატველი“ [8]. რაც შეეხება ვარდის სიმბოლიკას, მისი მნიშვნელობა სასულიერო და საერო მწერლობაში მკვეთრად განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ის სიმბოლოა სიყვარულის, სილამაზის, მშვენიერების, რის გამოც შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობა წინ აღუდგა ამ სიმბოლიკას, როგორ ცამქვეყნიური ტკბობისა და სიხარულის გამომხატველს. სასულიერო მწერლობაშ ეს ყვავილი იქცა ქრისტეს, ღვთისმშობლისა და მოწამეთა მეტაფორად, ხოლო ვარდის წითელი ფერი გაიგივდა ქრისტეს სისხლთან. სასულიერო მწერლობაში მოწამის წარმოდგენა, ვითარცა ვარდისა ეკალთა შორის, ძალზე გავრცელებული სახეა. ჰიმნოგრაფიაში ხე-მცენარეთა უძველესი სიმბოლიკა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ჰიმნოგრაფები მასში აერთიანებენ ცოდვა-მადლს, მარადიულ განახლებას, სულის ნაყოფს, გზას ეკლოვანი წუთისოფლიდან ზეციური იერუსალიმისაკენ.

## ლიტერატურა


1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ,,მეცნიერება“თბ., 1973.
2. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, “ნაკადული”, თბილისი 1966.
3. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, “მერანი”, თბილისი 1979.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8 ტომად), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
5. ალ. ღლონტი, ქართულ სიტყვა-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი , განათლება 1974.
6. თ. თურქია, .ადამიანის საცხოვრისის ამსახველი ლექსიკის პრაგმატული ანალიზი. თბილისი, 2013.
7. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფ. 1913
8. Мифы народов Мира, Энциклопедия в двух томах, т. II, М., 1988.
9. ილია ჭავჭავაძე, წმინდა ნინო, „ივერია“, 1888, #9


## რეზიუმე


ლექსიკის სემანტიკური კვლევა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ენა მუდმივად ვითარდება. საზოგადოებრივ ყოფაში წარმოქმნილ ყოველ ახალ ინფორმაციას ენაში ლექსიკური ცვლილებები მოსდევს. ქართული ენა ბევრ სხვა ენასთან შედარებით კონსერვატიულია, მეტად არის შენარჩუნებული კონტაქტი ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მობილურობა და სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვალებადობა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ლექსიკის სიცოცხლიუნარიანობას, მის გაჩენა-დაკარგვასა და გადააზრებას. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ლექსიკურმა ერთეულმა, **ეკალმა.** აღსანიშნავია სიტყვა **ეკლის** მონაწილეობით შედგენილი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები და შესიტყვებები. საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი **ეკლის** სინონიმები ქართული ენის დიალექტებში. ხშირად გვხვდება სიტყვა **ეკალი** ანდაზებში. ეკალს ნეგატიურის სიმბოლოდ ადრექრისტიანული ტრადიციაც ადასტურებს, რომლის თანახმად, ვარდი პირველცოდვამდე უეკლო იყო. სწორედ ამიტომ არის სასულიერო მწერლობაში ვარდის ეკალი- სევდისა და მწუხარების გამომხატველი. სწორედ უფლის რისხვის შემდეგ იქცა მიწა „ეკლის გამომღებ ქუეყანად“ (ეკლიანად). ეკალი

განასახიერებს ყოველგვარ ბოროტებას, უკეთურობას, მწვალებლობას, ღვთის მცნებისაგან გადახვევას, ჰიმნოგრაფიაში ხე-მცენარეთა უძველესი სიმბოლიკა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ჰიმნოგრაფები მასში აერთიანებენ ცოდვა-მადლს, მარადიულ განახლებას, სულის ნაყოფს, გზას- ეკლიანი წუთისოფლიდან ზეციური იერუსალიმისაკენ.

**საკვანძო სიტყვები:** ეკალი, სემიოტიკა, ჰიმნოგრაფია, ეკლის გვირგვინი, ხე-მცენარეები, ეკალბარდი, ძეძვი.

**Nona Ketsbaia, Miranda Todua**

**Semiotics and Georgian Hymnography**

**Summary**

The semiotic research of a vocabulary is highly relevant currently when the language is changing continuously. Any new information that is generated in society is followed by changes in the language vocabulary. The Georgian language is conservative compared to many other languages, the contact between the old and modern Georgian is better preserved. However, the mobility of social communications between humans and semantic changes caused by the influence of different extralinguistic factors, provides us with the opportunity to observe the viability of the vocabulary, its generation, loss, and reconsideration. At this point, our attention was attracted by one specific lexical unit – **ekali** (in English – thorn). Idioms, phraseological units and collocations, in which the word **ekali** is present, are worth mentioning. There are more than enough synonyms of **ekali** in dialects of the Georgian language. The word **ekali** is often found in proverbs. Early Christian traditions prove that **thorn-** is a negative symbol. According to those traditions, the rose was originally hornless. Due to this fact, the rose thorn is used in theological literature to express sadness and sorrow. It was right after the wrath of God that land turned into a "place that yields thorn" (a thorny place). **Thorn** personifies every evil, badness, martyrdom, deviation from commandments of God. The earliest symbolics of plants is presented diversely in hymnography. In this symbolics, hymnographers unite sin and grace, eternal renovation, the fruit of the spirit, the path from the thorny mortal world to heavenly Jerusalem.

**Key words:** thorn, semiotics, hymnography, tree plants, prickly bushes.

**ქეთინო შენგელია, რატი ერისთავი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

## აფხაზთა მუჰაჯირობის ისტორია დღევანდელი თვალთახედვით

1817-1864 წლებში მიმდინარე კავკასიის ომი რუსეთის იმპერიის გამარჯვებით დასრულდა. მეფის ხელისუფლების მიზანი იყო კავკასია სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“. ამ გეგმის განხორციელებას ცარიზმი კოლონიზაციის მეშვეობით ცდილობდა [1].

1866 წელს ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებული აფხაზები პირველ რიგში კოდორის ხეობიდან და შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან გადაასახლეს. მუჰაჯირობა (არაბ. „მუჰაჯერეთ“ - გადასახლება), კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში XIX საუკუნეში, დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან.

მუჰაჯირობა XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელნი სამშობლოდან ოსმალეთში გადადიოდნენ.

მუჰაჯირად წასვლა გარკვეული წესით ხდებოდა. წასვლის მსურველი ვალდებული იყო რუსული ადმინისტრაციისთვის ჩაებარებინა მიწის ნასყიდობის საბუთი ანდა ხელწერილი მიწაზე სამუდამოდ უარის თქმის შესახებ. ამის შემდეგ მას უფლება ჰქონდა, გაეყიდა ან გაეჩუქებინა თავისი ქონება [3].

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ამ ტრაგედიას. XIXს. გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გრ. ორბელიანმა, ი.ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, გ.წერეთელმა, ალ.ყაზბეგმა, ზ.ჭიჭინაძემ, პ.ჭარაიამ, ნ.ჯანაშიამ, თ.სახოკიამ და სხვ. გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა მშობლიური მხარიდან გადასახლების გამო [2].

1877 წელს რუსეთის ხელისუფლებამ თურქებთან კავშირის გამო, აფხაზები „დამნაშავე მოსახლეობად“ გამოაცხადა. მათ აეკრძალათ სოხუმში და აფხაზეთის სანაპირო ზოლში მდ. ფსირცხასა და მდ. კოდორს შორის ცხოვრება.

დღესდღეობით თურქეთში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ქართველები ერთ-ერთი დიდი ჯგუფია. ნაწილი ისტორიულ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი კი მუჰაჯირობის შედეგად არის გადასახლებული. ისინი მთელი თურქეთის ტერიტორიაზე არიან გაბნეულები.

2015 წელს აფხაზეთში გაჩნდა იდეა, რომ ჩაეტარებინათ მთელ მსოფლიოში მცხოვრები აფხაზების აღწერა. ამ მიზნით, გერმანიაში აფხაზეთის წარმომადგენელი, ხიბლა ამიჩბა გამოვიდა და მას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ხელისუფლებამ. მაგრამ პროექტის რეალიზებამდე საქმე მაინც ვერ მივიდა. მუჰაჯირებს რუსული წესდებით მკაცრად ეკრძალებოდათ სამშობლოში დაბრუნება. თუმცა, უკანასკნელი 25 წლის

განმავლობაში, აფხაზეთმა რეპატრიაცია ოფიციალურად გამოაცხადა ხალხის სანუკვარ ოცნებად და ეროვნულ იდეად [7].

რეპატრიაციის საკითხთა კომიტეტი, რომლის მოვალეობაც საზღვარგარეთულ აფხაზურ დიასპორებთან კავშირების დამყარებაა, აფხაზეთში, ჯერ კიდევ 1993 წლის მარტში შეიქმნა – ქართულ-აფხაზური ომის დროს. აფხაზეთს დიასპორების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ თურქი მუჰაჯირები ომში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ახლო აღმოსავლეთში აფხაზური დიასპორა სწორედ მუჰაჯირობის დროს, მე-19 საუკუნეში შეიქმნა. დღევანდელი აფხაზური საერთაშორისო დიასპორა – იმ მუჰაჯირების შთამომავლები არიან.

რეპატრიანტთათვის განკუთვნილი ბიუჯეტი იქმნება აფხაზეთის ყველა მცხოვრების გადასახადებიდან შემოსული თანხის ორი პროცენტით. ვარაუდობენ, რომ 2020 წელს, ის 156 მილიონ 246 ათასი რუბლი (დაახლოებით, 2,5 მილიონი დოლარი) უნდა იყოს.

საფიქრელია, რომ რეპატრიანტები აფხაზეთში არა უკეთესი ცხოვრების, არამედ, პატრიოტული გრძნობების გამო შესაძლოა დაბრუნდნენ. მით უფრო, რომ თურქეთში, აფხაზთა შორის აქტიური აგიტაცია მიმდინარეობს, რათა დაბრუნდნენ სამშობლოში [8].

აფხაზეთში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსული აფხაზებისა და აბაზინებისთვის რეპატრიანტის სტატუსი ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში. მთელი ამ დროის მანძილზე მათ უწევენ ფინანსურ დახმარებას, აძლევენ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელს. ბევრისთვის სწორედ ეს ხდება გადამწყვეტი ფაქტორი. მათთვის, ვინც თურქეთში ვერ ახერხებს დასაქმებას და მაღალი გადასახადების გადახდას, ნამდვილად ხელსაყრელია აფხაზეთში დაბრუნება, რადგან იქ მათ ბინასა და მიწის ნაკვეთს პირდებიან. თუკი აფხაზეთში არაფერი გამოუვათ – ყოველთვის შეუძლიათ უკან დაბრუნება. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რეპატრიანტთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც თურქეთში მთელი ქონება გაყიდეს, რათა ოჯახთან ერთად გადმოსულიყვნენ აფხაზეთში და საკუთარი მცირე ბიზნესი გახსნეს. ასეთებს სჭირდებათ გარანტიები, უსაფრთხოება, ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ არავინ მივა მათი ბიზნესის წასართმევად და ხელცარიელები არ დარჩებიან. აფხაზეთში კი ასეთი გარანტიების მოცემა, ცხადია არავის შეუძლია.

1993-დან 2008 წლამდე, აფხაზეთში ათი ათასზე მეტი რეპატრიანტი ჩავიდა, დაახლოებით, მათი ნახევარი იქვე დარჩა საცხოვრებლად.

2019 წელს, ახალი ბინის გასაღები 48 რეპატრიანტმა ოჯახმა მიიღო, ახლა კიდევ 96 ოჯახისთვის მიმდინარეობს საცხოვრებლის მშენებლობა. მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ელოდება ბინას, სამინისტრო ქირის ფულს იხდის.

აღმოჩნდა, რომ 2018 წელი რეპატრიაციის სტატისტიკის სარეკორდო წელი იყო: 543 აფხაზი გადმოვიდა საცხოვრებლად სირიიდან, თურქეთიდან, იორდანიიდან, რუსეთიდან, ეგვიპტიდან, აშშ-დან, ლიბანიდან, თითო-თითო კი – ესტონეთიდან, საქართველოდან და ისრაელიდან.

ეს საკითხი რეგულარულად იწვევს უთანხმოებას რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, რადგან აფხაზეთში ბინების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. ბევრი აღშფოთებულია, რომ ასეთი დახმარება არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, არადა, სწორედ საცხოვრებლით დახმარება ძალიან წაადგებოდა გამოცხადებული დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას.

ამავე დროს, ბინები, რომლებსაც რეპატრიანტებს აძლევენ, მათ არ ეკუთვნით. არ შეიძლება ამ ბინების გაყიდვა, გადაცვლა და გაქირავებაც კი.

აღმოჩნდა, რომ რეპატრიანტებს დაუსაბუთებელ იმედებს აძლევენ. გარდა ამისა, პრობლემურია ისტორიული სამშობლოს გადაჭარბებულ იდეალიზაციის საკითხი. აფხაზეთში დასახლებული მუჰაჯირები წლების განმავლობაში სტაბილურ სამსახურის ვერ პოულობენ. ამიტომაც ბევრი მათგანი ვერ ბედავს ოჯახიანად იქ დაფუძნებას. გარდა ამისა, მუჰაჯურთათვის ბარიერს ქმნის რუსული ენის არცოდნა. მხოლოდ აფხაზური ენის ცოდნა არ არის საკმარისი.

2012 წელს გამოჩნდნენ პირველი რეპატრიანტები აფხაზეთში სირიიდან. თუმცა, სირიიდან მიგრირებულ რეპატრიანტთა და თურქეთიდან წამოსულ მუჰაჯირებს შორის დიდი სხვაობაა. სირიელები სამოქალაქო ომს გაექცნენ და იმ მიწებს მიადგნენ, სადაც სიხარულით მიიღებდნენ. აფხაზური წყაროების ცნობით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთში საცხოვრებლად 200-მდე აფხაზურ-ადიღური ფესვების მქონე სირიელი ჩავიდა [9].

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თურქეთში გადახვეწილ მუჰაჯირთა აფხაზურ წარმომავლობას. მას მართებულად მიაჩნია გამოძიებულ იქნას მუჰაჯირები თავის დროს აფხაზეთის მიწებიდან გადაადგილდნენ თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ოკუპირებულ აფხაზეთში სირიიდან 500-მდე პოტენციურ რეპატრიანტს ელოდებიან. აფხაზური საზოგადოება ფიქრობს, რომ სირიიდან რეპატრიაციის პროცესის დაჩქარება დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღეს მოსკოვი იმ მუჰაჯირების შთამომავლებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს [9].

ცნობილია, რომ დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესება სურდათ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტებს არძინბას, ბაღაფშს, ანქვაბს, და პირდაპირ თუ ირიბად მთელ იმედებს მუჰაჯირების დაბრუნებაზე ამყარებდნენ, თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ რუსები აფხაზებს ყველაფერს აპატიებენ - ტურისტების ცემას, ძარცვასა და გაუპატიურებასაც კი, მაგრამ არ აპატიებენ მუჰაჯირების დაბრუნებას, რადგან მისი თქმით, ეს იქნება რუსეთის ინტერესებზე დარტყმა და თურქეთის გავლენის გაძლიერება რეგიონში, რაც ისედაც ძლიერია [11].

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ფიქრობს, რომ რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიების ათვისებას რუსების ჩასახლებით აპირებს [12].

აფხაზებისათვის მუჰაჯირობა არის კოლექტიური ტრავმირების პროცესი. მათი თვალთახედვით, რომ არა იძულებით გადასახლება, აფხაზთა ეთნოსს რაოდენობრივი დომინაცია ექნებოდა. რეპატრიაციის საკითხმა აფხაზებს შეუქმნა ილუზია, თითქოს სამშობლოში საცხოვრებლად მათი „მოძმეები“ მოისწრაფვიან, თუმცა, ჯერ უცნობია, რა შედეგს გამოიღებს ყოველივე ეს.

## ლიტერატურა


1. ბეჟან ხორავა - „აფხაზთა მუჰაჯირობა 1864 წლიდან“
2. ბეჟან ხორავა - „ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)“
3. ნანი ფუტკარაძე - ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხები); დისერტაცია; ბათუმი 2017
4. https://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12745/
5. https://netgazeti.ge/news/245015/
6. გაზეთი ჩემი აფხაზეთი - N8 სექტემბერი, 2009,
7. https://for.ge/view/10379/sad-brundebian-muhajirebi.html
8. https://www.amerikiskhma.com/a/syria-abkhazia-muhajirs-143651316/1209435.html
9. https://for.ge/view/10379/sad-brundebian-muhajirebi.html
10. https://www.kvirispalitra.ge/politic/9572-qrusebi-afkhazebs-yvelafers-apatieben-magram-ara-muhajirebis-dabrunebasq.html?all=0&add_new=1&reply=0
11. https://for.ge/view/36187/gaiziareben-Tu-ara-afxazebi-muhajirebis-beds.html


## რეზიუმე


კავკასიის ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1859-1864 წლებში, ცარიზმი დაუმორჩილებელი კავკასიელი მთიელების სამშობლოდან ძალდატანებით გასახლებას შეუდგა. ეს პროცესი ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. 1866 წელს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზები აჯანყდნენ. რუსეთმა აჯანყება ჩაახშო. იმპერიის მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი მუსლიმანი და წარმართი აფხაზები თურქეთში გადაასახლეს. სტატიაში განხილულია აფაზეთში რეპატრიაციის საკითხთა კომიტეტის შექმნის მიზნები და მუშაობის წესი. ცნობილია, რომ 1998 წელს აფხაზეთში რეპატრიაციის პროგრამების დასაფინანსებლად, არასაბიუჯეტო ფონდი შეიქმნა. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ყოველწლიურად რეპატრიანტებისთვის სახლების მშენებლობასა და შეძენაზე იხარჯება. კვლევით ირკვევა, რომ რეპატრიაციის იდეის სულისჩამდგმელებმა სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული აფხაზების გაერთიანების მიზანში არა მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დაინახეს, არამედ – მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის გზაც. მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქობენ თანამედროვე აფხაზები რეპატრიაციის საკითხებხებზე, როგორ არიან განწყობილი რეპატრიანტთა მიმართ, ასევე მნიშვნელოვანია ქართული მხარის პოზიცია, დამოკიდებულება და სამომავლო ხედვები აფხაზეთში მუჰაჯირებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.



**საკვანძო სიტყვები:** მუჰაჯირობა, აფხაზები, ცარიზმი, კავკასია.

**Ketino Shengelia, Rati Eristavi**

**History of Abkhazian Muhajirism from Today's Point of View**

**Summary**

In the last stage of the Caucasus War, 1859-1864, Russia deported disobedient Caucasians from their homeland. This process is known as Muhajirun. In 1866, the Abkhazians revolted against the colonial policy of Russia. Russia suppressed the uprising. Aggressive Muslim Abkhazians were deported to Turkey. The article discusses the goals and rules of work of the Committee on Repatriation in Abkhazia. It is known that a fund was established in 1998 to finance repatriation programs in Abkhazia. The money is spent annually on the construction and purchase of houses for repatriates. The study reveals that the proponents of the idea of repatriation seen in the goal of uniting Abkhazians, scattered in different countries not only the restoration of historical justice, but also the solution of the demographic problem of the Abkhaz people. It is important what modern Abkhazians think about repatriation issues, how they feel about repatriates, as well as the position, attitude and future visions of the Georgian side towards issues related to the Muhajireen in Abkhazia.

**Keywords:** muhajirism, abkhazians, tsarism, Caucasus.

**სოფო ჩქოფოია**
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
East European University

# საინფორმაციო ომის შესაძლებლობები თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ სახელმწიფოებს მისცა სწრაფი შესაძლებლობები ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვის, გამრავლებისა და გადაცემისთვის, რითაც ზესახელმწიფოებმა შეძლეს კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები, თუმცა, მსგავსი შესაძლებლობები მიიღეს ასევე არასამთავრობო სუბიექტებმა. შედეგად, სახელმწიფოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა და გლობალური საინფორმაციო სივრცე გახდა გამჭვირვალე და თვითმართვადი. შიდა და საერთაშორისო საკომუნიკაციო სისტემის ევოლუციის წამყვანმა ტენდენციებმა გააკეთეს მნიშვნელოვანი წინსვლა, მასობრივი საინფორმაციო პროცესების დახმარებით - უპირატესად ვერტიკალური მოდელიდან, უპირატესად ჰორიზონტალურ მოდელამდე.

„ინფორმაციულმა რევოლუციამ“ შეზღუდა სახელმწიფოს ძალადობა სამხედრო დაპირისპირების კუთხით, შეარბილა მკვეთრი დაპირისპირება ქვეყნებს შორის, გაზარდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საერთო დამოუკიდებელი აზრის როლი მსოფლიო საქმეებში. იმავდროულად ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა შეუქმნეს დამატებითი შესაძლებლობები კრიმინალურ, მათ შორის ტერორისტულ საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბით.

ინფორმაციულმა გამჭვირვალობამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები საინფორმაციო ომის ცნებაში, რომელმაც დაამსხვრია ამ გავლენის ტრადიციული ინტერპრეტაცია და ახალი „ხიბლი“ შემატა მას. საინფორმაციო ომის ტრადიციულ და თანამედროვე კონცეფციებს შორის მსგავსება ვლინდება მონაწილე ქვეყნების ექსპლუატაციაში ადამიანის ფსიქიკის შეუცვლელად და საერთო მიზნის არსებობით, განსხვავება კი მისი მიღწევის შესაძლებლობაშია.

ადამიანის ფსიქიკის შეუცვლელ თვისებებად გვევლინება - ადვილად მოქცევა სხვისი გავლენის ქვეშ, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა. ინფორმაციული ომის მიზნად ისახება გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე. ინფორმაციული ომები ძირითადად მიმართულია საზოგადოების ფსიქოლოგიური მახასიათებლების სასურველი მიმართულებით შეცვლისაკენ.

ტექნიკურმა რევოლუციამ მასობრივი კომუნიკაციების საშუალებით შეცვალა ინფორმაციული ომის მართვის მეთოდები. წარსულში, როდესაც სახელმწიფოებს შეეძლოთ ინფორმაციული ნაკადების დარეგულირება, ინფორმაციული ომის მთავარი იარაღი იყო კონცეპტუალური ინდოქტრინაცია.

თანამედროვე ინფორმაციული ომი, როგორც წესი, ხორციელდება ინფორმაციული გამჭვირვალობის პირობებში, მითუმეტეს, როცა მოსახლეობისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი სახის ინფორმაცია. თანამედროვე საინფორმაციო ომში პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა საიმიჯო ან „ბრენდულმა“ ინდოქტრინაციამ, რომლის მიზანიც ხდება მასობრივ ცნობიერებაზე სტანდარტული ნიმუშით ზემოქმედება.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში უახლესი ომის ორ სხვადასხვა ინსტრუმენტს ორი სახელით მოიხსენიებენ ინფორმაციული ან საინფორმაციო ომი. ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიოში, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ძალაუფლების მოსაპოვებლად, თუმცა მას სჭირდება შესაბამისი ინსტრუმენტებიც.

ინფორმაციული ომი შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი პროპაგანდა, ასევე იერიშის მიტანა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ინტერნეტის გამოყენებით საინფორმაციო საშუალებებზე. ინფორმაციულ ომს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე ეპოქის პირმშო, რომელიც ცვლის თანამედროვე ომის შინაარსა და ხასიათს.

რაც შეეხება კრემლის საინფორმაციო ომს მიუხედავად იმისა, რომ ის ახალი არ არის და წლებია მას რუსეთი მიმართავს, განსაკუთრებით გააქტიურდა პანდემიის პირობებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ის აქტიურად იყენებს უკვე წლების მანძილზე. რუსეთი განსაკუთრებით აქტიურია მედიასა და სოციალურ ქსელში. კრემლი, რომელიც საქართველოს სწრაფვას დემოკრატიისაკენ და დასავლეთისაკენ უდიდეს საფრთხედ აღიქვამას, ეს ფაქტი კი ხელს უშლის მისი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას რეგიონში.

საინტერესოა თუ რა გახლავთ კრემლის საინფორმაციო ომის მიზანი, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ ქართულ საზოგადოებაში დანერგოს ანტიდასავლური განწყობა. წარმოაჩინოს NATO, ევროკავშირი და დასავლური ინტიტუტები უარყოფითად. კრემლი ცდილობს დააკნინოს ის ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ინსტიტუტებთან, როგორიცაა კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სხვა ფასეულობები და ღირებულებები. კრემლის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეაფერხოს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია.

კრემლი გლობალური პანდემიის პირობებშიც კი აქტიურად მუშაობს და იყენებს ინფორმაციულ ომს დასავლეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. ევროკავშირის განცხადებით კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს რუსეთის მთავრობის მხარდამჭერი მედია საშუალებები, რომლითაც ცდილობს, რომ ევროკავშირის მოსახალეობაში დანერგონ პანიკა და შიში, რათა დანერგონ უნდობლობა ევროპული სამედიცინო სისტემის მიმართ. ევროკავშირის თანახმად, დეზინფორმაცია რუსეთის მხრიდან გავრცელებულ იქნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის ესპანურად, ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად.ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კრემლი ურთიერთგამომრიცხავ თეორიებსაც ავრცელებს კორონავირუსთან დაკავშირებით, რათა შექმნას ქაოსი. ევროკავშირის ინფორმაციით კრემლის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციის გავრცელება, რომ,ევროპაში კორონავირუსი ჩაიტანეს მიგრანტებმა და ის ბიოლოგიური იარაღია, რომელიც შექმნა დიდმა ბრიტანეთმა, აშშ- მ ან ჩინეთის ხელისუფლებამ.

რაც შეეხება საინფორმაციო ომს საქართველოს წინააღმდეგ, წლებია მას ეფექტურად იყენებს რუსეთი, ლუგარის ლაბორატორია უკვე წლებია რუსული დეზინფორმაციის სამიზნედ იქცა. პრორუსულმა ონლაინ-მედია „ნიუსფრონტმა“ სტატია გამოაქვეყნა, რომლის სათაურიც გახლდათ „კორონავირუსი ჩინეთში არ წარმოიშვა! გამარჯობა, ლუგარის ლაბორატორიავ!“ (აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა Tvm.ge-ზეც). აღნიშნული ბრალდება დაეყრდნო ჩინეთში გავრცელებულ ვერსიას, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ 12 მარტს გაკეთდა განცხადება, რომლის მიხედვითაც კორონავირუსი (CoVid-19) არა ჩინეთში, უჰანის პროვინციაში, არამედ წარმოიშვა აშშ-ში და იქიდან იპოვა გავრცელება დანარჩენ მსოფლიოში.

„ნიუსფროსტი“, რომელიც რუსულ პროპაგანდას აქტიურად უჭერს მხარს, აღნიშნავს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში იქმნება ბიოლოგიური იარაღი. ჯერ კიდევ 2018 წელს რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების მეთაურმა, გენერალმა იგორ კირილოვმა განაცხადა, რომ საქართველოში არსებულ ლუგარის ლაბორატორიას აშშ იყენებდა საერთაშორისო შეთანხმების დარღვევით და ქმნიდა ბიოლოგიური იარაღის აგენტებს. მარია ზარახოვამ, საგარეო სამეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველოში არსებული ბიოლაბორატორია იყო ერთ-ერთი მაგალითი რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში აშშ-ის მიერ სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტის შექმნის, სადაც ექპერიმენტებს ატარებენ მოქალაქეებზე და სადაც სამხედრო პერსონალი მოქმედებს სამედიცინო ეთიკისა და საერთაშორისო ნორმების დარღვევით. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც ღიად აუბა მხარი აღნიშნულ კამპანიას და განაცხადა, რომ „აღნიშნული კვლევები უკავშირდება გენეტიკის დარგში ბოლო დროინდელ მიღწევებს და ადასტურებს, რომ მიმდინარეობს ისეთი პრეპარატების შემუშავება, რომელთაც შეუძლიათ ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა მათი ეთნიკური კუთვნილების შესაბამისად“[1].

სინამდვილეში ლუგარის ლაბორატორიას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები. მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ კარგად წარმოაჩინა არსებულმა გლობალურმა პანდემიამ. 2004 წელს დაიწყო რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მშენებლობა საქართველოში. 1997 წელს იქნა ხელმოწერილი ჩარჩო-ხელშეკრულება და 2002 წელს საქართველოს  თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვითი დეპარტამენტს შორის გაფორმდა შეთანხმება: „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენების და გამოცდილების გავრცელებისთავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნული ლაბორატორია სრულ ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წლის აგვისტოში და სრულად გადმოეცა საკუთრებაში საქართველოს მთავრობას. 2018 წლიდან მის სრულ დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველო[2].

ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა მოიცავს ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე ეპიდემიური აფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სხვა საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და კვლევას.

რუსული პროპაგანდის გამავრცელებელი სააგენტოები საქართველოშიც აქტიურად მუშაობენ, რომლებიც სხვადასხვა კონსპირაციული და მანიპულაციური გზით მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. ნამდვილად შეთხზულ ჰიპოთეზათა ერთობლიობას წარმოადგენს ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული, რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომლის მიზანიცაა წარმოაჩინოს, როგორც დასავლური სახელმწიფოების ან ინსტიტუტების დამანგრეველი და საფრთხის შემცველი შედეგი.

---

[1]https://factcheck.ge/ka/story/38390-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93

[2]https://netgazeti.ge/news/425152/

რუსული მედია საშუალებებიდან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საქართველოში, უნდა აღინიშნოს „სპუტნიკი“ (Sputnik), ის გახლავთ ერთადერთი, რომელიც ქართულ ენაზე ფუნქციონირებს, ასევე კრემლის საყრდენს საქართველოში- წარმოადგენს პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომელთა შორისაც უნდა გამოიყოს „ევრაზიული არჩევანი და „ევრაზიის ინსტიტუტი“. აღნიშნული ორგანიზაციები გამოირჩევიან ანტიდასავლური რიტორიკით, აქვეყნებენ სხვადასხვა სახის ნაშრომებს, რომელთა წყაროდაც მითითებულია რუსული ინფორმაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ პრორუსულ ტელევიზიას თუ ორგანიზაციას არ აქვს მითითებული დაფინანსების წყარო საკუთარ ვებ-გვერდზე.

RT - კრემლის მაცნეა, რომელიც 100-ზე მეტ სახელმწიფოში მაუწყებლობს და ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე, დაუღალავად ავრცელებს ანტიდასავლურ პროპაგანდას. არაბულ RT-ს მიერ გავრცელებული იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია COVID-19-თან დაკავშირებით, რომ ის იყო ანგლო-საქსური ბიოლოგიური იარაღი, რომლის შექმნაც უკავშირდება ამერიკის ლაბორატორიას. არხის მიერ წარმოდგენილი იქნა ინტერვიუ რუს ბიოლოგთან და გაეროს ყოფილ ექსპერტთან იგორ ნიკულინთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ვერ მოხდებოდა ვირუსის ბუნებრივად წარმოქმნა, ვინაიდან ის შეიცავდა შიდსის ოთხ ჩანართს. ინტერვიუს ჰქონდა 1.3 მილიონზე მეტი ნახვა, როგორც აღნიშნულ არხზე, ასევე YouToub-ზე[3].

ბილ გეითსი და მისი საქველმოქმედო ფონდიც მრავალჯერ იქცა რუსული პროპაგანდის სამიზნედ. გახშირებულ იქნა თეორიები იმის შესახებაც, რომ კორონავირუსის გავრცელება დაკავშირებული იყო 5 G ტექნოლოგიასთან. ასეთ ინფორმაციას ავრცელებდნენ არა მხოლოდ არასანდო წყაროები, არამედ ცნობილი ადამიანებიც, მაგალითად, კერი ჰილსონი, მომღერალი M.I.A. ტელეწამყვანი ამანდა ჰოლდენი, მოკრივე ამირ ხანი და სხვა.

5G ტექნოლოგიასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია და პროპაგანდა არ არის ახალი მოვლენა და 2016 წლიდან აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია სხვადასხვა სახის საინფორმაციო სივრცეში.

RT-მ 2019 წლიდან აქტიურად დაიწყო კონსპირაციული თეორიების გავრცელება 5G-ს შესახებ. იანვარში YouTube-ზე აიტვირთა ვიდეო, სადაც RT-ს კორენსპოდენტი, მიშელ გრინშტეინი ამტკიცებდა, რომ 5G ტექნოლოგია საზიანოა და შესაძლოა ადამიანიც კი მოკლას. აღნიშნულ ვიდეოს 2 მილიონზე მეტი ნახვა ჰქონდა. აღნიშნულის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება შემდეგ თვეებშიც აქტიურად გაგრძელდა და სწორედ ამ ნარატივს დაეფუძნა კორონავირუსის გავრცელებასთან 5G-ს დაკავშირების საკითხიც.

პირველად 5G-სა და კორონავირუსის ერთმანეთთან კავშირის შესახებ ინტერვიუ ექიმ კრის ვან კერკჰოვენთან გამოაქვეყნა ბელგიურმა გაზეთმა Het Laatste Nieuws, რომელიც აღნიშნავდა, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია 5G ტექნოლოგია და მას აკავშირებდა კორონავირუსთანაც. მისი კომენტარი მალე აიტაცა ანტი-5G აქტივისტებმა და წყაროებმაც. აღნიშნული ინფორმაცია მალევე გავრცელდა ინგლისურენოვან მედიაშიც, ასევე Facebook გვერდებსა და YouTube-ზეც. გავრცელებული იქნა შემდეგი სახის თეორიები:

-5G საფრთხის შემცველია;

-5G იმუნურ სისტემას ასუსტებს და ამძიმებს კორონავირუსის მიმდინარეობას;

-5G იწვევს იგივე სიმპტომებს, რაც დამახასიათებელია კორონავირუსისათვის;

-5G ქსელების დასაყენებლად იყენებენ საგანგებო მდგომარეობას, რომელიც შექმნილია კორონავირუსის გამო;

[3] https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067

-5G-ის განვითარებასა და კორონავირუსის გავრცელებაში ურევია ბილ გეითსის ხელი;

-5G-ისა და კორონავირუსის გარშემო არსებული მდგომარეობა მასონური შეთქმულების ნაწილია[4].

გავრცელებული დეზინფორმაციის შედეგად არა ერთ ქვეყანაში თავს დაესხნენ 5G ანძებს და დაარბიეს. მაგალითად: დიდ ბრიტანეთში 80-მდე 5G-ს ანძა დაწვეს. ნიუ-იორკში მოქმედი ორგანიზაცია Blackbird.AI, რომელიც იკვლევს დეზინფორმაციას, 5G-სა და კორონავირუსის შესახებ კონსპირაციის თეორიის გავრცელებაში ხედავს კოორდინირებულ კამპანიას. მათ მიერ შესწავლილ იქნა 50 000 პოსტი Twitter-სა და Reddit-ზე. აღნიშნულს ეთანხმება არასამთავრობო ორგანიზაცია Disinformation Index, რომელიც ასევე ონლაინ-დეზინფორმაციის კვლევითაა დაკავებული, თუმცა ისინი თავს იკავებენ დაასახელონ სახელმწიფოები და კონკრეტული პირები, რომლებიც ამ დეზინფორმაციების უკან დგას.

5G ტექნოლოგიასა და კორონავირუსის პანდემიას შორის კავშირების შესახებ პროპაგანდა საქართველოშიც აქტიურად ვრცელდებოდა კონკრეტული პირებისა თუ ჯგუფების მიერ. აღნიშნული დეზინფორმაციის გავრცელებას ხელი შეუწყო შემდეგმა წყაროებმა: geomediatv.ge, iTv.ge, wnews.ge, Facebook, Pirveli.site[5].

სინამდვილეში რა არის 5G, ეს გახლავთ მე-5 თაობის უსადენო კავშირის ტექნოლოგია, რომელსაც იყენებენ მობილური მოწყობილობები, სმარტფონები და სხვა მოწყობილობები ინტერნეტთან კავშირის დროს. 5G ვრცელდება რადიოტალღების საშუალებით ისევე, როგორც 4G LTE და 3G ქსელები, რომლებიც ჯდებიან ადამიანისათვის უსაფრთხო ელექტრომაგნიტურ სპექტრში. ასევე შეიძლება ითქვას 5G ტექნოლოგიასთან მიმართებაშიც, ის არ შეიძლება გახდეს კორონავირუსის გამომწვევი და არც მისი რადიოტალღები არ არის იონიზებადი.

კრემლმა მსოფლიოში არსებული გლობალური პანდემიის პირობები კარგად გამოიყენა ბორდერიზაციისათვის. საქართველოს საგარეო სამინისტროს ვებ გვერდზეც აიტვირთა განცხადება და ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად გმობს 21 მაისს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ სოფელ მერეთში, გორის მუნიციპალიტეტი, ე.წ. „ბორდერიზაციის“ უკანონო პროცესის დაწყებასა და ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის გახშირებულ პროვოკაციებს.[6]“

კორონავირუსის, როგორც გლბალური პანდემიის პირობებში რუსეთმა ისევ გააგრძელა მავთულხლართების გავლება ორივე, მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ცხინვალისა და აფხაზეთის მიმართულებით. ბორდერიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ასევე ზუგდიდისა და განმუხურის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საგარეო სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ გააქტიურებული ქმედებები არის პროვოკაციული და მიზნად ისახავს მიაღწიოს ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით ვითარების დესტაბილიზაციას: „საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პროვოკაციები და ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ, პატივი სცეს ნაკისრ ვალდებულებებს, დაიწყოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული

[4] https://idfi.ge/ge/5g_technology_russian_disinformation_and_coronavirus
[5] https://idfi.ge/ge/5g_technology_russian_disinformation_and_coronavirus
[6] https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-(33).aspx?CatID=5

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების იმპლემენტაცია და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან... საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს რუსეთის დესტრუქციულ ნაბიჯებს და ქმედითი ზომები მიიღოს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გახშირებული თავდასხმების შესაჩერებლად“[7].

მეტად საინტერესოა თავად რუსეთში არსებული სიტუაცია კორონავისურთან დაკავშირებით. კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე კრემლი ეპიდემიის მასშტაბების ობიექტურად გაშუქებისაგან თავს იკავებდა. პირველი შემთხვევა ინფექციის გამოვლენის დაფიქსირდა 2020 წლის 31 იანვარს და ის დაუდგინდა ჩინეთის ორ მოქალაქეს. 13 მაისის მონაცემებით კი ქვეყანაში სულ დაავადებული იყო 242 000 ადამიანი. თებერვლის თვეში ვირუსის არც ერთი ახალი შემთხვევა არ გამოვლენილა, მარტის დასაწყისშიც კი ინფიცირებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100-ს. ეს ფაქტები ცოტა არ იყოს ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, კერძოდ, 146 მილიონიან ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს ჩინეთის მეზობლად და ესაზღვრება ევროპასაც, შენარჩუნებულიყო ასეთი მდგომარეობა. სწორედ ამიტომ წამოვიდა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ კრემლმა თავდაპირველად დამალა ეპიდემიის მასშტაბები და არ გაასაჯაროვა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ რუსეთში საკმაოდ იყო მომატებული ფილტვის ანთებით გარდაცვლილთა რაოდენობა, რამაც გააძლიერა ეჭვი ზემო აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ასევე 2020 წლის 19 მარტს ანასტასია ვასილიევამ, რომელიც გახლავთ დამოუკიდებელ ექიმთა გაერთიანება - „ექიმთა ალიანსის“ თავმჯდომარე გამოაქვეყნა ვიდეო მიმართვა, სადაც მან კრემლის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებს გამოუცხადა უნდობლობა და ექიმებს მოუწოდა რუსეთის ხელისუფლების ღია კრიტიკისაკენ. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ თუ კი გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს ვნახავთ, რომ მხოლოდ მოსკოვში, იანვრის თვეში პნევმონიის შემთხვევების რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით გაზრდილი იყო 37%-ით (6921 შემთხვევა), ხოლო თებერვალში გაიზარდა 53%-ით (7312 შემთხვევა)[8]. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიდეო მიმართვაში საუბარი იყო იმაზეც, რომ რუსეთს არ გააჩნდა სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა, რაც ექიმებს მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. აღნიშნული განცხადება კრემლმა რა თქმა უნდა უარყო და ვასილიევას დროებით თავისუფლებაც კი შეუზღუდეს. თუმცა მისი შეხედულებები არაერთმა ადამიანმა, მათ შორის პოლიტიკოსმაც კი გაიზიარა შემდეგ დღეებში.

ალბათ უფრო ცინიკურია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დამოკიდებულება, 17 მარტის მისი განცხადებით რუსეთში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და მან ამის დასადასტურებლად დახმარების ხელი გაუწოდა იტალიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც გააგზავნა სამედიცინო აღჭურვილობა (La Stampa-ს ინფორმაციით მათი დიდი ნაწილი გამოუსადეგარი აღმოჩნდა) და პერსონალი. ფაქტია, რომ რუსეთმა აღნიშნული ნაბიჯი გამოიყენა პროპაგანდისტული მიზნისათვის. რუსეთის გზავნილი

[7] https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-(33).aspx?CatID=5

[8] https://factcheck.ge/ka/story/38457--%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%97

ევროპას და აშშ-ს შემდეგი სლოგანით შემოისაზღვრა „სიყვარულით რუსეთიდან“, როგორც იტალიური და ამერიკული მედიასაშუალებები  იუწყებიან, რუსეთმა დახმარების სანაცვლოდ იტალიას სანქციების მოხსნაში დახმარება ითხოვა, ხოლო აშშ-ს ფულადი კომპენსაცია.

კრემლის ნარატივებს აქტიურად ავრცელებენ პოლიტიკურ სპექტრშიც, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქართველოს სწრაფვას დასავლეთისაკენ უშედეგოდ წარმოაჩენენ. ასეთია მაგალითად ანტიდასავლურად განწყობილი პარტია პატრიოტთა ალიანსი, რომელიც არასწორად ფორმულირებული, დამაბნეველი კითხვების შედეგებით ცდილობს, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგს: „თანახმა ხართ თუ არა, რომ ევროინტეგრაციის შენარჩუნებასთან ერთად, საქართველომ გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო არ იქნება არც ერთი სამხედრო ბლოკის წევრი, არ განთავსდება უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და არ ჩატარდება სამხედრო წვრთნები უცხო ქვეყნების მონაწილეობით. სამი სავარაუდო პასუხი გვაქვს: „დიახ“, „არა“ და „არ ვიცი“ ან „არ მაქვს გადაწყვეტილი“[9].

სწორედ ამ კითხვის დასმით ცდილობენ პატრიოტთა ალიანსის წევრები გამოიკვლიონ მოსახლეობის განწყობა. მათი წევრები დღეს საქარტველოს პარლამენტშიც არიან წარმოდგენილი, ისინი ღიად ხვდებიან კრემლის წარმომადგენლებს და უარყოფენ ყველა ავტორიტეტული ორგანზიაციის კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. როგორც პატრიოტთა ალიანსში აღნიშნავენ, NDI-სა და IRI-ის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა არ ასახავს სრულად საზოგადოების აზრს.

პატრიოტთა ალიანსის მიერ კვლევისათვის, არ არის შერჩეული კონკრეტული ასაკობრივი, სქესობრივი ან დემოგრაფიული კატეგორია. ისინი იყენებენ სატელეფონო საუბრისთვის სატელეფონო ნომრების ბაზას, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული და აწერია ძველი მფლობელების სახელები. პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში იკვეთება არაერთი ხარვეზი: კვლევის ეთიკის დარღვევა, უზუსტობა შერჩევის პრინციპებში, გამოკითხულთა ინტერესების დაუცველობა და ყველაზე მთავარი, ანტიდასავლური პროპაგანდა და პრორუსული ნარატივი.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, შერჩეული აქვთ კარდაკარ სიარული, სატელეფონო გამოკითხვა და აქციებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსისტემოდ გამოკითხვა. გლობალური პანდემიის გამო შექმნილი სიტუაციის შემდეგ, მათ დაიწყეს სატელეფონო გამოკითხვების ჩატარება მასიურად, სადაც სიტუაცია რადიკალურად განსხვავდებოდა. მოქალაქეთა სახელები უმეტეს შემთხვევაში მათ წინასწარ იცოდნენ, ისინი არ ეკითხებოდნენ მოქალაქეებს პირად ნომერს. კითხვა კი, რომელიც ბეჭდური სახით სამხედრო მიუმხრობლობაზე ითხოვდა პასუხს, სატელეფონო საუბარში „ჯარის დამოუკიდებლად“ ან სამხედრო ნეიტრალიტეტად“ იყო წარმოჩენილი.

[9] https://on.ge/story/55260-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1

რთული მისახვედრი არ არის თუ რას ემსახურება აღნიშნული კვლევა, აღნიშნული გამოკითხვის მიზანია- კრემლის ნარატივის გატარების მცდელობა. რუსეთთან მოლაპარაკება და სამხედრო მიუმხრობლობა აღნიშნული კვლევის ფარგლებში, წარმოჩენილია როგორც ალტერნატივა, რომელიც უნდა გამოიყენოს ქართველმა ხალხმა, როგორც ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის შესაძლებლობა.

## ლიტერატურა


1. O. Panfilov. Russian-Georgian information war. 2011
2. G. Targamadze. Information war against Georgia. 2014
3. https://1tv.ge/news/donald-trampi-chinetma-an-ver-sheachera-virusi-an-mis-gavrcelebas-kheli-ar-sheushala/
4. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067
5. https://factcheck.ge/ka/story/38390-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93
6. https://netgazeti.ge/news/425152/
7. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1067
8. https://idfi.ge/ge/5g_technology_russian_disinformation_and_coronavirus
9. https://idfi.ge/ge/5g_technology_russian_disinformation_and_coronavirus
10. https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-(33).aspx?CatID=5
11. https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-(33).aspx?CatID=5
12. https://factcheck.ge/ka/story/38457--%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%97
13. https://on.ge/story/55260-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-

%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1

14. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136156/1-5776

**რეზიუმე**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის ანგარიშშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჰიბრიდული ომის საკითხებს, სადაც აღნიშნულის ფარგლებში იკვეთება ხუთი ძირითადი ინსტრუმენტი, ესენია: საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო რეჟიმები (სხვა ინსტრუმენტებთან ერთად აღნიშნული ინსტრუმენტით მოქმედებს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია), ე.წ. საინფორმაციო ომი, ე.წ. რბილი ძალა, ეკონომიკური ბერკეტები, ფარული ოპერაციები. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ საქართველოში პროპაგანდისტული კამპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებების დაკნინება, დასავლეთისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კრიტიკა. დეზინფორმაციის გავრცელების ძირითადი მიზანია მოსახლეობის პოლარიზაცია, მცდარი შეხედულებების გავრცელება და შიშის დანერგვა მოსახლეობაში, რათა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება. საქართველო დღეს თავისი განვითარების მნიშვნელოვამნ ეტაპზე იმყოფება, რუსეთი კი ყველა მხრიდან ცდილობს შეაჩეროს მისი საგარეო პოლიტიკის განვითარება. საინფორმაციო ომი და პროპაგანდა აქტიურად გამოიყენება კრემლის მხრიდან საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარების შესაჩერებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ზესახელმწიფო, საინფორმაციო ომი, ძალთა ბალანსი, გლობალური პანდემია, პროპაგანდა.

**Sopo Chkopoia**

**Information Warfare Opportunities in the Modern World and in Georgia**

**Summary**

In the 2019 report of the State Security Service of Georgia an important place is devoted to the issues of hybrid warfare, where five main tools are outlined, namely: occupation forces and de facto regimes (along with other tools, only the Russian Federation operates with this tool), the so called Information war, the so-called Soft power, economic leverage, covert operations. The document also made it clear that the main goal of the propaganda campaign in Georgia is to undermine democratic values, to criticize the West and the North Atlantic Alliance. The main purpose of spreading misinformation is to polarize the population, spread misconceptions and instill fear in the population in order to manipulate public opinion. Georgia is at an important stage of its development today, and Russia is trying to stop the development of its foreign policy from all sides. Information warfare and propaganda are actively used by the Kremlin to halt Georgia's security and democratic development.

**Keywords:** superstate, information warfare, balance of power, global pandemic, propaganda.

**თამარ ხეცურიანი, ინგა კოკაია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
David Aghmashenebeli University of Georgia

# შერვუდ ანდერსონის ნოველა ,,დედა'' და მასში გაშუქებული ოცნების და რეალობის შეუსაბამობის თემა

ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის (1876–1941) სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკული ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველის შექმნასთან. თავის შემოქმედებაში ის ასახავდა იმ პრობლემებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არის გახსნილი ამ ჟანრში – ადამიანის თვითიდენტიფიკაცია და ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების მიზეზები და საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილის მხატვრულად ასახვის მთელი სიმძიმე იტვირთა სწორედ ნოველისტურმა ჟანრმა.

შერვუდ ანდერსონის შემოქმედება აღმოჩნდა XIX ს–ისა და XX ს–ის ლიტერატურის გზაგასაყარზე. ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში, მისი როლი წარმოგვიდგება ერთგვარ საკვანძო ფიგურად, რადგან ანდერსონი ანვითარებდა ამერიკული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, და ამავე დროს, ითვისებდა იმ ,,სალიტერატურო პრობლემატიკას'', რომელიც წარმოიქმნა ქვეყანაში სოციალური განვითარების ახალ ეტაპზე. მისი ნაწარმოებების გმირები ექცევიან იმ ისტორიული თუ ფსიქოლოგიური ცვლილებების ცენტრში, რაც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის დასაწყისის ამერიკისთვის. მისი პროზის თემები უკავშირდება სწორედ იმ მოვლენებს, რაც მოჰყვა ახალი საუკუნის დადგომას; ეს არის : 1) ისტორიული და სოციალური ფონი, ანუ კრახი ამერიკის თავისუფალი ფერმერული წყობისა, და, შესაბამისად, მატერიალურ წარმატებაზე აგებული მიზნების დამღუპველობა, და – 2) ინდივიდთა პერსონალური დრამა, პიროვნების გაუცხოება, სულიერი ღირებულებების ტრანსფორმაცია ან სრული დაკარგვა ინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარების პირობებში: '…it was a celebration of the industrial motors driving America forward that would draw that West into a vast modernizing process which made America, by the century's end, the world's leading industrial nation.' [1. 187]

მისი ნოველისტიკის მუდმივი იდეა, რომ მატერიალური წარმატება მიიღწეოდეს არა სულიერი კომპრომისის ან დეგრადაციის ხარჯზე, ყოველთვის იგრძნობა მის მოთხრობებში:'Anderson, who shared Howell's abhorrence of industrialism, sought to write a narrative of moral rejuvenation in which success could be rewedded to morality'. [2. 3]

დიდი ხნის მანძილზე შერვუდ ანდერსონი წარმოადგენდა ორიენტირს ამერიკელი მწერლების არაერთი თაობისთვის. მას ,,მწერალთა მწერალს'' უწოდებდნენ. მისი წერის სადა და მარტივმა სტილმა გარკვეული გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის ისეთ ცნობილ მწერლებზე, როგორებიც იყვნენ: ერნესტ ჰემინგუეი, უილიამ ფოლკნერი, ჯონ სტაინბეკი. მიუხედავად ნაგვიანევი სამწერლო დებიუტისა, ანდერსონის ლიტერატურული მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან არა ერთი რომანი, მოთხრობათა კრებული, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები შექმნა. მისი საუკეთესო მოთხრობათა კრებულებია: „უაინსბურგი, ოჰაიო"(1919), ,,კვერცხის ზეიმი'' (1921), ,,ცხენები და ადამიანები''(1923), ,,სიკვდილი ტყეში''(1933).

მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკელი მკითხველისათვის მოულოდნელი იყო ,,უაინსბურგი, ოჰაიოს'' შინაარსიც და ფორმაც. ავტონომიური ნოველები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული მოქმედების ადგილით, მთავარი იდეით, საერთო გმირით. „უაინსბურგი, ოჰაიო“ წარმოადგენს სხვადასხვა სიუჟეტზე და ერთიან ძირეულ იდეაზე აგებულ მხატვრულ ფორმას. ერთმანეთისგან განსხვავებული ნოველები წიგნის მთლიანობას განაპირობებენ და პროფესიული და არაპროფესიული მკითხველის თვალში კრებული ერთ მთლიან, შეკრულ ნაწარმოებად აღიქმება. ზოგი კრიტიკოსი ახალი ჟანრის დაბადებაზეც კი ალაპარაკდა – ,,რომანი ნოველებში''. ნოველების თემატიკა იქმნება სხვადასხვა ტიპაჟის ამერიკელის ფსიქიკაში ჩაწვდომასა და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების ასახვით.

ანდერსონის ნოველების გმირები უმთავრესად არიან ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც მარტოობის გრძნობით იტანჯებიან. რატომ მაინცდამაინც ასაკოვანი?

პირადი გამოცდილების საფუძველზე, სწორედ სიმწიფის ასაკი მიიჩნია მწერალმა იმ ცხოვრებისეულ პუნქტად, რომელიც მან ჩათვალა გადამწყვეტად, რადგან ამ ეტაპზე იგი ახლებურად ხედავს საკუთარ ,,მე''-ს და ჭეშმარიტ მისწრაფებებს. ასეთი ლოგიკა ბუნებრივია, რადგან ადამიანის ცხოვრების ,,შუა წელი'' წარმოადგენს იმ ეტაპს, როდესაც საღი ფსიქიკის მქონე ადამიანი იძულებულია, რომ გარკვეული შეფასება გამოუტანოს განვლილ ცხოვრებას ზნეობრივი და სულიერი თვალსაზრისით. ამრიგად, ეს ,,წყალგამყოფი'' წერტილი იქცა ანდერსონისთვის ყველაზე უფრო ქმედით და მოსახერხებელ საშუალებად, რათა გადმოეცა თავისი სატკივარი და სათქმელი.

ანდერსონმა შექმნა მთელი გალერეა წარუმატებელი, უტყვი, უქონელი, უჩვეულო გმირებისა. კრებული, რომელშიც შესულია ოცდაორი ნოველა, შეიძლება აღვიქვათ წიგნად გროტესკულ ადამიანებზე. ავტორი კიდეც აპირებდა, რომ კრებულისთვის მიეცა ერთგვარი შესავლის, პირველივე ნოველის სათაური ,,წიგნი გროტესკულ ადამიანებზე'', რომელიც, შეიძლება ითქვას, ნაწარმოების იდეის გასაღებს წარმოადგენს, მაგრამ შემდგომ, როგორც ეს ბევრ კრიტიკოსს მიაჩნია, მან შეიცვალა აზრი ნიუ–იორკელი გამომცემლის ბენჯამენ ჰიუბშის რჩევით. ,,ჰიუბშს უკვე გამოცემული ჰქონდა (1916 წელს) ჯეიმზ ჯოისის ,,დუბლინელები'' და მიაჩნდა, რომ მეტი ეფექტისთვის და ნაწარმოების, როგორც ერთი მთლიანის უკეთ აღქმისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ მოთხრობათა კრებულს ჰქონოდა დასათაურება იმ ქალაქის სახელის მიხედვით, რომლის გმირების შესახებაც იყო ეს წიგნი. უნდა აღინიშნოს, რომ: ,,უაინსბურგის'' პროტოტიპია ანდერსონის მშობლიური ქალაქი, კლაიდი''. [3. 24]

ჩვენი ანალიზის მიზანსა და საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი ნოველა ,,დედა'', რომელიც შესულია მოთხრობების კრებულში „უაინსბურგი, ოჰაიო“.

ნოველის – ,,დედა'' – შინაარსი აგებულია ხელმოცარული ოჯახის ისტორიაზე და ოჯახის წევრთა განწირულ და იმედდაწრეტილ ძალისხმევაზე, რომ შვილს მაინც ეღირსოს სიკეთე და ოცნებათა განხორციელება – ის, რასაც ვერ ეღირსა მისი დედ-მამა, ელისაბედ და ტომ ვილარდები.

ფაბულის ეს მოკლე მონახაზი და სქემა თავისთავად იმდენ პარალელურ თემას და ალუზიას მოიცავს, რომ ამ სქემის სიტყვით გამდიდრებული პოტენციალი მოითხოვს რომანს თუ არა, ვრცელი მოცულობის პროზას მაინც. მაგრამ ავტორი არ ანვითარებს დიალოგის ფსიქოლოგიურ პოტენციალს, გაურბის ტექსტის ასეთ განვითარებას და შემოიფარგლება მოტივის დამაზუსტებელი მინიშნებებით.

მაშასადამე, სიუჟეტის სქემა იძლევა ხელმოცარული ოჯახის სურათს, რომლის წევრთა შორის უნდობლობაა გამეფებული. მსგავს ვითარებას ჰოთორნი რომანად აქცევდა –

ანდერსონამდე ნახევარი საუკუნით ადრე, და ასეთ ვითარებას რომანად აქცევდა სელინჯერიც და ფოლკნერიც -ანდერსონის შემდეგ.

რაკი ანდერსონი ირჩევს გაცილებით უფრო მცირე მოცულობის მეტრს, საინტერესოა, რა მიზანმა გადაწონა ნარატივის ტრადიციული განვითარების შესაძლებლობა?

აღმოჩნდა, რომ ეს მიზანი ეხებოდა ერთი პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის აღწერას. თავისთავად, ეს მიზანი "უფლებამოსილია" პროზის მასალად, მით უმეტეს რომ ამ პროცესში იხსნება სხვათა ხასიათებიც.

უკეთ რომ გავერკვეთ ჩვენი ანალიზის სტრატეგიაში, საჭიროა წარმოვიდგინოთ ნოველის სრული სიუჟეტური მონახაზი და კონტური. ნოველის სიუჟეტურ მონახაზს წარმოადგენს პერსონაჟთა სამკუთხედი, სადაც ცენტრალური, "გრავიტაციული" ლტოლვის განმაპირობებელი პერსონაჟი შვილია, ჯორჯ ვილარდი, რომლის გულის და გონების მონადირებას ცდილობენ დედა და მამა, სადაც დედისთვის გადამწყვეტია შვილის კეთილდღეობა, თუმც არა მარტო დედისთვის: კონფლიქტის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ კეთილდღეობა ყველას თავისებურად ესმის, და არც დედის და არც მამის წარმოდგენა შვილის სიკეთეზე არ ემთხვევა მათი ვაჟის სურვილს.

აქედან გამომდინარე, მშობლები ცდილობენ, რომ თავიანთ შვილს საკუთარი იდეალის თარგი მოარგონ, მაგრამ ამ სურვილს აქვს კიდევ ერთი ფარული საფუძველი: თავისი ბედით გაწბილებული დედისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ ჯავრი იყაროს მისი ცხოვრების დამანგრეველ ქმარზე, მამისთვის კი, რომელიც ცოლს საერთოდ არ აღიქვამს როგორც პიროვნებას და მიაჩნია, რომ ცხოვრება და თავისი პოლიტიკური კარიერა იმიტომ ვერ ააწყო თავის ჭკუაზე, რადგან ცოლის მხრიდან არა ჰქონდა სათანადო მხარდაჭერა და ის აფერხებდა მის წინსვლას და აღმავლობას ამ სარბიელზე – მისთვისაც, ბიჭის საკუთარ თარგზე მორგება – პირდაპირი შურისძიებაა საკუთარ ცოლზე.

სიძულვილის და შურისძიების თემა ამერიკული ლიტერატურის კლასიკადაა ქცეული ნათანიელ ჰოთორნის ხანიდან, და მთლიანად შეესაბამება პურიტანული ტრადიციის ყველაზე უფრო დრამატულ პერიოდებს და თემებს: '…but nothing better illustrates both the continuity of the old Puritan conviction and the crucial transformation of it by later writers than the revelation – by Hawthorne and James …'[4. 38-40] ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ანდერსონის ეს ნოველა აგრეთვე აგრძელებს ეროვნული მწერლობის ძველ თემებს და მოტივებს.

ნაკლები ყურადღება ეთმობა მესამე პერსონაჟს, შვილს, რომელიც უფრო ობიექტის როლს თამაშობს სხვათა წარმართულ სცენარებში, ვიდრე საკუთარი ნების მქონე სუბიექტის როლს, და ასეთი ვითარება გრძელდება ფინალამდე, როდესაც ვაჟი აჯანყდება და გამოაცხადებს თავის სურვილს, რომ თავისი ჭკუით იცხოვროს და თავის ნებასურვილით წარმართოს საკუთარი მომავალი.

დედის პორტრეტში საინტერესო დეტალია მოცემული: თუ როგორ უიმედოდ გასცქეროდა ის ამ ქალაქის მთავარ ქუჩას, რითაც იმ " Main Street"-მა[5. 41] შეიძინა სიმბოლური ნიშნები არა მხოლოდ: ა) მომავლის და უკეთ ცხოვრების, არამედ საერთოდ, 2) იმედის, საშველის და თავის დაღწევის, და ბოლოს, 3) აქაურობით უკმაყოფილების მნიშვნელობა. ნოველის ეს ადგილი ეხმიანება ჯეიმზ ჯოისის მთავარი პერსონაჟის, ეველინის განცდებს ნოველიდან „ეველინი", სადაც აგრეთვე გათამაშებულია ოცნების და რეალობის შეუსაბამობის თემა.

რეალობით უკმაყოფილება, და აქაურობიდან თავის დაღწევის სურვილი, და, საერთოდ, სიშორისკენ ორიენტირებული გზა ერთსა და იგივეს აფიქრებინებს აღნიშნული ნოველების

პერსონაჟებს – ელისაბედ ვილარდს და ეველინს: საშველი და იმედი ”ჰორიზონტის მიღმა” იმალება, და პერსონაჟებისთვის უცნობია, რა ელით მათ ცხოვრების გზაზე და მომავალში.

ანდერსონს განსხვავებულ ფსიქოლოგიურ პლანში გადაყავს მკითხველი შემდეგ მაგალითში: ’... she went into his room and closing the door knelt by a little desk, made of a kitchen table ...she went through a ceremony that was half a prayer, half a demand, addressed to the skies’.[5.37]

ამ სცენის სევდიანი ფსიქოლოგიური განწყობის გარდა, აქ თავისთავად შთამბეჭდავია ორი დეტალი:’ a desk from a kitchen table” და ’half a prayer, half a demand, addressed to the skies’. პირველი, გულს ხვდება პერსონაჟთა აშკარა ხელმოკლეობის გამო, ასე ვთქვათ, სოციალურ-მატერიალური მოტივის გამო. რაც შეეხება მეორე დეტალს, აქ იმდენად ძლერია ‘ addressed to the skies’ განწირულობის გრძნობა – მით უმეტეს, იქვე ნახსენებ ”სამზარეულოს მაგიდასთან” ერთობაში, რომ ავტორი აღწევს ძალზე ძლიერ დრამატულ დაძაბულობას. ამ დაძაბულობას დიდი ეფექტით აგვირგვინებს დედისგან თქმული ლოცვის სიმძაფრე, როდესაც ის, მოელვარე თვალებით, მუშტებშეკრული და მთრთოლვარე, პირობას უყენებს ზენაარსს: ‘... If I am dead and see him [her son] becoming a meaningless drab figure like myself, I will come back… I ask God now to give me that privilege. I demand it. I will pay for it… I will take any blow that may befall if but this my boy be allowed to express something for us both… And do not let him become smart and successful either’[5.37].

‘ Smart and successful’ – ასეთია ტომ ვილარდის ცოლის სიტყვებით გამოთქმული, მისი თავმომწონე და პატივმოყვარე მატერიალისტი ქმრის საოცნებო კარიერის სტანდარტი, რის მიღწევასაც მოუწოდებს ის თავის შვილს. და იმდენად დიდია ცოლის წყენა ქმარზე, რომ არც კი უნდა შვილის კეთილდღეობას ასეთნაირად დასახასიათებელი ფორმა მიეცეს.

დედის ლოცვა-ღაღადი წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ თემას, რომლის ტექსტი ძალიან შთამბეჭდავია თავისი აზრით და მხატვრულობით, რასაც აძლიერებს მისი ლაკონურობა. მაგრამ ლაკონურობის მიუხედავად, აქ ჩანს: 1) დედის თავგანწირული სიყვარული; 2) თავმოყვარეობა და თვითკრიტიკა, რაც ჩანს მის ღირსებით სავსე მწარე შედარებაში: ‘a meaningless drab figure like myself’, და 3) უსაზღვრო სურვილი თვითრეალიზაციის, რომელიც მას წარმოუდგენია საკუთარი თავის შვილთან გაერთიანებით, იდენტიფიკაციით – ‘my boy be allowed to express something for us both’; ამავე დროს, ამ ციტატას აქვს კიდევ მნიშვნელობის მეორე პლანი: ვინაიდან მანამდე დედა უკვე ახსენებს თავის სიკვდილს, ამიტომ მისი ნახსენები ‘us both’ იღებს სხვა ღირებულებას, რადგან დედა თავის შვილთან ერთად ბედნიერებას იმქვეყნად ნატრობს, რომ განუყრელად დარჩეს საკუთარ შვილთან.

დედის ლოცვის სცენაში ჩამოყალიბებული პორტრეტის შემდეგ, დიდი კონტრასტია შვილის პერიოდულ ვიზიტებთან დედის ოთახში, როდესაც ის შეუძლოდაა. ჯორჯ ვილარდი წარმოგვიდგება როგორც აბსოლუტურად ფუყე, ემოციაგაცლილი პერსონაჟი.

დედა-შვილის ურთიერთობა წამყვანი თემაა ამ ნოველაში. გულწრფელი გრძნობის და სურვილის მიუხედავად, დედა-შვილს შორის დიალოგი რეალურად ვერ ხერხდება, და ნაცვლად ამისა, დედა იძულებულია დაკმაყოფილდეს წარმოსახული დიალოგით და რაკი ასეა, კვლავ დარჩეს საკუთარი მარტოობის და გაუზიარებელი წარმოსახვის საკანში გამოკეტილი.

ამ წარმოსახვის გამო, დედა სიამოვნებით ირწმუნებს თავს, რომ მისი ვაჟი მთლიანად მისი სისხლი და ხორცია, და რომ მამისა არაფერი მოსდევს:’He is grouping about, trying to find himself. He is not a dull clod, all words and smartness (-ანუ ის თვისებები, რომლებიც მისი მამის დამახასიათებელი ნიშნებია)... Within him there is a secret something that is striving to grow’.[5.39]– ეს

ბოლო სიტყვები კვლავ მიუთითებენ, რაოდენ დიდ იმედს ამყარებს დედა მასზე, რომ მის თარგზე განვითარებული ჯორჯის მომავალი ღირსეულად დააგვირგვინებს მის გაწამებულ არსებობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შერვუდ ანდერსონის იდეა და მიზანია, რომ ასეთი კატეგორიის ტიპაჟებით დააყენოს თვით ეგზისტენციის საკითხი: როგორ ზეგავლენას ახდენს რეალობის სოციალური კლიმატი ცალკეულ ინდივიდზე.

## ლიტერატურა


1. Richard Ruland, Malcolm Bradbury: From Puritanism to Postmodernism. Penguin Books, 1992
2. John W. Crowley: New Essays on 'Winesburg, Ohio'. New York: Cambridge University Press, 1990
3. ჭკადუა ვ.: შერვუდ ანდერსონი. თბ.:,,განათლება'', 1972
4. Cleanth Brooks, R. W. B. Lewis: American Literature. Book A. St. Martin's Press. New York, 1974
5. Sherwood Anderson: Selected Short Stories. Moscow: Progress Publishers, 1981


## რეზიუმე


ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის (1876–1941) სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკული ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველის შექმნასთან. თავის შემოქმედებაში ის ასახავდა იმ პრობლემებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არის გახსნილი ამ ჟანრში – ადამიანის თვითიდენტიფიკაცია და ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების მიზეზები და საფუძველი. 1919 წელს გამოდის მისი ცნობილი მოთხრობათა კრებული ,,უაინსბურგი, ოჰაიო''. მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკელი მკითხველისათვის მოულოდნელი იყო ,,უაინსბურგი, ოჰაიოს'' შინაარსიც და ფორმაც. ავტონომიური ნოველები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული მოქმედების ადგილით, მთავარი იდეით, საერთო გმირით. „უაინსბურგი, ოჰაიო" წარმოადგენს სხვადასხვა სიუჟეტზე და ერთიან ძირეულ იდეაზე აგებულ მხატვრულ ფორმას. ერთმანეთისგან განსხვავებული ნოველები წიგნის მთლიანობას განაპირობებენ. კრებული, რომელშიც შესულია ოცდაორი ნოველა, შეიძლება აღვიქვათ წიგნად გროტესკულ ადამიანებზე. ავტორი კიდეც აპირებდა, რომ კრებულისთვის მიეცა ერთგვარი შესავლის, პირველივე ნოველის სათაური ,,წიგნი გროტესკულ ადამიანებზე'', რომელიც, შეიძლება ითქვას, ნაწარმოების იდეის გასაღებს წარმოადგენს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია კრებულის ერთ-ერთი მოთხრობა – ,,დედა''. ნაშრომში, ვილარდების ოჯახის მაგალითზე, ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ოჯახში გამეფებულმა მდუმარე დრამამ, ოჯახის წევრები აქციოს ერთმანეთისთვის გაუცხოებულ, მარტოსულ ადამიანებად. განხილულია თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სოციალურმა კლიმატმა, ოცნების და რეალობის შეუსაბამობამ ცალკეულ ინდივიდზე.



**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველა, პიროვნების გაუცხოება, ,,რომანი ნოველებში'', ფაბულა, ნარატივი.

**Tamar Khetsuriani, Inga Kokaia**

**The Theme of Irrelevance of Dream and Reality Presented in the Short Story 'Mother' by Sherwood Anderson**

**Summary**

Sherwood Anderson (1876–1941) was an American novelist and short story writer, known for subjective and self-revealing works. A*nderson's* works are known particularly for their unique *psychological* depths. His most enduring work is the short-story sequence 'Winesburg, Ohio', which launched his career. 'Winesburg, Ohio' is a 1919 short story cycle. The book consists of twenty-two stories, with the first story, "The Book of the Grotesque", serving as an introduction. Each of the stories shares a specific character's past and present struggle to overcome the loneliness and isolation that seem to permeate the town. In the present article our attention is focused on the analysis of 'Mother' - one of the short stories of the above mentioned short story cycle. In "Mother" we meet Elizabeth Willard, the mother of George Willard. Elizabeth is a sick woman, trapped in an unhappy marriage, and she imagines herself locked in a struggle with her husband for influence over George. Through the development of the plot, we observe how inability to communicate, to translate inner feelings into outward form- expresses itself in the loneliness and isolation that makes their various adventures noteworthy.

**Keywords:** Psychological short story, personal alienation, 'novel in short stories', story-line, narration.